

ედგნება საქართველოს პირველი დემოკრატიული
რესპუბლიკის ასი წლის იუბილეს

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

რეპიონების

ცხოვრება

1918-1921
წლები

საქართველო ექსპიზიციის
კვლევის ცენტრი (CARC)
2018



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
 ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

CARC სამოქალაქო აქტივიზმის
 კვლევის ცენტრი

„ადგილობრივი დემოკრატია საქართველოში – 1918-1921 წლების გამოცდილება“ – ამ პროექტის ფარგლებში მომზადებული ეს გამოცემა ხორციელდება ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევაში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებელი არიან თავად ავტორები და ისინი არ შეიძლება განიხილებოდეს რო-გორც ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ან „სამოქალაქო აქტივიზმის კვლევის ცენტრის“ (CARC) შეხედულებად.

ავტორები: **გიორგი არობელიძე; თეიმურაზ ბუყანიძე;**
მარიამ გულიაშვილი; თამარ მეჭურჭლიშვილი;
ნათია ქარჩილაძე; თორნიკე შევარდნაძე

სამეცნიერო რედაქტორი: **ლელა გაფრინდაშვილი**

ტექსტის რედაქტორი: **ელზა ნაბახტველი**

დიზაინერი: **მაკა ცომაია**

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE
 PRINTING HOUSE

ტირაჟი: 400

© სამოქალაქო აქტივიზმის კვლევის ცენტრი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „სამოქალაქო აქტივიზმის კვლევის ცენტრის“ (CARC) წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: დ. ყიფიანის ქ. №4, კორ. №2, ბ.1

www.carc.ge

info@carc.ge

ISBN 978-9941-27-786-3

წინასწარმოცხადება

„სამოქალაქო აქტივიზმის კვლევის ცენტრის“ ძირითადი მიზანია საქართველოს წარსულსა და თანამედროვეობაში არსებული პოლიტიკური პროცესების, წინააღმდეგობების, სამოქალაქო აქტივიზმისა და სოციალური მოძრაობების ფორმების შესწავლა და ანალიზი. ზემოაღნიშნული ცნებების გააზრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა და სახელმწიფოს პოლიტიკური პასუხისმგებლობის სფეროებში. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ საჭიროებების გამო უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს წარსული გამოცდილების შესწავლასა და რეკონსტრუქციას.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა რჩება დემოკრატიული ფასეულობების, სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობისა და განვითარებული სამოქალაქო თვითშეგნების ნიმუშად. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში აღნიშნული პერიოდის მიმართ გაძლიერებულია აკადემიური ინტერესი, დღემდე კვლავ უცნობია არა პოლიტიკურ ცენტრში, არამედ რეგიონებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და სამოქალაქო თანამონაწილეობის ფორმები. მკვლევართა ჯგუფს ყოველთვის უჩნდებოდა კითხვები ამ პროცესებთან დაკავშირებით. ამიტომ მიზნად დავისახეთ სამოქალაქო საზოგადოებისთვის, პოლიტიკის მწარმოებლებისა და საქართველოს მოსახლეობისთვის შეგვეთავაზებინა პუბლიკაცია, რომელიც იქ-

ნებოდა 1918-1921 წლებში ადგილობრივი დემოკრატიისა და რეგიონებში არსებული აქტივიზმის შესწავლისა და გაანალიზების მცდელობა.

განსაკუთრებული მადლიერება გვინდა გამოვხატოთ ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მიმართ, რომელმაც შესაძლებელი გახადა ჩვენი იდეის განხორციელება. ეს მხარდაჭერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წელს, როცა პირველ ქართულ რესპუბლიკას 100 წელი უსრულდება და სასურველია, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი პერიოდი სწორედ ანალიტიკური თვალთ დავინახოთ.

ასევე განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით გამოცემის სამეცნიერო რედაქტორს ლელა გაფრინდაშვილს პროექტის მსვლელობისას განეული პროფესიონალური კონსულტაციისა და ორიგინალური რჩევებისთვის.

მკვლევართა ჯგუფისადმი გამოცხადებული ნდობისა და მხარდაჭერისთვის მადლიერებას გამოვხატავთ პროექტის რეკომენდატორების მიმართ, „საბჭოთა კავშირის კვლევის ლაბორატორიის“ დამფუძნებლის, ანა მარგველაშვილის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელის, „სოციალური ანალიზისა და კვლევის ინსტიტუტის“ დირექტორის იაგო კაჭკაჭიშვილის მიმართ.

ანალიტიკური სტატიების, კერძოდ შრომის საკითხებზე წერის პროცესში გაცემული რეკომენდაციებისთვის გვინდა მადლობა გადავუხადოთ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) თანამშრომელს თამუნა ქეზურას.

მადლობას ვუხდით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, განსაკუთრებით კი დაცული ფონდის თანამშრომლებს, რომლებმაც სავსე სამუშაოების პროცესში დაუღალავი შრომა გასწიეს შესაბამისი მასალების მოძიებით.

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
შესავალი	9
კვლევის მეთოდოლოგია	11

ნაწილი I.

სტატიები 1918-1921 წლების რეგიონული გაზეთებიდან

აფხაზეთის ოლქი	17
ანანურის ოლქი	29
არტაანის ოლქი	33
ახალციხის ოლქი	34
ბათუმის ოლქი	45
ბორჩალოს ოლქი	61
გორის ოლქი	63
ზესტაფონის ოლქი	76
ზუგდიდის ოლქი	81
თბილისის ოლქი	92
თელავის ოლქი	94
ლენჩუმ-ცაგერის ოლქი	98
ოზურგეთის ოლქი	104
ონის ოლქი	115
სენაკის ოლქი	125

სიღნაღის ოლქი	132
ქუთაისის ოლქი	141

ნაწილი II.

ანალიტიკური სტატიები

მშრომელთა პროტესტი და ორგანიზების ფორმები 1918-1921 წლებში (თეიმურაზ ბეჟანიძე, მარიამ გულიაშვილი)	169
---	-----

კულტურა და ხელოვნება საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (თამარ მეჭურჭლიძე)	190
---	-----

სახალხო და მოძრავი უნივერსიტეტები 1918-1921 წლებში (გიორგი არობელიძე, ნათია ქარჩილაძე)	205
--	-----

საგანმანათლებლო ინიციატივები და პრაქტიკები (თორნიკე შვერდნაძე)	215
---	-----

ბოლოსიტყვაობა	223
--------------------------------	------------

შენსაკალი

1991 წელს მიღებული დამოუკიდებლობის აქტით საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. დემოკრატიის დამკვიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ადგილობრივი თვითმმართველობის არსებობა და განვითარებაა, რაც სხვადასხვა რეგიონის მოქალაქეთა პოლიტიკურ პროცესებში აქტიური მონაწილეობით მიიღწევა. თვითმმართველობა ხომ საზოგადოებრივი საქმეების, თვით ამ საზოგადოების წევრების მიერ დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით მონესრიგებას გულისხმობს. ამდენად, თვითმმართველობა, უპირველესად საერთო საკითხების გადასაწყვეტად, მოქალაქეთა თვითორგანიზებას ნიშნავს. ადგილობრივი საზოგადოებების, როგორც თვითმმართველობის უმთავრესი სუბიექტების, გაძლიერება აუცილებელია საიმისოდ, რომ მათ რეგიონის პრობლემათა მონესრიგების უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა განახორციელონ.

როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა ეპოქაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სფეროს შესახებ არაერთი ნაშრომი შეიქმნა, თუმცა დღემდე არ არსებობს პუბლიკაცია, რომელიც მკითხველს 1918-1921 წლებში საქართველოს რეგიონებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს გააცნობს: ანალიტიკურ ან თუნ-

დაც აღწერით მასალას, ან იმდროინდელ პრესაში გაშუქებულ რეგიონულ ფაქტებსა და მოვლენებს.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა მნიშვნელოვანია როგორც ისტორიული პროცესების აღსაწერად, ისე 1918-1921 წლების გამოცდილების თანამედროვე საქართველოში გადმოსატანად, იმჟამინდელ და თანამედროვე რეალობაზე ერთდროული რეფლექსიისთვის.

პროექტი „ადგილობრივი დემოკრატია საქართველოში – 1918-1921 წლების გამოცდილება“ მიზნად ისახავდა პირველი რესპუბლიკის პერიოდში საქართველოს რეგიონებში მიმდინარე მოვლენების შესწავლა-ანალიზს, რისთვისაც ჩვენ გამოვყავით სოციალური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობის, შრომის უფლებასა და შრომით გაერთიანებებთან დაკავშირებული საკითხები.

კვლევის მეთოდოლოგია

ჩვენ მიერ შერჩეული საკითხების შესასწავლად გამოვიყენეთ კვლევის თვისებრივი მეთოდი: 1918-1921 წლებში გამოცემული პერიოდული პრესის დოკუმენტური ანალიზი. შეგროვილი მასალა აღწერს ამ პერიოდში საქართველოს რეგიონებში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების თავისებურებებს, იმდროინდელი საზოგადოების, ადამიანების პრობლემებსა და საჭიროებებს, რომელთა უმრავლესობა ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხებს, ეკონომიკურ მდგომარეობას, თვითმმართველობებს, შრომით ურთიერთობებს, ქალთა საკითხებსა და სოციალურ პრობლემატიკას ეხება.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებამ საშუალება მოგვცა 1918-1921 წლების მოვლენების ერთიან სურათში დაგვეჩვენა რეგიონების სპეციფიკა, აქტუალური საკითხების დინამიკა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური თვალთახედვების მრავალფეროვნება.

- **საკვლევი ობიექტის შერჩევა და მონაცემთა შეგროვება**

პირველი რესპუბლიკის რეგიონებში მიმდინარე მნიშვნელოვანი და აქტუალური პროცესების შესასწავლად გამოვიყენეთ

ქართულ და რუსულ ენებზე გამომავალი ჟურნალ-გაზეთები. კვლევამ მოიცვა პერიოდი 1918 წლის მაისიდან 1921 წლის მარტამდე.

კვლევის თავდაპირველ ეტაპზე შევადგინეთ და დავაზუსტეთ ინფორმაცია გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების შესახებ. შემდეგ ეტაპზე დავადგინეთ საჭირო მასალის ადგილმდებარეობა, ხოლო საბოლოოდ – პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივის საძიებო სისტემის მიხედვით, მოვახდინეთ მასალის თემატური კლასიფიკაცია და პერიოდიზაცია.

კვლევის სავსელე სამუშაოები მიმდინარეობდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (დაცული ფონდები, ელექტრონული მასალები) და ეროვნულ არქივში (ვიზუალური მასალა).

• მონაცემთა ანალიზი

ადმინისტრაციული ერთეულებისთვის მიღებული ტერმინოლოგია არავითარ კანონზომიერებას არ მისდევს, ამიტომაც კვლევის პროცესში გადავწყვიტეთ, რეგიონები დაგვეჯგუფებინა წიგნ „ერობის“ მიერ შემუშავებული ტერმინოლოგიის მიხედვით – როცა ადმინისტრაციული ერთეულების სახელები ნაწარმოებია ან მისი ცენტრის სახელიდან, ან ერთეულების ისტორიული სახელების მიხედვით. გამონაკლისია ტფილისის ოლქი, რომელსაც არ აქვს ისტორიული სახელწოდება, თუკი ასეთ სახელად არ მივიღებთ ტერმინს „სამოქალაქო“. ბორჩალოს ოლქს კი პირიქით, არ აქვს ადმინისტრაციული ცენტრი, სწორედ ამიტომაც არის, რომ „ერობაში“ გამონაკლისის სახით დატოვებულია მისი ძველი სახელწოდება.

ჟურნალ-გაზეთებისა თუ საარქივო მასალის გაცნობამ საშუალება მოგვცა პირველი რესპუბლიკის პერიოდის მოვლენე-

ბიდან, საკითხებიდან გამოგვეყო და მკითხველისთვის შეგვეთავაზებინა შემდეგი თემები:

1. კულტურული და საგანმანათლებლო ინიციატივები
2. სოციალური პროცესები: შრომითი ურთიერთობის ფორმები, შრომითი პროტესტები და გაერთიანების ფორმები
3. პოლიტიკური რეალობა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების სამომავლო ხედვები
4. ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და განვითარების არსებული მიდგომები
5. თანასწორობის იდეა და გენდერული საკითხები

პუბლიკაციის მეორე ნაწილში შემოთავაზებულ სტატიებში კი შევეცადეთ გაგვეანალიზებინა უშუალოდ რეგიონების, სოციალური და პოლიტიკური პროტესტების, საგანმანათლებლო პროცესის თავისებურებები და გამოგვეყო შემდეგი საკითხები:

1. შრომითი წინააღმდეგობები და შრომითი გაერთიანებების ფორმები
2. კულტურული ინიციატივები
3. საგანმანათლებლო პროცესები და პროექტები

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ჩვენი კვლევის შედეგების გაცნობა: როგორც 1918-1921 წლების პერიოდული პრესის მასალა, ისე – თემები, რომლებიც ჩვენ თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისთვის აქტუალურად მივიჩნით. იმედი გვაქვს, რომ წარმოდგენილი პუბლიკაცია მკვლევარებში, სამოქალაქო აქტივისტებში ახალ წამოწყებებს მისცემს ბიძგს, რაც საბოლოოდ სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების საწინდარი იქნება.

ნაწილი I

სტატიები

1918-1921 წლების
რეგიონული გაზეთებიდან

* პირველ ნაწილში იბეჭდება სტატიები 1918-1921 წლების პერიოდული გამოცემებიდან. შესაბამისად, მათში შენარჩუნებულია როგორც ავტორის სტილი, ისე იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი ორთოგრაფია. აშკარა კორექტურული შეცდომები ჩასწორებულია.



1. ქართველი მწერლები ქუთაისში, პოეზიის დღის აღსანიშნავად
2. ბათუმი
3. მასწავლებელთა სახლი, ყოფილი პალას შოტელი. ქუთაისი, სტალინის ქუჩა

აფხაზეთის ოლქი

საქართველო აფხაზეთში

„ორი დიდი დემონსტრაციის მონმენი ვიყავით ჩვენ ამ დღეებში: პირველი 26 მაისს და მეორე 1-ლ ივნისს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომისას, როდესაც მთელი ერი აცხადებდა სურვილს დამოუკიდებლად ცხოვრებისას და ამ დამოუკიდებლობის დაცვაში იგი არ უფრთხოდა შეტაკებას უფრო ძლიერ მხარესთანაც, ვიდრე დენიკინია. საერთო ზეიმა და უფრო საერთო საფრთხემ წაშალა დროებით პარტიათა შორის განსხვავებანი და მე არ ვიცი ვისი სიტყვა სჯობდა პარლამენტში: პატრიოტული ვამჩნევთ, მხოლოდ მინდა აღვნიშნო ორი ფრიად შეუსაბამო მოვლენა; გრძნობით აღსავსე სიტყვა ს. კედიასი, თუ მთელი საქართველოსადმი მიმართული სიტყვა კ. ვ. ჯუღელიას ან სიტყვა მინისტრის ნ. რამიშვილისა. სიტყვების ღირებულება განსაზღვრულია, რა თქმა უნდა, მაგრამ ამ სიტყვების იქით ჩვენა ვგრძნობდით მთლიან საქართველოს და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ასეთი შინაარსისა და სიღრმის ელფერს აძლევდა მათ.

პატარა ერი უფრო ძალუმად განიცდის ეროვნულ გრძნო-

ბათა სიცხოველეს, ვიდრე დიდი და ქართველი ერიც გამონაკლისი არ არის ამ შემთხვევაში. და სწორედ ამ პატრიოტულ გრძნობათა ღელვასა ვხედავდით ჩვენ ზოგად ფრაზათა თქმის დროს დამფუძნებელ კრების მემარცხენე ორატორთა სიტყვებში. ჩვენ ბევრი რამე გვაქვს სადავო და ანგარიშგასასწორებელი ერთმანეთთან.

ეს შინ. გარეთ კი ერთნი ვართ ყველანი, არის ეს ცარიელი სიტყვები? არა, ერთი წლის განმავლობაში ჩვენ მრავალჯერ გავამართლეთ ეს.

საქართველოს სახელმწიფოებრივობა აღარა ჰგავს ჟელატინისეულ, უძვლო მასას. იგი ჩაჟდება კაჟდება დღითიდღე. კონტური ჩონჩხი მისი სხეულისა უკვე აშკარად ხელშესახებია და სულ ახლოა მისი მკაფიო ფორმის ჩამოყალიბება. საჭიროა ამისთვის მთლიანი ეროვნული პოლიტიკის წარმოება. აქ ცენტრში და აგრეთვე პერიფერიებში, იქ, სადაც უფრო ცხოვლადა ჰგრძნობენ ყოველგვარ მერყეობას, მტკიცე გეგმის უქონლობას.

მე მსურს ოდნავ შევეხო დღეს საქართველოს ეროვნულ პოლიტიკას, უკეთა ვსთქვათ მის სრულ უქონლობას აფხაზეთში, საქართველოს ყველაზედ მნიშვნელოვან განაპირა კუთხეში.

უმთავრესი შეხლა რუსეთთან, დღევანდელი დენიკინის იქნება იგი თუ სხვა ვინმე ჯგუფისა, მონარქისტული, თუ დემოკრატიული, მოგვიხდება აქ აფხაზეთში და საქართველოს მოაზროვნე ნაწილს სრული უფლება აქვს განსაკუთრებული ტაქტი, ცოდნა და ენერჯია მოსთხოვოს ყოველ მთავრობას მთლიან საქართველოს იდეისგან განსამტკიცებლად აფხაზეთში.

იყო კი ეს ასე? არამც თუ მტკიცე ეროვნულ პოლიტიკას აქამდე ადგილი არა ჰქონია, ჩვენ ეჭვი გვებადება იმაშიც კი, რომ მოქმედების რაიმე საერთო ხაზი ყოფილიყოს შემუშავებული, წარმოებული აქამდე ჩვენი მთავრობის მიერ ამ მხარეში. განუწყვეტელი მერყეობა – ხან ერთ ხან მეორე ჯგუფზედ დაყრდნობა. იყო და არის დღესაც ფაქტები? ინებეთ:

საყოველთაო არჩევნების დროს აფხაზეთის ეროვნულ საბჭოში მმართველი ს. დ. პარტია იღებს უმრავლესობას არა ქართველთა ან აფხაზთა, არამედ სხვა ერების ხმებით. თუ რამდენათ სათუთა ასეთი „უმრავლესობა“, ეს ნათლად დაგვანახა ქ. სოხუმის უკანასკნელმა საქალაქო არჩევნებმა, როდესაც ს. დ. პარტიამ დაიკავა მესამე ადგილი (პირველი და მეორე ადგილი დაიჭირეს ერთვ-დემოკრატია და ბერძნების ედროენ. სიამ) და საერთოდ ყველა სოციალისტურმა პარტიამ გაიყვანა ნახევარზედ ნაკლები ხმოსანთა საერთო რიცხვისა (ეროების არჩევნებშიაც იგემეს უკვე დამარცხება ს. დ. მა მაგალითად კოდორის უბანში)“.

„საქართველო“, №118, 1919

სოჭი

იანვრის 30. „იანვრის 26 შესდგა დიდი მიტინგი რუსთა ეროვნულ საბჭოს სანინალმდეგო, რომლის დაარსებაც მემარჯვენე ელემენტებს და მონარქისტებს განუზრახავს. საბჭოს დამცველად გამოსულ ორატორებს გავლენა არ ქონდათ. მიტინგმა ერთხმად, ნინალმდეგ ოთხისა, მიიღო შემდეგი რეზოლუცია: 1) სოჭის ოლქის დემოკრატია, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მფარველობის ქვეშ იმყოფება და იცავს მას მოხალისეთა ჯარის დევნა-შევიწროვებისაგან. 2) სოჭის ოლქის დემოკრატია არამც თუ არ მიიღებს რუსთა ეროვნულ საბჭოს დაარსებაში მონაწილეობას, არამედ ენერგიულად პროტესტს აცხადებს ყოველგვარ ეროვნულ საბჭოების არსებობის წინააღმდეგ. 3) რუსთა ეროვნულ საბჭოს დაარსება, რაც ადგილობრივ

მემარჯვენე ნაციონალისტების თაოსნობით ხდება და რასაც წინ უძღვის ჩვენ მეგობარ ქართველ დემოკრატიაზე ცილისწამება – მიმართულია საერთოდ მთელი დემოკრატიის საზარალოთ და ეწინააღმდეგება მის ინტერესებს“.

„შრომა“, №24, 1919

აფხაზეთის ავტონომია

„აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგატებმა წერილობითი განცხადებებით მიმართეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს, სადაც გამოთქმულია სურვილი, რომ დამფუძნებელ კრების მომავალ სესიაში გარჩეულ იქნას შემდეგი საკითხები: 1) ავტონომიურ აფხაზეთის საქართველოს ნაწილად ცნობის შესახებ. 2) იმ საქმეებში, რომელიც ექვემდებარება აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს, ამ ორგანოს მოქმედება იყოს სავსებით დამოუკიდებელი და 3) ადგილობრივ აღმასრულებელ ძალად ჩაითვალოს ავტონომიურ 1) აფხაზეთის მთავრობა. ეს საკითხი გაირჩა საკონსტიტუციო კომისიაში, რომელმაც დაადგინა: დებულება რესპუბლიკის ნაწილების ავტონომიის შესახებ გამომდინარეობს სახელმწიფოს საზოგადო კონსტიტუციიდან. აფხაზეთის ავტონომიის შესახებ გამომდინარეობს სახელმწიფოს საზოგადო კონსტიტუციიდან. აფხაზეთის ავტონომიის მიღება ანუ ნაწილობრივი ცნობა ამა თუ იმ პრინციპებისა შეუძლებელია, სანამ არ არის მიღებული კონსტიტუცია მთლიანად, 2) სახალხო საბჭომ დელეგატების მიერ განცხადებაში დასმულ საკითხების შეტანა დამფუძნებელ კრებაში დაუშვებელია არსებულ პარლამენტარულ წესდების ძალით. 3)

ავტონომიის პრინციპი, მიღებული კონსტიტუციის პროექტში სავსებით უზრუნველყოფილია. 4) დებულება ავტონომიის შესახებ შეტანილი და გარჩეული იქნება დამფუძნებელი კრების მომავალ სესიაში“.

**„საქართველოს რესპუბლიკა:
მთავრობის მოამბე“, №204, 1920**

სოხუმის მუშებზე

ძალიან ცუდ პირობებში უხდებათ დღეს ცხოვრება არათუ მარტო პროლეტარიატის ფართე მასას, არამედ ყველა ფიზიკურად მშრომელბსაც კი. ეს, რასაკვირველია, გამონვეულია ჩვენი ეკონომიკური არეგ-დარევით ერთი, და მეორე – საერთაშორისო გარდამავალ ქარტეხილით, რომელიც კი მთელ მსოფლიოს ცეცხლად მოსდებია და კაცობრიობის მამოძრავებელ ბორბალს შორს უფსკრულში ისვრის.

ჩვენ არ გვიკვირს, რადგანაც ეს ისტორიული მოვლენა და მისი გარდამავალი ხანაა. მოვა დრო, ყველაფერი ეს ამოიწურება და ცხოვრება ისევ ისე თავის ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგება.

ეს კია სამწუხარო, რომ დღეს დღეობით მან თავის კომმარნი პროლეტარიატის ფართე მასას დაატეხა თავს და ცოტათი მაინც შეჰბორკა ის.

მსოფლიო ომამდე კი ის მწვავეთა გრძნობდა პოლიტიკურ საკითხს, ვიდრე დღეს, რადგან, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ეკონომიკურმა უღირსობამ მუშა იმ ჩიხამდის მიიყვანა, რომ მას წაართვა თავისუფალი შემეცნება პოლიტიკური იდეოლო-

გიისა და ერთ ლუკმა პურის ძებნაში იმდენად გართულდა, რომ მას აღარ სცალიან ამისთვის“.

„სიმართლის ხმა“, №1, 1921

დეპეშა

საქართველოს იურიდიულად ცნობა

აფხაზეთის კომისარიატმა 30 იანვარს, საღამოს 7 სთ-ზე, თბილისიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „გატყობინებთ, რომ 27 იანვარს უმაღლესმა საბჭომ იურიდიულად იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა“.

შინ. საქ. მინისტრი ნ. რამიშვილი

„სიმართლის ხმა“, №2, 1921

სოხუმი

„ახლოვდება დრო, როდესაც აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხმა უნდა გამოსთქვას თავისი სურვილი თუ ვისთან სურს მას შეკავშირება, როგორც ძირ-ვარამში, ისე სიტკბობა-ნეტარებაში. უეჭველი მშრომელი ხალხი ხელს მშრომელ ხალხს გაუწოდებს და მასთან შეკრავს კავშირს, მაგ-

რამ სავალალო და დამღუპველი ის იქნება, თუ საკითხის გადწყვეტა ნაციონალისტებს ჩაუვარდებათ ხელში, ისინი მოაშორებენ ერთი ნაციის მშრომელს მეორე ნაციისას და ამით დაქსაქსავენ იმ ძალებს, რომლის ერთობაშია სიძლიერე და მომავალი ბედნიერება მშრომელი ხალხისა. თუ დემოკრატია და მისმა ხელმძღვანელმა ინტერნაციონალურ პარტიებმა გაიმარჯვეს, მაშინ კი სრული იმედი არის, რომ აფხაზეთის დემოკრატია შეუკავშირდება საქართველოს დემოკრატია და ხელიხელ ჩაკიდებული შეუდგებიან საერო ცხოვრებას. თუ დამარცხდა დემოკრატია: დააშორებენ ორ ძმებს ერთმანეთს, დაიკარგება რუსეთის დიდი რევოლუციის მონაპოვარი თავისუფლება, დაიჩაგრება ისევ მშრომელი ხალხი და გაბატონდება ის პარაზიტი, რომელიც რევოლუციამდის განუკითხავად სწოვდა სისხლს მშრომელ ხალხს...”

„შრომა“, №50, 1919

საქართველოს პროფ. კავშირთა ყრილობა

„12 აპრილის საღამოს სხდომა.

სოხუმის წარმომადგენელი აცნობს ყრილობას ადგილობრივ მუშათა პროფესიონალურ საბჭოების მდგომარეობას. იქ 12 კავშირი არსებობს, მუშათა რიცხვი 2 ათასამდე არის, ცენტრალურ კავშირს აქვს გამართული სამკითხველო, კითხულობენ ლექციებს, არსებობს აგრეთვე საავადმყოფო კასები.

ბორჯომის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ადგილობრივ

მიზეზების გამო ვერ მოეწყო პროფესიონალური კავშირები და მხოლოდ მუშათა საბჭოს ირგვლივ მოიყარეს თავი მუშებმა, რომელიც იცავდა მათ ინტერესებს. მიღებულია ზომები, რომ დაარსდეს პროფესიონალური კავშირები. ბორჯომის წარმოებებში 1200 მუშაა: ეგრეთ წოდებული შავი მუშები 500-600 მან. სპეციალისტები 1000-1700 მან. სახეხ ქარხანაში „აკორდით“ მუშაობა შემოიღეს, რამაც წარმოება გააჩაღა და თუ წინათ ზემოხსენებული ქარხანა დიდათ ზარალობდა, ეხლა თავის ხარჯებს ფარავს და მისი ლიკვიდაციის კითხვა აღარა სდგება. დელეგატები შეკითხვას აძლევენ, თუ რათ დასთანხმდნენ აკორდით მუშაობას, რომელიც მუშათა კლასის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

მომხსენებელი უპასუხებს და აღნიშნავს, რომ სახეხ ქარხანაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მთლად უნდა დაკეტილიყო წარმოება. ამაში მუშებსაც მიუძღოდათ ბრალი, არ იყო შეგნება მათში და ამან გვაიძულა დავთანხმებულიყავით აკორდით მუშაობას. მუშაობა არის მხოლოდ 8 საათი და ზედმეტს არც ერთ წუთს არ მუშაობენ.

ტყიბულის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ტყიბულში წინათ არავითარი ორგანიზაციული მუშაობა არ სწარმოებდა და ეს იყო მიზეზი, რომ მოხდა გაფიცვა, რომელიც მუშათა კლასის სრული დამარცხებით დამთავრდა. ტყიბულში იყო ერთი პატარა ჯგუფი მუშებისა, რომელიც გაფიცვის დროს არ უჭერდა მხარს მათ და სწორეთ ამ ჯგუფის მეთაურობით ეხლა იქ დაიწყო ორგანიზაციული მუშაობა. ორი თვეა, რაც დაარსდა პროფესიონალური კავშირი, რომელშიც ყველა მუშები შედიან...”

„ერთობა“, №85, 1919

* * *

„სოჭის სომხები. „სომეხთა ეროვნულ საბჭომ მიიღო ცნობა, რომ სოჭის ოლქში უკანასკნელი ალელვების დროს ადგილობრივი სომეხი მცხოვრებლები გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის ჯარის წინააღმდეგ. გაარჩია რა შექმნილი მდგომარეობა, სომხის ეროვნულ საბჭომ დაადგინა: დაუყოვნებლივ დეპუტით აცნობონ სოჭის ნაციონალურ კომიტეტს, რომ უკანასკნელმა მიიღოს ზომები სომხის მცხოვრებთა დასამშვიდებლათ და ამავე დროს ეთხოვოს საქართველოს მთავრობას გაგზავნოს სოჭაში საგანგებო კომისია, რომლის შემადგენლობაში უნდა შევიდეს სომხეთის ნაციონალური საბჭოს ერთი წარმომადგენელი“.

„შრომა“, №31, 1919

სოჭის ამბების გარშემო

„თბილისში მყოფ ყველა უცხო სახელმწიფოების მისიათა უფროსებს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის ნოტა დაუგზავნა:

„თბილისში მიღებულ ოფიციალურ ცნობებით მოხალისეთა ჯარის სარდლები სოჭის ალების შემდეგ აპირებენ დახვრიტონ იქ მყოფი საქართველოს ყველა თანამდებობის პირი: სახელმწიფო ქონებათა გამგე და გლეხთა კავშირის თავჯდომარე ვასილიევი, შრომის კომისარი ინჟინერი ცვანგერი, პუბლიცისტი პეტროვი და სხვა. აღნიშნული პირნი ცნობილნი არიან მთელ რუსეთში თავისი წარსული მოღვაწეობით და ჩვენთან საპასუ-

ხისმგებლო თანამდებობანი ეჭირათ. ვაუწყებთ ამას თქვენ აღმატებულად, რათა მიიღოთ თქვენის მხრით შესაფერი ზომები მოხალისეთა ჯარის სარდლობის მიერ თავის მტრად მიჩნეულ პირთა ასეთ დასჯის ასაცილებლათ. საქართველოს მთავრობა გიცხადებთ, რომ თუ მოხალისეთა ჯარის სარდლობამ ასეთი შემადრწუნებელი საქმე ჩაიდინა, ან თუ რაიმე რეპრესიებს მიმართა მათი წარსული მოღვაწეობისა და ან საქართველოს რესპუბლიკისადმი სიმპატიისათვის, მაშინ საქართველოს მთავრობა სასტიკ ზომებს მიმართავს იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც საქართველოში სცხოვრობენ და რაიმე კავშირი აქვთ მოხალისეთა ჯართან“.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ინგლისის მისიის უფროსს შემდეგი შინაარსის ნოტა გაუგზავნა:

„თქვენი აღმატებულების მოხსენება, რომ საქართველოს მთავრობამ არა ერთხელ განაცხადა სოჭის ოლქის დაცლის სურვილი მხოლოდ იმ პირობით, რომ მომხდარიყო სადავო ზონის ნეიტრალიზაცია და იქ ინგლისის ჯარის ნაწილი დაბანაკებულიყო. საქართველოს მთავრობის აზრით საკითხის მხოლოდ ასეთ სახით გადაჭრას შეეძლო თავიდან აეცილებინა შეტაკება საქართველოსა და მოხალისეთა ჯარს შორის. მოხალისეთა ჯარის მზაკვრული თავდასხმა და საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყება ნათელყოფს ასეთ შეხედულების სისწორეს. ამ ფაქტიდან გამომდინარეობს ერთი ურყევი დასკვნა, რომ ასეთი თავდასხმების თავიდან აშორების მიზნით საქართველოს მთავრობა ვერ დაუშვებს, რომ საქართველოს მოსაზღვრე ნაწილი მოხალისეთა ჯარს ეჭიროს. ამის გამო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა წინადადებას იძლევა გაინმინდოს სოჭის ოლქი მოხალისეთა ჯარისგან და მოხდეს ნეიტრალიზაცია ინგლისის პიკეტების იქ შეყვანით, ვიდრე ამ სადავო ზონის საკითხი საბოლოოდ საზავო კონფერენციაზე გადაწყდებოდეს“.

„შრომა“, №32, 1919

თამბაქოს წარმოება აფხაზეთში

„აფხაზეთში თამბაქოს კულტურას პირველი ადგილი უჭირავს ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში. 1917 წლამდე მეთამბაქოეობას მისდევდა მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი. გუმისტის მაზრა აკვანია მეთამბაქოეობისა აფხაზეთში. ის იძლეოდა მთელი მოსავლის სამ მეოთხედს. უკანასკნელ ხანებში აფხაზეთში ნახევარ მილიონ ფუთზე მეტი თამბაქო მოყავდათ ყოველ წლიურად. მონოპოლიის გამოცხადების შემდეგ გამოირკვა, რომ აფხაზეთში, ქალაქებში და სოფლებში 930... ფუთი თამბაქოა დაგროვილი 1918 წლის მოსავალის ნარჩენი. 1918 წელს ნახევარ მილიონ ფუთის მაგივრად ასი ათასი ფუთი თამბაქო ძლივს დამუშავდა. მიზეზი შემდეგი იყო: როცა 1917 წელს რუსეთში ბოლშევიკები გაბატონდნენ, მოხდა მოსავლის საშუალებათა დეზორგანიზაცია და ჩვენი ქვეყანაც თავის ანაბარა დარჩა – აფხაზეთში სავალდებულოდ გამოცხადდა პური-სა და სიმინდის მოყვანა მათთვისაც, ვისაც თამბაქო მოყავდა, ვინაიდან რუსეთიდან პურის მიღების იმედი არ იყო. 1918 და 1919 წ. ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნენ მეთამბაქოეონი, რომ ფუთ თამბაქოს სიმინდზე ცვლიდნენ, რაც ნიშნავს ფუთ თამბაქოზე 20-ჯერ მაინც ფასის დაცემას...“

„ერთობა“, №31, 1920

ტყვარჩელის ქვანახშირის კონცესია

„მთავრობამ და დამფუძნებელ კრების საფინანსო კომისიამ უკვე მოინონა და ამ დღეებში დამფუძნებელ კრებაში განხილული იქნება ხელშეკრულება, დადებული ფინანსთა მინისტრის კ. კანდელაკის მიერ იტალიელ კაპიტალისტებთან.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ახლაც ამ აზრისა ვართ, რომ ჩვენი სიმდიდრეების ასამოძრავებლათ უნდა გამოვიყენოთ არა მარტო ადგილობრივ ძალთა ინიციატივა, არამედ, რამდენათ მოსახერხებელი იქნება, უნდა მოვიწვიოთ უცხოელთა კაპიტალი, ცოდნა და გამოცდილება.

ტყვარჩელის კონცესიის ხელშეკრულება დიდი ნაბიჯია ამ მხრივ. ნახშირი საფუძველია საზოგადოთ მრეწველობის განვითარების. თუ ინგლისში და გერმანიაში მრეწველობა ძლიერ განვითარებულია, ამას უმთავრესად უნდა უმაღლოდნენ ეს ქვეყნები არა მარტო ხალხის ენერჯიას, არამედ ბუნებასაც, რომელმაც ისინი უხვად დააჯილდოვა ნახშირით. რა იქნებოდა ინგლისი, რომ მას ქვა ნახშირის მალაროები არ ქონოდა? პანია, უმნიშვნელო კუნძულია, მეტი არაფერი“.

„ერთობა“, №12, 1921

ანანურის ოლქი

პროვინცია

სოფ. ყაზბეგი.

„3 აგვისტოს აქ შესდგა დიდი მიტინგი. ეს დღე ფრონტის დღეთ იყო გამოცხადებული, მაგრამ ზოგიერთი ტექნიკური მიზეზების გამო ის გადადებულ იქნა და ბევრმა ეს კი არ იცოდა, ამიტომ მოაწყდა ხალხი ეკლესიის გალავანს. ფედერალისტებიდან ილაპარაკა გრ. ლალიძემ.

...„ძირს“, „არ გვინდა!“ – „გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიას, გაუმარჯოს მესამე ნომერს, ძირს ფედერალისტებიო“!

დამსწრე პირებმა მოითხოვეს გრიგოლ ლალიძეზე შედგენილიყო ოქმი და პასუხისგებაში მიცემულიყო იმ ცილისწამებისთვის, რაც მან დაუშვა მიტინგზე მთავრობის მიმართ, სახელდობრ: „მთავრობამ შესჭამა მთელი საქართველო, ვერ შექმნა ვერც ჯარი, ვერც ადმინისტრაცია, მილიცია. მისი, – მთავრობის განკარგულებით, ქუთაისის გუბერნიაში ერთი ყაჩაღის გულისთვის გაამათრახეს 400 კაცი, გააუპატიურეს 10 ქალი და დახოცეს 40 ადამიანი. არაა მთავრობა ჩვენი ნდობის ღირსი, მას ნდობა არავინ

არ უნდა გამოუცხადოს!“ ყაზბეგი ეს მეორე სიმაგრე იყო ფედერალისტების, დუშეთის შემდეგ, რომელიც ამ დღეს დაეცა“.

„ერთობა“, №180, 1919

დარიალის საზღვართან

„დუშეთის მაზრიდან 3 აგვისტოს ტფილისში დაბრუნდა მოსაზღვრე რაზმის უფროს გენერალ ახმეტელთან დამფუძნებელ კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარე ა. ჩხენკელი. ჩხენკელმა დაათვალიერა დარიალის საზღვარი, გაეცნო იქ მყოფ ჯარის ნაწილებს და საბაჟოს მუშაობას.

ყაზბეგში მას დახვდა ადგილობრივი გარნიზონი და ახლომახლო სოფლების წარმომადგენლები თემის გამგეობის თაოსნობით. ყაზბეგიდან ჩხენკელი გაემგზავრა კობს და იქიდან თრუსოს ხეობას, სადაც ცხოვრობენ ოსები, რომელნიც ლოიალურათ ეპყრობიან რესპუბლიკას და ჯავის აჯანყებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. ფასანაურში დეკუტატს დაუხვდნენ შორეულ სოფლებიდან მოსული გლეხები და საზოგადო და სახელმწიფო დანესებულების წარმომადგენლები. დუშეთში ჩხენკელმა საქართველოს საგარეო და საშინაო პალატის შესახებ ლექცია წაიკითხა“.

*„საქართველოს რესპუბლიკა:
მთავრობის მოამბე“, №173, 1920*

ხევის დელეგაცია მთავრობასთან

„დელეგაცია შემდეგ პირთაგან მღვდელი ბართლომე, ღუდუშაური ანდრია, კოშაიძე, დათიკო ღუდუშაური და გიორგი ვარმუკაშვილი ხალხის მიერ იყვნენ ხევიდან მთავრობის თავმჯდომარესთან სათხოვნელად იმისთვის, რომ დამშეულს ხალხს საიდანმე მიეცეს სურსათი შიმშილობის თავიდან ასაცდენად. უსურსათობის გამო ხევიდან უკვე ხუთასი კომლი თერგის ოლქში გადასახლებულა და დანარჩენიც განიცდიან შიმშილს. დელეგატებმა მოახსენეს მთავრობას, რომ ხეველთა ემიგრანტობა სხვა და სხვა ალაგებში დღითიდღე მატულობს და შესაძლო არის, რომ ეს დიდმნიშვნელობიანი სტრატეგიული ალაგი სავსებით დაიცალოს და დარიალის სიმაგრეს ჩამოეცალოს უმთავრესი ძალა. მთავრობამ მოისმინა ყველა მოხსენება მოხევეთა დელეგატებისა, გაითვალისწინა ის აუტანელი მდგომარეობა მთის ხალხისა და აღუთქვა დელეგატებს დახმარება: თავის საფასით უნდა მიაშველონ დამშეულებს თვეში ორ-ორი ვაგონი სიმინდი და აგრეთვე სრულიად დაეთმოს ხეველთათვის სიმინდი, რაც უკვე თერგის ოლქიდან გამოტანილია ჯარისთვის. ხეველნი ასეთი დახმარებით ცოტათი თუ ბევრად კმაყოფილია. სასურველია, რომ მოხევემ, მთიულმა და გუდამაყრელმა მთავრობასთან იქონიონ ვინრო კავშირი სოფლის ნაწარმოების გაცვლა გამოცვლით; ესე იგი მთიელთ მატყლში, ყველში და ერბოში მიეცეს პური, სანოვაგე და ფართალი. მატყლის ფასი ისე დაცემული არის რომ ერთის ფუთის მატყლის ფასით, ერთს ფუთს ბზეს ანუ ნახშირს ვერ იყიდით. ყველას მოეხსენება, რომ მატყლსა და აბრეშუმს ერთი ფასი ჰქონდა

ბაზარზედ. მთაში სხვა მოსავალი არ მოდის და ცხვარზედ არის მთის ცხოვრება დამყარებული, თუ ეს ერთად ერთი სახსარიც მოესპო მთიელთ, მაშინ მათი არსებობაც საეჭვოა“.

„საქართველო“, №133, 1920

ხევი

„უკვე 23-24 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ცნობილი ბელეტრისტი ალექსანდრე მ. ყაზბეგი, რომლის საფლავზედ აღმართულია ძეგლი კონსტანტინე ივანეს ძე მუხრანსკის მიერ. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ძეგლს არავითარი წარწერა არა აქვს და არც ვინმე ზრუნავს ამის შესახებ, რათა ყველა ქართველისთვის ცხადი იყვეს, თუ ვინ განისვენებს ამ უზარმაზარი გამოქანდაკებული კლდის ქვეშ.“

სოფ. სტეფანწმინდის სამრევლო ეკლესიის გალავანში?

ვსთხოვთ ყველა ამ საქმეში დაინტერესებულ და სანდროს პირადად მცოდნელ პირთა გამოსთქვან თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ რა წარწერა შეეფერება ამ საპატიო ბელეტრისტის ძეგლს.

უცხოეთიდან საგანგებოდ თუ შემთხვევით ჩამოსული მგზავრები ინტერესით ათვალიერებენ ყველა ძეგლებს და ბევრი მათგანი ისე წასულა საქართველოდან, რომ უბრალო მომაკვდავის წარმოდგენაც კი არ მიგვიცია ამ დიდებული მწერლის შესახებ“.

„საქართველო“, №113, 1920

არტაანის ოლქი

არტაანი

„არტაანიდან სომხები იტყობინებიან: „ჩვენ ბათუმის ოლქის სომხები ვშიშობთ, არ განმეორდეს 1914 წლის ჟლეტა, ამისთვის გადავედით ახალქალაქში. არტაანში 11 დღით შეგვაჩერეს მძევლებად, ჩვენ მივმართეთ მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოს გასვლის ნება მიეცა, მაგრამ პასუხი არ გვადირსეს. გვშიან, გვწყურიან, ტიტვლები ვართ. ჭირიანობა გახშირდა, გთხოვთ მიიღოთ ზომები, რომ არ დავიღუპნოთ“.

„საქართველო“, №57, 1918

ახალციხის ოლქი

ახალციხის და ჯავახეთის ტრაგედია

„წელს სრული 90 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ოს-მალეთის მიერ აოხრებული ორი ქართული მაზრა ახალციხის და ახალქალაქის ისევ ჩვენს ქვეყანას შემოუერთდა. ერთი მათგანი – ახალციხის მაზრა დაგვიბრუნდა გადაგვარებული, სარწმუნოება შეცვლილი და ქართული ენაც კი მივიწყებული, ხოლო ჯავახეთი კიდევ უფრო სამწუხარო სურათს წარმოადგენდა, აქ რამოდენიმე ქართული სოფელი დარჩა, ხოლო ოს-მალთა შემოსევამ და ბატონობამ უმრავლესობა გლეხობისა აქედან გადახვეწა და გაანადგურა.

ამ 90 წლის განმავლობაში ბევრი რამე შეიცვალა. ჯავახეთი რუსეთის მთავრობამ არზრუმიდან გადმოხვენილ სომხებით დაასახლა, ხოლო ახალციხის მაზრაში მისი პოლიტიკა მიმართული იყო ქართველების გადაგვარებისკენ, მათ გამაჰმადიანებისკენ. და მიუხედავად ყველა ამისა, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში მაინც დარჩა 40 მდე ქართული სოფლები,

რომელთაც შეუნახავთ ენა, სარწმუნოება და რაც მთავარია ძველი მესხეთის და ჯავახეთის კულტურის გავლენა. დღემდე მონა და დაბეჩავებული, ჩვენგან სრულიად მივიწყებული და უპატრონოთ მიგდებული მესხნი და ჯავახელნი დღეს იღვიძებდენ, დღეს ერკვეოდენ საუკუნობის ძილისაგან და ამ დიდ ბრძოლაში პირველებმა მიიტანეს მსხვერპლათ სამშობლოს დაცვისთვის თავისი უკანასკნელი სოფლები, კარ-მიდამოები, უსუსური ბავშვები და ყველა ის, რაც შეადგენდა გლეხის ბედნიერებას და სიხარულს.

და ამ დროს მოგვწყდა ეს ორი მაზრა. 90 წლის შემდეგ ეს ხალხი ჩაუვარდა ხელში იმ ჯალათებს, ვინც ახალციხე და ჯავახეთი ნანგრევებთ აქცია, ვინც ძირი გამოუთხარა მათ კულტურას, ვინც გადააგვარა მათი ძმები და სისხლით მორწყო მშვენიერი ქვეყნის მიდამოები...”

ლ. რ.

„ერთობა“, №114, 1918

პროვინცია, განახლებულ მესხეთში

„ძველი მესხეთი, ეს საქართველოს ძველი კულტურის აკვანი, იღვიძებს, საღათას ძილიდან ერკვევა და კულტურულ მუშაობაში ებმება. ვინ არ იცის თუ როგორ ჩამორჩენილია დღევანდელი მესხეთ-ჯავახეთის მხარე. ბუნებით მშვენიერი, მდიდარი განძეულობით, შვების მომგვრელი მხარე, ნანგრევებს წარმოადგენს დღეს. ნიჭიერი, ზრდილობიანი ხალხი, მოკლებული სწავლა-განათლებას უვიცობისა და სი-

ლატაკის მორევში იხრჩვება. არავინ იყო მზრუნველი, რომ მშობლიურის მზრუნველობით ეზრუნა მესხეთისათვის. ზოგიერთი თურქოფილები, იმის მაგივრათ, რომ ხალხს დახმარებოდნენ ჭირ-ვარამში, სამარეს უთხრიდნენ მათ და დღესაც ბევრია ასეთი ვაჟბატონები. მაგრამ დღეს უკვე ხალხი ერკვევა და მტერ-მოყვარესაც არჩევს. ამას ნათლად ამტკიცებს დღევანდელი კულტურული მუშაობა მესხეთის სხვადასხვა სოფლებში. ს. ანყურის გლეხობამ უკვე დაიწყო სკოლის, სამკითხველოს და კოოპერატივის საქმის მოგვარება. 4 ოქტომბერს შესდგა ამ სოფლის გლეხთა ყრილობა ექიმ გრ. ანტ. კეკელიას ინიციატივით. ძლიერ დახმარებას უწევს საზოგადო საქმეების მოგვარებას აგრეთვე ადგილობრივ ფოსტის უფროსი ზედგენიძე და მოხელე ფოსტის მ. ლომსაძე, რაიონის კომისარი ა. შუტოვრი. ამავე ყრილობამ აირჩია 9 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც მოაგვარებს ამ კითხვებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამას წინათ ვილაც პირებმა ჯამაათის სახელით კომისარს წარუდგინეს ჩვენება, სადაც ის აზრი იყო გატარებული, რომ სოფელს არ შეუძლია სკოლის შეკეთება, რადგან ამის შეძლება არ არისო, მაგრამ ამის სრული წინააღმდეგი დაგვიმტკიცა კრებამ. ეს პირები საფლავს უთხრიან ჯამაათის კეთილ დღეობას. ასეთივე მოძრაობაა სხვა სოფლებშიაც: ტყემალა, ზაკირე, აგარა, კოპაძე და სხვაგან. ექიმ გ. კეკელიას თხოვეს ამ სოფლებიდან, რათა მან ხელი შეუწყოს მათ სოფლის კულტურულ საქმეების მოგვარებაში და ექიმიც სიამოვნებით მოღვაწეობს – ძველის მესხეთის ასაღორძინებლად. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხარეში ძლიერ საჭიროა გამოცდილი და ენერგიული მუშაკები, რადგან მეტად ჩამორჩენილია მხარე. 5 ოქტომბერს კრება ქონდა ყრილობისგან არჩეულ კომისიას. კომისია შეუდგა მუშაობას, სოფლებში გამართავენ ყრილობებს, და ამ რიგად კვლად აღორძინების გზას დაადგება ძველი მესხეთი. სოფლები უკვე იწმინდება. ათასი სნეულება ჩნდებოდა სიბინძურისაგან.

ანყურში ექიმ კეკელიამ, მამედ ალიბეგ მუხრანსკის, შუტოვის და ზედგენიძეს დახმარებით უკვე გასწმინდეს სოფელი. ასეთივე წინადადებით მიმართეს სხვა სოფლებსაც.

კოოპერატივის საქმე ძლიერ უნუგეშოდაა. იმედია კომისია ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს კოოპერატივების საქმეს. სამკითხველოს ამ მოკლე ხანში გახსნიან, რაც ძლიერ სასარგებლო იქნება ხალხისთვის, რადგან პროვოკაციას დაეკარგება თავისი გასავალი. მხოლოდ მატერიალური ხელმოკლეობა ძლიერ უშლის ხელს კომისიას სამკითხველოს საქმის მოგვარებაში.

ყველა ქართველი მოვალეა თავისი წვლილი გაიღოს და დახმარება აღმოუჩინოს ძველს განახლებულს მესხეთს. წიგნებით, გაზეთებით, ფულით და სხვა. იმედია ქართველი საზოგადოება ზურგს გაუმაგრებს იმ პირებს, რომელნიც დღეს დაუღალავათ იღწვიან მესხეთის ასალორძინებლად“.

„მირკო“
„ერთობა“, №266, 1919

თეატრი და ხელოვნება

წალვერის თეატრი

„ორშაბათს, აგვისტოს 9, წალვერში ლადო მაჭავარიანმა გამართა „სეირნობა-სალამო“. მე პირველად გამაკვირვა ამ სათაურმა, ვინაიდან წალვერში კერძო პირის მიერ სეირნობის გამართვა შანტაჟსა ჰგავს. ამას ზედ დაუმატეთ ლოტოს თამაში, ბუფეტიდან პროცენტების აღება და დარწმუნდებით, რომ

მართლაც ასეთი საღამო ზემოხსენებულ ხასიათს იღებს.

თუმცა საზოგადოებამაც სამაგიერო გადაუხადა თეატრში, სადაც სამნახევარი კაცი დაესწროო, სიტყვა წარმოსთქვა თვით მაჭავარიანმა, რომელშიაც აღნიშნა, რომ პოეტი ეროვნული უნდა იყოს, და გრიშაშვილი, რომელიც დღეს პირველ პოეტად ითვლება, მე პოეტად არ მიმაჩნიაო.

ხალხი პირდაპირ განცვიფრებაში იყო, ამ თავის სიტყვებს გრიშაშვილის მიმართ ისეთის გაბრაზებით ამბობდა, რომ მე დავრწმუნდი იმ სიმართლეში, რომელიც უკვე ცნობილია: რომ გრიშაშვილი ჯერ კიდევ ვერ მოუწიებიათ მის მტრებს.

საჭიროა მეტი სიფრთხილე! ან რას აკეთებს თეატრის გამგე, რომ უპასუხისმგებლო პირებს საღამო-სეირნობას ადგმევინებს, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ხელოვნებასთან“.

დამსწრე.

„სახალხო საქმე, №898, 1920

ახალციხის მაზრის გლეხთა ყრილობის მოწოდება

ახალციხე, 3 იანვარი.

„2 იანვარს ახალციხის მაზრის გლეხთა ყრილობამ, რომელსაც დაესწრო 100 მუსულმანი ქართველი გლეხი, მოისმინა რა მოხსენებები სამუსულმანო საქართველოს განთავისუფლების შესახებ. ერთი მხრით მუსულმან ქართველების ყადირ შერვა-

შიძის და ჰაიდარ აბაშიძისა და მეორე მხრით ქრისტიან ქართველების / ერთხმად დაადგინა მიმართოს აჭარა-ქობულეთის, არტაანის და შავშეთის მუსულმან ქართველობას შემდეგი მონოდებით:

„ძმებო, მუსულმანო ქართველებო, სამუსულმანო და საქრისტიანო საქართველო განუყოფელი ნაწილებია იმ სხეულისა, რომელსაც ეწოდება მთლიანი საქართველო. ორ ძმათა შორის ხიდი და ეკონომიურათ, კულტურულათ და გეოგრაფიულათ ერთი მთლიანი სხეული, ხელოვნურად დაყვეს ორ ნაწილათ...

ჩვენ, ახალციხის მაზრის ქართველი მუსულმანების და ქრისტიან გლეხთა ყრილობა, მოგმართავთ თქვენ, ძმებო აჭარა-ქობულეთლებო და არტაანელებო, გამოგვიწოდეთ ძმური ხელი, ნუ აყოვნებთ და მოიხსენით მონობის უღელი, მოდით ჩვენს ოჯახში. თქვენ მშობელ საქართველოში, აჭარის მთების შვილებო, არტაანის ყიბულებში ნაწრთობო ქართველო მუსულმანებო, დაე თქვენი ხმა მიწვდეს მთელ ქვეყანას, გაიგონ მტრებმაც და მოყვრებმაც, რომ სამუსულმანო დ საქრისტიანო საქართველო ერთია, ის განუყოფელი ნაწილია ერთი სხეულის, შვილია ერთი დედის საქართველოსი...“

„შრომა“, №5, 1919

ახალციხის მაზრაში

„დ. უდეში, 16 ენკენისთვის, მობრძანდა რომის პაპის წარმომადგენელი 6 დელეგატის თანხლებით. ხსენებულ წარმომადგენელს ბენარის მახლობლათ შეხვდა ადგილობრივი გვარდიის უფროსი 40 გვარდიელების თანხლებით და სოფლის

წარმომადგენლები. 16 ს. 35 წთ წარმომადგენელი მობრძანდა დ. უდეში და მას შეეგება ადგილობრივი ეკლესიის მღვდელი თომა იგიოთხანოვი და გააცნო მობრძანებულ სტუმრებს წმ. ეკლესიის საქმეები და ეკლესიის გაძარცვაც აუწყეს, რაზეც რომის პაპის წარმომადგენელი დაპირდა საზოგადოებას, რომ იტალიაში ჩასვლისთანავე მოახსენებს პაპს. სულ 3 წუთის განმავლობაში გაიჭედა ადგილობრივი მცხოვრებლებით ეკლესია და ეკლესიის გალავანი. 17 ს. 25 წთ. ადგილობრივი სოფლის წარმომადგენლებმა მიიწვიეს სადილათ დელეგატები. სადილად დაესწრენ რომის პაპის წარმომადგენელნი 6 დელეგატის თანხლებით და ადგილობრივი სოფლის წარმომადგენელნი ივანე მერაბაშვილი, რომელიც ესაუბრებოდა წარმომადგენელს ფრანგულ ენაზე, პეტრე მერაბაშვილი, სტეფან გზირიშვილი, სიმონ ბალახაშვილი, გვარდიის უფროსი პ. რუხაძე, უდის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულების უფროსი ვლ. ყანჩაველი, მღ. თომა იგათხანოვი. სადილის დასრულების შემდეგ მადლობა განუცხადა წარმომადგენლებმა ყველა დამსწრე პირებს და ადგილობრივი გვარდიელის თანხლებით წარმომადგენელი გაემგზავრა სოფელ არალში. (უდიდან არალამდე 3 ვერსია). ყველა დამსწრენი დარჩნენ დიდი მადლიერი ადგილობრივი გვარდიის ყოფაქცევაზე და ზრდილობაზე“.

* * *

„დ. უდის მცხოვრებლები განიცდიან დიდ გაჭირვებას, რადგან მოხსენებულ უდეში ექიმი, ფერშალი და არც აფთიაქი არ არსებობს“.

გასაკვირველია, რომ ს. რაბათში (ადიგენის მახლობლად), სადაც ოთხი მოხალისე არის აგრეთვე, როდესაც მოხსენებულ რაბათი მდებარეობს გადაკიდებზე, იქ არის ექიმიც, ფერშალიც და საავადმყოფოს ნიგნებით დარწმუნდებით, რომ რაც წამლები არის დახარჯული, სულ უდის მცხოვრებლებიდან.

ხშირად ისმის საუბარი დ. უდეში: „როდის მოვესწრებით, აქ იქნეს დანიშნული ექიმი“. ვსთხოვთ სადაც ჯერ არს დაჩქარებით ექიმების დანიშვნას სოფელ უდესთვის.

ხსენებულ სოფელში 500 კომლი მაცხოვრებელია, აგრეთვე ეს პატარა უდე შეადგენს ცენტრს და მდებარეობს შუა ადგილას ქობალიანის რაიონში.

აგრეთვე დაბა უდეში – როგორც ცენტრი ქობალიანის რაიონის, ბ. ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა კეთილ ინება და დააარსა ფოსტა-ტელეგრაფის დანესებულება“.

„საქართველოს რესპუბლიკა“, №222, 1919

ქ. ახალციხიდან რაბათის სამკითხველო

„ახალციხის ძველი ნაწილის „რაბათის“ ქართული სამკითხველო, დღიდან მისი დაარსებისა (1895 წ. მარიამობის თვისა), ჭაპანწყვეტით ეწევა მძიმე უღელს.

აქაური მცხოვრებნი, ისედაც დაჩაგრულნი, უკიდურეს სიღარიბეში ჩაცვივდნენ ოსმალებისა და სერვერბეგის ბანდების შემოსევის დროს. ახლო მომავალშიც არ არის იმედი, რომ წელში გაიმართონ.

უგზო-უკვლოობამ და უწყლოობამ ხელი შეუწყო რაბათის მცხოვრებთაგან დაცარიელებას და ვაჭრობის გაჩანაგებას. პროექტი „ენტელის“ წყლის გამოყვანისა, უკვე დადასტურებული დამფუძნებელ კრებისაგან, ცოტაოდენ მაღამოს დასდებს,

თუ კი დროით განხორციელდა.

ამისთანა მდგომარეობაში განსაკუთრებით ძნელია სამკითხველოს გაძლოლა, ეკონომიკურ და ინტელიგენტურ ძალების ნაკლებობის გამო. რაბათის მცირერიცხოვანი ინტელიგენცია ჯერ კიდევ არ არის მჭიდროთ შეკავშირებული, ლუკმა-პურის შოვნისათვის წელზე ფეხს იდგამს და სხვა ველარაფრისთვის მოუცლია. ამის თვალსაჩინოთ დამამტკიცებლათ ისიც კმარა, რომ სამკითხველოს წლიურ კრებისთვის ბარე ათჯერ დაიგზავნა უწყება და ერთხელაც ვერ ისეთ შექებულ ინტელიგენციის შეთვალერებას.

რა საკვირველია, ამისთანა ატმოსფეროში სამკითხველო ვერ იქნება სათანადო დონეზე დაყენებული, და რომ არ ყოფილიყო წინეებზე როზალია ალელიშვილისა, და ეხლა ანწერა ემიშვილის მაცადინეობა, სამკითხველო კიდევ დაიკეტებოდა. ამათი თაოსნობით იდგმება ხოლმე წარმოდგენები, რაც შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ გარდა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა, ჩამოსულებიც სიამოვნებით ღებულობენ მონაწილეობას, მაგალითათ: მიმდინარე წლის 27 ივლისს, მაიორ სტეფანე იაკობის ძე კურაშვილის ინიციატივით მერვე ათასწლეულის სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ყაზბეგის „ყჩაღი არსენა“, რომლიდგანაც წმინდა შემოსავალი 4727 მან. მაღლობის ღირსნი არიან საქართველოს მეომარნი, რომელნიც თავ თავის დროზე ბრძოლის ასპარეზსაც ამშვენებდნენ და სათეატრო სცენასაც“.

„ნაციონალისტი“, №6, 1920

ქართველ კათოლიკეთა კონფერენცია

„დიდი ხანია, რაც მესხეთ-ჯავახეთის ქართველ კათოლიკობა ცდილობდა თავი დაეღწია სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელთა გავლენიდან, სამუდამოთ მოშორებოდა აღმოსავლეთ ტიბიკონს; ბევრჯერ აღიძრა ამის შესახებ შუამდგომლობა, მაგრამ ამაოდ, დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ ვეღივრეთ.

ბოლოს, შარშან ზაფხულში, რომიდან გამოგზავნილი იქნა საგანგებოთ დანიშნული ვიზიტორი მამა დელფუშე, საქმის ვითარების გამოსარკვევათ. მაგრამ მას, მოსვლისავე, ეტყობოდა სომეხ კათოლიკეთა ვიზიტატორ – ტერაბრამიანცის გავლენა.

მაგრამ, როცა დელფუშემ დაიარა ახალციხის მაზრა, ქუთაისი და ბათუმი, მაშინ თავისი აზრი შესცვალა და წინადადება მისცა აქაურ კათოლიკობას, რომ მოეწვიათ კონფერენცია, რომლის დადგენილების თანახმად ვიშუამდგომლებ რომის პაპის წინაშეო. ეს ქართულ კათოლიკეების ბედის გადამწყვეტი კონფერენცია შესდგა ამ წლის აპრილის 7-ს ტფილისში, ქართველ კათოლიკეთა აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით. კონფერენციაზე გამოცხადდნენ მესხეთ-ჯავახეთის, ქუთაისის, ტფილისის და სხვა დელეგატები.

კონფერენცია გაიხსნა ბ. ქარცივაძის თანდასწრებით და მამა ვიზიტატორ დონ მიხელის თავჯდომარეობით. მალე კამათის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა რომის ტახტის წინაშე, რათა მესხეთ-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა ერი გადმოყვანილ იქმნენ ლათინის ტიბიკონზე, ე.ი წესზე და ლოცვა, გალობა და სხვა საეკლესიო წესის აღსრულება (წირვის გარდა) იქმნას ქართულ ენაზე.

სამწუხაროთ, უნდა აღინიშნოს, რომ მესხეთ-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეები, როგორც ქართველ მაჰმადიანები,

კულტურულად ძალიან ჩამორჩენილნი არიან, უპატრონოთ იყვნენ მიტოვებულნი, მათთვის არავინ ზრუნავდა. სომხეთის სამღვდელოება კი ცდილობდა სიბნელეში ყოფილიყო ქართველი კათოლიკენი, რომ მათი გავლენა მუდამ შეურყეველი ყოფილიყო, ქართულ ენაზე ლაპარაკსაც კი გვიკრძალავდნენ. ახლა მდგომარეობა შეიცვალა, საქართველო აღსდგა და ჩვენ იმედი გვაქვს საქართველოს სახელოვანი მთავრობა შეეცდება ჩვენ შორის სწავლა-განათლების გავრცელებას. განვითარებული უფრო ადვილათ შევძლებთ კლერიკალთა წინააღმდეგ ბრძოლას“.

ს. ბავრელი
„ნაციონალისტი“, №6, 1920

ბათუმის ოლქი

პროვინციის ცხოვრება

„ძალიან საინტერესო მიმონერები მიმდინარეობდა მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის. ორივე მხარე ცდილობდა, რომ მშვიდობა დამყარებულიყო: მაჰმადიანი ქართველები თავის მხრივ ქართველებს იცავენ და ინტეგრირებას ცდილობენ, ხოლო ქართველი ქრისტიანები, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, ჰპირდებიან, რომ მთავრობა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთ, ყველას თანაბრად დაიცავს“.

„საქართველო“, №118, 1918

ვიბრძოლოთ სიკვდილამდე! კუძღვნი მემედ ბეგს

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის დაარსების გამო

„მას შემდეგ, რაც ჩვენდა სამნუხაროდ და სამარცხვინოდ ბათომი დაკვარგეთ, ვერც ერთი ნამდვილი ქართველის სული ვერ მოისვენებს მანამდე, სანამ ეს უმშვენიერესი მხარე ჩვენი ქვეყნისა ისევ საქართველოს არ შემოუერთდება. უსინდისო პროვოკატორებმა მოსწამლეს პოლიტიკურად შეუგნებელი ხალხის არსება და ძმის სანინაღმდეგოდ ხელი ააღებინეს. თავისი პირადი კეთილდღეობისათვის მზრუნავმა ზოგიერთმა ბეგმა და მათმა ყურ-მოჭრილმა მომხრეებმა ხალხი კლდეში გადასჩეხეს და სასიკვდილოდ არ დაინდვეს. დღეს ყოველი ქართველი მუსულმანი კარგად გრძნობს, თუ რა უქნეს მას ამ წინამძღოლებმა, თუ როგორ ხიფათში ჩააგდეს იგი და რა მოელის მომავალში.

და ამიტომ ბუნებრივი იყო და არის ის საპროტესტო ხმა, რომელიც თურქების შემოსვლის პირველ დღეებშივე გაისმა აჭარის მთებში და რომელიც დღითიდღე იზრდება. მართლაც და ჩვენ რა გვაქვს საერთო ოსმალეთთან გარდა სჯულისა? თითქმის არაფერი და თუ კიდევ რამ გვაქვს, ისიც დახავსებული და უკუსაგდება. ოსმალეთის უკულტუროსა და ლატაკ ხალხს რა შეუძლია რომ შეჰმატოს ჩვენ მხარეს გარდა გაჭირვებისა და უბედურებისა.

ბათომი ოსმალეთს არ ეკუთვნის და არც უნდა ეკუთვნოდეს. მის სახსენებლად მოსალოდნელია ჩვენ მოგვიხდეს ბრძოლა, ბრძოლა სასტიკი და საშინელი, მაგრამ ამან ვერ უნდა დაგვაფრთხოს.

ჩვენ არ შეგვიძლია მთელი ჩვენი არსებით ხელი არ შეუწ-

ყოთ იმ ახალ ორგანიზაციას, რომელსაც სამუსულმანო საქართველოს განთავისუფლება მიზნად დაუსახავს. რომ ჩვენ მხარეს მოლაღატეებთან ერთად გმირების წარმოშობაც შეუძლიათ, ეს ნათლად დაამტკიცა მემედ ბეგისა და სხვების მაგალითმა, მაგრამ ეს არ კმარა. სულ მალე მთელი ხალხის გმირული ბრძოლით დავამტკიცებთ ჩვენს შეგნებასა და სიყვარულს.

ჩვენ ვერ შეგვაშინებს ოსმალეთის მათრახი და ტყვია, სანამ საქართველოს თანაგრძნობა ჩვენსკენ გვეგულება. გადასახლებითა და სიკვდილით დასჯით ხალხის სულიერი მიდრეკილების მოსპობა არ შეიძლება, და თუ გნებავთ ამას ამტკიცებს რუსეთის რევოლუციაც“.

„სახალხო საქმე“, №358, 1918

პოლიტიკური და სოციალური აზროვნება სამაჰმადიანო საქართველოში

„როგორ მდგომარეობაში არის სამაჰმადიანო საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური აზროვნება, აქვს თუ არა ხალხს შეგნებული თავისი კლასიკური ინტერესები, რომ დაიცვას მოპოვებული თავისუფლება და ამის გამო თავისუფლების მოტრფიალეთ და განმამტკიცებელთ ამოუდგებიან თუ არა გვერდში?“

სამაჰმადიანო საქართველოს მდგომარეობას რომ კარგათ ჩაუკვირდე – გაიგებთ, რომ პოლიტიკურ-სოციალური მოძრაობა ამ ჟამათ ძლიერ სუსტია, კლასობრივი ბრძოლა იქ

მწვავე სახეს არ იღებს, მართალია ბეგთა ბატონობა „ფუხარა“ ხალხს მძიმე ტვირთად აწევს, მაგრამ მისი მოშორებაზე ფიქრი მას ოცნებაში თუ გაუვლია, თორემ აშკარად წინააღმდეგ არ გამოსულა და არც მოსვლია ეგ ფიქრათ. ამ მშრომელისთვის ამ ჟამად იქ ნიადაგი სრულიათაც არ არის მომზადებული, დღემდე არც არავინ ცდილა ნიადაგის მომზადებისთვის. ჩვენი პოლიტიკურ პარტიების პროპაგანდა-აგიტაცია სამაჰმადიანო საქართველოში კლასობრივ ნიადაგზე არ ყოფილა განეული, ნაციონალ-დემოკრატიან ხანგრძლივ მუშაობას რევოლუციის ხანაში, რომელთა მსოფლმხედველობის გავრცელება ხალხში განმტკიცება იქნებოდა არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობების. სხვები კი სამაჰმადიანო საქართველოში კლასობრივ ინტერესების გასარკვევად ნაკლებათ მოქმედებენ. რაც შეეხება თვით მაჰმადიანებს, სხვა კუთხის ქართველებზე უფრო დაბლა დგანან კულტურულათ, ცხოვრობენ კარ ჩაკეტილათ, საზრდოობენ სკოლის სიმდიდრით და ადგილობრივ, მუშაობით შექმნილი საქონლით. ვაჭრობა-მრეწველობას არ მისდევენ. პირიქით, ერცხვინებათ, ქალაქთან არ აქვთ მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული კავშირი, ეს პირობები კი როგორც ვიცით დიდად საჭიროა კლასიკურ შეგნებისთვის. რაც შეეხება ადგილობრივ პირობებს, მართალია ბევრს მინა საკმაოთ არა აქვს, რომლითაც მას შეეძლოს მეურნეობის აყვავება, მაგრამ ამაზე არც იმტრევს თავს სრულიათ, კმაყოფილდება იმით, რაც აქვთ. არის სივინროვე იარაღების, რომელიც ბეგების ხელშია, დიდი სიამოვნებით დაეპატრონებოდა ყოველი მათგანი ამას, მაგრამ არა აქვს შეგნებული ბრძოლის საშვალეებს და, როგორც ვსთქვით, გაჩუმებულნი არიანო. თუ რომელიმე ქართველი მაჰმადიანი დაახლოვებია ქალაქს, უმთავრესათ ბათომს, მისი სიმშვენიერე გაუგია, მისი ფუფუნებით ცხოვრების სუნი სცემია, ის მაშინვე მოკალათებულია აქ და მოუკიდია სხვა და სხვა საქმისთვის ხელი. ესენი რა თქმა უნდა ეცნობიან პოლიტიკურ ცხოვრებას, ერკვევიან სოციალურ-პოლიტიკურ

სფეროში, ვერ ენევიან ამდენ ხანს მომწყვედეულ ჩარჩოებში და ამის გამო ენერებიან ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიებში, სადაც თავისი შესაფერი წვლილი შეაქვთ. მაგრამ ეს პირები რჩებიან ქალაქში. თუ რომელიმე სოფელში დაბრუნდა, მართალია იმავე აზროვნებაზე რჩება უმთავრესათ, მაგრამ აქტიურათ ვერ მუშაობს, რადგან იმდენი მომზადებაც არა აქვს და, როგორც ვთქვით, პირობებიც არ უწყობს ხელს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს პირები ითქვიფებიან კიდეც ხალხში და ივინყებს თავის პოლიტიკურ მსოფლ-მხედველობას.

გათვითცნობიერებული პირები ერთეულებით განისაზღვრება სამაჰმადიანო საქართველოში. ამრიგათ, მასიურ მოძრაობას ამ ჟამათ იქ ადგილი არა აქვს, რაც ბეგების ბატონობას ერთი ორათ აძლიერებს.

სამაჰმადიანო საქართველომ პოლიტიკურ სფეროში იცის მხოლოდ ეროვნული მოძრაობა. ეგ საკითხი აქ სათანადო მდგომარეობაში ვერ არის ჩაყენებული და მოძრაობას მახინჯი სახე აქვს მიღებული: ეროვნული და რელიგიური საკითხი ერთმანეთშია დომხალივით არეული, პოლიტიკურ სფეროში მხოლოდ ამ ნიადაგზე ტრიალებს მათი აზროვნება.

ასეა დაყენებული დღეს პოლიტიკური და სოციალური აზროვნება, რაც ჩვენის აზრით, რევოლუციისთვის ხელსაყრელ პირობებში ვერ არის და რევოლუცია გაღრმავების თვალსაზრისით რომ შეეხედოთ, ხალხს რევოლუციონერთა გვერდით ამოდგომა არ შეუძლია და დაცვა მოპოვებული უფლებებისა არ ძალუძს, ამ პირობების მიხედვით ის გვერდში კი ვერ ამოუდგება მეზრძოლ დემოკრატიას და ვერ გააერთიანებს რევოლუციურ ფრონტს. ეს მოვლენა კი ქართველ ქრისტიანთა გავლენას სამაჰმადიანო საქართველოში ძლიერ ასუსტებს, რისი მაგალითებიც ჩვენს თვალ წინ უკვე გადაშლილია, თუ სინამდვილის წინაშე თვალს არ დავიბრმავებთ და ყურს არ მოვიყრუებთ.

ბეგებზე არას ვიტყვი, მათი პოლიტიკური და სოციალური

აზროვნება ყოველთვის ამკარაა. ინტელიგენციის ერთი ნაწილი გაფანტულია არსებულ პოლიტიკურ პარტიებში და მათთან ხელიხელჩაკიდებული მუშაობენ, რამდენიც ძალუძთ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბათომში შეიკრიბა ჯგუფი ინტელიგენციისა, რომელთაც აირჩიეს თავის საკუთარი კომიტეტი, ამათ გარს შემოიკრიბნენ მცირე რიცხოვანი ხალხი და მოქმედებენ პოლიტიკურ ნიადაგზე. ამ ნიადაგზე ამ პოლიტიკურ ჯგუფში თავ-მოყრილი არიან ყველა მიმართულების მაჰმადიანი ქართველები და უმთავრეს მიზნად აქვთ სამაჰმადიანო საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზმად ჩამოყალიბება, მხოლოდ და მხოლოდ ამ საკითხით არიან დაინტერესებული. ამ ინტერ-პარტიულ ჯგუფის მოღვაწეობა მხოლოდ ბათომით განისაზღვრება, ფართე მასამ მისი არსებობა არც კი იცის, ასე რომ, მის აზრს ვერ გაიზიარებს, რა გინდ კეთილშობილური იყოს იგი.

რა პოლიტიკური კრედოსი არიან ხოჯები და საერთოდ სულიერი მამები, რა თქმა უნდა ყოველი შემთხვევაში არის დემოკრატიულის და მით უმეტეს სოციალისტურის, ისინი იერამიასებურის იერემიასებური გოდებით დასტირიან რელიგიას, რომლის გავლენის შესუსტება მათ ბატონობას ფრთებს შეაკვეცს და საფლავს გაუთხრის.

„ხალხის მეგობარი“, №164, 1918

პროვინცია

ბატუმი ჩვენია. ბატუმი უდაო საკითხია ჩვენთვის, – დღეს თუ ხვალ ამას ჩვენ შემოგვიერთებენო, – გაიძახიან იქ საქართველოს სარესპუბლიკოში ყოველ ფეხის ნაბიჯზე დიდი თუ პატარა, სოფლელი თუ ქალაქელი. დიდ ყურადღებას აქცევს ამას მთავრობაც. ეს ასეა აქ. აქ კი, ბათუმში, რას აკეთებს აქაური ქართველი საზოგადოება? აკეთებს რასმეს? უნდა გამოტეხილი ითქვას, რომ თითქმის არაფერს, გარდა იმ რამდენიმე ძველი ამხანაგებისა, რომელთაც თავი მოუყრიათ ეროვნულ საბჭოს გარშემო. ინტელიგენცია საშინელ პასივობას იჩენს. მოდუნებული, პირდაპირ მივიწყებულია კულტურული თუ სხვაგვარი მუშაობა.

ეხლახან აღსდგა ძველი დრამატული წრე, რომელმაც ორი წარმოდგენა დასდგა, ამზადებს ახლო მომავლისათვის პიესას „ნომერ ოცდა ერთი ჯვრით“, მოლაპარაკებას მართავს რეჟისორებთან და სხვ. მაგრამ რა? შეხვდა ამას ქართველი აქაური საზოგადოება თანაგრძნობით? პირველ წარმოდგენას დაესწრო ასიოდე კაცი და მეორეზედ ამდენიც კი არა.

წრეს, რომელმაც ასეთი ინტენსივობა გამოიჩინა 1915 წლიდან ბათუმის სცენაზე, მეტი თანაგრძნობით უნდა შეხვდნენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ უანგარო სცენის მუშაკთ ეს მუშაობაზე გულს ვერ აუცრუებს და ძველებურათ მეტის ენერგიით განაგრძობენ დანელებულ საქმეს. ამასთანავე მინდა განვაცხადო, რომ ამ წრეს არავითარი კავშირი არა აქვს იმ ჯგუფთან, რომელმაც ბათუმის სცენის მოყვარეთა სახელით საქართველოს სხვადასხვა ქალაქები და სოფლები შემოიარა და წარმოდგენები გამართა.

რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა 98 პროცენტს ქართველები შეადგენენ, მათ მეტი მოეთხოვებათ, როგორც საქარ-

თველოს დემოკრატიის ავანგარდს, მაგრამ მათში გამეფებული კინკლაობა, საშინელი ინტრიგა და სხვ. ისეთ მომწაველ ატმოსფეროს ჰქმნის, რომ თუ ვისმეს ცოტა მუშაობის უნარი შერჩენოდა, ისიც პასით ხდება. არ შემოიძლია არ უსაყვედურო რკინის გზის კავშირის ცენტრალურ გამგეობას, რომელმაც თითქოს განგებ, დეპოში საშინელ უპასუხისმგებლო პირებს მოუყარა თავი, რომელთაგან ყოველ წუთში უნდა ველოდეთ გაფიცვას და სხვა. აკი ამიტომაც არის, რომ სტეფანოვებს და მის დამქაშებს ასეთი გასავალი აქვთ მათში. საბედნიერო გამონაკლისს შეადგენს ერთი ნაწილი, მაგრამ რას გახდები. ამას წინათ ვინწინეთ ნაყოფი ჩვენი დაუდევრობისა: დაგვიანდა ჯამაგირების დარიგება და ამ უპასუხისმგებლო პირებმა გაფიცვა გამოაცხადეს; რომ მოწინავე ამხანაგები არ ჩარეოდნენ, ვინ იცის, როდის მოხდებოდა ამ ინციდენტის ლიკვიდაცია. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს აქ თითქმის იგივე ჯამაგირი აქვთ, რაც საქართველოს სხვა რაიონებში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ 12-15 მ. დღიურს, რასაც აქაური მუშა-მოსამსახურე იღებს. ქალაქში შავი მუშა თვიურათ იღებს ჯამაგირს არა ნაკლებ 4-5 ათას მანეთისა, ხელოსანი მუშები კი – 7-10 ათას მანეთამდე. საჭიროა ამას დროზედ მიაქციოს ყურადღება რკინის გზის ადმინისტრაციამ და დღიური გაადიდოს 100 მანეთამდე მაინც. მაშინ ცოტათი მაინც შეუმსუბუქდებათ მდგომარეობა აქაურ მუშა-მოსამსახურეებს, თორემ დღევანდელ 1200 მანეთით ცხოვრება ყოვლათ შეუძლებელია. საჭიროა ცენტრალურმა გამგეობამ რაც შეიძლება ჩქარა მიაქციოს ყურადღება ბათუმის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა გაცხრილვას და შესაფერი კონტიგენტი შექმნას, რომელიც საიმედო იქნება არა მარტო ვინწრო პროფესიონალურ საქმეებში“.

გ. ა - ბელი.
 „ერთობა“, №272, 1919

ახალი ამბები: მუსულმანთა სკოლებისთვის:

„სახალხო განათლების სამინისტრო შუამდგომლობს მთავრობის წინაშე გაიხსნას კურსები მუსულმანთა სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლათ. შუამდგომლობა ჯერჯერობით ფინანსთა მინისტრმა და სახელმწიფო კონტროლიორმა განიხილეს, რის შემდეგაც მთავრობას გადაეცემა განსახილველად“.

„სოციალ დემოკრატი“, №51, 1919

ბათომის ამბავი

„ოფიციალურად გამოცხადდა ბათომის გადმოცემა საქართველოს ხელში. საბოლოოთ, რუსეთმა აღიარა ბათომი ჩვენათ. ბათომი ამიერიდან იურიდიულათ უკვე გადმოვიდა საქართველოს ფარგლებში. საკითხი დგას მხოლოდ ამ უფლების ტეხნიკურად განხორციელებაზე. ამრიგათ, სრულდება იმედი საქართველოს დემოკრატიის ერთ სახელმწიფოში გაერთიანების.“

ბათომის შემოერთების დიდ კულტურულ მნიშვნელობას – როგორც საქართველოს საუკეთესო ბოლაზისას და ევროპის კარისას, ემატება ეს დიდი მნიშვნელობა ერის გამთელების. ტყუილათ არ იყო ბათომი აკვანი მუშათა მოძრაობის და ერთი პირველთაგანი – თფილისს შემდეგ რევოლუციურ გამოსვლებში და რევოლუციურ შემოქმედებაში“.

„ერთობა“, №146, 1920

სამუსლიმანო საქართველო და ეკლესიის საკითხი

„სამუსლიმანო საქართველო“ სწერს: ჩვენ გვერდს ვერ აუხვევთ ზოგიერთ მუხლებს, რომელთაც შეუძლიათ თუ ქრისტიანებში არა ჩვენში, მუსლიმანთა შორის, დიდი არევე-დარეულობა გამოიწვიოს. სახელდობრ: მეოთხე, მეხუთე და მეშვიდე მუხლებს.

ეს სამივე აღნიშნული მუხლი ერთმანეთზე ფრიადაა გადაჭდობილი და მაგათი ცხოვრებაში გაყვანა ნიშნავს თვით ადამიანის სინიდისის თავისუფლების შებოჭვას.

როგორ, ადამიანს ნება ჰქონდეს რწმენა სათუთად შეინახოს და მის მოვლისათვის არა შეიძინოს რა საკუთრებათ? ან და ვერ წარმოგვიდგენია, რომ სამუსლიმანო საქართველო შეურიგდეს დადგენილების მეხუთე მუხლს, სადაც პირდაპირ აღნიშნულია, რომ ყოველი უძრავი ქონება სახელმწიფო საკუთრებად უნდა გადავიდეს.

ჩვენ ეჭვიც კი არ შეგვდის, რომ არა თუ სამუსლიმანო საქართველო, არამედ საზოგადოთ ის ერი, სადაც მეჩეთი გაუმართავთ ნახევარ მთვართ, ვერ შეინწყნარებს ყველა იმას, იმიტომ, რომ პუფები შეძენილია შარიათის დადგენილების თანახმად და მისი გადასვლა ვისამე ხელში, თუ კი გადაცემა საჭიროა, ისევე მუსლიმანთა ხელში უნდა გადავიდეს.

მესამე და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენთვის, მუსლიმანებისთვის, ისაა, რომ სახელმწიფოს განუზრახავს რელიგიური აღზრდა და სწავლა მოსპოს სკოლებში.

ჩვენ არ ვიცით, რას ჰფიქრობენ ჩვენი ძმა ქრისტიანები. თუ ისინი ამ საკითხში დასთანხმდნენ, სჩანს, გაცივებულა მათში რწმენა, მაგრამ ჩვენში ამას ვერ ვიტყვით; ჩვენ ჩვენი სულის სამეფო გვაქვს და ვინც საშუალებას არ მოგვცემს, რომ

მოვიქცეთ ისე, როგორც ჩვენ გვსურს, როგორც გვიბრძანებს სინდისი და ჩვენი რწმენა, ის ლახავს ჩვენს უზენაეს მისწრაფებას და, მამასადამე, მტერია ჩვენი...”

„მინა“, №299, 1920

ჩაქვი

„აქ მომუშავე ქართველი მუშები დიდ ენერგიას იჩენენ პოლიტიკურ-კულტურულ მუშაობას. ჯერჯერობით გახსნილია უფასო სამკითხველო, დაარსებულია სოც-დემოკრატიული ორგანიზაცია, პროფესიონალური კავშირი და კულტურული სექცია. სახელმწიფო მამულში უმთავრესად რუსებია, რომელთაგან ბევრი ვერ გრძნობს თავს ისე, როგორც წარსულში. დღეს, როცა რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობა შეიცვალა, ზოგიერთმა მათგანმა ყურები ცქვიტეს და სიხარულს ეძლევიან: „სომხეთმა ბალშევიზმი მიიღო, საქართველოშიაც მალე გადატრიალება მოხდება, კომუნიზმი გვიახლოვდება“-ო და სხ. ამას ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმეორებენ, მაგრამ ჩვენებს ეს სულაც არ აშინებს“.

ჭავჭავაძის ბზიკი
„ერთობა“, №15, 1921

საუბარი აჭარლების მიმართ

„პირველად ძმურ სალამს გიძღვნით და გისურვებთ სულიერსა და ნივთიერ წარმატებას თქვენი სამშობლოს სასარგებლოდ. ამ დიდმა რევოლუციამ ერთი დაუფასებელი სასარგებლობა სარგებლობა მოუტანა დემოკრატიას, ანუ, ჩვენებურად რომა ვსთქვათ, ფუხარა ხალხს თავისუფლება და ყველა ტომთა და გვარდა გვართა თვითცნობიერება, რადგანაც ძველად ჩემი წინაპარნი აჭარიდან ყოფილან, პაპის მამა სელიმ ფაშას გადმოჰყოლია ახალციხეს, ამიტომ მე გული შემტკივა ერთნაირად როგორც საქრისტიანო საქართველოსთვის, ისე აჭარისთვის და საზოგადოდ სამაჰმადიანო საქართველოსთვის. დაგვიდგა დრო დიდი ბედნიერებისა: საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა მრავალ ქართველთა ვაჟკაცობით და შეჰქმნა თავისუფალი სახელმწიფო რესპუბლიკა, რომელიც ზრუნავს თავის მოქალაქეთათვის, განურჩევლად გვარისა და რჯულისა. ამ დროს არ შემოძლიან სიამოვნებით არ მოვიგონო ცხოვრებული ჰუსეინ ჩაუში, რომელიც მამაჩემის ნათესავი იყო. დღესასწაულებში აჭარიდან კოკორა ყველს და კარაქს ძღვნად გადმოგვიტანდა ხოლმე ახალციხეში – რაბათში, ჩვენც წითელ კვერცხებსა და ახალციხურ ნამცხვარს ფეხლავს, შაქარლამს გავატანდით ხოლმე. ეს იყო 45 წლის წინათ. მე ბავშვი ვიყავი, სკოლაში დავდიოდი. მას ძალიან უყვარდა საზოგადოდ ქართველობა, ბევრი ქართული ლექსებიც იცოდა, მისი ლექსები ამ 25 წლის წინად გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა. ეტყობოდა ბევრს ადგილს იყო ნამყოფი. სტამბულში, ბულგარეთში, იერუსალიმში და დასავლეთ საქართველოში, იმერეთ-გურიაში. მისი ნატვრა იყო საქართველოს განთავისუფლება როგორც დიდი თამარის დროს იყო. მაგრამ ზოგიერთ შეუგნებელ აჭარელსა

და კათოლიკეს ვერ გაერჩია ეროვნება და სარწმუნოება. ეხლა კი ის ბევრმა შეიგნო. მაგალითად, ახალციხის მაზრის თქვენი ნაცნობი სოფლების უდეს, არალის, ვალეს მცხოვრებნი, რომელთა შორის მრავალი მოყვარე და მოკეთე გყავთ, აღარ იძახიან ფრანგები ვართო, ეხლა თითქმის ყველა ამბობს ქართველი კათოლიკე ვართო. ამ ნაირადვე შეგნებული აჭარელი აღარ იძახის თათარი ვარო, ამბობს ქართველი-მუსულმანი ვარო. აი შორს ნუ ნახვალთ, ოსმალეთში არაბი, არნოუტი, ბოშნიაკი და სხვა მაჰმადიანებიც არიან და ქრისტიანებიც. რომ ჰკითხო ვინ ხარო, ისინი თავიანთ გვარს გეტყვიან, თავიანთი ტომიც ძალიან უყვართ. საჭიროების დროს მაჰმადიანნი და ქრისტიანი ერთნი ხდებიან, ერთად ზრუნავენ და ომობენ კიდეც თავიანთი საერთო სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ოსმალოს სახელმწიფო ეხლა ის აღარ არის, რაც თუნდაც აქ 50 წლის წინეთ იყო, ბევრი პატარა ერი გამოეყო ოსმალეთს და დამოუკიდებელი სახელმწიფო შეჰქმნა. იგი თანდათან სუსტდება და ეკარგება უნარი პატარა ერების დაჩაგვრისა. საქართველოს არც სხვისი მიწა-წყალი უნდა, არც სხვა ტომის დამონება. იგი თავის განუყოფელი საზღვრების იქით არ წავა.

სამაჰმადიანო საქართველოც ჩვენი საერთო სამშობლოს განუყოფელი ნაწილია. მაჰმადიანმა ქართველებმა არ უნდა დაივიწყონ თავიანთი მოძმენი, მათთან ხელ-ხელ ჩაკიდებულმა იარონ, არ აჰყვენენ ბოროტ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ ჩვენს შორის მტრობა ჩამოაგდონ და მაშინ საქართველოსაც ეღირსება ბედნიერება, მაშინ თქვენ, მაჰმადიანი ქართველებიც საუკეთესო ცხოვრებას ეღირსებით“.

მესხი ი. ბარკალაია.
„სახალხო საქმე“, №401, 1919

კონსტიტუციისთვის

„მეჯლისი დღევანდელ დღეს შეუდგება სამუსლიმანო საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვას.

ხსენებული პროექტი უნდა განხილულიყო კიდევ 16 ნოემბრის სხდომაზე, მაგრამ რადგანაც დრო და გარემოება ნებას არ იძლეოდა, განხილვა სადღეისოდ გადაიდო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღევანდელ დღესაც პროექტის განხილვა ნაადრევი იქნება და აი რატომ:

მართალია პროექტი შემუშავებულია მეჯლისის დავალებით, ისიც მართალია, რომ იურიდიული კომისია პროექტის შემუშავების დროს სახელმწიფო თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა, მაგრამ პროექტის რომელიმე სხდომაზე წაკითხვა და დადასტურება, ან უარყოფა, ისიც საკონსტიტუციო პროექტისა, ყოვლად შეუძლებელია და მიუღებელი, თუ წინასწარვე მეჯლისის ყოველი წევრი არ იქნება გაცნობილი.

მეჯლისის აჩქარება არ ეჭირვება. ჩვენ ვიცით, რომ თბილისში დამფუძნებელ კრებასთან არსებული იურიდიული კომისია საქართველოს კონსტიტუციის პროექტის დამუშავებას თითქმის ორ წელს მოუწია და დარწმუნებული ვართ, მისი მუხლობრივი განხილვა და დადასტურება არც ისე ადვილად მოხდება, როგორც გვგონია.

ვითვალისწინებთ რა ამ გარემოებას, ჩვენ წინადადებას ვაძლევთ მეჯლისს, რათა დროებით, ერთი კვირით მაინც, კიდევ გადაიდოს ხსენებულ კონსტიტუციის პროექტი, მანამდე იგი დაიბეჭდოს ისე როგორც დამფუძნებელ კრებამ ცალკე წიგნად გამოსცა საქართველოს უზენაეს კონსტიტუციის პროექტი. გამოვაქვეყნოთ იგი, გავზარდოთ პრესის ღირსად, მოვუსმინოთ სხვებსაც, მეჯლისის ყველა წევრებმაც შევისწავლოთ, ავწონ-დავწონოთ, შევადაროთ სხვა ქვეყნების კონსტიტუციებს,

ვინც ჩვენ ნაირ მდგომარეობაში იმყოფება და შემდეგ საზეიმო სხდომებზე მეჯლისის დასტური ისე მივიღოთ თბილისში დამფუძნებელ კრებაში წარსადგენად და დასამტკიცებლად.

გვახსოვდეს, რომ აქ თითოეულ სიტყვას უნდა ჰქონდეს წონა, თითოეულ მუხლს უნდა აჯდეს ღრმა მოფიქრების ბეჭედი“.

„სამუსლიმანო საქართველო“, №464, 1920

წერილი ბ. აბაშიძისა

„ძმანო ქართველნო! ამ ეპისტოლეს გწერთ თქვენი სისხლისა და ხორცის ადამიანი – თქვენი გულწრფელი მოსიყვარულე ძმა მაჰმადიანი ქართველი. ამ შავბნელ დროსა გამო შექმნილ გარემოებამ მაიძულა ამ ეპისტოლეს წარმოგზავნა. რამდენიმე დღის წინ ჩემამდე მოაღწია ამბავმა, რომ აპნისის და გოგშენიას მცხოვრებმა ქართველებმა მიატოვეს თავთავიანთი სოფლები. ფრიად ამაღელვა ამ ამბავმა, სასტიკი განკარგულება გავეცვი, შეენწყვიტათ ძარცვა-გლეჯა და ხალხის ანიოკება. ბაშიბუზუკთა ასალაგმავად გამოვიყვანე ჩემი ჯარი. გზად თქვენს სოფლებში შეტაკება მოგვიხდა ბაშიბუზუკებთან, რომელთაც მოჰქონდათ პური და ნადავლი. ყველანი შევიბყარი, ნადავლი ჩამოვართვი და თქვენს ეკლესიებში შევავროვე (ყველაფრის ოქმი შედგენილია ამის შესახებ)...

ერთი სიტყვით, მეტად სასურველი მშობელი კუთხე მშობელი სოფელი არ იქნეს განადგურებული. გთხოვთ, ჩემო ძვირფასო ძმებო, ნუ შეხვალთ შეცდომაში, არ მიატოვოთ მშობელი კუთხე, ნუ გაანადგურებთ ქართულს მაზრებს. ყველა განად-

გურებული სოფლები, მათი ზარალი ისევე ანაზღაურებულ იქნება, ოღონდ ნუ გარბიან, ოღონდ თავიანთ კარს დაუბრუნდნენ თვითონ სოფელენი...”

პატივისცემით ბ. აბაშიძე

პასუხი პატივცემულ ბატონო აბაშიძე!

„მივიღეთ თქვენი წინადადება შერიგებისა და ზავის ჩამოგების შესახებ ქართველებსა და მაჰმადიანებს შორის. სიხარულის ცრემლები მოგვადგა თითქმის ყველას, შტაბში მყოფთ, როდესაც თქვენი წერილი წავიკითხეთ. სამწუხარო ამბები დატრიალდა ძმათა შორისაც. რალაც გაუგებრობა მოხდა. ვილაც მესამემ შეგვიყვანა შეცდომაში და უმანკო სისხლი დაღვარა და იღვრება კვლავ. ქართველი ერი, რაინდი არას დროს მტერსა არ ეპყრობოდა ბარბაროსულად. ქართველი ხალხი მოტყუებული რუსეთისგან 117 წლის შემდეგ ძლივს აღწევს თავს და თავისუფლდება. ამიერიდან ქართველ ხალხს ექნება დამოუკიდებელი სახელმწიფო, ეყოლება თავისი მთავრობა და ყველა მცხოვრებს საქართველოს ტერიტორიაზე ერთნაირად გაუწევს მფარველობას“.

ექ. იშხნელი
„საქართველო“, №118, 1918

ბორჩალოს ოლქი

მასწავლებელთა კურსების შესახებ წალკაში

„როგორც წალკის რაიონის მასწავლებლობა, აგრეთვე მთელი წალკა არ სცნობს ელინთა თვითნება ნაციონალურ საბჭოს და პროტესტს აცხადებს მისი წალკის მასწავლებელთა კურსების მოწყობის საქმეში ჩარევის გამო მასწავლებელთა და ინსპექციის დაუკითხავად, ვთხოვთ სახალხო განათლების სამინისტროს მოაწყოს ჩვენთვის კურსები მე-6 რაიონის ინსპექტორის მოხსენების თანახმად.

ანანიკოვი, ანდრიანოვი, სარიევი, ხრისტიანოვი, პოლიხრონოვი, მიხაილოვი, აპოსტოლოვი, ასლანოვი, მიხაილოვი, ტორუნოვი, შახპაზიფუ, დახიროვი, მიხაილოვი, პილაგოვი, კოსტანოვი, კიშნიაროვი, ასლამაზოვი, პოპონდოპულო, შახპაზოვი, პილაგოვი, ანასტასოვი, მაისევი“.

„ახალი საქართველო“, №1, 1919

სადახლოს საბაჟო

„ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 30 დეკემბერს 1010 1919 წელს დილის ათ საათზე სადახლოს საბაჟოში (სადგური სადახლო) გაიყიდება საჯარო ვაჭრობით საბაჟოს მიერ ჩამორთმეული საქონელი, სახელდობრ: თამბაქო, პაპიროსები, პაპიროსის ქაღალდები, ფართლეულობა, ქალის კაბები ჩითისა, კოჭის ძაფი, მომპასიე და სხვა და სხვა“.

„საქართველოს რესპუბლიკა“, №284, 1919

გორის ოლქი

ოსების ამბები

„ქართულ ლეგიონის ოფიცერი შტ. კაპ. ლატო ბარათაშვილი, რომელიც ამ დღეებში ჯავის ხეობაში იყო, ოსების შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

„ოსები ამბობენ, რომ წელს, ჩვენ უსათუოდ უნდა გავიმარჯვოთ, შარშან დაგვამარცხა საქართველოს მთავრობამ, მაგრამ ასე არ მოხდება წელს. სანდო პირების თქმით ოსებთან თავს იყრიან რუსი ოფიცრები. ოსების ერთი მეთაურთაგანი სენაყოფი ამ ჟამად ჯავაშია. ცხინვალის რაიონიდან ქართველი მკვიდრნი გამორბიან, ოსები არ მალავენ და ისინი აშკარად ამბობენ, რომ ჩვენ მალე ომი მოგვიხდებაო, მომზადებული ოსები საკმაოდ არიან, მათ აქვთ ტყვიის მფრქვეველებიცო“.

„საქართველო“, №113, 1919 წელი

მთავრობაში დახმარება გორის გარნიზონს

„მთავრობამ დაადგინა ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით დააარსოს კომისია, რომელიც შეიმუშავებს საკითხს გარნიზონის იმ სამხედრო პირებისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ, რომელნიც მინის ძვრის დროს დაზარალდნენ. კომისიაში შევლენ დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლები, და აგრეთვე გორის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარ კომიტეტის წამომადგენლები“.

**„საქართველოს რესპუბლიკა:
მთავრობის მოამბე“, №189, 1920**

სოფელი მუხრანი

„მუხრანი, დუშეთის სათემოში, ერთ დიდ სოფელთაგანია. ამ სოფელზე ბევრი რამ დაწერილა გაზეთის ფურცლებზე და კვლავაც ბევრი დაინერება. აქ თითქმის ყველა დაწესებულებაა დაარსებული: სკოლა (მალე ოთხ კლასიანი იქნება), ბიბლიოთეკა, ფოსტა-ტელეგრაფი, ერობა, კოოპერატივი და სხვა. მხოლოდ მუხრანს არა აქვს თეატრი, რისთვისაც ადგილობრივ ინტელიგენცია და უფრო ერობის გამგეობა დიდ საყვედურის ღირსნი არიან.

ენკენისთვის 5 თემის შენობაში შესდგა ხმოსანთა კრება.

კრებას დაესწრნენ აგრეთვე დუშეთის თემის წარმომადგენელნი: ამხ. კალანდარიშვილი და თობაძე. კრების საგანი იყო: 1) თემის თავმჯდომარის დონდოლაძის მოხსენება, 2) ძველი წევრების გადაყენება და ახლების ამორჩევა, 3) თავმჯდომარის დონდოლაძის მიერ უკანონო მოქმედება და სხვა საკითხები. კრება გაიხსნა ადგილობრივ ექიმის ბიტ-აბრამოვის თავმჯდომარეობით და გიორგი ნათაშვილის მდივნობით. ბატონმა დონდოლაძემ მოკლე მოხსენება წაიკითხა, სადაც მან აღნიშნა გულახდილად, რომ სხვა და სხვა მიზეზისა და დაბრკოლებების გამო მუხრანის თემმა ის ვერ გააკეთა, რაც მის დანიშნულებას შეადგენდა და შემდეგ უსურვა მომავალი გამგეობის წევრებს მეტი ენერჯია და ნაყოფიერი მუშაობა. მოხსენების შემდეგ კრებამ აარჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია და მიანდო მას ბატონ დონდოლაძის წინააღმდეგ გვარდიის უფროსის ვასო მაყაშვილის და ანტონაშვილის მიერ წამოყენებულ ბრალდებების გარჩევა. თავმჯდომარის ადგილის კანდიდატებად დაასახელეს სოფ. ილტოზის მცხოვრები კარგად შეგნებული, მუშა ადამიანი მიხეილ გიორგობიანი და მუხრანიდან მიქაძე, მაგრამ არც ერთი არ იქმნა გაყვანილი, ვინაიდან დასახელებული კანდიდატები კრებაზე არ დაესწრნენ და მათი თანხმობის რწმუნებულება კრებას არა ჰქონდა. არჩევნები შემდეგ კრებისთვის გადაიდო“.

**„საქართველოს რესპუბლიკა:
მთავრობის მოამბე“, №198, 1920**

სოფელი კეხვი (ცხინვალის თემი)

„ეს სოფელი უკანასკნელი სოფელია ქართველების, ოსების მიჯნაზე. მუდამ მტრისაგან თავდასხმის შიშში ყოფილა უწინაც და ახლაც. ამიტომ აქ დიდი ციხეებია, საცა მდგარა მუდამ მორიგე ჯარი. დღეს კი არავინ არის, ამ გადატრიალების ხანაში, კეხველებს ტყეში და ახოებში ოსები სცარცვამდნენ, ძველ ტანისამოსს ქალებსაც კი ჰხდიდნენ: დღეს, როცა ოსები აქეთ მხარეს აყრილნი არიან, უფრო ცუდი ამბები ხდება. 25 ენკენისთვის კეხველი დათა კახნაშვილი, ტყეში მომუშავე, თოფით მოჰკლეს და რაც ზედ ეცვა, გააძვრეს. 26 ს უკვალოდ დაკარგულ ოსების ომში ფხვენელ მიხეილ ამილახვრის ყევარი ხარი და ორი მეხრე კეხვის ტყეში მოიტაცეს თორმეტმა შეიარაღებულმა ოსმა. მეხრეები ორი დღის სავალიდგან გამოჰპარვოდნენ.

27 ს კეხველ ალაძე ზურას შვიდი სული საქონელი მოსტაცეს. 28-ს კიდევ კეხველებს 8 სული საქონელი მოსტაცეს. ასე გრძელდება საქმე, ხალხი მეტად შენუხებულია. არის ზომები მიღებული, თუმცა ჯერ უშედეგოდ“.

„საქართველო“, №113, 1920

საეროზო არჩევნები სოფ. კავთისხევში

„ყველასთვის ცხადია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერობის შემოღებას ჩვენში განსაკუთრებით დღეს, როდესაც სოფლის გაჭირვებული და უმწეო მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი ხდება. ყოველი ხალხის გულშემატკივარი და მით უმეტეს პარტია იმას უნდა სცდილობდეს, რომ ხალხის მართვა-გამგეობის სათავეში ისეთი პირები მოექცნენ, რომელთა ზრუნვის საგანი ხალხის ჭირ-ვარამის შემსუბუქება და უმწეო მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება. ამ ნიადაგზე წარმოება აგიტაციისა ხალხში ყოველ პარტიის მიერ, რომ თავის დასახელებული კანდიდატები გაიყვანოს და ამგვარად გამარჯვება არგუნოს თავის პარტიას ბევრი ხმების მიღებით, შესაწყნარებელიცაა და აუცილებელიც. მაგრამ წესიერებისა და სამართლიანობის ნორმები მაინც არ უნდა შეებლალოს თავისი მოქმედებით.

სწორედ ასეთი იყო მოქმედება კავთისხეველ სოც. დემოკრატებისა – შელახვა სამართლიანობისა და უარყოფა იმ წესებისა, რომლებიც შემოღებულია საერთოდ არჩევნების წესიერ მოხდენისათვის.

არჩევნები სექტემბრის 30-სთვის იყო დანიშნული. კვირა დილით სოფლის კანცელარიისკენ ხალხმა იწყო დენა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ბევრი მათგანი გამოცხადდა 4-8 საარჩევნო ბარათით ხელში. სოც. დემოკრატებმა ნება დართეს ყოველ ამომრჩეველს ესარგებლნა სხვის ბარათებით და ამგვარად ერთ ამომრჩეველს უფლება ეძლეოდა რამოდენიმე ბიულეტენი ჩაეგდო ყუთში. ჩვენ განვუცხადეთ, რომ ყოველად შეუძლებელია ასეთი წესით არჩევნების წარმოება, რომ ეს დარღვევაა და უარყოფა იმ წესისა, რომელიც საერთოდაა

მიღებული სახელმძღვანელოდ არჩევნების კანონიერ მოხდენისთვის. ჯერ არ უნდოდათ ეს შეეგნოთ და ასტეხეს განგაში, დაიწყეს თავისებური დემაგოგობა, რომ თქვენ ხელს გვიშლით, თქვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების ჩაშლაა და სხვ. მაგრამ ბოლოს, როგორც იქმნა, დავითანხმეთ და უარვაცოფინეთ თავიანთი უკანონო გადაწყვეტილება. ამის შემდეგაც ბევრს უკანონობას, დასაგმობ და შეუწყნარებელ მოქმედებას ჰქონდა ალაგი, მაგრამ აქ იმათ აღნუსხვას აღარ გამოუდგებოთ.

არჩევნების მეორე დღეს, როცა ყუთები უნდა გახსნილიყო, კომისიის წევრებს მოვსთხოვეთ ამომრჩეველთა სიები, რომ შემოგვემონებინა კანონიერება ყუთებში აღმოჩენილ ხმებისა, მაგრამ ასეთ სამართლიან მოთხოვნილებაზე სოც. დემოკრატიებმა კატეგორიული უარი გვითხრეს, სიები არ წარმოადგინეს და განაცხადეს, თქვენ მაგის უფლება არა გაქვთო. ჩვენ აუხსენით, რომ თქვენი ქცევა ყოვლად შეუწყნარებელია და არღვევთ იმ საერთო წესს, რომელიც არჩევნებისთვის არის შემოღებული, როდესაც თქვენ ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებთ, მაგრამ ისინი მაინც მტკიცე უარზე იდგნენ: სიებით შემონმება ხმებისა რა საჭიროა, გავხსნათ ყუთები პირდაპირ და დავთვალოთო. შეთანხმება შეუძლებელი გახდა, ამიტომ კომისიის მიერ გაგზავნილ იქმნა კაცი ახალქალაქის სარაიონო კომისიის თავმჯდომარესთან ამ ინციდენტის შესატყობინებლად. სარაიონო კომისიის თავმჯდომარემ სთქვა, თქვენი მოთხოვნა სამართლიანი და კანონიერიო. მხოლოდ ამის შემდეგ დაგვეთანხმენ სოც. დემოკრატები სიების გადასინჯვას. მაგრამ გვიან იყო, რადგან ამ ხნის განმავლობაში უკვე მოასწრეს სიების შესწორება, მაგრამ ისე მაინც ვერ, რომ მათ მიერ ჩადენილი უკანონობანი არ გამოიმყლავნებულყო. ამის შემდეგ ყუთები გახსნეს და შეუდექით ხმების დათვლას და რა გამოირკვა? მიუხედავად იმისა, რომ სიები თავისებურად შეასწორეს და გაამრავლეს

გამოცხადებულა ამომრჩეველთა რიცხვი ზედ-მეტი ნიშნების დასმით, დამატებითი სიების შედგენით არჩევნების დღეს, მაინც ყუთებში ბიულეტენების რაოდენობა მეტი აღმოჩნდა ამომრჩეველთა რიცხვზე“. [...]

დამსწრე
„სახალხო საქმე“, №351, 1918

მღვდლის თავგასულობა

„რედაქციას მოუვიდა გორის მაზრის სოფ. მელვრეკისის მცხოვრებთა წერილი, რომელსაც ხელს აწერს ორმოც და ჩვიდმეტი კაცი.

წერილში მცხოვრებნი უჩივიან მღვდელ შალაქია მალაქია ლომიძეს, რომელიც რაიონის კომისრის და მილიციონერის დახმარებით დაჰრევია სოფელს და დრამა აუკრეფია. დაუტეხნიათ სახლები და ბევრისთვის ნაყიდი სარჩო წაურთმევიათ. საჩივარში ჩამოთვლილია 6 ისეთი გლეხი, რომელთაც ვაი-ვაგლახით ნაყიდი პური წაართვეს.

წერილში აღნიშნულია აგრედვე, რომ მღვდელს და კომისარს (რომლის მწერლად მღვდლის შვილია) კუდი-კუდზე აქვთ გადაბმული და ერთმანეთის ბოროტებას ჰფარავენ. თვით კომისარი ხალხისაგან ჩამორთმეულ იარაღს ოსებზე ჰყიდის თურმე. მცხოვრებნი მოითხოვენ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ხალხი დაიხსნას გათავხედებულ მღვდლის და რაიონის კომისრის ძალადობისგან“.

„სახალხო საქმე“, №389, 1918

გორის მუშა

„მოსამსახურეები აუტანელ პირობებში არიან. მათ არ გააჩნიათ არც საათი მუშაობის და არც დრო დასვენების. ხშირათ შეხვდებით ღამე მომუშავეებს. ზოგს გაღებულ კარებში დუქნის და ზოგსაც დარაბები დაუხურავს და შიგ ამუშავენს სანყალ პატარა უნლოვან ბავშვებს. როგორც გადმოგვცემენ, აქაურ მოსამსახურეებს ქონებით პროფესიონალური კავშირი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გ. მანაზაროვი. მაგრამ მას შემდეგ არავითარი შრომა არ მიუღია საჭირო. მისი მოწყობა აუცილებელია, რომ ამით „ხაზინების“ თავგასულობას ბოლო მოეღოს და ზნეობრივ-გონებრივი ამაღლება და განვითარება მიიღონ მუშა-მოსამსახურეებმა...“

ძველი მუშა
„ერთობა“, №70, 1919

მუშათა შორის

ქ. გორი.

„აქ არსებობს სპიჩკის (ნუმნუმის) ქარხანა, სადაც ამუშავენ მცირე ნლოვან ბავშვებს და არა მოზრდილებს. შრომის პირობები აუტანელია. ბავშვებს მთელი ორგანიზმი ენამლებათ და ადრევე სნეულდებიან. თითო ნუმნუმი ყუთის გაკეთებაში ლეზულობენ ექვს კაპიკს და დღეში კი აკეთებენ ექვს-შვიდ ცალს. ასეთ საშინელ სიძვირის დროს ასეთ ხელფასით, როგორ უნდა ირჩინოს თავი ადამიანმა ამ ფულით? მუშაობა უხდებათ ბავშვებს არა ნაკლებ 12 საათისა. ქარხანაში საშინელი სუნი ტრიალებს, ბავშვები ჩამომხმარ-ჩამოყვითლებულები არიან. იყო შემთხვევა ისეთი, რომ ბავშვი სამუშაოდან მიდიო-

და სახლში, დასუსტებულმა ბავშვმა ვერ მიაღწია შინამდის, კარებთან წაიქცა და გული შეუღონდა. ასეთია მათი მდგომარეობა. ქარხნის პატრონი ცდილობს, დიდხანს ამუშავოს ბავშვები, ვიდრე ხელფასი მისცეს და მის საშუალებით თავისი ჯიბე გაისქელოს. საჭიროა, რაც შეიძლება ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამას“.

„ერთობა“, №101, 1919

დამფუძნებელი კრების დღესასწაული

„მარტის 12 დილიდანვე სუსხიანი დღე იყო... მიუხედავად ამისა, 11 საათზე სამხედრო მუსიკა და გვარდიელების რაზმი გავიდა გარეთ უბანს და იქიდან დაკვრით წამოვიდა – გზა და გზა პროცესია იზრდებოდა და სამეფო ქუჩაზე ჩამოსვლის დროს კი სრულიად გაივსო ქუჩა ხალხით.

პროცესია ჯერ შეჩერდა ყოფილი თვითმმართველობის შენობასთან. აქ შ. ჯავახიშვილმა სთქვა პირველი სიტყვა.

შემდეგ მილიციის და სახალხო გვარდიის შტაბის წინ ილაპარაკეს ილფრიძემ, ვარდლოიანცმა და მასნავ. მიგინეიშვილმა. უკანასკნელმა მიულოცა ხალხს სოც. ფედერალისტთა სახელით და მშვენივრად დაასურათა მსველობა, თუ როგორ აფრთხობდა კერენსკის მთავრობას ერების თვით გამორკვევა და დღეს კი პატარა საქართველო თავისი დამოუკიდებლობით და დღევანდელი დამფუძნებელი კრების მონვევის სიდიადით მთელი რუსეთის მაგალითი და თითოთი საჩვენებელი შეიქნა. ამას

ჩვენ უნდა უმადლოდეთ აი ამ გვარდიას – ხალხის შვილებს და მამაც ჯარისკაცებს, რომელნიც ამ წუთშიაც სისხლსა ღვრიან დიდებული მესხეთის დასაცავად.

შემდეგ ერობის წარმომადგენელმა ახალაძემ ილაპარაკა, ქალაქის თვითმმართველობის სახელით კობიძემ და სხვებმა.

შემდეგ პროცესია შეჩერდა კეცხოველის და მაჩაბლის ძეგლთან. აქ ილაპარაკა კიდე ჯავახიშვილმა და ეგნატაშვილმა, რომელმაც მიუთითა ამ მსხვერპლებზე და მრავალ სხვაზე, რომელნიც ბორჩალო ნატანებში შეინიღნენ და დღესაც ახალციხეში იწირებიან.

ყველა ორატორის სიტყვის გათავების შემდეგ სამხედრო მუსიკა ქართულ ჰიმნს ასრულებდა, რომელსაც ხალხი ქუდ მოხდილი ისმენდა“.

„სახალხო საქმე“, №487, 1919

ლტოლვილნი ბაკურიანის რაიონში (დეპუშით)

„სომეხთა ეროვნულ საბჭოს რწმუნებული ტერ-გრეგორიანი 17 ივნისის დეპუშით ბაკურიანიდან იტყობინება შემდეგს: მუსულმანთა ბრბოებმა ბაკურიანის უღელტეხილზედ ლტოლვილებს წაართვეს მთელი ქონება, საქონელი, დაეცნენ პრჯის, ხონდას, ალათუხანს, გაირეკეს ათასობით საქონელი, წაიღეს პური, ზარბაზნების სროლით დაეცნენ ორის მაზრის სოფ-

ლებს, კიზილ კილისას და მალიტს, მცხოვრებთა ნაწილი გაიქცა, ნაწილი ტყვედ ჩაუვარდა მტერს. წაყვანილია რამდენიმე ათასი სული საქონელი. მე ვურჩევდი ლტოლვილებს, თავიანთ ადგილზედ დარჩენილიყვნენ, სჯეროდა, მათ სჯეროდათ, რომ მთავრობა შეასრულებდა თავის დაპირებას და წესიერებას აღადგენდა, მაგრამ მე გამოვდივარ პროვოკატორად და ხალხის ინტერესების მოღალატეთ. ძალიან მცირე ძალები იყო და არის საჭირო, რომ ეს ბრბოები გავფანტოთ. ბრბოებს შველიან აგრეთვე ბაკურიანის რაიონის მცხოვრებნი, რომელნიც ურმეობით ზიდავენ ლტოლვილთა ქონებას, მუდამ დღე მატარებლებით ჩამოდიან ბაკურიანში ასობით სხვა და სხვა სპეკულიანტები, რომელნიც ყიდულობენ ლტოლვილთაგან დატაცებულ ქონებას და ვაგონებით მიაქთ ბორჯომისკენ...”

„საქართველო“, №118, 1918

სომხების დეპეშა ბორჯომიდან

„საინტერესოა ბორჯომელი სომხების წერილი საქართველოს მთავრობისადმი, სადაც ისინი წერენ, რომ შოვინისტური პოლიტიკის გამო, იძაბება სიტუაცია ქართველებსა და სომხებს შორის, რაც ცუდია, როგორც ქართული, ასევე სომხური დემოკრატიისთვის.

„შოვინისტურ მიმართულებამ შეჰქმნა სომეხ-ქართველთა ურთიერთობაში მტრული განწყობილება, რომელიც დღითი დღე ვითარდება და გვიქადის სისხლის ღვრას. თუ ეს ანტა-

გონიზმი განვითარდა და რეალური შედეგები მოჰყვა, ეს დალუპვისკენ წაიყვანს როგორც ქართველ, ისე სომხის დემოკრატიას. ჩვენ ბორჯომში მცხოვრები სომეხთა საზოგადოება, როგორც თავისუფალ საქართველოს ქვეშევრდომებს, მეტად გვალეღვებს აღნიშნული მდგომარეობა, რადგანაც ის მოვლენა, რომელიც მავნებელია საქართველოს რესპუბლიკისთვის, მავნელებელია და შემადრწუნებელი აგრეთვე სომეხთათვის...

მიიღეთ ყოველივე ზომები სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, და სომეხ-ქართველთა შორის სადავო საკითხების გადასაჭრელათ კონფერენციის და არბიტრაჟის საშუალებით“.

„საქართველო“, №244, 1918

* * *

„კასპიდან პარლამენტის წარმომადგენლებმა მიიღეს შემდეგი ტელეგრამა: ჩვენ, კასპის მცხოვრებლები, 260 სომხეთის მოქალაქე, გიცხადებთ თქვენ, საქართველოს რესპუბლიკის გლეხების საბჭოს წარმომადგენელთ, გულწრფელ თანაგრძობას, სომხეთის სახელმწიფოს მიმართ გამოთქმული სიძულვილის გამო, მათი უადგილო და არამეგობრული პოლიტიკის გამო, რომელსაც ის ახორციელებს ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის მიმართ. ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკისთვის, 260 ადამიანს გამოვყოფთ და გავწირავთ“.

«Тифлис», №93, 1918

პროვინცია

ბორჯომი.

„სტატისტიკური ცნობებით ჩვენ ვიცით, რომ 1896-1901 წლებში ზაფხულობით ბორჯომში საშუალო რიცხვით 4 ათასამდე მოაგარაკენი ჩამოდიოდნენ. გარდა ჩვენი სამშობლოს თითქმის ყოველ კუთხეებისა, ბორჯომს ესტუმრებოდნენ პეტერბურგიდან, კიევიდან, როსტოვიდან, ქაქავიდან, კავკასიდან, ყარსიდან, ბაქოდან, და ევროპოდანაც კი. დღევანდელ არევ-დარევის დროს, როდესაც სხვა ქვეყნების გზები დაკეტილია და ჩრდილო-კავკასიის კურორტები სამოქალაქო ომის გამო გაოხრებულია, საქართველო მყუდროების და შედარებით ცხოვრების ნორმალური პირობების მხრივ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს. ამიტომ, როგორც უკვე სჩანს, წელს ბორჯომს დიდძალი მოაგარაკენი ესტუმრებიან“.

„ერთობა“, №134, 1919

ზენსტაფონის ოლქი

სახალხო უნივერსიტეტი სოფლად

„საერთოდ ბევრს ლაპარაკობენ მდაბიო ხალხის გამოფხიზ-
ლებაზე, მის ზნეობრივად და გონებრივად განვითარებაზე,
მაგრამ ამ მხრით ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი გაკეთებულა
ქალაქებშიც კი, ხოლო რაც შეეხება სოფელს, იქ ხომ ამ შემ-
თხვევაში წარმოუდგენელი ჩამორჩენილობაა. ხალხის გასან-
ვითარებლათ ერთ საუკეთესო საშვალეზად უნდა ჩაითვალოს
სახალხო უნივერსიტეტი. ქალაქებში კარგათ არის იგი დაყე-
ნებული. სოფლათ კი ამ მხრით ჯერ არაფელი გაკეთებულა.
მაგალითი ამ მხრით (ღანირი სამტრედიაშია) ღანირ-ჭაგნის
თემმა მისცა სხვას.

ამ თემში ღანირის უმაღლესი და პირველ-ღანყებითი სას-
წავლებლების მასწავლებელთა ინიციატორობით გაიხსნა სა-
ხალხო უნივერსიტეტი. შედგენილია საკმაოდ ფართე პროგ-
რამა, რაც ხალხის კულტურულად განვითარებას დიდად წინ
წასწევს. განზრახულია ლექციების კითხვა მეცნიერების ყველა
ღარგიღან (ისტორიიღან, გეოგრაფიიღან, ფიზიკიღან, ბუნების
მეტყველებიღან, ლიტერატურიღან და აგრონომიიღან).

პირველი ლექცია შესდგა წარსული წლის 21 დეკემბერს. მას ძლიერ ბევრი მსმენელი დაესწრო. ლანირის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის გამგემ დომენტი ჩხაიძემ წაიკითხა ლექცია საქართველოს უძველეს ისტორიიდან, ქრისტიანობამდე. ლექცია მეტად შინაარსიანი გამოდგა, რის გამო ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა. ლექციის შემდეგ იმავე უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის გამგემ ირაკლი ნინიკაშვილმა გააკეთა ვრცელი მოხსენება მომენტზე. შემდეგ წაკითხულ იქნა სახუმარო სცენები. ლექციის წინ მასწავლებელთა გუნდმა, გიორგი წინვიძის ლოტბარობით მოხთენილად შეასრულა ეროვნული ჰიმნი და აგრეთვე რამოდენიმე ეროვნული სიმღერა, რასაც დამსწრე საზოგადოება ტაშის ცემით და ვაშას ძახილით შეხვდა.

ასეთი შინაარსით იქნება მოწყობილი ლექციების კითხვა თვეში ორჯელ. იმედია სხვა თემებში მსახური მონინავე ელემენტებიც წაბაძვენ ლანირის ინტელიგენციის მაგალითს“.

მასწ. ირ. ნინიკაშვილი.
„სოციალ-დემოკრატი“, №2, 1920

მუშათა შორის

„ტყიბულის მაღაროები. ვერ ვიტყვით, რომ დღევანდელ პირობებში საზოგადოთ მუშები უზრუნველყოფილი იყვნენ ყოველი მხრით, მაგრამ ამას კი ვიტყვით, რომ ასე უნუგემო მდგომარეობაში, როგორშიაც არიან მაღაროს მუშები, არა მგონია რომელიმე დარგის მუშები იყვნენ. ვის არ ახსოვს ტყიბულის მუშების ცხოვრებაში 1918 წელი? ჯერ კიდევ ბევრს ეხსომე-

ბა ის არევე-დარევა, ის უთავბოლო გაფიცვები და სხვა. მაგრამ განვლო დრომ. მუშაობა განახლდა, მუშებმაც ისწავლეს ფრონტი. თუ წინათ მონინავე ძველ მუშაკებს უნდობლად უყურებდნენ, დღეს მათ დიდის ნდობით შესცქერიან, მათ დაუკითხავად არავითარ ნაბიჯს არ დგამენ. და ასეთ დროს ვხედავთ, რომ მუშების ინტერესები ვერ არის დაცული. გამოსავალი გზა ვერ გვიპოვნია. ძველ გზას თუ დაადექი, ეს ისევ ძველ პირობებში ჩავვაყენებს. ისე კი არაფერი არ გამოდის.

მალაროს ადმინისტრაციას უნდა მიენოდებია მუშებისთვის დღეში 3 გრ. მჭადი. ჯამაგირები უნდა დარიგებულიყო ყოველ მეორე თვის თხუთმეტზე. უკიდურეს შემთხვევაში კი თვე და ოცდა ხუთ დღეში, დღეს კი ასე ხდება: მესამე თვე გადის და ჯამაგირი არა სჩანს. ამას კიდევ მოითმენდა კაცი, რომ მჭადი მიეცათ მუშებისთვის. თავიდანვე ეტყობოდა ამ მხრივ სისუსტე ჩვენს ადმინისტრაციას: მჭადი რომ გათავდებოდა, მერე დაუნყებდნენ ტომრებს ფერთხვას. ამ ბოლო დროს კი მთლად აირია სურსათის საქმე. ხუთ და ათ ფუთობით ეზიდებიან სიმინდს და ფუთში იხდიან 130 მ. და იმასაც ვერ შოულობენ. სენაკში საგანგებოთ გაგზავნილმა კაცმა ორ კვირაში მოიტანა მხოლოდ ორასი ფუთი სიმინდი, შემდეგ კი ისევ გაბრუნდა და როგორც მისი ნათქვამიდან ირკვევა, 200 ფუთი კიდევ შეიძინა და მისცა სენაკის სადგურზე, მაგრამ გადის აგერ 15 დღე და სიმინდი არა სჩანს. მუშების მეტი ნაწილი ოკრიბის მცხოვრებლებია, რომლებსაც სახლში სიმინდი იშვიათად მოეპოვებათ. ცოლშვილის გამოსაკვებათ თვით ყიდულობენ და მალაროში აბა რა უნდა მოიტანონ. საჭიროა ამას ყურადღებას მიაქცივედეს ინჟ. ციცოშვილი და სურსათის საქმეს მოაგვარებდეს“.

მართალი.

„ერთობა“, №146, 1919

ტყიბულის მაღაროებში

„ტყიბულის მაღაროებში მუშების გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე აგვისტოს 20-ს დაიწყო. მუშები მოითხოვდნენ შრომის ფასის 100% მომატებას: მაღაროებში მომუშავეებს უნდა მისცემოდა 8 საათის სამუშაო დღეში დიდებს 24 მან., ბავშვებს 18 მან., დამჭედავებს 30 მან., მაღაროების ზევით მომუშავეებს დიდებს 30 მან., ბავშვებს 16 მან. და დამჭედავებს 24 მან. ამას გარდა მუშები მოითხოვდნენ, რომ მთავრობას მიენოდებინა პური 2 აბაზად გირვანქა, საპონი 17 შაურად და სამუშაო მასალაც უკლებლივ მიენოდებინა დროზე. ტყიბულში როგორც ვიცით გაემგზავრა შრომის მინისტრის თანაშემწე ესაძე. მუშებმა მხოლოდ ერთი მუხლი დაუთმეს: მომატებული ფასი მიეცეს მათ აგვისტოს პირველიდან და არა ივლისის პირველიდან (როგორც წინად მოითხოვდნენ)“.

„ჩვენი ქვეყანა“, №160, 1918

ჭიათურა

(შრომის სამინისტროს საყურადღებოთ)

„ჭიათურის მრეწველები არასოდეს არ აქცევენ დიდ ყურადღებას თავიანთ მუშებს, მათ წარმომადგენლებს და საერთოდ მუშათა კანონმდებლობის ცხოვრებაში სისწორით გატარებას, მაგრამ ის გარემოება, რომ ეს ხდებოდა ძველი რეჟიმის დროს – თითქოს აბუქებდა მაშინ მუშების ამ მწარე ხვედრს

და მათი უფლებების მუდმივ ფეხქვეშ გათელვას ასე თუ ისე ურიგდებოდნენ. მაგრამ რევოლუციის შემდეგ, როდესაც ძველი, „ნეტარხსენებული“ დრო ისტორიას ჩაბარდა და მის ადგილას დამყარდა უალრესად დემოკრატიული რესპუბლიკა, – ასეთ დროს მეტათ აუტანელი ხდება ჩვენთვის ჭიათურის ზოგიერთი მრენველებისგან მუშათა უფლებისა და მათი წარმომადგენლის ასე აბუჩათ აგდება. ასეთი თავაშვებულობა მათ უკვე ჩვეულებათ გადაექცათ. ის გარემოება, რომ ჭიათურაში გყავს შრომის სამინისტროს რწმუნებული, რომელიც იმავე დროს მუშების წარმომადგენელიც არის, – საქმეს ვერ შველის და ყოველი უმნიშვნელო კითხვის ასე თუ ისე გადანყვეტადიდ დროს თხოულობს და ეს იმიტომ, რომ ბბ. მრენველები ასეთ რწმუნებულათ არ სცნობენ შრომის სამინისტროსა და რესპუბლიკის კანონებს. საჭიროა ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიაქციოს შრომის სამინისტრომ“.

„ერთობა“, №233, 1920

ზუგდიდის ოლქი

სახალხო მასწავლებლების გაფიცვა

„როგორც იტყობინებთან, გაფიცული არიან აბაშის, სენაკის, ფოთის, ბინძის და ძველი-სენაკის რაიონების სახალხო მასწავლებლები.

როგორც დეპეშიდან სჩანს შიმშილით დატანჯულ სახალხო მასწავლებლებს უკიდურესი ზომისთვის მიუმართავთ.

სახალხო მასწავლებელთა უმწეო მდგომარეობის შესახებ არა ერთხელ დანერილა.

სამწუხაროთ ვერც რევოლუციონურმა მთავრობამ შეამსუბუქა მასწავლებელთა აუტანელი მდგომარეობა.

სახალხო მასწავლებლები, რომლებიც სწორედ დიდ სამსახურს უწევენ რევოლუციის განმტკიცებას, ხალხში შეგნების შეტანით, ბუნებრივად სწორედ რევოლუციიდან მოელოდენ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქალაღზე მათ თითქოს მოუმატეს ჯამაგირები, მაგრამ ფაქტიურათ ისინი ისევ იმ მდგომარეობაში არიან, როგორც იყვნენ წინათ.

განა წარმოსადგენია ადამიანმა ასეთი ზღაპრული სიძვირის დროს 38 მანათით იცხოვროს?

წარმოუდგენელია, მაგრამ მასწავლებლებმა ესეც აიტანეს. სანამ ამის ფიზიკური შესაძლებლობა იყო. მათ ალბათ კარგად ესმოდათ, თუ რას ნიშნავდა გაფიცვის გამოცხადება ეხლანდელ პირობებში, მაგრამ, როგორც ეტყობა, შიმშილს თავისი უქნია. მათ გაფიცვა გამოუცხადებიათ. საჭიროა დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებულ იქნას სახალხო მასწავლებელთა სამართლიანი მოთხოვნებიანი“.

ნალმი.

„სოციალისტ-რევოლუციონერი“, №64, 1918

გერმანელები ფოთში

„ქალაქ ფოთის მთავარი კორძაია ეუბნება ხელისუფლებას, რომ 1 ივნისს ფოთში გავლით იყვნენ გერმანული დელეგაცია ფონ-ლოსოვიმის მეთაურობით, 5 კაციანი დელეგაცია. საღამოს მოინახულა ქალაქის სამმართველო, სადაც კარტოზიამ უმასპინძლა სტუმრებს. ქალაქის სამმართველოდან დელეგაცია წავიდა ქალაქის დასათვალიერებლად 7 საათამდე. გუშინ, როცა შედგა სააღლუმო ვახშამი, ვახშამზე, დელეგაციის უფროსმა ფონ-ლოსოვმა წარმოთქვა საქართველოს მთავრობის სადღეგრძელო და ახალგაზრდა ქართულ რესპუბლიკას გაფურჩქვნა უსურვა“.

«Кавказское слово», №115, 1918

ფოთის მუშათა სახლი

„აღმასრულებელ კომიტეტმა მოისმინა რა ფოთში გადამზიდავ მუშების მიერ მუშათა სახლის აშენების ცნობა, დაადგინა: მიმართოს მუშათა ორგანიზაციებს, რათა მათ ხსენებულ მუშებს ნივთიერ დახმარება აღმოუჩინონ დაწყებულ საქმის დასამთავრებლად. თუ სხვა დარგის მოსამსახურეებისთვის სახელმწიფოსგან დახმარება შესაძლებელია, სახალხო მასწავლებლისათვისაც ასე უნდა იყოს.

უმაღლეს დაწყებით და საშუალო სასწავლებლებმა წარადგინეს მოთხოვნები და ამ მასწავლებლებს, როგორც სხვა დარგის მოსამსახურეებს, დარაჯების გამოუტოვებლათ, 300 მანეთი „ვაზნა გრაჟდენიე“ ეძლევათ ყოველ თვიურათ, სანამ ჯამაგირები გაუდიდდებოდეთ. სახალხო მასწავლებელი რომ შეეკითხა სათანადო დაწესებულებას, ჩვენი ჯამაგირი არის თუ არა, უპასუხეს: ჯერ არ არის და როცა იქნება ჩვენ გაზეთში გამოვაცხადებთ, ჯერ წყაროს ვეძებთ, საიდან ვიშოვოთ. მეორე დაწესებულებას შეეკითხენ მასწავლებლები: 300 მანეთს იძლევა მთავრობა თვიურად „ვოზნაგრაჟდენიეს“ და ის მაინც მოგვაშველეთ, თორემ ლამის არის შიმშილმა ცოლშვილიანად გაგვწყვიტოსო. მათ უპასუხეს: ეს თქვენზე არ ვრცელდება, რადგან უწინდელი 400 მანეთი არ მიგიღიათ ერთ დროული დახმარება; მთავრობის განკარგულებით ეძლევათ 300 მანეთი იმათ, ვინც ითვლება სახელმწიფო სამსახურშიო.

ჩვენ გვგონია საქართველოს რესპუბლიკაში ვმსახურობთ და თუ ასე არ არის, გვიბრძანეთ, ვინ არის ჩვენი პატრონი და ვის ვემსახურებით? სახელმწიფოს ვერ გავეფიცებით, მთავრობა ღარიბია; ეს ღალატია. ხალხს რომ გავეფიცოთ, კალთას არავინ დაგვაგლეჯს, არავინ გვეტყვის, მობრძანდით თქვენი ქირიმე, ნუ დაგვლუპავთ, უსწავლელად შვილებს ნუ დაგვიყრი-

თო და რაც გნებავთ მოგართმევთო. მთავრობას ჩვენი ქკუის სწავლება არ უნდა, ის კარგათ უნდა იცნობდეს გლახობას. მასწავლებლის ღირსების დაცემა ხალხის თვალში ძლიერ მანებელია, ყველამ იცის ის მუშაობს, საქმეს აკეთებს, ის მშიერ-შიშველია, დახმარებას თხოულობს და მიეშველეთ“.

**„საქართველოს რესპუბლიკა:
მთავრობის მოამბე“, №181, 1920**

მუშათა შორის

„ფოთი. 9 ივნისს აქაური ხე-ტყის მუშებმა წარუდგინეს მწარმოებლებს ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული ეკონომიკური მოთხოვნებიანი: მუშები თხოულობდნენ დღიური ხელფასის მომატებას, აბანოს და გადადუღებულ წყალს. მწარმოებლებს ეძლეოდათ პასუხისთვის სამი დღე ვადათ. ამ ვადაში მწარმოებლებმა ნაცვლათ მუშების დასაკმაყოფილებელ პასუხისა შეთხზეს შრომის სამინისტროში გასაგზავნი განცხადება და მიმართეს ადგილობრივ მინისტრის რწმუნებულს, რომლის საშუალებითაც იქნა გაგზავნილი ეს განცხადება შრომის მინისტრთან და ასლი ამ განცხადებისა კი კავშირის გამგეობაში, რომლის შინაარსი მოგვყავს ან შემოკლებით. განცხადებაში მწარმოებლები ამბობენ, ჩვენ მივიღეთ მუშების მიერ მოთხოვნილება. ისინი თხოულობენ დღიურათ ათ მანეთის მომატებას და სხვა. ჩვენ არამც თუ შეგვიძლია არსებულ ხელფასზე მომატება, პირიქით, შექმნილი პირობების გამო იძულებული ვართ ძველ პირობებშიაც კი მუშაობა შევაჩეროთ და აი რატომ: ომის დაწყებისას ხე-ტყის მასალა დაუბ-

რკოლებლივით სალდებოდა შიგნით და გარეთ კავკასიასა და რუსეთში. დღეს კი იშვიათად სალდება ნებართვით საზღვარგარეთო. ადგილობრივით კი საერთო კრიზისის გამო ნაკლები მოთხოვნილება აქვს. 1914 წ. მუშებს ათი საათის სამუშაო ეძლეოდა 1 მ. 60 კ. მხოლოდ ერთი მხერხავი ოსტატი იღებდა დღეში 2 მ. 60 კ. დღეს კი 8 საათის მუშაობაში ეძლევა იმავე მუშებს 45-50 მან., და ასევე ეძლევათ ავანტიურების დროსაცო. აი აქ დაიწყო განცხადებაში სიცრუე. ისინი ამბობენ, ავანტიურების დროსაც ეძლევათო. აგრე არ არის. ავანტიურ მუშას ეძლევა მხოლოდ ოცი დღის განმავლობაში ნახევარი ჯამაგირისა და არა სრულიად.

მწარმოებლები ამბობენ, მუშებს ეძლევათ აბანოსა და გაზეთის ფულიო. აი აქ არ შემოიძლია არ შევნიშნო: თუ ეძლევათ აბანოს ფული, რატომ მოითხოვენ ახალ მოთხოვნილებაში. ნამდვილათ კი საქმე შემდეგში არის: ეძლევათ მუშებს რიცხვით ათ კაცს თვეში ხუთი მანეთი, რაც დღევანდელს დროში ერთსაც არ ყოფნის და ამის ხსენება მათთვის სირცხვილიც კი არის. ეს იყო მოგებული მუშების მიერ 1908 წ. და მას შემდეგ არის აგრე, მაგრამ დღეისთვის აბა რალა მოსახსენებელია. რაც შეეხება გაზეთს, ეს კი არის – თითო ეგზემპლარი, ყველა ქარხანაში. ამის შემდეგ ისინი ამბობენ, ჩვენს უმთავრეს წარმოებას შეადგენდა კლიოპკა, რომელიც გადიოდა რუსეთში, რომლის დასამზადებელს ხეს ვყიდულობდით 2-3 მანეთათ, რომელშიც გამოვიდოდა ოთხი კლიოპკაო. ეხლა კი ასეთივე ხეში ვაძლევთ დაახლოვებით 35-45 მან. და სხვ. დახევა თითო კლიოპკისა ჯდება ორჯერ 12-15 კ. ეხლა კი ჯდება 7-8 მან. ასეთივე შედარება მოყავთ სხვა საჭირო საგნებზედაც, აგრეთვე სწერენ განხადებაში, შარშან უფრო ძვირი იყო ყოველივე საწვავი, ვინმემ წელსო, აი ესეც მტკნარი სიცრუე არის. თურმე კაცს თუ დასჭირდა, მოწინააღმდეგისათვის ყველაფერს იკადრებს. შარშან ივანობის თვეში ფუთი ქადის ფქვილი ღირდა 50 მან., წელს კი 100-120 მან. ფასობს. ეხლა და მომავალში ვინ

იცის თუ როგორი იქნება. შარშან გირვანქა გამომცხვარი პური ღირდა 3 მან., ნელს 7-8 მან. ასეთივე მომატებულია ყოველივე სანოვაგე ხორცი, თევზი, ყველი და ლობიო.

მოისმინეს რა ზემოთ ჩამოთვლილი განცხადების მუხლები, მუშებმა დაადგინეს: ვინაიდან ჩვენ ნავაყენეთ მოთხოვნილება შესაფერისი და კრიტიკის ქარცეცხლში გატარებული, ამისთვის უკანასკნელათ ეცნობოს შრომის სამინისტროს რწმუნებულს და ცენტრალურ საბჭოს შესაფერი ზომების მისაღებათ, ვადათ კი მიეცათ მოლაპარაკებისთვის ერთი დღე, თუ ეს საშუალება ვერას გაანყობდა, იქნებოდა გადადგმული ნაბიჯი. ეს დადგენილება იქნა მაშინვე სისრულეში მოყვანილი, იქონია მოლაპარაკება რა მწარმოებლებთან შრომის რწმუნებულმა, მაგრამ მტკიცე უარით უპასუხეს, შემდეგ რწმუნებულმა მისცა წინადადება, რომ გაყოლოდათ მუშებს მომრიგებელს კამერაში, ამაზედაც უარი მიიღო. ჩვენ რა გვაქვს მუშებთან საკამერო, ჩვენ გვაქვს განცხადება შრომის სამინისტროში და რასაც დაადგენს სამინისტრო, ისე მოვიქცევითო. როცა არავითარმა მოლაპარაკებამ არ გასჭრა მათთან, მუშებს სხვა გზა რაღა დარჩენოდათ და გამოაცხადეს საერთო გაფიცვა. ეს აცნობეს შრომის რწმუნებულს. თუ ოდესმე მწარმოებლებს დასჭირდებათ ეს მუშები და განაგრძობენ კვლავ მუშაობას, იმ შემთხვევაში ჩვენ მოვითხოვთ კანონიერს ნაცთურსო“.

სიო ხაფთასი.

„ერთობა“, №144, 1919

სამეგრელოს ავტონომისტები?!

„საინტერესო ხანაში ვცხოვრობთ. ბევრი ისეთი მოვლენა, რომელიც უნინ გაკვირვებას და განცვიფრებას იწვევდა ჩვენში, დღეს არავის გაკვირვებას არ იწვევს. ქართულ ცხოვრებაში შემოიჭრა ისეთი მოვლენა, რომელიც, მიუხედავად ჩვენი ყოველგვარ მოვლენისადმი თითქოს შეჩვევისა, მაინც განცვიფრებას იწვევს.

რამდენიმე თვეა, რაც სამეგრელოში დაარსდა ერთი მცირე ჯგუფი, ნაციონალ-დემოკრატების მეთაურობით, რომელმაც დღეს უკვე დაიარსა თავისი საკუთარი პარტია „მაფალიუ“.

პირველ ხანებში, სანამ ამ ჯგუფს ჰქონდა მიღებული დღევანდელი სახე – „პოლიტიკური“ – ამ სტრიქონების დაძვინტყვა, როგორც ყველა ქართველი, თანაუგრძნობდა მას. და არც შეიძლებოდა თანაგრძნობით არ შევხვედროდი მის სიმპატიურ მიზნებს, რაიც შემდეგში გამოიხატებოდა: სამეგრელოს ყოფა-ცხოვრების, ენის, ზეპირ-გადმოცემათა და მისი მდიდარი ისტორიული წარსულის შესწავლა – როგორც ხედავთ, ნმინდა კულტურული მიზნები. მაგრამ, თანდათანობით, როცა ახალგაზრდობის ერთი ნაწილი დაინტერესდა ამ მიზნებით და მუშაობაც დაიწყო და ჯგუფიც საკმაოდ გაიზარდა, მისმა მეთაურებმა, სტეფანე გაგუას ხელმძღვანელობით, ფრთხილად და ოსტატურად მისცეს ამ მიმდინარეობას „პოლიტიკური“ ხასიათი. თავის, დღემდე ფარულ ზრახვებში ჩაიყოლიეს ბევრი ახალგაზრდობა, მიუხედავად მისი პარტიული შემადგენლობის სხვადასხვაობისა, „მაფალუს“ ერთი ნაწილი დღეს მოითხოვს კულტურულ-„ეროვნულ“ ავტონომიასა და სკოლებში მეგრული ენის სწავლის (!) შემოღებას, მეორე ნაწილი კი, არ კმაყოფილდებიან ამით და მოითხოვს ტერიტორიალურ-პოლიტიკურ

ავტონომიას! „მაფალუს“ ნევრებმა უკვე დაიწყეს სიარული ხალხში და წმინდა პროვოკაციული მუშაობა – ქართველ მოძმეთ შორის შუღლისა და მტრობის თესვა. სამეგრელოს ხალხი შორს არის ყოველგვარ „კუთხურ ნაციონალიზმისგან“, მაგრამ მის გარშემო ხელოვნურათ აბამენ ობობას ქსელს“.

შ. ჩოჩია
„ერთობა“, №141, 1919

ქ. ზუგდიდი და მენშევიკები

„ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერიან....

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენებური ე.წ მენშევიკები გამოღმა გვედავებოდნენ, სოციალისტობას თვის სპეციფიურ თვისებად ხდიდნენ და ერთად ერთ მუშურ პარტიის იარლიყით გვევლინებოდნენ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მათი, ამ ერთად ერთ სოციალისტურ პარტიის „აგენტები“ სოფლად და ქუჩა-ქუჩა დაძრწოდნენ და ხალხს, ვითომდა კლასობრივად რაზმავდნენ მტერთა წინააღმდეგ, და ყველაფერს ჰპირდებოდნენ. ისინი ტანჯულთა, დევნილთა, დაჩაგრულთა იერს იკრავდნენ და მშრომელთ ეუბნებოდნენ. – ხედავთ თქვენთან ერთ ტაფაში ვინვითო – ასეთი საშუალებებით ხალხის გული მოიგეს, დემოკრატია გადაიბირეს, კენჭი გამოსტყუეს.

ახლა კი გვევლინებიან „ბატონებად“ „პრიკაზებით“, რომელთა მახსოვრობიდან უკვე ამოშლილა მუშა ხალხის ხსენებაც კი! ეს გაბატონებული პარტია არ მალავს თავის აქამდის

ფარულ ზრახვებს და ნელ-ნელა ამაგრებს ბურჟუაზიის ბანაკს. მაგრამ თუ ეს საქმენი საგმირონი სხვაგან ხდება სიფრთხილით, ქ. ზუგდიდის მენშევიკები ისე გათამამებულან, რომ თუ გუშინ ქალაქის დემოკრატიას მისი ინტერესების დაცვას ჰპირდებოდნენ ქალაქის განახლებულ თვითმმართველობაში, დღეს ამავე თვითმმართველობაში სასახელო ბლოკი შეკრეს ამ დემოკრატიისავე მოწინააღმდეგე კლასთან, და ქალაქის მესვეურად ისევ „ძველები“ წამოასკუპეს.

ის ხალხი, რომელიც მუდამ ერთგულებას ეფიცებოდა დემოკრატიას და კენჭები გამოსტყუა, ქალაქის თვითმმართველობაში მის მოწინააღმდეგე კლასს, ბურჟუაზიას მხარში ამოუდგა და ვაჭრებისა და მემამულეების პარტიას თეთრი მისცა, ქალაქის ბედი ჩაუგდო ხელში.

ზუგდიდის ღარიბო ხალხო! შარშან მთელი წლის განმავლობაში შენ ჰხედავდი ქალაქის მაშინდელ „მესვეურთა“ მოღვაწეობას, ლეგალურ სპეკულიაციას, ხედავდი, თუ როგორ მოჰქონდათ თვითმმართველობის სახელით ჩარჩებს ესა თუ ის საქონელი და ერთი ორად ჰყიდდნენ, წელსაც ქალაქის სვე ბედი ისევ მათ ჩაუვარდათ, წელსაც „ისინი“ გათეთრდნენ თქვენი ხმებით, მუშებო! თქვენ შეგპირდნენ თქვენი ინტერესების დაცვას, თქვენთვის ბრძოლას, კენჭი გამოგტყუეს მენშევიკებმა და ამ თქვენის კენჭებით თქვენი მოპირდაპირე ქალაქის ბურჟუაზია გააბატონეს! ეხლა მაინც უნდა მიხვდეთ, თუ ვინ ყოფილან მენშევიკები და ვისი ინტერესს იცავენ ისინი; მოსთხოვეთ ამისთვის პასუხი ამ ხალხს და საჯაროდ გაჰკიცხეთ მათი მოქმედება“.

ს-ფედერალისტი
„სახალხო საქმე“, №498, 1919

სართიჭალის რაიონის სომხების განაჩენი

„1919 წელს 1 იანვარს, ჩვენ ამისა ქვემოთ ხელის მომწერელნი ქ. ტფ. მაზ. სართიჭალ. რაიონის, ს. ახალსოფელში მცხოვრებნი სომეხნი მივმართავთ გულის სინრფელით ჩვენი საქართველოს უმაღლეს მთავრობას მთელი ახალ-სოფელში მაცხოვრებელი სომხების ერთი თანხმობით შემდგარი განაჩენით, ვითხოვთ მთავრობის წინაშე, რათა გვიბოძოთ ნება ომში გასვლისა, სადაც ჩვენი მეზობელი საქართველო ომობს სომხეთის წინაშე, რადგან თუ მოგვცემთ ნებას, ჩვენი ცოცხალი თავით არა გვსურს საქართველოს ჩამოშორება, რომ სრულიად ვერ ვეთანხმებით სასომხეთს, რადგან ვართ გაჩენილი და გაზრდილი საქართველოში. ამისათვის ვითხოვთ თავმოხრით, რომ ნუ ჩამოგვაშორებთ ჩვენს ძმებს ქართველებს და თუ გვიბრძანებთ, ჩვენ მზად ვართ მტრის ველზე გასასვლელად...“

„შრომა“, №4, 1919

მუშათა შორის, ნავთლული

„30 მარამობისთვის შესდგა საერთო კრება კონსერვის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისა. თავჯდომარეობდა პ. ბოკერი. დღის წესრიგი იყო შემდეგი: 1) ახსნა და განმარტება კავშირის მნიშვნელობისა და მისი მიზნებისა. 2) არჩევა საქარხნო კომიტეტისა და 3) სხვა და სხვა კითხვები. ახსნა-განმარტების და კავშირის მიზნის გაცნობის შემდეგ კრება გადავიდა მორიგ

კითხვებზე. 4) საქარხნო კომიტეტის არჩევის შესახებ კრებამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთ ხმათ აირჩია საქარხნო კომიტეტში: ნეედლე ევგენია, კოროფკიბა ელენა და კაკუნაშვილი ზურაბი. მოხსენებიდან გამოიკვია: 1) ჯამაგირების თავის დროზე მიუცემლობა, 2) ქარხნის შეჩერების დროს ხაზინის მიერ ჯამაგირის არ მიცემა მუშებისთვის და 3) პურის მიუცემლობა არა სამუშაო დღეს. კრებამ დაადგინა ეთხოვოს, ვისაც ჯერ არს ყველა ამ კითხვების დადებითად გადაჭრა“.

მდივანი სექციისა პ. ბოკერია.
თბილისი, „ერთობა“, №230, გვ. 4, 10.10.1920
„ერთობა“, №230, 1920

თბილისის ოლქი

კავკასიაზე: მანგლისი

„ბევრი ნერვიულობა შეხვდათ ადგილობრივ მოსახლეებს იქ დაბინავებული, ფორმირებადი ელინური პოლკის გამო, რომლებმაც მიიღეს იქვე განთავსებული 117 ქვეითი პოლკის საკუთრება. ამ უკანასკნელის ჯარისკაცებმა გაძარცვეს „როტნიე ცეიხგაუზი“, ჯერ კიდევ იანვარში დატოვეს პოლკი და გაემგზავრნენ რუსეთში. ელინური პოლკის ჯარისკაცები ეხლა ღამლამობით იწყებენ სროლას და ცდილობენ სახელმწიფო ქონების ძარცვას და თავადვე გადააქვთ. პოლკის კომიტეტი ფაქტობრივად არ არსებობს და 130 ოფიცერი, რომელიც დარჩა რუსული და ახალი ელინური პოლკიდან, იქცევიან პასიურად და არ შეუძლიათ წესრიგის დამყარება. ადგილობრივი საშემსრულებლო რაიონული კომიტეტი იმედოვნებდა შეექმნა სახელმწიფო საკუთრების დაცვის საშუალება, რომლებიც დაბრუნდნენ ახლა პოზიციებიდან სახლში. ამას გარდა, გადანყვიტეს გაეგზავნათ თბილისში კომიტეტის წარმომადგენლები შუამდგომლობის თხოვნით რუსულ ნაციონალურ ბიუროს

კავშირში ან რუსულ კორპუსში. ასევე ცუდადაა პურის საქმე, რომელიც გაიცემა მოსახლეობაში შეზღუდული ულუფებით. ფქვილის მოსაპოვებლად მაცხოვრებლები მიემგზავრებიან ნალკაში, სადაც ყიდულობენ მას მაღალ ფასში ან ცვლიან რომელიღაც საქონელზე.

«Республика», №177, 1918

თელავის ოლქი

დავით გარეჯის უდაბნო მდებარეობს თბილისის მაზრაში...

„აი, ეს ძველი საუნჯე გასძარცვა ბრბომ, როგორც ამას წინადაც ვწერდი, წაიღეს დიდძალი ოქრო, ვერცხლის ნივთები, დიდძალი სპილენძეულობა, რამდენიმე ათეული ფუთის წონისა. გადარჩა სულ რამდენიმე სახარება და ვერცხლის ჯვრები. თავის დროზე, როცა კანტიკუნტად გაჩნდა თათართაგან რბევა-გლეჯა და ავაზაკობა, განვუცხადე ჩემს მთავრობას, წამოელოთ და მუზეუმში დაეცვათ ეს სიმდიდრე, მაგრამ ამაოთ და აი დღეს ეს სიმდიდრე დატოვებული ჩვენთა წინაპართაგან, დაიკარგა იმ დროს, როდესაც ასე ძვირფასია ჩვენი ერისთვის ყოველივე ქონება. დღევანდელ ფასებში ეს სიმდიდრე თითქმის ერთ მანეთს უდრის და ეს სიმდიდრე თუნდა დღევანდელ საერო საბჭოს მოხმარდებოდა, დიდი საქმე გაკეთდებოდა“.

**წინამძღვარი დავით გარეჯის უდაბნოსა,
მღვდელ-მონაზონი გერმოგენი.
„საქართველო“, №19, 1918**

ჟურნალისტის დღიური „კახელები“

„საქართველოს რკინის გზები ნამდვილი „ტრიშკინ კაფტანი“ გახდა. ერთ ადგილას რომ ცოტათი მოწესრიგდება საქმე და მართვა-გამგეობა ცოტად თუ ბევრად წესიერ კალაპოტში ჩადგება, მეორე ადგილას გამოჩნდება უხეირო ნაფლეთი და ახლა იმის კერებას უნდება ადამიანი. ბევრი დავი-დარაბის შემდეგ პრინციპულად გადასწყდა რკინის გზის პროფესიონალურ ორგანიზაციებს ადმინისტრაციული ფუნქციები ჩამოერთვას და დამყარდეს ისეთი წესები, რომლებიც შესაძლებლად გახდინან რკინის გზის ნორმალურ მუშაობას.

მაგრამ ეს გადაწყვეტილება, თურმე, კახეთის რკინის გზის კომიტეტისთვის სავალდებულო არა ყოფილა. კახეთის რკინის გზაზე კომიტეტს თავისებური, ერთგვარი რესპუბლიკა გამოუცხადებია, რომლისთვისაც არც მთავრობის განკარგულებას, არც რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობის დადგენილებას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონია. საქართველოს რესპუბლიკის სახაზინო გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობის გაზეთში „თავისუფალ გზა“-ში ერთი ფრიად დამახასიათებელი წერილია დაბეჭდილი. კახეთის რკინის გზის კომიტეტი შეკრებილა, ბევრ „ბრძნულ“ საკითხზე უმსჯელნია, აღმოუჩინია, რომ კახეთის რკინის გზა ჯერ არ „გაუნმენდიათ საეჭვო პირებისაგან“ და ამიტომ დაუდგენიათ: „მიიღო რა ყველა ზემოდ თქმული მხედველობაში, მთავარმა კომიტეტმა გადასწყვიტა, განაგრძოს (ჯერჯერობით) მუშაობა ძველებურად, ისეთსავე უფლებებით აღჭურვილმა, როგორითაც იყო დღემდის, რომ ამით დაცულ იქმნეს გზაზე წეს-რიგი, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს მთავრობას ანარქიასთან ბრძოლაში და დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებაში“.

მეტის-მეტად მხიარული ხალხი ყოფილა ეს „კახელები“! ამასთანავე ერთად ორიგინალური წარმოდგენა ჰქონიათ ანარქიაზე. იმათ ალბათ ჰგონიათ, რომ ანარქია მხოლოდ მაშინ არის, როდესაც ვაგონები ერთმანეთს ეხეთქება და იმსხვრევა, ქუჩაში თოფის გრიალი ისმის და სხვა.

არა, ბატონებო! თვით თქვენი დადგენილება უკვე ანარქისტული დადგენილებაა. როდესაც მთავრობას ერთი გადაწყვეტილება გამოაქვს და თქვენ კი მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, ეს უკვე თავის თავად ანარქიაა, ქაოსისა და არეგ-დარევის გამომწვევი.

მთავრობა ვერასოდეს ვერ მიაღწევს თავის დანიშნულებას, ვერასოდეს ვერ დაამყარებს წესიერებას და ვერ განამტკიცებს რესპუბლიკას, თუ არ მოჰხდა სრული კოორდინაცია ყველა სახელმწიფო აპარატის მუშაობისა. მაგრამ როგორ და რანაირად უნდა მიაღწიოს მთავრობამ ამ კოორდინაციას, თუ მისი დადგენილებანი და განკარგულებანი სულ არ აასრულებს, მეორე ადგილას ნახევრად აასრულებს, მესამე ადგილას თავისი ნებით შორეული დროისთვის გადასდეს, მეოთხე ადგილას კი პირდაპირ მის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

ეს სახელმწიფო კი არა ბაბილონის გოდოლი იქნება. საათის მექანიზმის ერთ რომელიმე ნაწილს ვერ შეუძლიან თავისი ქკუაზე ატრიალდეს. ყოველმა ვინტმა თუ თავისი დანიშნულება არ შეასრულა, საათი აუცილებლად დადგება, სახელმწიფო მექანიზმიც ერთმანეთთან შეთანხმებული ნაწილებისგან შესდგება. ამიტომ, როდესაც მხიარული კახელები ამბობენ, მთავრობამ რაც უნდა დაადგინოს, ჩვენ მაინც ჩვენებურად მოვიქცევით და ამით ხელს შევუწყობთ მთავრობის მუშაობასაო, ეს ან მათს სრულს გაუგებრობას უნდა მიენეროს, ან ბოროტ განზრახვას.

მაგრამ, რაკი ზემოხსენებულ გაზეთში „განწმენდაზე“ ლაპარაკობენ, ჩვენ იძულებულნი ვხდებით ვიფიქროთ, რომ აქ სულ სხვაგან არის ძალის თავი ჩამარხული. კახეთის რკინის გზაზე, ალბათ, ჯერ ვერ მოასწრეს თავიანთი „ერთადერთი“

პარტიის წევრების მექანიკური გამრავლება. ეს ისეთი მოტივია და ისეთი წინააღმდეგობა მთავრობისა, რომლის გულისთვისაც „ჯერჯერობით“ შეიძლება სახელმწიფოებრივი პრინციპი დავივიწყოთ და იქნება ზოგიერთ პირთა მადლობაც დავიმსახუროთ“.

შინაური
„სახალხო საქმე“, №359, 1918

ს. ხაშმი

ს. ხაშმის თეატრში წარმოდგენილი იქმნა შემდეგი პიესები: 1 სიკვდილი ჩრდილოეთში; დრამა ერთ მოქმედებად ს. ერთან-მინდელისა; 2. გაჭირვებული სტუდენტი, ვოდევ. 4 მოქმედებად ერ. ბილანიშვილისა. 3. ქართველი სტუდენტები. კ. 1. მ შ. გომართელისა.

შემოვიდა 2600 მანეთი, რომლიდანაც 1000 მან. გადაეცა ბიბლიოთეკას და 1000 მან ერ. ბილანიშვილის პიესის გამოსაცემად; და 600 მან გადაეცა ხაშმის თეატრს.

„საქართველო“, №122, 1920

ლეჩხუმ-საბერძნის ოლქი

ზემო სვანეთი.

„დღიდან რევოლიუციის გამოცხადებისა, ზემო სვანეთიც ჩაება რევოლიუციის ფერხულში. ადგილობრივ მასწავლებლების თაოსნობით სოფლებში არჩეულ იქნა სასოფლო კომიტეტები, რომელნიც უდგნენ სათავეში სოფელს, სარაიონო კომიტეტის არჩევამდე. მიმდინარეობდა სვანეთის ცხოვრება მანამ, სანამ არ გამოცხადდა დიდებითა თავისათა ამბროსი პირველი. ამბროსი პირველი შემოვიდა სვანეთში ვითარცა პროპაგანდისტი ნაციონალ-დემოკრატების. მისი პირველი სიტყვა სვანებისადმი იყო სოციალისტური პარტიების ლანძღვა-გინება, ისე განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატების.

„სოციალ-დემოკრატებს უნდათ კერძო საკუთრების მოსპობა, სოციალ-დემოკრატებს უნდათ ნათესაობის და სარწმუნეობის მოსპობა“, ეუბნებოდა ამბროსი სვანებს. როგორც უცოდინარი ხალხი, უჯეროდა ამბროსი პირველს რა, წყევლ-კრულვას უგზავნიდენ სოციალ-დემოკრატებს.

აგრეთვე პროპაგანდაში დიდ დახმარებას უწევდენ ამბროსის მღვდლები. სოციალისტებისაგან სარწმუნეობის მოსპობით აშინებდენ ხალხს და ხალხიც როგორც „ღვდელთ-მორწმუნე“, მიყვებოდა მათ კვალს.

ამას გარდა ამბროსიმ დიდათ წააქეზა სვანები სახაზინო მთების დაბეგვრაში, სადაც მეგრელებს ყავდათ ჯოგი. ეცემოდენ სვანები მეგრელებს. ცარცვაედენ და სჩადიოდენ ათასგვარ ყაჩაღობას. არც მეგრელებს აყრიდენ ხეირს. ცარცვა გლეჯა ახლაც დაუნყნარებელია მეგრელებს და სვანებს შორის.

აგრეთვე ამბროსიმ თავი ისახელა როგორც თოფებით მოვაჭრემ. მარტო ჩოლირში აქვს გიყიდული ორმოცამდე თოფი (ვინტოვკა). ქუთაისში ათას-გვარ ნასტრაჟნიკალ ხულიგან სვანებს უშოვნა თოფების მონმობები და შემდეგ დაარიგა „არავის არ უთხრათო“. აი სწორეთ კერძო საკუთრების ჩაბლაუჭებით, ადგილობრივ მღვდლების დახმარებით მიემხრო ამბროსის პარტიას პირველი ხანებში ხალხი.

მაგრამ როგორც ნათქვამია ტყუილს მოკლე ფეხი აბიაო, ამბროსი პირველის „ცრუ პროპაგანდასაც“ მალე მოტყდა ფეხები, დამფუძნებელ კრების არჩევნებმა ყველაფერი ცხადყვეს, ვის უფრო მიყვება ხალხი და ვის უფრო. ამის შემდეგ ამბროსიმ მიატოვა თავისი „სამშობლო“ ზემო სვანეთი და გადმოვიდა ლექსუმში ვითარცა „რევოლიუციონერი“, სადაც თავის ხულიგურ მოღვაწეობას განაგრძობს!“

– *ცეცე*
„სოციალ-დემოკრატი“, № 345, 1918

სვანეთის დელეგაცია

„თებერვლის თორმეტს სვანეთის დელეგაცია წარუდგა საქართველოს რესპუბლიკის თავჯდომარეს. სვანეთის დელეგაციის თავჯდომარემ ეგნატე გაბლიანმა მას მიმართა შემდეგი სიტყვით: „უპირველეს ყოვლისა ნება მოგვეცით მოგესალმოთ მთელი სვანეთის სახელით. ჩვენ მუდამჟამს თავისუფლების მოტრფიალე ქვეყნის შვილები, თქვენ ამ თავისუფლების საუკეთესო დარაჯს და ჩემებრ ჩაგრულთ ინტერესების დამცველს. თქვენ ბედმა გარგუნათ მრავალ ტანჯულ საქართველოს მონობისაგან განთავისუფლების ჟამს გამხდარიყავით თავისუფალ საქართველოს შექმნის საძირკველად და გისურვებთ შესძლოთ საქართველოს იმ გზაზე დაყენება, რომ მან იარსებობს მომავალში სახელოვანად.

უძველეს დროიდან კავკასიის მთებს შუა მომწყვდეული სვანები ამ ბოლო დროს ერთობ ჩამოვრჩით ცხოვრებას, არსებულ ადგილობრივ ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობების წყალობით ვხედავთ იმასაც, რომ ამისთანა დროს მთავრობამაც ვერ მოგვაქცია ჯერჯერობით ჯეროვანი ყურადღება და ამიტომ ჩვენ თვითონ ჩამოვედით მის საძებრათ და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გასაცნობად...

დღეს, როდესაც მონობის ბორკილები დაიმსხვრა და თავისუფლების მზემ სვანეთსაც მოჰფინა თვისი მადლიანი სხივები, ჩვენც გვინდა დარაჯად დაუდგეთ თავისუფლებას და თქვენთან ერთად ვიბრძოლოთ მის მტრების წინააღმდეგ. ამიტომ გთხოვთ აწი მაინც ყურადღება მიაქციოთ კავკასიის ამ შვეიცარიათ წოდებულ არწივის კუთხეს, პატრონობა გაუწიოთ მას და გამოიყენოთ ჩვენი ერის საკეთილდღეოთ ეს ჯანსაღი და გაუხრწნელი ხალხი და სვანეთის მრავალგვარი ბუნებრივი სიმდიდრე“.

„შრომა“, №38, 1919

ზემო სვანეთის დელეგაცია მთავრობის წინაშე

„12 თებერვალს სვანეთის დელეგაცია წარუდგა მთავრობის თავმჯდომარეს ბ. ჟორდანიას. დელეგაციის თავმჯდომარე გაბლიანმა მისასალმებელ სიტყვით მიჰმართა:

„ნება მოგვეცით მუდამ თავისუფლების მოტრფიალენი მოგესალმოთ სვანეთის სახელით.

თქვენ ბედმა გარგუნათ საქართველოს აღდგენაში ბელადობა და გისურვებთ, რომ შესძლოთ საქართველოს იმ გზაზე დაყენება, რათა მან იარსებოს მომავალში სახელოვნად.

უძველეს დროიდან კავკასიის მთებ შუა მომწყვდეული სვანები ამ ბოლო დროს ჩამოვრჩით ცხოვრებას, არსებულ ადგილობრივ ბუნებრივ და გეოგრაფიული პირობების წყალობით. ვხედავთ იმასაც, რომ ამისთანა დროს მთავრობამ ვერ მოგვაქცია ჯეროვანი ყურადღება და ამიტომ ჩვენ თვითონ ჩამოვედით მის საქებრად და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გასაცნობათ.

მართალია, ჩვენ დავშორდით დანარჩენ ქართველებს მე-7 საუკუნეში ქრისტეს შობამდე მცირე აზიაში, მაშინ როდესაც არულებთან ორასი წლის განმავლობაში განუწყვეტელი ბრძოლით დაქანცული ქართველები კიმირიელებისა, ბაზარებისა და სხვა ველური ხალხის შემოსევის წყალობით იყვნენ აყრილნი და დევნილნი, მაგრამ მრავალი ისტორიული საბუთები მოგვითხრობენ, რომ სვანები როგორც მანამდე აგრედვე იმის შემდეგაც ყოველთვის საქართველოსთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ჭირში და ლხინში. ამას სხვათა შორის გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს მეფეებს ყოველთვის დიდი ყურადღება ჰქონდათ სვანეთზე მიქცეული და სვანებიც მათი ერთგულნი ქვეშევრდომნი იყვნენ. მაგალ. დავით აღმაშენებელმა დაიწყო სვანეთში ეკლესიების აშენება და ქრის-

ტიანობის გავრცელება. თამარ მეფის მამის დროს სვანებმა შანძე შანშე დადიანის მეთაურობით აიღეს სომხეთის სატახტო ქალაქი ანისი.

თამარ მეფე, რომლის სახელიც სილამაზისა და დიდების შარავანდედით არის შემკული სვანეთის მესსიერებაში, იყო ჩვენი მწყალობელი. მან ბევრი ტაძრები ააგო სვანეთში და მრავალი ხატ-ჯვარით შეამკო ისინი. ამიტომ გიორგი რუსის ჩაგონებით თამარის მსახურთ უზუცესის ვარდან დადიანის მიერ თამარ მეფის საწინააღმდეგოდ აჯანყებულმა სვანებმა თვით გიორგი რუსი დაიჭირეს და ხელ-ფეხ შეკრული თამარ მეფეს მიუყვანეს.

მეექვსე საუკუნეში კოლხებისა და სვანების შეერთებული ლაშქარი ერთად ებრძოდნენ სპარსელებს, აიღეს ქალაქი პატრა და დაანგრის ციხე საძირკველებამდე. ამისთანა საარაკო იერიშები მტრის წინააღმდეგ სვანებს მრავალჯერ მიუტანიათ.

მრავალი ხარ-ჯვარი, ძველი ხელთნაწერები და სხვა საეკლესიო სიმდიდრე და ის ძველი ნაშთები, რომლებიც სვანეთმა დღემდის დაიცვა და შეუნახა საქართველოს, არიან საუკეთესო მონაშეს სვანებისა და დანარჩენ ქართველების ერთიანობისა და მათი ბრწყინვალე წარსულისა.

დღეს, როდესაც მონობის ბორკილები დაიმსხვრა და თავისუფლების მზე სვანეთსაც მოეფინა, ჩვენც გვინდა დარაჯად დავუდგეთ თავისუფლებას და თქვენთან ერთად ვიბრძოლოთ მის მტრის წინააღმდეგ. ამიტომ გთხოვთ ახლა მაინც ყურადღება მიაქციოთ მას, პატრონობა გაუწიოთ მას და გამოიყენოთ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ ეს ჯანსაღი ხალხი და სვანეთის ბუნებრივი სიმდიდრე“.

შემდეგ დელეგაციამ წარადგინა მოხსენება, რომელშიც წამოყენებულია შემდეგი:

- 1) სვანეთი ოდესღაც კულტურის მატარებელი ყოველთვის ყოფილა განუყრელი ნაწილი საქართველოსი და დღესაც მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას, რომლის განმტკიცებისთვის იგი მზად არის თავიც შესწიროს.

- 2) ეთხოვოს უმაღლეს მთავრობას, რათა მან სვანეთში თავის წარმომადგენლებისგან შემდგარი კომისია გამოგზავნოს, რომელიც ადგილობრივ გაეცნობა ყოველ მხრივ სვანეთის მდგომარეობას, ხალხსაც აუხსნის მთავრობის მოთხოვნილებებს და ამ კომისიასვე მიენდოს სვანეთის იარაღის აყრის საქმე
- 3) ზოგიერთ ახალგაზრდა სვანებს ბრალი ედებათ მეზობელ ხალხისაგან საქონლის მოტაცებაში. ეთხოვოს მთავრობას ეპატიოთ იმ პირებს, რომელნიც დაზარალებულებს შეურიგდებიან და დააკმაყოფილებენ მედიატორულ წესით.
- 4) ეთხოვოს მთავრობას, რომ სვანეთს მისცეს ნება მედიატორული წესით მორიგებისა, ვისთანაც უკმაყოფილება აქვთ ამა თუ იმ საქმეზე.
- 5) ვინაიდან სვანეთი მონყვეტილია უგზო-უკვლობის გამო კულტურულ ცენტრს, რომლის მიზეზითაც ყოველგვარი კულტურული წარმატება შეუძლებელია – ეთხოვოს მთავრობას, რაც შეიძლება მოკლე ხანში სვანეთში იქნეს გაყვანილი გზები – უმთავრესი ფაქტორი ალებ-მიცემობისა და კულტურისა. სვანეთი ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია, უეჭველია გზების გაყვანა ხელს შეუწყობს სიმდიდრის გამოტანას და ცენტრთან გაერთიანებას.
- 6) მსაჯულის ადგილობრივ უყოლობისა გამო სვანეთი ვერ შეეგუა კანონებს და თავისებურათ განაგრძობს თავის დაკმაყოფილებას, ამიტომაც გახშირდა სისხლის ალება. მეტისმეტად საჭიროა სვანეთში მუდმივად იყოს 2 მსაჯული.
- 7) ეთხოვოს მთავრობას, რათა ნება დართოს სვანეთმა თავის მხრით სამი წარმომადგენელი აირჩიოს დამფუძნებელ კრებაში“.

„საქართველო“, 1918

მწერების მღვათ

სოფ. ზემოთავსურები (გურია)

„აქ არსებობს სამკითხველო, ორი ორკლასიანი სამინისტრო შკოლა, საფერშლო პუნკტი და ამ ბოლო დროს გახსნეს ტელეგრაფის განყოფილება; მათ დაარსებაში დიდი შრომა მიუძღვის ადგილობრივ მცხოვრებს მაკარი კიკვაძეს. მცხოვრებლებიცი კი დიდის აღფრთოვანებით ეგებებიან ყოველივე კულტურულ დაწესებულებებს. ხალხი დიდათ მონდომებულია, რომ რამე ნაირათ გადიყვანონ ხაზინის ხარჯზე ზემოხსენებული საფერშლო პუნკტი. ხალხი დიდ კრიზისს განიცადის ყოველივე მხრით და საფერშლო პუნკტს და სხვ. სჭირია დიდი ხარჯი. ვიმედოვნებთ, რომ მთავრობაც გადაიტანს პუნკტს სახაზინოთ.

როგორც ზემო ვსთქვით, აქ არსებობს ახლად გახსნილი ტელეგრაფის განყოფილება. რადგანაც ხარჯი მოხელეების ჯამაგირის გარდა, უნდა გადიხადოს საზოგადოებამ, (სულ სურების საზოგადოებაში არის სამი განყოფილება) და საზოგადოებას

კი არ აქვს ამის ღონე, ჩვენ ვურჩევდით მოეხსნათ აპარატები ცენტრის გარდა და დაედგათ ტელეფონები, რადგანაც ტელეფონებს არ სჭირია დიდი ხარჯი. მასთან მოხელეები ჯერ-ჯერობით განიცდიან კრიზისს უსურსათობის გამო. სურების საზოგადოებას ერთი დიდი ნაკლი აქვს – მას სავსებით არ უვარგა გზა და იმედია, რომ გზაც მალე გაკეთდება ერობის წყალობით“.

„სოციალ-დემოკრატი“, №432, 1918

ქალთა სასახელო მუშაობა

„ს. სამებაში (გურია) დაარსდა ქალთა წრე, რომლის წევრების რიცხვი ჯერჯერობით ოთხმოცამდის აღის. მან დაისახა მიზნათ უმთავრესათ თვით განვითარება და სხვა და სხვა ხელობის შესწავლა. მან გამოყო აგრეთვე თავის წრიდან მოხალისენი თოხით მომუშავეებისა 35 წევრი, რომლებიც უმუშა ხელოთ დარჩენილ ყანებში უფასოთ თავიანთი ხარჯით მუშაობენ და ბევრი ყანებიც დაიმუშავეს. ჯერ ბევრს ეს მოვლენა ეუცხოვა, მარა შემდეგში ყველას სიმპათია და თანაგრძნობა დაიმსახურა“.

„სოციალ-დემოკრატი“, №348, 1918

გურიის მუშათა ასოციაცია.

„რევოლუციის პირველ დღიდანვე მთელი დაქირავებული ძალა გურიისა დაირაზმა მუშათა კავშირებში, რომლებიც სუსტი იყო კლასიური თვითშეგნებით და აგრეთვე რიცხვით მცირე არ წარმოადგენდა მძლავრ ორგანიზაციას. მთელი მაზრა დაყოფილი იყო პირველათ სხვადასხვა რაიონებათ, მაგ: ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სუფსის, ხიდისთავის და სხვა, რომელთაც შორის დიდხანს არავითარი კავშირი არ არსებობდა, მხოლოდ შემდეგ, როდესაც თითოეულმა მათგანმა იგრძნო შეერთების საჭიროება, გაიჩინა ერთი ორგანო, რომელმაც უნდა უპატრონოს ყველა რაიონების პროფ. კავშირებს და გაუწიოს მას საერთო ხელმძღვანელობა. სწორედ ამ მიზნით მთელი მაზრის დაქირავებულ ძალების შესაერთებლად და ორგანიზაციული კითხვების გადასაჭრელად, ბოლო დროს მოხდა ყრილობა, ოზურგეთში დაესწრნენ ამხანაგები ოზურგეთიდან, ჩოხატაურიდან, ლანჩხუთიდან, სუფსიდან და სხვა. ბევრი პრაქტიკული კითხვები გაირჩა ამ კრებაზე. ამხანაგები გაეცნენ ორგანიზაციულ კითხვებს. ამორჩეულ იქნა დროებითი გურიის მუშათა ასოციაციის ცენტრ. კომიტეტი, ფართო ყრილობის მონწევამდე, რომელსაც მიენდო გადაჭრილ კითხვების ცხოვრებაში გატარება. ამორჩეულ კომისიას ყრილობამ ნდობა გამოუცხადა, რომელმაც უნდა მოაწყო საავათმყოფო კასების საქმე გურიის დაქირავებულ მუშათა შორის. ვუსურვებთ მუშათა ცენტ. კომიტეტს მეტ საქმიანობას კავშირების სასარგებლოდ“.

პ. ლესელი

„ერთობა“, №246, 1918

ქართველ ერს

ქართველებო, ისმინეთ ხმა გურიისა!

ისმინეთ დედა-სამშობლოს კენესა-ჩივილი.

„ჩვენს ქვეყანას ასეთი განსაცდელი ჯერ არ უნახავს, ჩვენ გვყავდა მეფე თვითმპყრობელი, აღარ გვყავს, მოვიშორეთ. ჩვენ გვყავდა სამამულო თავადები, მათ მიწებზე მათთვის ვმუშაობდით; აღარ გვყავს და მიწა ჩვენს ხელში გადმოვიდა. დღეს კი თავისუფლები ვართ. ამ საერთო თავისუფლების მოპოვებას რუსეთის დიდი რევოლუციის დროს ქართველებს დიდი ღვაწლი მიუძღვით. სამაგიეროდ რუსეთის ბოლშევიკებმა ოსმალეთის სულთანს, ოსმალეთის თვითმპყრობელ მეფეს, ფემქაშად მიართვეს ამიერ-კავკასიის კარი – ყარსი და არდაგანი, საქართველოს ვაჭრობის თვალი ბათუმი და ზედ დაურთეს ჩვენი ძმების სამშობლო აჭარა-ქობულეთი. ეს კუთხე მესხეთისა, ჩვენი სიამაყე შოთა რუსთაველის აკვანია, მესხეთში ანთო კულტურის აკვანი, ეს ლამპარი ოსმალეთმა ჩააქრო.

ცხადია, როცა აჭარა-ქობულეთში ოსმალთა გაბატონდება, იქ ის შემოიღებს თავისებურ მართვა გამგეობას – ბეჭეებს მისცემს ფაშობას, ხალხს კვლავ დაიმონებს და მოგვისევს. მადა გახსნილი ოსმალთა არ დაყაბულდება ბათუმსა და ბათუმის ოლქს და ის წაეპოტინება საქართველოს სხვა კუთხეებსაც.

გურია, როგორც ერთი კაცი, ყველა დადგება საზღვარზე და სანამ პირში სული უდგას მომხდურ, ვერაგ მტერს ზურგს არ უჩვენებს... მოგიწოდებთ თქვენ და გეუბნებით:

ერთი ყველასათვის, ყველა კი თავისუფლებისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ან ერთად გმირულად სიკვდილი, ან ერთად ბრწყინვალე გამარჯვება.

აღსვდგეთ ძმებო, აღსვდგეთ ქართველნო და მტერს დაეუმტკიცოთ, თუ რის მქნელია გაღვიძებული ერი.

გურია მოელის თქვენს პასუხს.

რევოლუციისა და სამშობლოს დაცვის გურიის კომიტეტი“.
„საქართველო“, №57, 1918

საჭამიასერის რაიონი

„შაბათს, 22 თებერვალს საჭამიასერის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში მოხდა ახალგაზრდა მარქსისტთა მორიგი კრება; თავმჯდომარეთ იქნა არჩეული შ. ჭილაძე, მდივნათ გ. ქორიძე. მცირე საკითხების გარჩევის შემდეგ, ხსენებულ სასწავლებლის მასწავლებელი დ. ნ. დუდუჩავა არკვევს მარქსიზმის დედა აზრს, ეხება სხვა და სხვა პოლიტიკურ კითხვებს და საერთოდ სოციალ-დემოკრატების პროგრამას. დუდუჩავამ შინაარსიანად დაასურათა ზემოხსენებული კითხვები, რომელიც წამოყენებულ იქნა ახალგაზრდებისგან. ილაპარაკა თითქმის ნახევარი საათი. დასასრულ მოხსენებისა, კრება ეხება სხვა და სხვა ორგანიზაციულ კითხვებს“.

„სოციალ-დემოკრატი, №50, 1919

პროვინციის ცხოვრება სოფელი ხიდისთავი

„ამ სოფელს მკითხველი საზოგადოება კარგათ იცნობს. არა ერთხელ და ორხელ აწერილა გაზეთებში მისი ავლა-დიდების „ხოტბათა შესხმა“. მაგრამ თუ საკითხს და საზოგადოთ რეალურ მხარეს განვიხილავთ, მისი წინ მსვლელობებისას, დავინახავთ, რომ ის არც ისე უნაკლოა, როგორც ეს ბევრს წარმოუდგენია. მოგეხსენებათ, ხსენებულ სოფელში ორი წელიწადია, რაც უმაღლესი, პირველ დანყებითი სასწავლებელი არსებობს. ამ სასწავლებელს აქვს თავის მწვავე ისტორია, მაგრამ მისი დადებითად აქ მოყვანა ყოვლად შეუძლებელია. მისი კეთილდღეობისთვის უნდა ითქვას, რომ მართლაც ზოგიერთ პიროვნებებს დიდი შრომა და ენერგია მიუძღვით. როგორც ყოველი, ისე ამ სასწავლებლის მართო დაარსება კი არ ყოფილა დიდი საქმე, არამედ მისი შენარჩუნება, მისი სახეს განმტკიცება და მოსწავლე ახალგაზრდობის ევოლიუციისკენ გაქანება. ბევრს ქონდა ასეთი იმედი, რომ მართლაც ეს სასწავლებელი თავის სიმალლეზე იდგომებოდა, მაგრამ ეს ასე ვერ შესრულდა. მართალია, სწავლა დაიწყო და კიდევ მოწაფე ახალგაზრდობა კარგათ კიდებს მაცადინობას ხელს, მაგრამ აქ მოისუსტებს მეორე მთავარი მამოძრავებელი ძალა. ეს ძალა გახლავთ მასწავლებლები, რომლებიც და განსაკუთრებით, რომელთა ნაწილი უმოქმედობას შეუპყრია. ვერ ნახავთ ვერც ერთ მოწაფეს, რომ მისი პირიდან არ ისმოდეს საშინელი და სამარცხვინო ოსტრობა ზოგიერთ მასწავლებლებისადმი. ეს კი შეუწყნარებელია. ისედაც პატარა სოფელში, სადაც ყოველი კულტურული დაწესებულება ძველათ იდგა თავის სიმალლეზე, დღეს რომ დალუპვის გზას დაადგეს – ეს ერთობ მოუტყვებელი ცოდვა იქნება ამ პირთათვის, რომლებიც მას განაგებენ

მით უმეტეს. სწავლის საქმის დაქვეითება და სწავლის ფულის მომატება ისედაც დალარობებულ მონაფეთათვის ერთ კალაპოტში ვერ მოთავსდება“.

„სოციალ-დემოკრატი“, №67, 1919

* * *

„გურიაში ვერ ნახავთ ისეთ ცოტა სოფელსაც კი, სადაც ერთი ან ორი პირველ დანყებითი სასწავლებელი არ იყვეს. სამწუხაროთ გიმნაზიების გახსნას მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე სამეურნეო სასწავლებლისას.

ოზურგეთში ერთი სამეურნეო სასწავლებელია. ამ სასწავლებელმა შუამდგომლობა აღძრა, სადაც ჯერ იყო სოფელ ბზვანის მინდვრების მისთვის გადაცემის შესახებ. სამწუხაროდ, ამ სასწავლებლის შუამდგომლობა უყურადღებოთ იქნა დატოვებული. ეხლა ხსენებულ სასწავლებელში მოთავსებულია გადამდებ სენით საავადმყოფო. სასწავლებლის ეზო კი გაპარტახებულია. ზოგიერთი შეუგნებელი პირები სარგებლობენ შემთხვევით და სჭირან სასწავლებლის ეზოში გაშენებულ ბამბუკის ხეებს. საჭიროა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და სამეურნეო სასწავლებელი თავის სიმაღლეზე დააყენონ. გურიას, რომელიც უმთავრესად მეურნეობას მისდევს, ძლიერ სჭირდება გამოცდილი მეურნეები. ამიტომ საჭიროა ამ სამეურნეო სასწავლებელს მეტი ყურადღება მიაქციონ“.

აქაური.

„შრომა“, №36, 1919

ევროპის სოციალისტური დელეგაცია საქართველოში

„ლანჩხუთში. 27 სექტემბერი. „სამტრედიიდან საგანგებო მატარებელი დილა ადრიან გავიდა. ცა მონმენდილია. მზიანი დღე ხელს შეუწყობს გურიის საერთო დღესასწაულს, მის განუსაზღვრელ აღფრთოვანებას, მის ტრადიციულ რევოლუციონურ გატაცებას. „ხვალ დილით გურიაში ვიქნებით“ – ამბობდა წინა დღით ჰაუმანსი – ხვალ ვნახავთ გურიის გლეხკაცობას, რომლის მოძრაობაზე ევროპაშიც გვსმენია“. და ამ მოლოდინში, გურიის ნახვის სურვილში, ყველანი გრძნობენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობაში გურია შეიტანს ახალ ფურცელს. ორი კვირის წინათ პირველი შეხვედრისას ბათომში დაბადებულ აღტაცებას გურია კიდევ უფრო გაზრდის, ის დაავკირგვინებს თავის ძველ გამოცდილ რევოლიოციონურ ბრძოლაში გამოჭედილ ხმით მთელი ერის საერთო გამოძახილს.

ჰაუმანსი: „ჩვენ გაფაციცებით ვსწავლობთ საქართველოს სოციალ დემოკრატიის ბრძოლის მეთოდებს, რომ ის ჩვენშიც გამოვიყენოთ. და ასე მთელი ძალაუფლება ხელში ჩავიგდოთ. ბევრს შეიძლება გონია, რომ ჩვენში, ევროპაში გაჭირვება არ იყვეს. არ იფიქრებთ, რომ ჩვენში ცხოვრების სიძვირე ნაკლები იყვეს, ვიდრე თქვენში. თქვენ იცით, რომ ომის დროს ბელგიის ხალხი მხოლოდ საზოგადო დახმარებით ცხოვრობდა. 4 წლის განმავლობაში ანადგურებდნენ ჩვენს ქვეყანას, იმპერიალისტური ქუსლები სთელავდა ხალხის ქონებას, მარა როცა დამყარდა ზავის პირობები და ბელგიის ხალხი დაუბრუნდა თავის კერას, ჩვენ მოვითხოვეთ მთავრობისგან, რომ ბელგიის ხალხს მონაწილეობა მიეღო თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში, ჩვენ მოვითხოვეთ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესე-

ბა, 8 საათის სამუშაო დღე, შრომის დაზღვევა ავანტიყოფობის და უმუშევრობის დროს, ჩვენ მოვითხოვეთ სწავლა-აღზრდის მონოპოლიის მოსპობა მდიდართა კლასებისთვის და რადგანაც ეს ყველაფერი დიდ ხარჯებს ითხოვდა, ჩვენ მოვითხოვეთ, რომ ეს ხარჯები დაეფარა ჩვენს ბურჟუაზიას. და ეს შეასრულა ბელგიის მუშათა კლასმა, მარა ამავე დროს ეს მუშათა კლასი მთელი თავისი ენერგიით და ძალღონით აწარმოებდა მუშაობას დანგრეული ქვეყნის აღსადგენათ და მის ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლათ. ეს შესძლო შრომამ, დაუზოგველმა შრომამ, რომელსაც აწარმოებდა მთელი ხალხი. და როცა ვუცქერით ჩვენ თქვენ ბრძოლას პოლიტიკურ სფეროში, როცა ვითვალისწინებთ იმ დიდ გასაჭირს, რომელიც თქვენ გამოგივლიათ და თავიდან აგიცდენიათ დალუპვა, ჩვენ ღრმად გვნამს, რომ ეს თქვენი რევოლუციონური ნიჭი გამოყენებული იქნება ეკონომიურათ დაქვეითებულ და ომის მიერ დანგრეულ ქვეყნის აღსადგენათ და ასაღორძინებლათ. და თუ თქვენგან უნდა ვისწავლოთ ჩვენ პოლიტიკურ უფლებების მოპოვება, სამაგიეროთ ჩვენგან გჭირდებათ თქვენ ეკონომიურ ცხოვრების აღდგენის სწავლება და ამ ფრონტზე დიდი ძალებით იერიშის მიტანა, რომ თავისუფალ საქართველოს ნავი სამშვიდობოს გაიყვანოთ“.

„ერთობა“, №224, 1920

გურული გალობა-სიმღერები

„ჩვენ გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ დიდ ეროვნულ საქმის კეთებას, რომელსაც ეწევა ლანჩხუთის ქალაქის გამგეობა და განსაკუთრებით ქალაქის მოურავი პატივცემული შარაშენიძე. მისი თაოსნობით მოწვეულ იქნა ქალაქის სკოლებში გურული სიმღერების მასწავლებლათ ცნობილი მცოდნე გურული სიმღერებისა პატ. სამუელ ჩავლეიშვილი. როგორც ვიცით, გურული სიმღერები ნოტებზე არ არის გადაღებული. რამდენათაც ეს მოსახერხებელი, – ეს კომპოზიტორების საქმეა. რომ ჩამომავლობას დარჩეს ეს სიმღერები, ამისათვის საჭიროა მისი გავრცელება ძველი მომღერლების წყალობით. ამას ამტკიცებდა ქალაქის მოურავი. უნდა ვაღიაროთ, რომ პირადათ მე, როგორც ახლო მდგომი ქალაქის საქმეებთან, წინააღმდეგი ვიყავი ამის იმ მოსაზრებით, რომ ახალგაზრდა ქალაქს, რომლის ფინანსიური მდგომარეობა სუსტია, არ შეუძლია ამ საქმის გაძღოლა-თქო. მაგრამ ქალაქის მოურავმა თავისი გაიტანა და მართლაც სამუელ ჩავლეიშვილის ათი თვის მუშაობას დიდი ნაყოფი გამოუღია. შემთხვევა გვქონდა მოგვესმინა ის 7 სექტემბერს ქალაქის მოედანზე. სხვათა შორის სიმღერას დაესწრო ჩვენი ერის ბელადი ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანი. მშვენივრათ მღერიან პატარა ყმანვილები. აგრეთვე შეუწავლებიანთ მოწაფეთათვის ძველი გურული ცეკვა: ფერხული და ხორუმი, რომელსაც ეხლა გურიაში არ ცეკვავენ. ეს ცეკვა დარჩენილა მხოლოდ აჭარაში. ჩავლეიშვილის გუნდი ახლო ხანში აპირებს საქართველოს შემოვლას. ის ესტუმრება აგრეთვე ჩვენს დედაქალაქსაც. ვფიქრობ, ამ საქმეს დახმარებას გაუნეწვს საქართველოს მთავრობა. მათ ჰსურთ ვაგონი

უფასოთ ან ყოველ შემთხვევაში შეღავათიან ფასებში დაუთმონ. ვუსურვებ ამ საქმის დამწყებთ და ხელმძღვანელთ ნაყოფიერ მუშაობას“.

კოტე
„ერთობა“, №229, 1920

* * *

„ - ოზურგეთში გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი გვარდიელ-ჯარისკაცთა უნივერსიტეტის შენობაში, სისტემატიურათ ხდება ლექციების კითხვა: კითხულობენ ადგილობრივი მოწინავე ძალები ქართული ძველი და ახალი ლიტერატურიდან, მსოფლიო და საქართველოს ისტორიიდან, ბუნების მეტყველებიდან, პოლიტიკური ეკონომიიდან და სხვა. მსმენელები ბევრია“.

„ - ამას წინათ არჩეული დრამატული საზოგადოების გამგეობა ეტყობა ენერგიულათ შეუდგა მუშაობას. გამგეობამ მოიწვია რეჟისორათ მსახ. ჟივიძე და აგრეთვე სამუშაოთ მსახიობი ქალი აბაზაძე: სეზონი გაიხსნა შაბათს, - 6 ნოემბერს ცაგარელის ცნობილი პიესით „ხანუმა“-თი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო საგანგებოთ მოწვეულმა დამსახურებულმა მსახიობმა ელ. ჩერქეზიშვილმა. მეორე დღეს წარმოდგენილი იქნა „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და „დედის ერთა“. ორთავე წარმოდგენა შესანიშნავათ ჩატარდა.

გამგეობას დადგენილი აქვს სისტემატიური ხასიათი მისცეს წარმოდგენის მართვას. ამ მიზნით მან ქალაქის გამგეობიდან აიღო თეატრი და შეუდგა მის შეკეთებას, რაც 300,000 მანეთი უჯდება“.

„ერთობა“, №263, 1920

მნის მღჱი

რაჭა-ლეჩხუმი

„როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, ამ ორ მაზრაში ანარქიის ლიკვიდაციის და ადმინისტრაციულ აპარატის მონ-
ყობის შემდეგ იქ დაწყებულა ენერგიული მუშაობა ერობის
საჩქაროდ შემოსაღებად. რაჭის მაზრაში წინასწარი სამუშაო
თითქმის გათავებულა და ახლო მომავალში შესაძლებელია არ-
ჩევნების დაწყება. ლეჩხუმის მაზრაში მუშაობას აფერხებს ინ-
ტელიგენტურ ძალების სიმცირე. ამ მხრით მთავარი ინსტრუქ-
ტორისგან მიღებულია ზომები იმ სახით, რომ უკანასკნელმა
მიმართა თხოვნით ქუთაისის საერობო კომისიას, გაუგზავნოს
ლეჩხუმში მომზადებული ინსტრუქტორი“.

„საქართველო“, №218, 1918

პროვინციის ცხოვრება ლაშხეთის საზოგადოება

„პოლიტიკურად მომნიჭებული კუთხე თუ კი სადმე არსებობს, ეს ლაშხეთის საზოგადოებაზედაც ითქმის. აქ თავიდანვე ჩვენ პარტიულ ამხანაგებს არ დაუსუსტებიათ იდეური ბრძოლა სხვა ჩვენ მოპირდაპირე პარტიებთან. აღნიშნულ საზოგადოებაში მონინალმდევე პარტიების ნასახიც აღარ არის. მუყაითმა შრომამ პარ. ამხ. დიდი სიმპატია მოიპოვა ფართო მასაში და შექმნა ძლიერი ორგანიზაცია, რაც დამ. კრების არჩევნ. დაეტყო. არჩევნები ამ საზოგადოებაში საუცხოვოთ ჩატარდა. მთელ საზოგადოებაში 1600 მდე ამომრჩეველი ითვლებოდა, აქედან 1558 მდე გამოცხადდა ყუთთან და მიიღეს მონაწილეობა“.

„სოციალ-დემოკრატი“, №52, 1919

ნიკორწმინდის საზოგადოება (რაჭა)

„რაჭა მივიწყებული კუთხეა, ამიტომ აუტანელ და ცუდ პირობებში გვიხდება ცხოვრება. ყველაფერს მოკლებული ვართ. მინის სივინროვეს ძლიერ განვიცდით, ჩვენთვის არ არის რიგიანი გზები, სკოლები, ბიბ-სამკითხველო, ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი, საავადმყოფოები, რაც გვაქვს, ისიც არა დგას სასურველ ნიადაგზე და მცხოვრებთ ვერ აკმაყოფილებს. ექი-

მობას მოკლებულნი ვართ, ხალხი დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი სხვადასხვა გადამდებ სენით. ასეთია საერთოდ ჩვენი მდგომარეობა. მაგრამ ვინ აქცევს ამას ყურადღებას?“

მუშა ალიოშა
„ერთობა“, №113, 1919

ჩვენი მხარე.

„რაჭა. რევოლუცია, კონტრევოლუცია, ანარქია, რბევა, ხოცვა-ჟლეტვა, გაზეთები, უთვალავი ამბები, საერთოდ მღელვარება, ცხოვრება ქალაქისა და ტრადიკული გარემოება ქვეყნებისა აუტანელი შეიქმნა და დასამშვიდებლათ ჩემს მხარესაკენ გავემართე ცოტა ხანს შესასვენებლად. „დაილოცა ჩვენი რაჭაო“ ტყუილად კი არ უთქვამს რაჭველს რაჭველისთვის, როდესაც ნაქერალას მთიდან გადაუხედავთ რაჭისაკენ; საუცხოვო ბუნება რაჭისა დამამშვიდებელია და აღტაცებაში მომყვანი. სიამით სუნთქავ აქ: სუფთა ჰაერი თავის სიმჩატითა და მშვენიერებით, თითქო ნამალივით აქარწყლებს სულიერსა და ფიზიკურ დაღლილობას. მივეჩქარებოდი ჩემი მყუდრო სოფლისაკენ, გზაში ვფიქრობდი: რამდენი ახალი ამბავი მექნება გასაზიარებელი ჩემ ცნობის მოყვარე მეზობლებისთვის. თავისუფლების პირველი მახარობელი ხომ მე ვიყავი მათთვის! თვალ-წინ წარმომიდგა გაბრწყინებული სახეები ჩემი სოფლის მშრომელი მეზობლებისა, რომელნიც ხარბათ მისმენდნენ იმაზე, თუ როგორ სისწრაფით დაემხო ტახტი მტარვალთა და როგორ სისწრაფით ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება მშრომელმა ხალხმა. აუნერელი სიხარულით გავაკეთეთ

მაშინ წითელი დროშა და დაუვინყარ მშვენიერებით ავაფრიალეთ სოფლის სკოლის სახურავზე; სკოლის გალავანში კი თავმოყრილი მთელი სოფელი პირნათლად ჰფიცავდნენ რევოლუციას, რომ მას თავის დღეში არ უღალატებდნენ. დიდებული იყო მაშინ ჩემთვის ეს სურათი, რადგან ჩვენი ხალხის ძალა მწამდა. თვალწინ მიდგა რევოლუციის იმედები, ხალხის განახლებისა, განათლებისა და აღორძინებისა და ამ იმედებით თავდავინყებულნი გულით და სულით ვზეიმობდი.

გავიდა დრო, მე მას შემდეგ ჩვენი სოფელი აღარ მინახავს. ბევრი რამ მწარე ვიგემე, რევოლუციის იმედები მიჰქრნენ და რაღა მიუტანო ახლა ჩემს სოფელს სასიხარულოთ. აღისფერ დროშას გამოიტანენ დაჭუჭუნის, მე ენა დამებმის და უხალისოდ გაუზიარებ მათ იმას, თუ რა მოხდა რევოლუციის პირველი დღეების შემდეგ: ასე წარმოვიდგინე ჩემი ახლანდელი გამოსვლა ჩემს სოფელში, მაგრამ წარმოდგენა წარმოდგენა და სინამდვილემ კი გადააჭარბა. სოფელს სიმინდის უქონლობა აწუხებს, შიმშილობის აჩრდილი თავს დაჰფარფატებს და მოსვენებას არ აძლევს ხალხს. რევოლიუციონური სიტყვებისათვის აღარავის სცალია. აღდგომის ლიტანიაა, სასაფლაოებზე ლაპლაპობენ სანთლები, მათ შუქზე მოსჩანს საკურთხები, ძველებური, პიტიური, მსუნაგი მღვდელ-დიაკონი სიჩქარით იხდიან პანაშვიდებს და ალაგებენ ხურჯინში მშიერის პურსა და წითელ კვერცხებს.

ესეც შენი აღდგომა, ოჰ როდის, როდის იქმნეს მართლა აღდგომა ჩვენი ხალხისა, როდის გამართლდეს, რევოლიუციავ, შენი იმედები. მე მინდა ხალხს ვუთხრა, რომ ეს აღდგომა აღდგომა არაა. მინდა მოვავიციო მათ რევოლუციის პირველი ბრწყინვალე დღეები, წითელი დროშა, გზა დასახული განახლებისაკენ, მაგრამ ამისთვის თითქო ახლა აღარავის სცალია და უშნო ხუმრობით სიცილ ხარხარით მეცლებიან გარშემო. ისმის უმიზნო სროლა რევოლუციის მესაფლავებებისა და ვფიქრობ, იმათაც უდევთ წილი ამ ბოროტებაში, ვინც

ამათ თოფები და აუარებელი ტყვია-წამალი აქ გამოატანა. მთელი კვირა გადის, გაზეთი აღარ მინახავს. სოფლის სათემოზე თავმოყრილ ხალხში ვილაც ამტკიცებს, რომ ჩვენმა სამღვდელოებამ ჩამოაგდო რუსი ეგზარხოსი, რუსეთს გამოვეყავითო. რუსეთი დაგვსჯისო და ვინ იცის კიდევ რამდენ მიზეზს არ ასახელებს. ბოლშევიკი სალდათი მელაპარაკება, რომ ბათომის დასაცავად რაჭიდან რაზმი მზად იყო. ამ რაზმს აზრად ჰქონდა თურმე ჯერ ქუთაისის დასჯა, რადგანაც იარაღი აჰყარეს პატიოსან ჯარის-კაცებს და მერე ბათომს დავიცავდითო. გული ტყუილად ნუ გეტკინებათ, ლაპარაკს ტყუილა ინებებთ, სიმართლეს აქ გასავალი აღარ აქვს. ჩვენ უკეთ ვიცით ყველაფერი, თქვენ დაგვლუპეთო და ბევრს ასეთებს შემოგაძახებენ თუ ხმა ამოიღე.

დამშვიდებისა და დასვენების ნაცვლად, რაჭამ გული უფრო ამიდულა და მოუსვენარ ტანჯვას მიმცა. უხალისო დღეები საუკუნოებათ გადაიქცა. ამ იშვიათ დროს აქ სიჩუმეა და არსით ძახილი. უგაზეთობა, უნუგეშობა და საზიზღარი ხშირი ლოთობა, აი რა სტანჯავს აქ ადამიანს“.

გ. მესხი
„ხალხის მეგობარი“, №164, 1918

რაჭის ხმა

„ეს ერთი ხანია, რაც რაჭაზე ცრუ ყალბი ცნობები იბეჭდება გაზეთ „ერთობაში“, ვითომ და რაჭას თავის ჩამორჩენილობის გამო რევოლუციისთვის ელაღატნოს, ვითომ და იგიც გაბალშევიკდა და სხვა ასეთი... მაგრამ რაჭაში არავითარი ამისი მზგავსი საქმე არ მომხდარა, თუ მარტო იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ იქ გზად გაიარა ა. გეგეჭკორის მეთაურობით ეგრედ ნოდებულ ბალშევიკების რაზმმა, რომელიც კავკავის გზით დუშეთში მებრძოლ ბოლშევიკებთან შესაერთებლად მიდიოდა. მაშ როდესაც ეს ასეა, რათ სჭირდება ან „ერთობის“ კორესპონდენტს ასეთი ცრუ ამბების შეთხზვა და ან კიდევ „ერთობას“ მისი დაბეჭდვა?

საწყენი და არა სასიამოვნოა ის, რომ დაუმსახურებლად და არა კუთვნიულად ნამდა უწუმ გაძაგებდეს ვინმე კაცს და განერდეს ისეთ მოქმედებას, რაც არ ჩაგიდენია. რაჭველი ხალხი მუდამ და ყოველთვის სიდინჯით და შორსმჭვრეტელობით ნაქებია ისე, რომ იგი იაფად და ადვილად არავის ფეხის ხმას არ აწყოლია და არც გაჰყვება და კარგი იქნება ხსენებული გაზეთი და მისი ცრუ კორესპონდენტი არანორმალურ მდგომარეობიდან გამოვიდოდეს.

თუ არა მარტო გურიის ხოტბა-ქებით და სხვა ასეთით საქართველოს ვერ ააყვავებენ.. მე აქ ამ სიტყვას იმიტომ ვხმარობ ასე, რომ გაზეთ „ერთობა“ და მისი კორესპონდენტები ეკუთვნის თუ არ ეკუთვნის მუდამ და ყოველთვის სულ გურიის ქება-დიდებაში არიან და სხვა კუთხე-მხარეებს პატარა რამე საქმისთვის ამცირებენ, რის გამოთაც მათ კარგა ხანია რაც კუთხური პატრიოტები ეწოდებათ. ამას ადასტურებს ასე უფრო კიდევ ის მოვლენა, რომ გურიაში რალაც პატარა ამბავი რომ მოხდეს თუნდაც სადღაც ტყეში, შაშვმა რომ გააფაჩუ-

ნოს, ხელად გაზეთში მოაქცევენ მათ საღმერთებლად და რაჭის და სხვა მხარეების ამბავს არასდროს არ დაბეჭდავენ თუ კი რამ საქები და მოსაწონი იქმნა. ხოლო სათაქილო ცუდი თუ რამე გაიგეს, იმას კი უცბათ გამოაცხადებენ და ტყუილი იქნება ეს თუ მართალი ამას არ დაგიდევენ.

მაგალითად, ისე როგორც ამ ორი სამი კვირის განმავლობაში სამჯერ გამოაცხადეს, ტყვილათ და ცრუთ, რომ რაჭა ჩამორჩენილი მხარეა და ამიტომ ყველა გაბალშევიკდაო და სხვა ასეთი... ყველაფერს, რომ თავი გავანებოთ, ეს უბედურნი იმას თვითონ ჰქმნიან ძალის ძალათ, რასაც ასე უფრთხიან და რისაც სულ ერთავად ეშინიათ, ესე იგი ბალშევიკობის. თვითონ ქმნიან იმით, რომ ხსენებულ მხარეში ანუ რაჭაში ბალშევიკები თითქმის სულ არ მოიპოვება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას ბალშევიკურ მხარეთ აცხადებენ. ან და ბალშევიკობა იქნება ის ჰგონიათ ამ ცოდვისშვილებს, რომ მთელი რაჭველი ხალხი ყაჩაღ-მძარცველებს კრიჭაში უდგია შეძლებისდაგვარად და არსად არ აჭაჭანებენ მათ ახლო-მახლოში. ამის მაგალითად აქ იმას მოვიყვან, რომ ამას წინათ ორმოცდა ათ კაცზე მეტი სვანების რაზმი ბალშევიკების სახით თავს დაესხა რაჭის სოფლებს და სხვადასხვა დანესებულებებს გასაძარცვად, მაგრამ ყველას ბედი აწყველინეს რაჭველებმა ისე, რომ ზოგი სასიკვდილოდ დასჭრეს, ზოგი შეიპყრეს და ნაძარცვი საქონელიც დაატოვებინეს. ამის საწინააღმდეგოთ თუ ვინმე იმას იტყვის, რომ გეგეჭკორის რაზმი რათ შეუშვეს რაჭაშიო, ამაზე მოვასხენებ მას, რომ ძალა აღმართს ხნავს! ძალით გერმანელებმა ლამის მთელი ევროპა და აზია დაიპყრან, მაგრამ მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნების მცხოვრებ ხალხს თავის თავის მტრებათ და სხვა ასეთათ ვერ გამოვაცხადებთ. ან და კიდევ როგორც გეგეჭკორის რაზმი რაჭაში შევიდა, ასე ოსმალოს რაზმები ჯერ ბათომში – და შემდეგ ოზურგეთსაც ეწვიენ, მაგრამ გურულების გაოსმალება და სხვა ასეთი არავის არ გამოუცხადებია გაზ. „ერთობაში“.

რაჭა რომ ისეთ მდგომარეობაში იყო რკინის გზებით, ახლო ქალაქებით და სხვა ასეთებით, როგორც რომ გურია არის დღეს, მაშინ ვნახავდით თუ ვინ იქნებოდა რაჭველები!

დაგარნმუნებთ, რომ ათჯერ მალლა მდგომი იქნებოდნენ შეგნებით და სწავლა-განათლებით გურულებზე. ყოველივე ამის შემდეგ უკანასკნელად ერთს ვიტყვი, რომ გაზეთ „ერთობამ“ და მისმა კორესპონდენტებმა სჯობია, რომ მეტი შორსმჭვრეტელობა გამოიჩინონ ისე, რომ ვისაც რა არ ეკუთვნის, იმას ისეთ რამეს ნუ შესთავაზებენ.

ძირს სიყალბე!

გაუმარჯოს სისწორეს!“

„ხალხის მეგობარი“, №164, 1918

წერილი რაჭიდან.

„ძველ დახავსებულს და ცბიერ მთავრობას როგორც რაჭა-ლენჩხუმი ისე სვანეთიც მაშინ გავახსენებოდით, როდესაც გადასახადებისა და ახალ ჯარის-კაცების მოკრეფა დასჭირდებოდა – თუ არა უამისოდ ჩვენ მღვთის ანაბარად ვიყავით მათ მიერ მიტოვებული. ისე, რომ იგი ჩვენთვის არაფერ საკეთილო საქმეს არ ფიქრობდა. დღეს კი ჩვენ ახალი სახალხო მთავრობა გვყავს და ყველა ჩვენგანი ველოდებით, რომ ჩვენს წყლულთ და იარებს რამე წამალი დაედვას.

ჩვენ დღეს არა გვაქვს საკმაო მიწები, არა გვაქვს აგრეთვე მიწის შესაფერი დამამუშავებელი იარაღები, არ გვივარგა გზები და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ აუცილებელი რამე

არ გვაკლია? მაგალითად, როგორც არის სასწავლებელი, სამკურნალო და სხვა ასეთები, მაგრამ საშველი არსაიდან სჩანს. კი მართალია, ერთბაშით და უცბათ არსად არაფერი არ გაკეთებულა არავისგან, მაგრამ საქმის დაწყება მაინც უნდა ხდებოდეს ერთ რომელიმე დარგში, რაც ასე აუცილებელია ჩვენთვის. იტყვიან, რომ ჯერ რევილუცია არ დასრულებულა, ჯერ ჩვენ საშუალება არ გვაქვს ასეთი საქმეების დაწყებისო და სხვა, მაგრამ ასეთი თქმა არ იქნება მთლად მართალი იმიტომ, რომ შეუძლებელი ქვეყანაზე არაფერი არ არის, თუ კაცმა ამის უნარი და ენერგია გამოიჩინა. ჩვენ ძველი მთავრობის მოსპობა და ახლის შექმნა იმიტომ გვესიამოვნა და იმიტომ ვიბრძოლეთ, რომ რამე ახალი საშუალება აღმოგვჩენოდა ჩვენი მძიმე ცხოვრების შესამსუბუქებლად, ნამდვილად კი ჯერ ასეთი რამ ჩვენში არ მომხდარა ახალი მთავრობის მიერ და ეს საქმე კი, სისწორე უნდა სთქვას კაცმა, დიდ უკმაყოფილებას და არევ-დარევას იწვევს ყოველგან საერთოდ.

ყოველივე ამის მიზეზი ჩვენი ღრმა რწმენით ის უნდა იყოს, რომ ჩვენს დღევანდელ მმართველებს თუ არა და ყველას, უმრავლესობას მაინც არ შესწევს ნიჭი და გამოცდილება იმის, რომ რამდენადაც შესაძლებელია საჩქაროთ მოახდინოს ყოველგვარი ცვლილება ჩვენს ცხოვრებაში. დიახ, არ შესწევთ და კარგი იქნებოდა, რომ ასეთ პირს თვით გაანებებინა თავი იმ მძიმე მოვალეობისთვის, რომლის ასრულება მას არ შეუძლია და იმის მაგივრად კი სხვა ვინმე გამოჩნდებოდა და საქმესაც გააკეთებდა.

არავინ სთქვას თუ ჩვენ ქართველებს ღირსეული და ნიჭიერი ადამიანები არ გვყავდეს ჩვენი სახელმწიფოებრივი მმართველობისთვის, მაგრამ მათ დღეს არავინ არაფერს არ ჰკითხავს. ჩვენ აქ გვეტყვიან, რომ აირჩიეთ ასეთი პირებიო და სხვა... მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ არჩევნების დრო ყოველთვის როდესაც გინდა არ ინიშნება ჩვენში ჩვენს ნებაზე და კიდევ რომ ინიშნებოდეს, ისეთი სისტემით და აგიტაცია

პროპაგანდის განწევით ხდება, რომ საშუალებას არავინ მოგცემს, რომ ის აირჩიო ვინც შენ გინდა და ვინც ქვეყნის საქმეს საღათ და კარგად აწარმოებს. აქ ამ დროს ყველა პარტიული ინტერესებით მოქმედებს და უპარტიო კაცს არავინ არ აირჩევს თუნდა ის გენიოსი იყოს სახალხო სახელმწიფო საქმეების მმართველობისთვის. ადამიანებო, გვეყო ამდენი გაუგებრობა და სიჩაჩანაკე, დროა, რომ საღი გზით და შორსმჭვრეტელობით ვიაროთ ყველამ, თუ არა სადღაც უფსკრულში გადაიჩეხებით ყველა. დროა, რომ ჩვენმა ახალმა მთავრობამ ახალი რამ სასარგებლო გვიჩვენოს ყველას.

არ კმარა მარტო წოდების გაუქმება და მიწის საკითხებისთვის დეკრეტების გამოცემა. საჭიროა ყველაფერი დაუყოვნებლივ გატარდეს ცხოვრებაში, რაც კი სასარგებლო და აუცილებელია და არევ-დარევა და სისხლის ღვრაც აღარ იქნება“.

*ქვემო რაჭველი გლეხი
„შრომა“, №17, 1919*

სენაკის ოლქი

გეზათი (აბაშა)

„11 მაისს მოხდა მასიური კრება. კრებას დაესწრო დიდი უმეტესობა მცხოვრებლებისა. თავ. აირჩიეს გ. კალანდაძე, რომელმაც ილაპარაკა მომენტზე და ხალხს აუხსნა რუსეთთან ჩამოშორების აუცილებლობა. შეკითხვების შემდეგ ერთხმად მიღებული იქნა შემდეგი რეზოლუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება დღევანდელ მდგომარეობაზე და ამიერკავკასიის სეიმის მიერ დამოუკიდებლათ გამოცხადების შესახებ, ჩვენ მხარს ვუჭერთ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას და ვცდილობთ ყოველგვარ პროვოკაციულ გამოსვლებს შესაფერისი პასუხი გავცეთ. შემდეგ კრებამ გაარკვია ადგილობრივი კოოპერატივის საქმეები, და თანახმად გამგეობის წევრების თხოვნისა, გამგეობიდან გაანთავისუფლეს 3 კაცი. ისინი მთელი წლის განმავლობაში უფასოთ მსახურებდნენ და მასთან საქმისადმი ერთგულათ, რისთვისაც მიიღეს კრებიდან დიდი მადლობა; მათ ადგილზე არჩეული იქნა სამი ახალი გამგეობის წევრები. იარაღის აყრა სასურველათ დამთავრდა, ხალხმა არავის არ მისცა ნება მთავრობის განკარგულებისთვის წინააღმდეგობა გაენიათ.

– დიდი ხანია აქ არსებობს სამკითხველო ეგნ. ნინოშვილის სახელზე, მხოლოდ სამწუხაროთ კი ადგილობრივ შკოლის ბუხრის თავზე ნახავთ თითო ოროლა ძველ გაზეთებს შემონცობილს, რაც გამგეობის უმოქმედობას მიენერება. არც ისე ღარიბია სამკითხველო. გამგეობას ვთხოვ მიიღოს ზომები.

კარგი ხანია დაარსდა საპოლიტიკო სამაცადინო წრე. სამწუხაროთ დაარსება ქალაქზე დარჩა და დღიდან მისი დაარსებისა არც ერთი დღე უმოქმედია სხვა და სხვა მიზეზების გამო, დღეს კი შესაძლებელია მაცადინობა! ვთხოვ წრის თავმჯდომარეს მიაქციოს ყურადღება და აამუშაოს მის გარშემომდგომი ნევრები“.

– *გეზათელი გიორგი.*
„სოციალ დემოკრატი“, №328, 1918

აბაშის რაიონი

„აბაშის რაიონში სამღველოებამ გაფიცვა გამოაცხადა. გაფიცვის მიზეზათ მათ მედავითნენი გამოყავთ და თავს ასე იმართლებენ: „ჩვენ სასულიერო პირებს გაფიცვა არ შეგვფერის და არც არასოდეს ჩავიდენტ ასეთ საქმეს, მაგრამ, რა ვქნათ, „წყეული“ მედავითნენი გაგვეფიცნენ და მარტოდ ღვთის მსახურება შეუძლებელიაო. მაგრამ რა საჭიროა აქ ცოდვების მედავითნეებზე აკიდება, როცა ამის მიზეზი თვით არიან? ზოგიერთმა, როგორც ვიცით, თვითონ მოისურვა ამ გაფიცულ ხუცესთა დაკმაყოფილება, მაგრამ ამ უკანასკნელებმა უარი განაცხადეს თურმე და მოითხოვეს – აიძულეთ მთავრობა, რომ ხაზინიდან ვკმაყოფილდებოდეთო. ამნაირად

მათ სურთ ხალხი და მთავრობა გადაკიდონ ერთმანეთს და შემდეგ ამ მღვრიე წყალში თევზები იჭირონ, მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ხალხი კაი ხანია დაადგა გამოფხიზლების გზას და კონტრ-რევოლუციონერებმა უკვე დაკარგეს ჩვენში ნიადაგი. საინტერესო იყო აქ ამა თვის 10-ს გაფიცულ მღვდელთა და მედავითნეთა ყრილობა, რომელსაც მაზრის კომისარი დ. ცხაკაიაც დაესწრო და რომელმაც ამ გაფიცულებს მიმართა მოკლე, შინაარსიანი სიტყვით. პირველათ ისინი გაჯიუტდნენ და მედგრად იცავდნენ გაფიცვის გაგრძელებას, მაგრამ როცა კომისარი ცხაკაია დაემუქრა სასტიკი ზომებით, გაფიცულნი მოლბენ და განაცხადეს, რომ შეუდგებიან სამსახურს და დაუცდიან საერთოდ სამღვდელოების მდგომარეობის „გაუმჯობესების“ დღეს“.

– გრ. გლუხიშვილი.
 „სოციალ-დემოკრატი“, №432, 1918

აბაშა (სამეგრელო)

„1 სექტემბერი ისტორიული დღეა აბაშის რაიონის დემოკრატიისთვის. ამ დღეს მომხდარ მთელი რაიონის რევოლუციონურ ორგანიზაციათა – გლ. საბჭოების, არმ. კომიტეტების, ოცის თავების, საადგილმამულო კომ. წარმომადგენლების ყრილობაზე მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი ერთგული დამცველია რევოლუციონურ იდეების. აბაშას ასეთი დინჯი, ჭკვიანი და საქმიანი და მრავალრიცხოვანი რაიონული ყრილობა არ ახსოვს რევოლუციის პირველ დღეების შემდეგ. მაშინდელ და ახლანდელ დელეგატებს ერთნაი-

რი ერთსულოვნება, აღტაცება და დაკვირვება ახასიათებდა. ეტყობა ანარქიის ქარტეხილს გამოუფხიზლებია ამ მოწინავე რაიონის სოფლის მუშები. რევოლუციის პირველ დღეებში აქ ხარობდნენ ნიკოლოზის მთავრობის დამხობას; ახლა ხარობენ ბოლშევიკურ ანარქიის ჩაქრობას. ჩამოსულია 600-მდის დელეგატები. ისინი კრების გახსნამდის შეჯგუფულად დადიან. ლაპარაკობენ მიმდინარე კითხვებზე. მოლაპარაკენი თვით სოფლის მუშებია. – იკურთხოს ჩვენი მეთაურების ჭკუა გონება, რომ ისინი არ ყოფილიყვნენ, ჩვენ დღეს თათრების ხელში ვიქნებოდით, ჩვენი ოჯახები ანიოკებული იქნებოდა, იქნებ ბევრი ჩვენგანი ცოცხალიც არ ყოფილიყო, – ამბობენ ერთ ალაგას: ყველანი კმაყოფილებით უმოწმებენ მოლაპარაკეს. მეორე ალაგას ლაპარაკია ბალშევიკებზე. აბაშის რაიონის მშრომელი გლეხობა ყოველთვის აღმაცერად უყურებდა რევოლუციის ამ მესაფლავეებს. დღეს ამათი ხსენება ზიზღს იწვევს ყველაში, სახე ელუშება ყველას ბალშევიკების ხსენებაზე. ამ დაკვირვებულ ნაწილს ცოტა დარცხვენით უმოწმებენ მოახალგაზრდონიც, ესენი – ყოფილი ჯარისკაცებია. უწინ ისინი ბალშევიკობდნენ, მაგრამ დღეს დარწმუნდნენ, რომ ბალშევიკები საქმის ხალხი არაა, რომ მათ მხოლოდ ნგრევა ღა შეუძლიათ და შენების უნარი არც აქვთ, არც ექნებათ. დღეს ესენი არ ბალშევიკობენ, ისევ ნაცად რევოლუციის გზით მიდიან. მესამე ალაგას ლაპარაკია სამეგრელოს ანარქიაზე. ამბობენ: სამუდამოთ შეგვარცხვინეს გორდის, ნარაზენის, კინჩხას, აბედათის და სხვა ზუგდიდის მაზრის სოფლების ნაძირალებმა; საქმე ისე გაამწვავეს, რომ მეგრელის სახელწოდება სასირცხო გაგვიხადესო. დელეგატები დაბარებული იყვენ დილის 10 ს. ამ დროს მართლაც ყველანი აქ იყვენ. მათ აღფრთოვანებულ ჩამოსვლას ისიც უწყობდა ხელს, რომ ამ დღისთვის ველოდით ირ. წერეთელს. როგორც გავიგეთ, ირ. ავათ გამხდარიყო და ვერ გვეწვია. როცა გაიგეს, დელეგატები ნაწყენი დარჩნენ. კრებას დაესწრო ძველი

მუშაკი მუხრან ხოჭოლავა. ის სულ სამი დღის ჩამოსული იყო რუსეთიდან. დღის ორ საათზე აბაშის სოც.-დემ. კლუბში ამხ. ბარნაბ ძველაია ხსნის ყრილობას. თავმჯდომარეთ ირჩევენ ამხ. მუხრან ხოჭოლავას. თავმჯდომარე გრძნობიერ სიტყვით მიმართავს ყრილობას და სიხარულს გამოსთქვამს, რომ რევოლუციის ზოგი მონაპოვარი მაინც შეინარჩუნა ჩვენმა დემოკრატიამ.

მდივანი ა. მახარაძე კითხულობს დღის წესრიგს. მომენტის შესახებ მოხსენება ირ. წერეთელს უნდა გაეკეთებინა. ამხ. ვასო გადილიას წინადადებით. ამ კითხვასთან დაკავშირებით მოხსენება უნდა გაეკეთებინა რუსეთის შესახებ ამხ. მ. ხოჭოლავას, რაც მან შეასრულა და ბევრი საინტერესო ცნობები გადასცა ყრილობას. ყრილობის გასარჩევი მთავარი კითხვა იყო მიწის საკითხი. ამ საკითხზე მოკლე მოხსენებას აკეთებს ა. ანჯაფარიძე. ის აცნობს ყრილობას, თუ რამდენი დესიატინა მიწა იქნა ჩამორთმეული მემამულეებზე მთელ მაზრაში. როგორი ყოფილა საადგილმამულო კომიტეტის მუშაობა და როგორი გეგმა აქვს მას მომავალში. მთავრობას უნდაო, ამბობს ის, გამოსცეს კანონი მიწების განაწილების შესახებ და მას აინტერესებს ამ კითხვაზე თვით მიწის მუშების შეხედულება. თქვენმა ყრილობამ ამის შესახებ უნდა გამოსთქვას თავისი აზრიო. ყრილობას ეცნობა, თუ როგორი შეხედულებანი არსებობენ განაწილების შესახებ (გამოსყიდვა მემამულეებიდან, მიწების გადასვლა ადგ. თვითმართველობის ხელში და მისგან იჯარით აღება, ხელმისაწვდომ ფასებში გამოსყიდვა, დემ. მთავრობის ხაზინის სასარგებლოთ მიწის კერძო საკუთრებათ გადასვლა და მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობა). თუ რომელი პარტია რომელ შეხედულებას იცავდა, ეს არ იყო თქმული, რომ ამას არ შეეებოჭა ყრილობის აზროვნება. ყრილობას უთხრეს: აი ფორმები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი დემ. რესპ. ხაზინა უსასყიდლოთ დანაწილება უფრო დააზარალებსო მასო. ერთხმადაა დად-

გენილი, რომ მიწები ხელმისაწვდომ ფასებში და ფორმებში იქნას დარიგებული. ნორმა წყდება ოჯახის მოთხოვნილების მიხედვით. ყრილობა ტაშის ცემით ხვდება ამ დადგენილებას. დანარჩენ კითხვებს არ შეხებია. ყრილობა გაგრძელდა საღ. 7 საათამდე.

სალამოს 7-ს. მწყობრად და კმაყოფილად დაიშალა ეს ყრილობა იმ დაპირებით, რომ სოფლად ხელს შეუწყობდენ აქ გატარებულ დადგენილების გატარებას“.

ა. ფანცელი.
„ერთობა“, №194, 1918

* * *

„ახალ სენაკში დაარსდა მარქსისტ-მონაფეთა ორგანიზაცია. ჯერ-ჯერობით წევრები ორმოცდა თუთხმეტს აღემატება. წრე გაყოფილია სამ ჯგუფად – I წრეში ეცნობიან ლიტერატურას, II პოლიტიკურ ეკონომიას – ბაგდანოვისა, III ისტორიულ მატერიალიზმს, ორგანიზაციას ყავს თავისი წარმომადგენელი მეორე საოლქო კონფერენციაზე.

აქვე არსებობს ლიტერატურის წრე შემდგარი ადგილობრივ ვაჟთა გიმნაზიის მე-6 კლასის მონაფეთა ინიციატივით, რომელიც სცემს ნაბეჭდ ლიტერატურულ მხატვრულ ჟურნალს „ოქროს ვერძი“. ვთხოვთ ყველა ამხანაგებს დაგვეხმარონ – როგორც იდეურად ისე მატერიალურად. წერილები და შემოწირულებანი მიიღება შემდეგი მისამართით: ქ. სენაკი. ვაჟა გიმნაზიის მე-VI კლ. მონაფის პ. კეკელიას“.

„სოციალ-დემოკრატი“, №45, 1919

* * *

„აბაშა. ამ დღეებში საძირკველი ჩაეყარა აბაშის მუშათა კლუბს. წელზე მეტია, რაც ამ საქმისთვის მუშაობენ აბაშის რაიონის სოც. დემ. ორგანიზაციები. ფიქრობენ, რომ აქამდის დაამთავრებდნენ ამ საქმეს, მაგრამ ფულის კურსის სწრაფ-მა დაცემამ საქმეს მეტად ავნო: შეგროვილი ფული დღემდის ვერ შეივსო იმ რაოდენობამდის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საქმის დაწყება“.

„ერთობა“, №8, 1921

სიღნაღის ოლქი

სიღნაღელ მასწავლებელთა ხმა

„ვერც ერთი მაზრის ინტელიგენცია აიტანდა ისეთ უყურადღებობას და გულგრილობას, როგორი საარაკო თავშეკავებითაც ითმენენ ამას მთელი სიღნაღის მაზრის მოსამსახურენი და, განსაკუთრებით, მასწავლებელნი. რომ უკანასკნელნი ყველგან არიან მივინყებულ-მიტოვებულნი და მზრუნველობას მოკლებულნი, ამაზე არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, მაგრამ, რომ ხსენებულ მაზრის მასწავლებელთა ბედი არ აფიქრებს არც მთავრობას, არც, მით უმეტეს, ადგილობრივ ერობას და ქალაქის თვითმართველობას, და მათი ბედი კი ყველაზე მწარეა და აუტანელი, ესეც მხოლოდ თვითონ იციან. ადგილობრივ დაწესებულებათა მათდამი უყურადღებობა და ინდიფერენტობა ხომ ყოველივე საზღვარს სცილდება, და წარმოიდგინეთ, მასწ. კავშირის სანევრო გადასახადის ჯამაგირებიდან დაკავებაზედაც კი მტკიცე უარით უპასუხეს ადგილობრივ ფილიალის გამგეობის თხოვნაზე ერობის განათლების დარგის გამგეებმა „უდროობის გამო“.

კიდევ ერთი მაგალითი. აი, მიიღო სამაზრო ერობამ მთავ-

რობის განკარგულება: „წარმოადგინეთ ამდენი და ამდენი სურსათი ცენტრის მუშათა მაგიდის საჭიროებისათვის...“ (უნდა მოგახსენოთ, რომ სიღნაღში მუშათა მაგიდა არ არსებობს და მისი ფუნქციების ასრულება დავალებული აქვს სამაზრო ერობას). სამართლიანად უნდა ვსთქვათ, რომ იგი გადაჭარბებულის გულმოდგინებით ემსახურება ტფილისის მოსამსახურეთ: მიღებულია სასწრაფო ზომები სურსათის დროზე მისაწვდენად. სიღნაღის მასწავლებლობა ალლოთი იგებს, რომ ერობის სანყოფემა ივსება პურით და მიეშურება შესატყობათ გამგეობისაკენ – ხომ არავინ შეიტკივა მათთვის თავი წათამაშებულნი განათლების განყოფილების გამგის საყვედურით, რომ „თქვენ არა გვლანძღავთ და ამიტომ ხართ ყოველივეს მოკლებულნიო“, თამამად მოითხოვენ დახმარებას, მაგრამ ამას მოსდევს ამაყი, სასტიკი უარი ყოველივე დახმარების აღმოჩენაზე, რადგან პურიც და სხვა სურსათიც მთავრობისააო.

დარცხვენით, ამოხეულ მასწავლებელთ აცილებენ ყოველ მხრიდან დამცინავი თვალებით და ისინიც სწყევლიან თავის ბედს, იქ მოსვლის საათს და მიეჩქარებიან თავიანთ გაყინულ კუნჭულებისაკენ, სადაც ყელში ბოღმა მობჯენილნი, ეკითხებიან თავიანთ თავს: „რითი დავიმსახურეთ ასეთი დამცირება, დაცინვა, აბუჩად აგდება?“

მაგრამ, აი მან ერთხელ კიდეც სძლია სულწასულობას: მას თვალნი დაეხატა სამშობლოს დღევანდელი გაჭირვება, მისი ჯერედ გაუმაგრებელი მკერდი და ამშვიდებს თავის თავს. მაგრამ ხომ შესაძლებელია ცხვირნი არ აგაცალონ და არ წაუღონ უფრო შორეულს; ხომ უფრო სამართლიანია – ნაწილი ქიზიყში აკრეფილ პურისა მოხმარდეს თვით ადგილობრივ დამშეულ მასწავლებლობას!

მაგრამ ასე არ ფიქრობენ ჩვენი „მოკეთენი“, ისინი არ უწევენ ანგარიშს ჩვენს მწირს ჯამაგირს. განა წარმოსადგენია, რომ სრულიად არაფრის მქონე მასწავლებელმა 6000 მანეთით

იცხოვროს, როდესაც ფუთი ფქვილი 4000 მან. ფასობს და საუენ შემას ერობა „გვითმობს“ 40,000 მანეთად.

არ შეიძლება ითქვას, რომ სრულიად დავინწყებული ვყვანდეთ ჩვენი ქვეყნის მამებს. უადგილო ბრძანებებით და შეტუქსვა-შეპანჩურებით მეტად უხვად გვიმასპინძლდებიან. იმ დროს, როდესაც მეტად გაძნელდა მასწავლებელთა მონაწილეობის მიღება ადგილობრივ ერობის და ქალაქის თვითმართველობის სასკოლო კომისიებში, მათი წარმომადგენლობა, განმსჭვალული „დიდი მოვალეობის“ პასუხისმგებლობით, მეტად გულზვიადათ იქცევა და პედაგოგიურ კრებებზედაც კი აგონებს, რომ მასწავლებლები არარაინ არიან შედარებით მათთან – მთელი მაზრის ბატონ-პატრონთან.

მატერიალურად დაჩაგრული მასწავლებლობა ისპობა, მიწასთან სწორდება უფლებრივაც. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგს ასალეღვებელს ფაქტს: ნოემბრის 14-ს სიღნაღის უმაღლეს დანყებით სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომას დაესწრო ერთ-ერთი წევრი ქალაქის თვითმართველობისა. როდესაც ამ კრებაზე ერთმა მასწავლებელთაგანმა კრების თავმჯდომარის ნებართვით დასტოვა ნაადრევათ კრება, ქალაქის წარმომადგენელმა მრისხანე, ამალღებული კილოთი და მაგიდაზე ხეღების ბარტყუნით გაანცხადა: „უფღება არა აქვს არც ერთს მასწავლებელს დასტოვოს კრება, როდესაც მე, ქალაქის წარმომადგენელი, აქა ვარ. თქვენ აქ არაფერი ხართ და მალე შეიტყობთ კიდეც!“ მხოლოდ, მიიღო რა თავმჯდომარის პასუხი, რომ ამ მასწავლებელმა დაუყოვნებლივ ოპერაციის გასაკეთებლად მიღებულ შვებუღების ძალით დასტოვა კრება და გაეშურა ჩასაბარგებლად, – წარმომადგენელი ნამოვარდა ზეზე, აღმიღლა უფრო ხმა და მუშტების მუქარით დაიყვირა: „თქვენ ნუ დავინყდებათ, რომ მე ვარ მთელი მაზრის ბატონ-პატრონი და თქვენი უფროსი; თქვენ არავინ არაფერს გკოთხავთ და განანუბიებთ კიდეც თქვენს თვითნებობას...“ ამ საშინელმა ინციდენტმა საშინელივე შთაბეჭდიღება მოახღინა მასწავლებლობაზე.

თუ დემოკრატიულს რესპუბლიკაში მათ ასეთი ხვედრი ხვდათ წილად, რომელსაც სხვა და სხვა მოსაზრებით ითმენდნენ აქამდის, იმასაც მალე მოვესწრებით აქამდის, რომ ნივთიერს გაჭირვებას და ზნეობრივ დამცირებას თავიანთი მოვალეობა დაევიწყებოთ და ეს კულტურული ელემენტები განზე გაუდგნენ ისედაც ჩამორჩენილ ჩვენს პროვინციას“.

*მასწავლებელი.
„სახალხო საქმე“, №1001, 1920*

მუნიციპალური ცხოვრება – სიღნაღის თვითმმართველობაში

„15 სექტემბრის სხდომაზე გამგეობის წევრმა გ. გოძიევმა გააკეთა მოხსენება, გააცნო კრებას ძველი მათი ჯამაგირების რაოდენობა, სასკოლო და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დადგენილება, ე. ე. ყოველი ქალაქის მასწავლებელს დაენიშნოს ჯამაგირი თვეში 1300 მ.

კრება გაეცნო მოხსენებას და მასწავლებელთა ახალ და ძველ ჯამაგირების რაოდენობას, იქონია მსჯელობა და ხმის უმეტესობით კრებამ მიიღო სასკოლო და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დადგენილებანი.

გამგეობის წევრმა გ. გოძიევმა გააკეთა მოხსენება, აუხსნა კრებას მასწავლებელთა თხოვნა, რომლითაც თხოულობდნენ მოემატოთ ჯამაგირები იანვრის, თებერვლის და მარტის თვეების ორას-ორასი მანეთი თითოს და გაუხდეთ იმდენი, რამდენსაც ლებულობდნენ ერობის მასწავლებლები. აგრეთვე მომხსე-

ნებელმა გააცნო კრებას, რომ მასწავლებელთა თხოვნა სასკოლო და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას მიღებული აქვს.

კრება გაეცნო მოხსენებას, იქონია მსჯელობა და სასკოლო და საფინანსო კომისიის დადგენილებანი ერთხმად მიიღო.

გამგეობის წევრმა გ. გოძიევმა გააკეთა მოხსენება, გააცნო კრებას გამგეობის შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვის თვითეული მუხლი და აგრეთვე სასკოლო და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დადგენილებები, რომ კომისიების მიერ დადასტურებულია გამგეობის მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა და ზედმეტად 195,900 მან., რომელიც მოუხდება ქალაქს დახარჯოს სკოლებზე, დაფაროს იმ მომავალ ფულებიდან, რომელიც უნდა მიიღოს ქალაქმა მთავრობიდან მილიციისთვის დახმარების სახით. რადგან ქალაქს მილიციაზედ აუარებელი აქვს დახარჯული.

კრება გაეცნო მოხსენებას, სასკოლო და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დადგენილებებს, იქონია მსჯელობა და ხმის უმეტესობით მიიღო გამგეობის მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვა და სასკოლო და საფინანსო კომისიების დადგენილებანი, რომელიც უდრის 195,900 მან.

ქალაქის თავმა ს. ყაზბეგმა გააცნო კრებას გამგეობის მიერ შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა, ესე იგი თუ რამდენი დაუფდება ქალაქს შენობის შეკვეთა.

კრება გაეცნო ხარჯთ-აღრიცხვას, იქონია მსჯელობა და ერთხმად დაადგინა: რადგანაც ხარჯთ-აღრიცხვა არაა დამუშავებული წესიერად და არ არის გამორკვეული სწორი ჯამი თუ რამდენი დაჯდა შეკვეთა, ეს საკითხი დროებით იყოს შეჩერებული და დაევალოს გამგეობას, რათა საჩქაროდ მიიწვიოს განსაკუთრებული სატენიკო-სამშენებლო კომისია, რომელიც გამგეობასთან ერთად შეიმუშავებს სწორ ხარჯთ-აღრიცხვას და შემდეგ წარუდგენს საგანგებო ხმოსანთა კრებას განსახილველად და დასადასტურებლად“.

„საქართველოს რესპუბლიკა“, №220, 1919

მღვდლის თავგასულობა

(ს. ტიბაანიდან)

„სოფელი ტიბაანი 400 კომლისაგან შესდგება, სადაც მღვდელ-მსახურებას ასრულებს ვინმე მოძღვარი მამა კონდრატე ნინიკაშვილი. ეს მოძღვარი ნიკოლოზის ტახტის დამხობის შემდეგ დიდ პროვოკაციას სწევდა თავის მრევლში სოციალისტებისა და რევოლუციის წინააღმდეგ, ხალხთან კი თავს იკატუნებდა.

ასე თუ ისე ნდობასაც პოულობდა, ხელს ითბობდა თავის ბნელ ზრახვათა განხორციელებისათვის, ხალხს დაჰპირდა უსასყიდლოდ სამსახურს, და ერთ დროს ისე გადაიბირა ტიბაანის გლეხობა, რომ სოფლის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თავმჯდომარედ და სასურსათო კომიტეტის წევრადაც აირჩიეს. ასე განსაჯეთ, კომისარობასაც აპირებდა, მაგრამ არჩევის შემდეგ არ გასულა სამიოდე თვე, რომ სარევიზიო კომისიამ აღმოაჩინა მისი დაუდევრობა და უყურადღებობა სახალხო საქმისადმი. მას არამც თუ არ უწარმოებია ამხანაგობის საქმეები, არამედ დავთრებშიაც კი არ ჩაუხედიია, რომ გაეგო თუ რა კეთდებოდა ამხანაგობაში. ან კი სად მოიცლიდა საამისოდ მოძღვარი ნინიკაშვილი, როცა იგი მოგების საქმეებში იყო გართული, ეს მოძღვარი ამავე დროს არის მენისქვილე, მოიჯარადე, მეფუტკრე და პლანტატიორი (მეთამბაქოე), დღე და ღამე ცხენზე იჯდა და დადიოდა სასპეკულიანტო საქმეებზე: ჰგზავნიდა ტფილისში ფქვილებს, დაჰყვებოდა მუშებს და თავისი „მოღვაწეობა“ და მღვდელ-მსახურება სულ აღარ გახსენებია. ამ დროს მისი მრევლი კი უპატრონოდ იყო მიტოვებული და გლეხებს ხშირად ორი კვირის ლოდინი და ძებნა უხდებოდათ ამ მღვდლისა, რომ რაიმე წესი შეესრულებინათ მისთვის.

ნინიკაშვილის ამგვარმა საქციელმა მოთმინებიდან გამოიყვანა ხალხი და იანვრის 26 ს შესდგა სოფელ ტიბაანის ყრილობა, სადაც დაბარებულ იქმნა თვით ნინიკაშვილიც – რომელსაც მოსთხოვეს სამსახური, როგორც მოძღვარს შეჭფერის და როგორც ეს შეესაბამება მრევლის ინტერესებს.

სოფელს ნინიკაშვილმა უპასუხა, რომ მე ისევ ისე ვიმსახურებ როგორც დღემდის, მხოლოდ იმ პირობით, თუ შარშანდელისა და წლევეანდელ პურის დრამას ე.ი. თითო კოდ ხორბალს გადაიხდით კომლობრივითო. თუ გინდათ ასე, თუ არა და არც ძალიან ვსაჭიროებ თქვენს სამსახურსაო.

როგორც აღვნიშნეთ, ტიბაანში 400 კომლი მცხოვრებია და ოთხასი კოდი პური 1200 ფუთს შეადგენს, ხოლო თუ ამ ხორბალს დღევანდელ ფასობაზე ვიანგარიშებთ, 180000 მანეთს შეადგენს. კაი ლუკმაა, რომელიც „უსასყიდლოდ მოსამსახურე“ მოძღვარმა მოსთხოვა სოფელს.

ტიბაანმა მას ნახევარი კოდის მიცემა აღუთქვა თუ ის პირნათლად შეასრულებდა სამღვდელო სამსახურს, მაგრამ რადგან ნინიკაშვილისგან უარი მიიღო, ხალხმა დაადგინა გამოეცხადოს ნინიკაშვილს, რომ მან დასტოვოს საეკლესიო შენობა და მის მაგიერ მონვეულ იქნას სხვა მღვდელი. ამ დადგენილების ასლი სათანადო განმარტებით გაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს, საკათალიკოსო საბჭოს და ალავერდის ეპისკოპოსს პიროსს, მაგრამ გავიდა ხანი და სოფელმა პასუხი ვერ მიიღო. ამავე დროს სოფლად გადამდები სენი და სიკვდილი მძვინვარებდა. ამით ისარგებლა მღვდელმა კონდრატემ და ვისაც გაჭირვებულს მიახწრებდა, წინა დღითვე მოატანინებდა ტაბლებსა და კოდ პურს და მერე წესს შეუსრულებდა. მისმა ასეთმა საქციელმა აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა ხალხი და სოფელმა მეორედ კატეგორიულად მოსთხოვა მას – მოგვმორდი, აღარ გვინდა შენი მღვდლობა, დაგვიცალე ჩვენი მამა-პაპის აშენებული ეკლესია და სახლიო. თანაც ამოირჩიეს ორი რწმუნებული და გაგზავნეს ალავერ-

დის ეპისკოპოსთან, რომელსაც სთხოვდნენ ნინიკაშვილის გადაყენებას, სანამ სხვა მღვდელს მოიწვევდნენ ნება დაერთო ადგილობრივი ბერებისთვის მღვდელ-მოქმედების შესრულებისა. პიროსის დასტური მართლაც მიიღო სოფელმა, მაგრამ არ გასულა ერთი კვირა და აღდგომა დილით ტიბაანელებს მოუვიდათ მოულოდნელი მინერილობა სიღნაღის მაზრის საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარისგან, სადაც ის სწერდა, რომ: თანახმად ალავერდის ეპისკოპოსის მოწერილისა გაცნობებთ, რომ ტიბაანელების საჩივარი ნინიკაშვილის წინააღმდეგ ცნობილია უსაფუძვლოდ, ამიტომ უყურადღებოდ იქნა დატოვებული. ამიტომ ნინიკაშვილს, როგორც ტიბაანის კანონიერ მღვდელს გამოეცხადა, დაბრუნდეს ტიბაანში და შეუდგეს თანამდებობის ასრულებასო. მენტეშაშვილი აღნიშნავდა აგრეთვე, რომ სოფელი ვალდებულია გადაიხადოს კოდი-პურიო.

ამ უცნაურმა, ძალადურმა მოწერილობამ ისეთი გავლენა იქონია სოფლის მორწმუნე ხალხზე, რომ აღდგომას დილით საფლავებზე გატანილი წანდილ-ტაბლები უკუერთხეველად წამოიღეს სახლებში და წყევლა-კრულავით იხსენიებდნენ ისეთ თავისუფლებას, რაიც მათ რწმენას უკარგავს და ძალათ ახვევს თავს ისეთ მღვდელს, რომელიც თავისი ტირანულის და გაიძვერა მოქმედებით პატივს და მადლს უკარგავს ხალხის თვალში რწმენასა და ეკლესიის წესსა.

ეს მენტეშაშვილი მარჯვენა ხელია ნინიკაშვილისა და ჩვენ ეჭვი გვეპარება, რომ პიროსის ასეთი განკარგულება ამათი მახინაცების შედეგი არ იყოს. აღდგომა დღეს კიდევ შექუჩა და სოფელი და გამოიტანა დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია: რომ თუ ჩვენს საჩივარს კანონიერად არ ჩასთვლიან და ნინიკაშვილს არ გადააყენებენ და ნებას არ მოგვცემენ მოვიწვიოთ ისეთი მღვდელი, რომელიც სოფელსა ჰსურს, იმ შემთხვევაში ჩვენ გადავდგებით ჩვენის რჯულიდან და სხვა რომელიმე სარწმუნოებას შევუერთდებითო.

ამასთანავე, ამოირჩიეს რწმუნებულები და გაჰგზავნეს ტფილისში სიმართლის საძიებლად.

აი ამ ზომამდე მიჰყავთ ხალხი ჩვენს „სასულიერო მამებს“ და მათ ხელმძღვანელებს, და არაფერს ერიდებიან, საკუთარ ჯიბესა და კუჭსა სწირავენ ხალხის ინტერესებს“.

ტეტია გლეხი.
„სახალხო საქმე“, №503, 1919

ქუთაისის ოლქი

მოწოდება ქუთაისის ქალებისადმი

„არავინ ისეთი ჩამორჩენილი არ არის ცხოვრებას, როგორც ჩვენი ქალები. არავის არ ეჭირვება ზრუნვა განათლებისა და გათვიცნობიერებაზე, როგორც ჩვენ ქალებს. დროა ვიფიქროთ ჩვენ გამოფხიზლებაზე, დროა ვიზრუნოთ ჩვენ წინ მსვლელობაზე. მუხთალ ბედს არ ურგუნებია ჩვენთვის საშუალება განათლება მიგველო, თვალი გაგვეხილა, სისწორით შეგვეხედა ცხოვრებისთვის, მაგრამ ამან გული არ უნდა გაგვიტეხოს. თუ სურვილი აქვს კაცს ყოველივე დაბრკოლება შეუძლია გადალახოს. დეე გვიან, მაგრამ მაინც ვიზრუნოთ ჩვენ სულიერ და კულტურულ მოთხოვნილებებზე. მუშა ქალთა ორგანიზაცია ხელს უწვდის იმათ, ვინც ასეთ მოთხოვნილებას გრძნობს. მუშა ქალთა ორგანიზაციამ გახსნა ღარიბ ქალთათვის ეგრედ ნოდებული „შრომის შკოლა“, სადაც შეუძლია ისწავლოს ყველას განურჩევლად მდგომარეობისა, მიმართულებისა, ეროვნებისა, სადაც შეუძლია ისწავლოს ყოველ ღარიბ ქალს, რა ხნისაც არ უნდა იყოს ის.

ისწავლის საგნებს, გაივლის პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებლის კურსს, ისწავლის ხელ-საქნარს: ჭრა-კერვას, ზაფების დამზადებას, მატერიებისა და ჩულქების ქსოვას, ფეხსაცმელების კერვას და სხვას. მაცადინობა რა დროსაც უფრო მოსახერხებელია მონაფეთათვის, იმ დროს იქნება. მ. ქ. ორგანიზაციამ უკვე დაიქირავა სკოლის გამგე, მასწავლებლები და სხვა მოსწავლეებს უცდის. ნუ დაგაბრკოლებთ ნურც უფულობა, ნურც ტანისამოსის უქონლობა, ყველაფერი მოგვარდება, ყველაფერი მოეწყობა, ოღონდ სურვილი გამოიჩინეთ მაცადინობის. ნუ გაუტეხთ გულს ქალთა ორგანიზაციას, დაარწმუნეთ ის, რომ არ შემცდარა, როცა ღარიბ ქალთათვის სკოლა გაუხსნია. ღარიბი ქალები გრძნობენ ამ სკოლის საჭიროებას და არც დატოვებენ მას ცარიელს. ყოველი დიასახლისისთვის, ყოველი დედისთვის აუცილებელია მდაბალი განათლება მაინც. მაშ, ნუ დაიგვიანებთ, გაგზავნეთ ამ სკოლაში თქვენი შვილები, ჩაენერეთ თითონ, ნუ უარყოფთ მუშა ქალთა ორგანიზაციის მიერ გამოწვეულ ხელს. ისარგებლეთ, გამოიყენეთ ამ ორგანიზაციის ნაშრომი!!

ჩანერა შეიძლება თვით შკოლაში (ორპირის ქუჩა, ლომიდის სახლი „შრომის შკოლა“) დილის 9-2 საათამდე და მუშა ქალთა ორგანიზაციის ბინაზე (სობოროს პირდაპირ რიჟინაშვილის სახლი, სასურსათო კომიტეტის ყოფილი ბინა).

ვთხოვთ ქუთაისის დანარჩენ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს მონოდება“.

**- მუშა ქალთა ორგანიზაციის გამგეობა.
„სოციალ-დემოკრატი“, №429, 1918**

ქუთაისის ავ-პარტი

მუშათა პროფესიონალური კავშირები

„მკითხველს მოეხსენება, რომ ქუთაისში არ არის უფრო მსხვილი წარმოება განვითარებული. უფრო წვრილ ხელოსნურ წარმოებას აქვს ადგილი. ამიტომაც არის, რომ აღებული ცალ-ცალკე თვითეული არაფერია, წევრთა სიმრავლით ძლიერ მოისუსტებს.

რეგულაციის პირველ დღეებში, მუშათა საბჭომ გამოყო კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ყველა პროფესიებში შეექმნა პროფესიონალური კავშირი. რამოდენიმე დღის შემდეგ კომისიამ დაამთავრა მუშაობა და გამოიკვია, რომ ქუთაისში 30-ზე მეტი მუშათა პროფესია ყოფილა. კომისიამ საჭიროთ დაინახა მონათესავე პროფესიების შეერთებით უფრო ძლიერი კავშირები შექმნილიყო. ეს მოხდა, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ პროფესიებთან შეთანხმებით. და ამ შეერთების შემდეგ უკვე ჩამოყალიბდა 10 პროფესიონალური კავშირი, რომლებიც შეუდგნენ მუშაობას.

პირველ ხანებში პროფესიონალური კავშირების უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე. ამ მხრივ, უნდა სიმართლე ითქვას, ყველა კავშირებმა პირნათლათ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, მაგრამ რაც შეეხება სხვა დანარჩენ მხარეს, მაგალითად როგორიც არის გონებრივი საზრდოს მიწოდება, ლექციების კითხვა, სამკითხველოს გახსნა თუ სხვა, ამ მხრივ ბევრი არაფერი გაკეთებულა. გამონაკლისს შეადგენს ერთი თუ ორი კავშირი, რომელთაც შეძლებისდაგვარათ მოაწყვეს სალიტერატურო საღამოები და წარმოდგენები.

ამის ერთი მთავარი ხელის შემშლელი იყო ისა, რომ პროფესიონალურ კავშირებს არ გააჩნდა ერთი ცენტრი, რომელსაც უნდა გაენია იდეური ხელმძღვანელობა პროფ. კავშირებისთვის.

კავშირებში იშვიათად მოიპოვება პროფესიონალური მომუშავენი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ამიტომაც იყო, რომ მუშაობა მოიკოჭლებდა. ამ ორი თვის წინათ ყველა მუშათა პროფესიონალურმა კავშირებმა უკვე შექმნეს ერთნაირი ცენტრი, ე.ი. კავშირის საბჭო.

კავშირთა საბჭო უკვე შეუდგა მუშაობას, უკვე ჰყავს მდივანი, რომელიც კარგად იცნობს მუშათა კითხვებს და დავალებული აქვს იდეური ხელმძღვანელობა გაუწიოს ყველა კავშირებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ცენტრალური საბჭო ამ მხრივ გაამართლებს იმედებს.

ჩვენ არ მოგვეპოვება მუშათა კლუბი, სადაც უნდა ლექციები იკითხებოდეს და იმართებოდეს საუბარი ამა თუ იმ კითხვებზე. არ გვაქვს სამკითხველო და სხვა. ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს კავშირთა საბჭომ. გარდა ამისა, აქ არსებობს საღამოს სკოლა, სადაც ყოველ დღე სწარმოებს სწავლა და ახალგაზრდა მუშები გონებრივი საზრდოს მიღებას ესწრაფებიან. ხშირად ამ ახალგაზრდა მუშებს მათი „ხაზინები“ სასწავლებელში არ უშვებენ. ამ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება. თვითოეულმა პროფესიონალურმა კავშირმა თავისი თავი მოვალეთ უნდა გახადოს, რომ თავის პროფესიაში თვალ-ყური ადევნოს ახალგაზრდა მუშების მდგომარეობას. ახალგაზრდა მუშებს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, თუ გვინდა, რომ ჩვენი მომავალი თაობა იქნეს განვრთნილი და შესაფერისად მომზადებული მტერთან ბრძოლაში“.

„სოციალ-დემოკრატი“, №429, 1918

ქუთაისის ავ-პარტი

მუშა ქალთა ორგანიზაცია

„ამ ორგანიზაციის მზის სინათლეზე არსებობა იწყება რე-ვოლუციის პირველ დღიდანვე. მისი მიზანი იყო მუშა-ქალთა შეკავშირება ერთ მთლიან სხეულში და მათში კულტურული მუშობის გაჩაღება. პირველი ნაბიჯი ამ ორგანიზაციისა გამოი-ხატებოდა შემდეგში: ქალაქი დაყვეს რამოდენიმე უბნებათ და იქ მოაწყვეს ამ ორგანიზაციის განყოფილებები, ესე იგი საუბ-ნო კომიტეტებში თავს იყრიდა იმ უბნის მუშა ქალები და აკე-თებდენ დემოკრატიულ საქმეებს. პირველ ხანებში მან შესძლო დემოკრატიული ქალების ერთ სხეულში შეკავშირება. კულტუ-რული მუშაობა ამ ორგანიზაციამ ისე ვერ მოაწყო, როგორც ეს საჭირო იყო. მაგრამ სამაგიეროთ ყოველივე არჩევნებზე, როგორც იყო საქალაქო და დამფუძნებელი კრების არჩევნე-ბი, თავდადებულათ მუშაობდენ. ახდენდენ კრებებს, უხსნიდენ არჩევნების ტენიკურ და იდეურ მხარეებს. ამ ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა სოც. დემოკრატიულ კომიტეტთან და მუშათა საბჭოსთან და ამ უმაღლეს რევოლუციონურ ორ-განოების დაძახებისთანავე მზათ იყვენ ეკეთებინათ რევოლუ-ციონური საქმეები. მუშა ქალთა ორგანიზაციამ მოაწყო გამომ-ცემლობა, გამოუშვეს რამოდენიმე პატარა წიგნაკები და ამით ხელი შეუწყვეს დემოკრატიის გათვითცნობიერების საქმეს. როდესაც ოსმალეთთან ომი დაიწყო, ამ ორგანიზაციამ გადას-წყვიტა მთელი თავისი ძალ-ღონით დახმარებოდა სამშობლოს შვილებს მტერთან ბრძოლაში. ამ მიზნით მოაწყვეს მონყალე დებისთვის კურსები, სადაც მიიწვიეს დახელოვნებული ექიმე-ბი და ორ-სამ კვირაში საავატამყოფოს უკვე მიაშველეს მონყა-ლე დები სამუშაოდ. გარდა ამისა, მოაწყვეს ეგრეთ ნოდებული

ინტერპარტიული ქალთა ბიურო, რომელსაც მიზნად ქონდა მატერიალური დახმარება აღმოეჩინა დაჭრილ-დასახიჩრებულთა ოჯახებისთვის. ამრიგათ შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ორგანიზაცია შეიძლებისდა გვართ ხელს უწყობდა ყოველგვარ რევოლუციის სასარგებლო მუშაობას. ამ ორგანიზაციამ სხვა მუშაობასთან ერთად, ერთი მეტათ სიმპატიური ნაბიჯიც გადადგა. ეს გახლავთ შრომის სკოლის გახსნა.

როგორც გამგეობა მოგვითხრობს თავის მოხსენებაში, ამ სკოლის დაარსება გამოუწვევია საუბნო ქალთა ორგანიზაციების მოთხოვნილებას. ცენტრალურ მუშა-ქალთა ორგანიზაციას გაუწევია რა ანგარიში საუბნო ქალთა ორგანიზაციების მოთხოვნილებებისთვის, შეძლებისათანავე კიდევ დაუარსებია ხსენებული სკოლა. ამ სკოლის მიზანი შემდეგი არის: მიანოდოს მუშა-ქალებს ოთხი კლასის ცოდნა. აგრეთვე ასწავლიან ყოველგვარ ხელ-საქმეს. მონვეული ჰყავთ შესაფერისად მომზადებული ხელმძღვანელები და მეცადინეობაც კარგათ მიმდინარეობს. ანორმალურ პირობებში ძნელი იყო რაიმე ახალი საქმის დაწყება, მით უმეტეს ასეთი ტიპის სკოლის გახსნა, მაგრამ მიუხედავათ მრავალგვარ დამაბრკოლებელ მიზეზებისა, მუშა ქალთა ორგანიზაციამ მაინც შესძლო ამ საქმის გაკეთება. ამ სკოლაში მოქსოვილი მატერიები თავის ღირსებით არ ჩამოუვარდება ქარხნებში დამზადებულთ და ფასიც ხელმისაწვდომი არის. რომ ეს სკოლა უფრო კარგს პირობებში ჩააყენოს ხსენებულმა ორგანიზაციამ, ამისათვის საჭიროა მას შესაფერი დახმარება გაუწიოს როგორც ქალაქის თვითმმართველობამ, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებმაც. ამ რამოდენიმე დღის წინათ მოხდა ხსენებულ ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება. ახალ გამგეობაში აირჩა ბევრი ახალი ძალები, რომლებიც ჩვენის ფიქრით, მთელ თავის ენერგიას არ დაიშურებენ საზოგადო საქმისთვის. იმედია ამხანაგი მუშა ქალები, რომლებიც ჯერ კიდევ რეაქციის დროს არალეგალურათ ასე თავდადებული მუშაობდნენ, ეხლა უფრო გააცხოველებენ ამ მუშაობას და

მათ კულტურულ საქმიანობაში თუ რამე დეფექტებია, მთლათ გამოასწორობენ. ვუსურვებთ განახლებულ გამგეობას გაემართლებინოს ჩვენი იმედები“.

„ერთობა“, №1152, 1918

ს. ჭავჭავაძე (სამტრედიის რაიონი)

„5 ოქტომბერს, სამტრედიის რაიონულ ს.-დ. ორგანიზაციის სასარგებლოთ გაიმართა სალიტერატურო საღამო. პირველ განყოფილებაში მოხსენება გააკეთა მშრომელი ხალხის გულის მესაიდუმლე ეგნატე ნინოშვილზე ამხ. ილიკო კოპალეიშვილმა. მან მოკლეთ და მკაფიოთ გააცნო დამსწრეთ, თუ ვინ იყო ეგნატე, რას წარმოადგენს მისი ღვაწლი მშრომელი ხალხისთვის. მან დაახასიათა ეგნატეს მოთხრობის გმირები: დავით დროიძე და მისი როლი ჩვენს ცხოვრებაში და სიმონა თავის გაჭირვებული მდგომარეობით. მოხსენებამ საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე. მეორე და მესამე განყოფილებაში კომედიები: „ორი მშვიერი“ და „ტიმოთეს ლელვი“. მეოთხეში ლექსები და სცენები, რომელშიდაც მონაწილეობდნენ შემდეგი ამხანაგები: ლევან ბუაძე, მინა კოპალეიშვილი, ვასო აბდალაძე. მათ თავიანთი მოხთენილი კილოთი ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება, რომელიც კმაყოფილი დაიშალა. აქვე აღვნიშნავთ საღამოს ანგარიშსაც. ბილეთები გაიყიდა 664 მ., ვახშამი 74 მ. სულ 738 მ. აქედან ხარჯები გავიდა 330 მ. 63 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 407 მ. 38 კ., რომლიდანაც ადგილობ. დარჩება 30 პროც. და დანარჩენი გა-

დაეცა ს.რ.ს.დ. ორგანიზაციას. ე. ი ადგილ. კოლექტივს. 122 მ. 10 კ. და 284 მ. 90 კ. კი რაიონს. დიდი მადლობის ღირსია დამსწრე საზოგადოება, რომელმაც დაგვიმტკიცა ერთგულება და დახმარება მათთან ერთად მდგომს ქირში და ლხინში მისი ინტერესების დამცველს პარტიისა. ვუსურვებთ სალამოს გამართვის ინიციატორებს და მომწყობ კომისიას ხანგრძლივ მხნე მუშაობას და ენერგიას“.

– სევ. ხვიჩია.

„სოციალ-დემოკრატი“, №427, 1918

* * *

„ქალთა კრება, 27 ოქტომბერს მუშა ქალთა ორგანიზაციის ხელძღვანელობით კახიონურის რაიონში მოხდა ქალების კრება. კრებას დაესწრო 50-მდე ქალი. მუშა ქალთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. მ. ვაშაძემ. მომხსენებელმა ნათლათ გადაუშალა დამსწრეთ, თუ რა გააკეთა ხსენებულმა ორგანიზაციამ და კერძოთ რა მიზანი აქვს დასახული შრომის შკოლას, სადაც პროფესიონალურ ცოდნის გარდა შეიძლება მიიღოს 4 კლასის ცოდნა. ბოლოს მოხდა ხელმძღვანელ ბიუროს არჩევნები. ბევრმა ქალმა ამ კრებაზევე განაცხადა სურვილი შრომის შკოლაში მაცადინეობაზე. ასეთი კრებების მონვევა მუშა ქალთა ორგანიზაციის მიერ მეტათ სასარგებლო არის. როგორც გადმოგვცემენ, მუშა ქალთა ორგანიზაციას გადაუწყვეტია, რომ ასეთი კრებები გამართოს ყველა უბნებში“.

„რევოლუციური ნობათი“, №46, 1918

თეატრი და ხელოვნება

ქვიტირის ქუჩის სახალხო თეატრი

„აგერ ერთი თვე იქნება რაც ქვიტირის ქუჩაზე გაიხსნა სახალხო თეატრი. ამ ხნის განმავლობაში ამ თეატრში გაიმართა უკვე წარმოდგენა. ეს მოვლენა პირველი შეხედვით არც ისე მნიშვნელოვანია, რომ მან ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყროს, მაგრამ ნამდვილად კი ეს ასე არ არის. ყველასთვის ცხადია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრს ხალხისათვის. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი თუ როგორ უწყობს თეატრი ხელს მასის შეგნებას, მის გათვითცნობიერებას, მის ესთეტიკურ განვითარებას, მორალურ აღზრდას და სხვა. თეატრი ერთი იმ იარაღთაგანია, რომელიც უკაფავს გზას მშრომელი ხალხის შრომის განთავისუფლებას. და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სწორედ მშრომელი ხალხისთვის თეატრში ღვივის ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელმაც მშრომელი ხალხი სულიერად უნდა გაზარდოს და ამით გაუადვილოს მას ბრძოლა თავის საბოლოო გამარჯვებისათვის. ამიტომ ცხადია, რომ ყოველი შეგნებული მოქალაქის და რევოლუციონერის ვალია შეუწყოს ხელი თეატრის ხელოვნების აღორძინებას.

დიადია თეატრის როლი კაცობრიობის გათვითცნობიერების ისტორიაში. და ყოველი მოქალაქე მის მნიშვნელობას შეგნებულად უნდა აფასებდეს. მაგრამ საუბედუროთ, არიან ისეთები, წარმოიდგინეთ, ზოგიერთი ვითომდა ინტელიგენტები, რომლებიც ვერ გასცილდებიან ვინრო ობივატელურ „მეშჩანურ“ აზროვნებას და ისინი ნებით თუ უნებლიეთ სახელს უტეხენ თეატრის მნიშვნელობას. ფართო მასაში ეს, რა თქმა უნდა

მეტად სამწუხარო მოვლენაა და ის ზედმინვენით ახასიათებს მათ გონებრივ ჩამორჩენას, სიბნელეს. მაგრამ სწორედ ასეთი მდგომარეობა მით უფრო ადიდებს თეატრის მნიშვნელობას ფართო მასისათვის. „ყოველი დასაწყისი ძნელია“, ნათქვამია. ძნელი იქნება ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა მათი პირველი ნაბიჯები. მაგრამ ისინი არ უნდა შეაშინოს, და მათ უნდა განაგრძონ დაუღალავი მუშაობა იმ იმედით, და რწმენით, რომ ისინი სახალხო საქმეს ემსახურებიან“.

„რევოლუციური ნობათი“, №46, 1918

მუშა ქალთა ორგანიზაციის სკოლა

„მუშა ქალთა ორგანიზაციის სკოლაში სწავლობს 123 მოზრდილი მუშა ქალი. მათი შემადგენლობა შემდეგია: 32 ქალი არის ჩაის ქარხნიდან, 27 ოჯახის მოსამსახურე ქალი, 8 სამხედრო სამკურნალოში მომუშავე „სიდელკა“, 8 მკერავთან მომუშავე, 5 თამბაქოს ქარხნიდან, 5 მექუდესთან მომუშავე, 3 ბამბაზე მომუშავე, 2 „კოოპერაციის“ სასადილოდან, 1 ნოქარი. დანარჩენი არის ლარიბი ოჯახის წევრები. მიუხედავად მთელი დღის შრომისა და დაღლილობისა, მუშა ქალები, როგორც გადმოგვცეს, დიდ ხალისს იჩენენ მეცადინეობისას. სკოლაში გადიან დაახლოვებით ოთხი კლასის კურსს, გარდა ამისა, კვირაში ორჯერ კითხულობენ მოხსენებებს სხვა და სხვა საკითხზე. შარშან ისმენდნენ მოხსენებას კულტურის ისტორიიდან. წელს: ქართული ლიტერა-

ტურიდან, პოლიტიკური ეკონომიიდან და ქალთა საკითხებიდან. მონაფეები გულით მაცადინობენ, მასწავლებლებიც შრომას არ ზოგავენ, შემომჩივის მ. ქ. ორგანიზ. გამგეობის წევრი, მაგრამ უბედურება ის არის, ფული არ გვაქვსო. – ფული არ არის ის, ვუპასუხე მე, აგერ ახალ წლის შეხვედრიდან რომ დაგრჩათ? „ის ჩვენ ვალებსაც არ ეყოფა, მერე კიდევ გამგეობას განა სკოლის გარდა სხვა საზრუნავი არა აქვს?! მეუბნება გამგეობის წევრი, ჩვენ გვინდა უმუშევარი მუშა ქალებისთვის სახელოსნო გავსსნათ, ბიბლიოთეკა შევიძინოთ და უბნებში, სადაც კულტურული წრეები გვყავს, წიგნები დავარიგოთ და სხვა ათასი. ყოველივე ამას ფული სჭირდება, მოზრდილი თანხა სჭირდება აგრეთვე სკოლასაც, ჩვენ კი ეს არა გვაქვს. სწავლა სრულებით უფასოა, ერთად ერთი შემოსავლის წყარო საქველმოქმედო საღამოებია, ეს კი საქმეს არ შევლის. მერე კიდევ აღარ შეგვიძლია სულ მუდამ ხელგანვდილი სიარული საზოგადოებაში და ღრიჭინი. ორი წელიწადია ვწვლობთ, რას არ ვმართავთ, რა ზომებს არ ვღებულობთ, მაგრამ მაინც ვერ უზრუნველვყავით სკოლა. არა, ამ პირობებში სასწავლებელი ვერ იარსებებს. მივმართეთ დახმარებისათვის ქალაქის გამგეობას, თუ მან არ უზრუნველყო სასწავლებელი, ის ვერ იცოცხლებს, აუცილებლათ დაიხურება“.

ჩვენ როგორც ერთ-ერთ მოქალაქეს რა დახმარება შეგვიძლია ამ სკოლის!

ქალთა ორგანიზაციას სწორედ კარგი გზისთვის მიუმართავს. ქალაქის თვითმართველობის პირდაპირი მოვალეობაა უზრუნველჰყოს ეს სასწავლებელი. ქალაქს თუმცა ბლომათ აქვს სკოლები, სადაც მოზარდი თაობა განათლებას ღებულობს, მაგრამ ასეთი, წმინდა მუშური სკოლა გარდა პლენარის სახელობისა, მას არც ერთი არა აქვს. ქალაქის დემოკრატიული თვითმართველობა, დარწმუნებული ვართ, არ დაუშვებს ასეთი სკოლის დახურვას“.

„სოციალ-დემოკრატი“, №3, 1920

* * *

დეპეშა მთავრობის თავჯდომარეს ქუთაისიდან. „ქუთაისის ქალთა კრება ზიზღს უცხადებს სისხლის ღვრის მსურველ უმადურ სომხებს. სალამს უძღვნის საქართველოს მთავრობას და ძღვევამოსილ ქართველ მხედრობას. შესდგა ინტერპარტიული ქალთა კომისია, რომელიც მეომარ ძმების სასარგებლოდ ყოველგვარ შემონირულობას მიიღებს“.

„შრომა“, №2, 1919

თეატრი და ხელოვნება

„ურჩის სისხლი“

დრ. სამ. ბერშტეინისა

„ქუთაისის დრამატიული საზოგადოების დასი მრავალფეროვანია, იგი საუკეთესო ძალებით არის შევსებული. აქ არის ქართული სცენის სიამაყე ნუცა ჩხეიძე, მკვირცხლი და გრძნობიერი არ. ლოლუა, ნიჭიერი ციმაკურიძის ასული, დინჯი და მოფიქრებული მ. მდივანი.

ამ დასს ამშვენებს ალ. იმედაშვილი – რომელიც დიდ იმედებში – დიდ მსახიობათ გადაიქცევა. აქვეა ყალაბეგაშვილი, მურუსიძე, კორიშელი, გომელაური და სცენის ინტელიგენტი ევროპიელი, გრძნობიერი ახალგაზრდა მ. ჭიაურელი.

მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა მუშაობს ქუთაისის სცენაზე გამოცდილი რეჟისორის ხელქვეით.

მაგრამ მუშაობენ თითქო უფერულათ. მუშაობენ გულით, მაგრამ ეს მუშაობა არ სჩანს, სცენაზე ხელოვნება გაბატო-

ნებულა, მაგრამ ძვირფასი სამოსელი დაუკარგავს და პრინცს ნაფხრენები ჩაუცვამს.

გული მიკვდება, როცა პარიჟელ არისტოკრატს უხეირო შარვალი აცვია, ან ჰერცოგის კაბინეტში ფანჯრები ჩალენილია... ხედავ ამას და საოცარ შთაბეჭდილების ქვეშ ბრუნდები. მაღლიან და შნოიან თამაშს ხშირათ აღარ აფასებ და გინდა საყვედურებით აივსო საკუთარი გული მაინც, თუ სხვების არა.

მერე რამდენი რამის გაკეთება შეუძლია რეჟისორს ამ დასით, რა მაღლიანი მუშაობა შეიძლება აწარმოვოს, – რომ ქუთ. დრ. საზ. მეტი ფული ქონდეს, მეტი სიმპატია ქონდეს მოპოვებული ზოგიერთი წრეებიდან. სხვა დროს უფრო ხელს უმართავდნენ ამ დაწესებულებას, ვიდრე ახლა.

ხანდახან სუბსიდიებსაც აძლევდენ, დღეს კი ყველასგან მიტოვებულია, და საკუთარი შემოსავლით თავს ძლივს ინახავს. თვით ქალაქმაც კი დაივიწყა თეატრი და მეტათ მძიმე პირობები დაუდო დრ. საზ. გამგეობას.

სხვა დაწესებულებები ხომ აღარც კი ახსოვთ და განა ქართულ ბურჟუაზიას არ შეეძლო აქ დანმარებოდა მას, შეეძლო და ამით დიდ საქვეყნო საქმეს გააკეთებდა, რეჟისორს შეძლებას მისცემდა მეტი ხარჯები გაეღო, ახალი პიესა დაედგა, ხელოვნება აელორძინებინა და ქუთაისის თეატრი – აემალღებია. რა კარგი იქნებოდა, რომ ჭიაურელს შეძლებას ქონდეს ახალი დეკორაციების დახატვისა, ქორელს ახალი პიესის დადგმისა.

დასის რეპერტუარში ბევრი ახალი ქართული ორიგინალური პიესებია, რომლის დადგმა რეჟისორს ვერ მოუხერხებია, რადგან საამისო ხარჯი არ შეუძლია თეატრის ადმინისტრაციამ გასწიოს, რადგან მაშინ მსახიობები უჯამაგიროთ დარჩებიან და იდგმის ისევ ძველი პიესები.

და ამ ძველ პიესებით მაინც იხიბლება ხალხი, ისეთი მწყობრია.

კვირას დაიდგა ბერშტეინის „ურისის სისხლი“ მესამეთ და მშვენივრათ შეასრულეს.

აქ თქვენ გხიბლავდათ და გატყვევებდათ თითქმის ყველა.
საერთოთ პიესამ მწყობრათ ჩაიარა“.

„სოციალ-დემოკრატი“, №44, 1919

თეატრი და ხელოვნება

მარგარიტა გოტიე ქუთაისის სცენაზე

„1 მარტს ქუთაისის სცენაზე წარმოადგინეს „მარგარიტა გოტიე“.

მარგარიტა გოტიეს ისტორია – ეს ძველი, მაგრამ მუდამ ახალი. ეს ყველასთვის ცნობილი, მაგრამ მუდამ ცხოველი და საინტერესო მოთხრობაა დევნილი და ტანჯული ადამიანისა.

მარგარიტა – ეს დაცემული და გასვრილი, მაგრამ სულით მაღალი და კეთილშობილი ადამიანი, უნმინდეს სიყვარულის წყაროს ენაფება. ის მიილტვის ბედნიერებისაკენ. მაგრამ მას წინ ელობება პარიჟის ბურჟუაზიის ზნეჩვეულება – მორალი, ის იღუპება, მაღლა აფრენილი – ძირს ეცემა გულ-გაპობილი.

მარგარიტა ღვიძლი შვილია ევროპის ბურჟუაზიის მიერ შექმნილი უკულმართი ცხოვრების პირობებისა, რომლებიც შუაზე აპობენ ადამიანის ბუნებას, სულს თიშავენ სხეულისაგან და გონებას სულისაგან. ესენი კი არღვევენ ადამიანის ინდივიდის მთლიანობას და ჰქმნიან ტანჯვას, სასოწარკვეთილ-

ბას, უბედურებას და უდროვო სიკვდილს.

უკვირდები მარგარიტას ხანმოკლე ტანჯულ სიცოცხლეს და თქვენში იღვიძებს სიძულვილი და მტრული გრძნობა ამ პირობების წინააღმდეგ, რომელიც შექმნა ბურჟუაზიამ და რომელიც ასე ულმობელათ უსწრაფვენ სიცოცხლეს ნაზს, სულით სპეტაკს, სიკეთით სავსე, აზრით თავისუფალ და სიყვარულის მწყურვალე მარგარიტას...

გებადება კითხვა, როდის დაინგრევა ეს პირობები შექმნილი ძირ-მომპალ კლასის მიერ, როდის იქნება ის ნეტარი დრო, როდესაც სული, გონება და სხეული ადამიანში შექმნიან სავსე ჰარმონიას.

პასუხი ხომ შორს არ არის? განა არ გესმით საღათას ძილისგან გაღვიძებულ პროლეტარიატის მჭექარე ხმა, რომელსაც ისტორიამ დააკისრა კაცობრიობის განთავისუფლება?

ეს ხმა წალეკავს უკანასკნელ ძირ-მომპალ საძირკველს იმ შენობისას, რომელშიდაც უკულმართობა დაბუნაგებულა, მასთან ერთად დაინგრევა ის მრავალი პირობები, შექმნილი კაპიტალიზმის მიერ, რომელიც ადამიანს საშუალებას არ აძლევს თავისუფლათ ამოისუნთქოს, თავისი „მე“ შეინარჩუნოს.

საუკეთესოთ გადმოგვცა ნ. ჩხეიძემ მარგარიტა გოტიეს სულიერი განცდა. მასში განსახიერდა სიყვარული დასჯილი და შეწირულ არსებისა. მასთან ერთად იტანჯებოდა და იზიარებდა მარგარიტას ცრემლებს მაყურებლები.

ერთხელ კიდევ დაამტკიცა ქალბატონმა ჩხეიძემ, რომ ის ძვირფასი განძია ჩვენი ხელოვნებისა“.

ჟორჟ ნოზენ.
„სოციალ-დემოკრატი“, №50, 1919

ქუთაისის მუშა ქალთა ორგანიზაცია

„ქუთაისის მუშა ქალებმა დიდი ხანია, რაც შეიგნეს თავისი ინტერესები, დიდი ხანია, რაც ისინი შეუდგენ ორგანიზაციულად შეკავშირებას და დაადგენ გათვითცნობიერების გზას. ჯერ მაშინ, როდესაც ჩვენს ცხოვრებას განაგებდნენ შავი ყორნები და დევნილი იყო ყოველგვარი მუშური ორგანიზაციები, აი მაშინაც კი ქუთაისის მუშა ქალები შეკავშირებულნი იყვნენ არალეგალურ სოც. დემ. ორგანიზაციაში და იქ თავიანთ მოძმე მამაკაცებთან ერთად ეწეოდნენ კულტურულ-განმანათლებელ და ორგანიზაციულ მუშაობას. ქუთაისში ძველად არსებობდა ინტერპარტიული ქალთა წრე, სადაც მუშა ქალებსაც ყავდათ თავიანთი წარმომადგენლებიც. 1916 წ. გადანყდა, რომ საქართველოს კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებებიდან უნდა შეექმნათ ერთი მთავარი ცენტრი, ამისათვის დანიშნული იყო ყრილობა ყველა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენლებისაგან. თვითეულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებას უნდა გაეგზავნა სამასი დელეგატი. ვის არ ახსოვს მაშინდელ არჩევნების დროს ბრძოლა პოლ. პარტიებისა სახალხო უნივერსიტეტის და ქართულ დრამატიულ საზოგადოების საზოგადო კრებებზე, სადაც დელეგატების არჩევნები ხთებოდა. ინტერ-პარტიულ ქალთა წრესაც უნდა გაეგზავნა ხსენებულ ყრილობაზე სამი დელეგატი. აქ მოხდა დიდი გენერალური ბრძოლა ჩვენებურ არისტოკრატ და მუშა ქალებს შორის. ამ ბრძოლაში მუშა ქალებმა გამოიჩინეს თავიანთი სიმნიფე, რაც დაამტკიცა ხსენებულ ბრძოლის შედეგმა. ამავე 1916 წ. მარიამობისთვეში მოხდა ერთი გაფიცვა, რომელშიც მუშა ქალები მხურვალე მონაწილეობას ლებულობენ მამაკაცებთან ერთად და რაც მუშა ქალების გამარჯვებით დასრულდა.

თებერვლის გადატრიალების შემდეგ ქუთაისის მუშა ქალებმა შექმნეს თავისი საკუთარი ორგანიზაცია მუშათა საბჭოსთან, სადაც მუშა ქალებთან ერთად თავს იყრიდნენ ის ინტელიგენტი ქალებიც, რომლებიც თავიანთი შეგნებით და მრწამსით მჭიდროდ არიან დაკავშირებული მუშა ქალებთან. ეს ორგანიზაცია შეძლებისდაგვარად ენეოდა ყოველგვარ მუშაობას. პირველ-ყოვლისა, მან მიზნათ დაისახა მუშა ქალთა შეკავშირება და მათში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. მასთან ერთად მუშა ქალთა ორგანიზაცია მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ყოველგვარ არჩევნებში. ოსმალეთთან ომის დროს შექმნეს მეომართა დამხმარე ბიურო, მუშათა საბჭოს გვერდით, რომელსაც ინტერპარტიული სახე ქონდა. ამ ბიურომ მაშინ დიდი დახმარება აღმოუჩინა მეომრებს, როგორც ნივთიერად, ისე მორალურად. ამავე ბიურომ შექმნა თავიანთ წრიდან მონყალე დების რაზმი, რომელნიც დაჭრილ მეომრებს საავათმყოფოებში უვლიდნენ. ამ ორგანიზაციის ნაყოფიერი მუშაობა მეომრებისადმი ხაზგასმით აღნიშნა ერთ-ერთ პარლამენტარის კრებაზე ჩვენი სახალხო გვარდიის სახელოვანმა სარდალმა ამხ. ვალიკო ჯუღელმა. ამის გარდა ხსენებულ ორგანიზაციამ ქუთაისში დააარსა ეგრედ-წოდებული „შრომის სკოლა“. ამ სკოლის პროგრამა გამოიხატებოდა შემდეგში: შემოღებული იყო ოთხი კლასის ცოდნა, სხვადასხვა ხელთ-საქნარი, ქსოვა და ფეხსაცმელების კერვა. დიდი თანხა მოითხოვა მატერიების ქსოვამ და სხვამ და ორგანიზაციამაც ეს შრომის სკოლა გადააკეთა სალამოს სკოლად, რომელიც ეხლა მოთავსებულია თფილისის ქუჩაზე, კომერციულ სასწავლებლის შენობაში. აქ ყოველ დღე სწარმოებს მეცადინეობა სალამოობით, სადაც გადიან თითქმის ყველა იმ საგნებს, რასაც სხვა სასწავლებლების დაბალ-კლასებში. ის ჯერჯერობით ორ ჯგუფათ არის გაყოფილი, სადაც დაიარება 60-მდე ქალი. ამასთან ერთად ქალთა ორგანიზაციამაც მოაწყო ლექციების კითხვა სხვადასხვა საზოგადო საგნებიდან: კულტურის ისტო-

რიიდან, საზოგადო ისტორიიდან, ლიტერატურიდან, პოლიტიკურ ეკონომიიდან და სხვა. მუშა ქალთა ორგანიზაციამ ხსენებულ სკოლის ხელმძღვანელობა მიანდო ამხ. მარო ჩხეიძეს, რომელიც თავს დასტრიალებს და არ აკლებს თავის ენერგიას და ცოდნას.

ამდენი ხნის მუშაობამ მუშა ქალები დაარწმუნა, რომ შეუძლებელია მუდმივად მუშაობა ჩვენებურ არისტოკრატ „კლუბის ქალებთან“. ამის გამო მან ერთ-ერთ სხდომაზე დაადგინა, რომ ძველ „ქალთა წრის“ განახლებულ მუშაობაში არ მიეღო მონაწილეობა. ეს გადაწყვეტილება ემცნო მათ წარმომადგენლის საშუალებით. რაც შეეხება განსაკუთრებულ შემთხვევებს, როგორც არის ომი თუ სხვა, ასეთ შემთხვევებში შეთანხმებულ მუშაობას აწარმოებს ყველა პოლიტიკურ პარტიათა ქალთა წარმომადგენლებთან.

აი, ასეთია მოკლეთ ამ ორგანიზაციის მუშაობა ამ ხნის განმავლობაში. ცხადია, მის მუშაობაში ნაკლიც იყო, მაგრამ ეს ნაკლი ისეთი უმნიშვნელოა, რომ მას სავსებით ფარავს ის დიდი საქმიანობა, რომელიც მოკლეთ ზემოთ მიმოვიხილეთ. ვუსურვოთ ამ ნორჩ და ცოცხალ ორგანიზაციას მომავალში მეტი ნაყოფიერი მუშაობა მშრომელთა საკეთილდღეოთ“.

„სოციალ-დემოკრატი“, №64, 1919

სახალხო მასწავლებელი

„ყოველთვის სახალხო მასწავლებელი ფეხ ქვეშ გათელილი იყო. და დღესაც რომ ასე იყოს, არ გაგვიკვირდება! ნუ თუ მარტო სახალხო მასწავლებელია ვალდებული ყველაფერს ანგარიში გაუწიოს? თუ სხვა დარგის მოსამსახურეები ასრულებენ ამ მოვალეობას და კიდევ მათ მოთხოვნილებებს მთავრობა აკმაყოფილებს, სახალხო მასწავლებელმა რა დააშავა? წინათ სიზმარშიაც ვერ წარმოვიდგენდით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას; ახლა ბედმა გვარგუნა ეს და ამაში სახალხო მასწავლებელს წილი უდევს. ამიტომ მასაც, მე მგონია, მიექცევა სათანადო ყურადღება. ჩვენ გვწამს სახელმწიფოს მდგომარეობა. ის ახლა შენდება, მას მიუძღვის ჩვენ მიერ არჩეული მთავრობა, რომელსაც ჩვენგანივე უნდა ზურგის გამაგრება. შეგნებული და მოწინავე ელემენტები უნდა წინ მიუძღოდეს მასსას, ამაგრებდეს ყოველივე გადადგმულ ნაბიჯს, რომ მოპოვებული უფლებები არ დავლუპოთ გაუფრთხილებლობით. ვთხოვდეთ სახელმწიფოს მაშინ, როცა შეეძლება მოცემა; მარა ყველა ამეების გაკეთებაც შეუძლებელია, თუ კაცი ნელებზედ ფეხებს იდგამს. თუ სხვა დარგის მოსამსახურეებისთვის სახელმწიფოსგან დახმარება შესაძლებელია, სახალხო მასწავლებლისათვისაც ასე უნდა იყოს.

უმალლეს დანყებით და საშუალო სასწავლებლებმა წარადგინეს მოთხოვნილებები და ამ მასწავლებლებს, როგორც სხვა დარგის მოსამსახურეებს, დარაჯების გამოუტოვებლათ, 300 მანეთი „ვოზნაგრაჟდენიე“ ეძლევათ ყოველ თვიურათ, სანამ ჯამაგირები გაუდიდდებოდეთ. სახალხო მასწავლებელი რომ შეეკითხა სათანადო დაწესებულებას, ჩვენი ჯამაგირი არის თუ არა, უპასუხეს: ჯერ არ არის და როცა იქნება ჩვენ გაზეთში გამოვაცხადებთ, ჯერ წყაროს ვეძებთ, საიდან ვი-

შოვოთო. მეორე დაწესებულებას შეეკითხენ მასწავლებლები: 300 მანეთს იძლევა მთავრობა თვითურად „ვოზნაგრაჟდენიეს“ და ის მაინც მოგვამველეთ, თორემ ლამის არის შიმშილმა ცოლშვილიანად გაგვწყვიტოსო. მათ უპასუხეს: ეს თქვენზე არ ვრცელდება, რადგან უწინდელი 400 მანეთი არ მიგილიათ ერთ დროული დახმარება; მთავრობის განკარგულებით ეძლევათ 300 მანეთი იმათ, ვინც ითვლება სახელმწიფო სამსახურშიო.

ჩვენ გვგონია საქართველოს რესპუბლიკაში ვმსახურობთ და თუ ასე არ არის, გვიბრძანეთ, ვინ არის ჩვენი პატრონი და ვის ვემსახურებით? სახელმწიფოს ვერ გავეფიცებით, მთავრობა ღარიბია; ეს ლალატია. ხალხს რომ გავეფიცოთ, კალთას არავინ დაგვაგლეჯს, არავინ გვეტყვის, მობრძანდით თქვენი ჭირიმე, ნუ დაგვლუპავთ, უსწავლელად შვილებს ნუ დაგვიყრიეთ და რაც გნებავთ მოგართმევთო. მთავრობას ჩვენი ჭკუის სწავლება არ უნდა, ის კარგათ უნდა იცნობდეს გლეხობას. მასწავლებლის ღირსების დაცემა ხალხის თვალში ძლიერ მავნებელია, ყველამ იცის ის მუშაობს, საქმეს აკეთებს, ის მშიერ-შიშველია, დახმარების თხოულობს და მიემკვლეთ“.

„სოციალ-დემოკრატი“, №1, 1919

მკვდარი ქალაქი (შთაბეჭდილება)

„მახსოვს ქუთაისი, როცა იქ მედგრად სჩქეფდა ქართული ცხოვრება.

რუსიფიკაციის ძლიერ ხანაში, როცა თბილისში ქართული ენის გაგონება გენატრებოდათ, ქუთაისი მარად ქართული ქალაქი იყო.

პოლიტიკურ პარტიებს, ქართულ თეატრს და ქართულ საზოგადოებრიობას უკეთესი ასპარეზი ქონდათ ქუთაისში.

ჩვენი ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო კაცები იმ დროს ქ. ქუთაისში იყვნენ თავმოყრილნი. ქართული პრობლემები უმთავრესად ქუთაისში ისახებოდნენ და ვრცელდებოდნენ იდეურ გატაცებით მომუშავე ჯგუფებისგან. ქუთაისი ინახავდა ქართულ სულს, ქუთაისი ეროვნული ცენტრი იყო მაშინდელ საქართველოსი. ქართველი ინტელიგენტები ქართულ ქალაქის სანახავად ქუთაისში მიემუხრებოდა, ქუთაისი ქართული სევდის ქალაქი იყო.

ასე იყო მაშინ, როცა საქართველო თვითმპყრობელ რუსეთის მონა იყო, ვინ იფიქრებდა, რომ განთავისუფლებულ საქართველოში ასე გაიყინებოდა და მოკვდებოდა ქუთაისი. განსაცვიფრებელი ამბავია! ქუთაისში აღარავინ დარჩენილა. ქუთაისი მომკვდარა. იგი ამჟამად მილიციის ხელშია, არც ერთი საზოგადო მოღვაწე, რომლებიც აქ მქუხარებდნენ რევოლუციის პირველ ხანებში, დღეს აქ აღარ არიან.

ქართული კულტურა მარტო დედა ქალაქში კი არ უნდა იყოს ჩაბუდებული, არამედ ის განანილებული უნდა იყოს მთელ საქართველოში“.

„ბათომის ცხოვრება“, №8, 1921

ქუთაისელი ებრაელების, „აგუდატ ისრაელის“, წერილი ქართული მთავრობისადმი:

„უკვე მრავალი წელია ქართველი ებრაელები მეგობრულად და ძმურად ცხოვრობენ ქართველ ქრისტიანებთან ერთად საქართველოში. ერთი ენა, ტრადიციები და სამშობლოსადმი სიყვარული არ უშლით მათ ხელს, რომ ჰქონდეთ განსხვავებული რელიგია და ცხოვრობდნენ ერთად. მაშინ, როცა საქართველომ მიიღო დამოუკიდებლობა და შეუძლია თავისით წარმართოს ქვეყნის პოლიტიკა, ქართველი ებრაელები, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები თავს მოვალედ მიიჩნევენ, რომ იზრუნონ თავიანთ სამშობლოზე. ისინი ქართველებთან ერთად, ხელი-ხელ მზად არიან იზრუნონ სამშობლოზე პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი საკითხების მოსაგვარებლად. რაც შეეხება სულიერ და რელიგიურ საკითხებს, ებრაელები მტკიცედ გააგრძელებენ თავიანთ ტრადიციებს და ჭეშმარიტი ებრაელები დარჩებიან. თუმცა, „აგუდატ ისრაელის“ წარმომადგენლებმა გაიგეს, რომ თბილისში იკრიბება ებრაელების ნაციონალური კომიტეტი ებრაული ნაციონალური საკითხების გადასაწყვეტად, თუმცა, მათი გაერთიანების სახელით ამბობენ, რომ ამ კომიტეტს არაფერი აქვს საერთო ებრაელ ხალხთან. სწორედ ამიტომ, „აგუდატ ისრაელი“, ქართველ ებრაელთა სახელით პროტესტს უცხადებს მათ. სწორედ ამიტომ, საქართველოს პარლამენტში ითხოვენ 2 ადგილს ნამდვილი ქართველი ებრაელებისთვის“.

«Тифლისь», №33, 1918

* * *

„ს. ტყიბული – ეს მრენველობის ცენტრი ოკრიბის მხარისა, დღეს სცდილობს თუ წინ არ წაუსწრებს უკან მაინც აღარ დარჩეს მასზედ კულტურულს, წინ წასულ სოფლებს. ტყიბულის ერთ მუჭა მოწინავე პირებში დიდი ხანია არსებობდა სურვილი სახალხო სახლის (თეატრის) აშენებისა.

ამ მხრივ იყო გადადგმული რამოდენიმე ნაბიჯი.

დღეს ეს სურვილი განხორციელების პროცესშია. ტყიბულის ქვანახშირის გამგემ ინჟინერმა ზრიანინმა აღუთქვა სოფელს სკოლისა და საავადმყოფოს აშენება, თუ მცირეოდენ წვლილს მაინც გამოიღებს ადგილობრივი მცხოვრებნი. მანვე უფასოდ დაუთმო შესაფერი შენობა სახალხო სახლისთვის. საჭიროა ამ სახლის აშენება შესაფერის ადგილზე. საჭიროა მისი სათანადო მოწყობა.

ყოველგვარ მასალის უჩვეულო სიძვირე გვაიძულებს ჩვენ მივმართოთ საქართველოს ყველა კუთხის ქველ მომქმედთ აღმოგვიჩინონ დახმარება რითიც და როგორაც კი შეიძლება. ჩვენ მივმართავთ საქართველოს ერთგულ შვილთ აღმოგვიჩინონ დახმარება და ხალხისათვის მეტად სასარგებლო საქმის დაგვირგვინება შეგვაძლებიეთ, განა ზედ-მეტი არ იქნება იმის განმარტება, თუ რა დიდ მნიშვნელოვანია სახალხო სახლი ყველასთვის?..“

„რევოლუციური ნობათი“, №26, 1918

ს. მათხოჯი (ქუთაისის მაზრა)

„მათხოჯი დაახლოებით ხუთას კომლს შეიცავს. ეს სოფელი კულტურულ სოფლათ ითვლება. ინტელიგენცია საკმაოდ ყავს. დიდი ხნიდან არსებობს მომხმარებელი საზოგადოება, წიგნთ-საცავ სამკითხველო. მათხოჯელთა ინიციატივით გაიხსნა ნახახუღევის სასოფლო სამმართველოსთან შემნახველ გამსეს-ხებელი ამხანაგობა, რომელიც ამ ბოლო დროს საკრედიტოთ გადაკეთდა. გახსნილია სოფელში რამდენიმე პირველდანიეპი-თი სასწავლებელი. ნახახუღევის უმაღლეს პირველ დანიეპით სასწავლებლის მოწაფეთა უმრავლესობას მათხოჯელთა ოჯა-ხები შეადგენენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სწავლას ხალხი დიდათ ეტანება, მაგრამ სწავლის საქმე არც ახლა არის დაყე-ნებული ისე, რომ პედაგოგის ელემენტარულ მოთხოვნილე-ბას აკმაყოფილებდეს. ამ რამდენიმე წლის წინათ ნახახუღე-ვის ორკლასიან სასწავლებელმა გახსნა თავისი განყოფილება ს. მათხოჯში, ვინაიდან იქ ე.ი ნახახუღევიში შენობა არ იტევე-და. საკუთარი შენობაც არ არის. მეცადინეობა უხდებათ ხან ერთ და ხან მეორე ნაქირავებ სახლში, რომელიც სკოლისთვის ყოვლად გამოუსადეგარია. იყო შემთხვევა, რომ ერთ შენობა-ში ორი საკლასო ოთახი იყო მოთავსებული. შენობა არ იყო გატიხრული და ასეთ პირობებში მუშაობის დროს სწავლების მაგივრათ წვლებას ქონდა ადგილი. არ შეიძლება ითქვას, რომ ხალხს არ ქონოდა საშუალება სკოლისთვის შენობის აგების, მაგრამ არ არის ისეთი პიროვნება, რომელიც საზოგადოების ჭირვარამზე ზრუნავდეს არა მარტო სიტყვით, არამედ საქ-მით. გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არის ჩაყენებული ეგრეთ წოდებული სამრევლო სკოლა. მას თავისი საკუთარი შენობა მაინც აქვს, მაგრამ არც აქ არის ყოველივე რიგზე.

მასწავლებელი იმავე დროს ფერშალიც არის. მის პროფესიაზე ხალხს ხომ საზღაპრო მოთხოვნილება აქვს დღეს სოფლად. მასწავლებელიც კაცთმოყვარეობის თუ სხვა მიზეზების გამო ერთგულათ ემსახურება ხალხის გაჯანმრთელების საქმეს.

ყოველი მონაფე სამოსწავლო წლის ნახევარში 50 მანეთს იხდის საოჯახო თუ სხვა ხარჯების დასაფარავათ. თუ სად მიდის, ან როგორ და რამდენი იხარჯება ფული, ხალხმა ეს არ იცის, რაც საფუძვლიანად უკმაყოფილებას ბადებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, არსებობს ჩვენს სოფელში სამკითხველო. რამდენიმე პერიოდული გამოცემაც უნდა იყოს გამოწერილი. მხოლოდ მოდის თუ არა, ან სად მიდის გაზეთები, ალახმა უწყის. ერთი კი ცხადია, რომ სამკითხველოში ორ თვეზე ადრინდელ ნომერს ვერ ნახავ. თვით შენობა ნაპარტახს წააგავს და მეტად ანტისანიტარიულ მდგომარეობაში იმყოფება...”

„შრომა“, №20, 1919

ები სამშობ-



მსახიობთა კავშირის თაოსნობით.

1920 წ. იანვრის 2


ფელოს ყველა თეატრისა და სცენაზე
გაიმართება

მსახიობის დღე



№ 28

დასახელება



სამეგრელოს მეორე ბათალიონი ცხინვალის ფორტზე.

გამოვიდა

შოკრდანიას

თბილისის ხელის მომწერლებმა უნდა მიიღონ გამო-
ბის კანტორაში ჩუბათაყულას პრ. № 28. ვისაც
მოტანილი აქვს ბე უნდა თხოვდეთ ტომის 450 მან.
აქტივობისათვის, იმათ უნდა წაიშოვდეთ ნა-
შრომითა მიერ შემოტანილი ბე და-
და ამ გამოცემად ნაოდით
ბე 100 მ.

1910-X-1920

მეორე ქართული კლუბი
(ტელხანოვის შოკრ. № 128).

ქ. გ. ი. ს. ს. 27 ი. გ. ი. ს. ს.

შუახნაღ "თეატრის და სცენის" სანი-
ფლის პრესმოკავის ულსაჩოვნადა
განმართება მეორე
საფეიშო. ს. ა. დ. ა. მ.

დღის სასაღამო სერიოზო
საღამოს დედა დროსაყოფილი უნდა
ს. ს. ს. 1 მ. მ.

ნაწილი II

ანალიტიკური სტატიები



მშრომელთა პროტესტი და ორგანიზების ფორმები 1918-1921 წლებში

სოციალური პროტესტი და მისი პოლიტიკური ტრანექტორიის შესწავლა ის უნიკალური საშუალებაა, რომლის დახმარებითაც შეგვიძლია კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში მიმდინარე სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრების, ძალაუფლებაზე დამოკიდებულების, პოლიტიკის რაციონალურობის ან/და დემოკრატიული მექანიზმის ქმედითუნარიანობის გაგება. საუკეთესო გზა იმის დასადგენად, თუ როგორი იყო მოქალაქეთა პოლიტიკური ჩართულობა ადგილობრივ დონეზე პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, რამდენად აისახებოდა მოქალაქეთა ინტერესები პოლიტიკურ წინააღმდეგობაში და იყო თუ არა პროტესტი, როგორც რადიკალური პოლიტიკური აქტი და არსებული პრობლემების მოგვარების მექანიზმი, შესაძლებელია ამავე პერიოდში არსებული სოციალური წინააღმდეგობების, საპროტესტო გამოსვლების მობილიზაციის სტრატეგიებისა და მოთხოვნების შესწავლა-ანალიზის გზით.

კოლექტიური მოქმედებებისა თუ გამოსვლების გაანალიზება საშუალებას მოგვცემს წარმოდგენა შევიქმნათ ამ პერიოდის სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ეს კი, თავის მხრივ, დაგვეხმარება კარგად გავიაზროთ, თუ რატომ რჩება ეს

პერიოდი საქართველოში დემოკრატიული მაქსიმალიზმის ნიმუშად, რატომ არის გაძლიერებული აკადემიური წრეების ინტერესი კონკრეტულად ამ პერიოდის პოლიტიკური ვითარების შესწავლისადმი ან/და რა ტიპის ფასეულობებს ეფუძნებოდა იმდროინდელი საზოგადოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, თუ რა ტიპის ადამიანთა ერთობებმა მოახერხეს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში „რევოლუციის წარმოება“. რასაკვირველია, ტერმინ „რევოლუციაში“ აქ არ მოიაზრება კლასიკური მნიშვნელობით ამბოხი ან ეროვნული მობილიზაცია. 1918-1921 წლების პერიოდულ გამოცემებში ხშირად გვხვდება ეს ტერმინი, როგორც იმპერიალისტური სისტემის მიმართ კოლექტიური წინააღმდეგობის, დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და სახელმწიფოს შენების გამოხატულება.

1918-1921 წლების საქართველოს რეგიონებში მიმდინარე წინააღმდეგობებზე არ არსებობს სტრუქტურირებული მასალა და კვლევის წყაროდ სწორედ იმდროინდელი პერიოდული პრესა გვევლინება, რომელიც, თავის მხრივ, ფრაგმენტული ხასიათისაა. ამიტომაც თავიდანვე გვინდა განვმარტოთ, რომ ამ პერიოდის სოციალური წინააღმდეგობების სრული სურათის აღდგენა ზედმეტად ამბიციური მიზანი იქნებოდა. რთულია ზედმიწევნით ვისაუბროთ იმ მიზეზებსა თუ მოტივებზე, რომლებიც ამ ეპოქის ადამიანებს უბიძგებდა, გაერთიანებულიყვნენ კოლექტიურად ორგანიზებულ ჯგუფებად და მონაწილეობა მიეღოთ 1918-1921 წლებში გამართულ საპროტესტო გამოსვლებში. კვლევისას ერთგვარ ობიექტურ შეზღუდვას წარმოადგენდა ის, რომ ინფორმაციის სიმწირისა და მისი სტატიკური ბუნების გამო, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელი იყო ამ პროცესის მონაწილეთა მოტივების ამოკითხვა და წარმოჩენა. მიუხედავად ამისა, ამგვარი მოძრაობების შესწავლა დაგვეხმარება ავხსნათ, თუ რატომ არის სამოქალაქო აქტივიზმი მნიშვნელოვანი დემოკრატიული მექანიზმი და რა როლი შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივ ინი-

ციატივას დემოკრატიული იდეების განხორციელების პროცესში.

სტატია საარქივო მასალების შესწავლის გზით იდენტიფიცირებული კოლექტიური ფორმაციებისა და მათი ტაქტიკის აღწერის მცდელობაა. კვლევის მეთოდად გამოყენებულია კონტენტ-ანალიზი, რომელიც დაეფუძნა 1918-1921 წლების პერიოდულ პრესას.

I. კოლექტიური გაერთიანება

ცენტრალური ბეჭდური მედიასაშუალებების¹ გვერდებზე ხშირად ვხვდებით სტატიებს, რომლებშიც სიღრმისეულად არის აღწერილი რუსეთის იმპერიასა და საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი. მათში ნათლად ჩანს ისიც, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ გააჩნდა დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემა, რომელსაც შეეძლო გადაეჭრა ეკონომიკური სიდუხჭირის პრობლემა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ინსტიტუტები ფაქტობრივად იმ პერიოდში ყალიბდებოდა და იწყებდა ფუნქციონირებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ძალიან ბევრ მუშათა კოლექტიურ გაერთიანებას. როგორც კვლევა ცხადყოფს, ამ ტიპის გაერთიანებები განსაკუთრებით გავრცელებული იყო ცენტრისგან მოშორებით, პერიფერიებში. გაერთიანებებმა, როგორც ინსტიტუციურად, ისე იდეოლოგიური თვალსაზრისითაც, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებების ჩამოყალიბებას, ხალხის მხრიდან წამოყენებული მოთხოვნების საზოგადოებრივი დღის წესრიგში შეტანის გარკვეულ პრაქტიკას.

1 იგულისხმება პარტიების ცენტრალური ორგანოები („სახალხო საქმე“, „ერთობა“, „სოციალ-დემოკრატი“ და სხვ.).

პერიოდული მასალების შესწავლის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა ტიპის გაერთიანებები, რომლებიც საკვლევ პერიოდში იქმნებოდა და ფუნქციონირებდა. ესენია: პროფესიული კავშირები (თავისი ადგილობრივი და ცენტრალური ერთეულებით); მუშათა თვითორგანიზებული გაერთიანებები, რომლებიც მუშაობდნენ ადგილობრივ ბაზაზე და ნაკლებად ურთიერთობდნენ ცენტრთან; კოოპერაციული გაერთიანებები, რომლებიც საკმაოდ დიდ როლს თამაშობდნენ ეკონომიკური პოლიტიკის წარმოებაში.

აღნიშნული მოძრაობების პოლიტიკური ტაქტიკა არ ხასიათდება გამოხატვის ერთგვაროვანი ფორმებით ან პროტესტის ერთნაირი შინაარსით. მასში ხშირად ვხვდებით როგორც წინააღმდეგობის გამოხატვის ზომიერ, ისე რადიკალურ ფორმებსაც. კოლექტიური გაერთიანებები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა აგრეთვე სხვა ერთობებთან თუ ცენტრალურ ხელისუფლებასთან მათი ურთიერთობის სიხშირით.

I.I. პროფესიული კავშირები

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს სხვადასხვა რეგიონულ ცენტრში მუშათა საბჭოებმა მიზნად დაისახეს გამოერკვიათ, თუ რა დასაქმების სფეროები არსებობდა იმ დროს საქართველოში. გამომდინარე იქიდან, რომ თითქმის ყველა პროფესიული დასაქმების ცენტრში შეინიშნებოდა ინსტიტუციური სისუსტე, გადანყვიტეს შეექმნათ პროფესიული კავშირები, რომელიც განსხვავებული იყო როგორც ცენტრში, ისე ცენტრზე დამოკიდებული პერიფერიული პროფესიული დარგების მიხედვით.

„რევოლუციის პირველ დღეებში, მუშათა საბჭომ გამოყო კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ყველა პროფესიებში შეექმნა პროფესიონალური კავშირი. რა-

მოდენივე დღის შემდეგ კომისიამ დაამთავრა მუშაობა და გამოიკვია, რომ ქუთაისში 30-ზე მეტი მუშათა პროფესია ყოფილა. კომისიამ საჭიროთ დაინახა მონათესავე პროფესიების შეერთებით უფრო ძლიერი კავშირები შექმნილიყო. ეს მოხდა, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ პროფესიებთან შეთანხმებით. და ამ შეერთების შემდეგ უკვე ჩამოყალიბდა 10 პროფესიონალური კავშირი, რომლებიც შეუდგნენ მუშაობას“.²

როგორც პერიოდული გამოცემებიდან ვგებულობთ, მუშათა პროფესიული კავშირების ჩამოყალიბებასა და გაერთიანებას საკმაოდ ბევრი პრობლემა ექმნებოდა. ძირითადად შეიძლება გამოვკვეთოთ მუშათა პროფესიული კავშირების საქმიანობის ორი მიმართულება. პირველ ხანებში პროფესიული კავშირები უმთავრეს ყურადღებას აქცევდნენ ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. მეორე მიმართულებად შეიძლება გამოვყოთ მუშათა იდეური მომზადება, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა საჯარო ლექციების ორგანიზებითა და ახალგაზრდა მუშებისთვის საღამოს სწავლების სკოლების დაარსებით. რაც შეეხება მუშათა პროფესიული კავშირების სტრუქტურას, ის არაერთგვაროვანი იყო, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ყველა კავშირს ჰქონდა საერთო ცენტრი. მაგალითად, იმერეთის ერთობის ცენტრალურ პროფკავშირულ ორგანოს ერქვა „კავშირის საბჭო“. მას ჰყავდა მდივანი, რომლის მთავარ მოვალეობას წარმოადგენდა გასცნობოდა მუშათა პრობლემებსა თუ სანუხარს და გაეწია იდეური ხელმძღვანელობა სრულიად პროფესიული კავშირების წინაშე. წყაროები გვამცნობს იმასაც, რომ ხშირად ახალგაზრდა მუშებს „ხაზინები“³ არ უშვებდნენ სასწავლებლებში და ამ პრობლემის მოგვარებასაც პროფესიული კავშირის თანამშრომლები უმეტეს-

2 სოციალ-დემოკრატი“, №444, 1918

3 იგულისხმება დამსაქმებელი.

წილად ცენტრალურ ხელისუფლებას აკისრებდნენ. ერთ-ერთ სტატიაში ვკითხულობთ:

„საჭიროა ყურადღების მიქცევა. მიუხედავად იმისა, რომ შრომის კომისარმა უკვე განკარგულება მოახდინა, რომ ყველა დარგის შეგირდები უნდა გათავისუფლებულიყვნენ საღამოს 5 საათიდან შკოლაში სასიარულოდ, ზოგიერთი ხაზენინები მაინც არ უშვებენ შეგირდებს სკოლაში და ღამის 0 საათამდე ამუშავენ. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს, როგორც პროფესიონალურმა კავშირებმა, აგრეთვე შრომის კომისარმაც. დამნაშავე ხაზენინები პასუხის გებაში მისცენ“⁴

იდეური ხელმძღვანელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშების გადამზადებას, რაც, მათი აზრით, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იყო.

ჭიათურის პროფესიული კავშირის შესახებ მოპოვებულ ცნობებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მუშათა პროფესიული გაერთიანების სტრუქტურაში არსებობდა პროფკავშირის წევრთა მიმართ ანგარიშვალდებულების პრინციპი – გამგეობა ყოველწლიურ ანგარიშს აბარებდა საზოგადო კრებას. ერთ-ერთ პუბლიკაციაში, რომელიც ჭიათურის შავი ქვის მომსახურეთა პროფესიულ კავშირზე მოგვითხრობს, ამის შესახებაც არის ინფორმაცია:

„ამ საზოგადო კრებისთვის წარსადგენად გამგეობამ უნდა დაამზადოს მთელი წლის ანგარიში...“⁵

ოზურგეთის სამაზრო მუშათა პროფესიული კავშირისა და ლანჩხუთის რაიონის გამგეობის მოქმედებებში შეიძლება ამო-

4 „სოციალ-დემოკრატი“, №444, 1918

5 „ერთობა“, №208, 1918

ვიკითხოთ პროფესიული კავშირების საქმიანობის კიდევ ერთი მიმართულება – გურიაში ლტოლვილთა სოციალური გაჭირვების აღმოფხვრის მცდელობა, ანუ პროფკავშირმა მიზნად დაისახა აგრეთვე „ლტოლვილი ამხანაგების დახმარება“. ესე იგი, პროფესიული კავშირი პასუხისმგებლობას იღებდა არა მხოლოდ მასში დასაქმებული წევრების ცხოვრების გაუმჯობესებაზე, არამედ, ზოგადად, თემის ეკონომიკური ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

I.II. მუშათა თვითორგანიზებული კავშირები

საქართველოში მუშათა მოძრაობის გაძლიერების კიდევ ერთი კოლექტიური იდენტობის ნიმუშია „მუშათა კლუბი“, რომლის სამაგალითო მოდელს ვხვდებით ქუთაისის მაზრაში. ამ კლუბის ამოცანას წარმოადგენდა გარკვეული ღონისძიებების მეშვეობით ფინანსურად და იდეურად გაძლიერებინათ მუშათა მოძრაობა. საამისოდ იყენებდნენ არა მხოლოდ ტრადიციულ მეთოდებს (სანეეროს მოკრებას), არამედ ასევე მართავდნენ კულტურულ ღონისძიებებსაც. მაგალითად, გაზეთ „ერთობის“ ფურცლებზე მოყვანილია ცნობა ზაფხულის ღამის კლუბის⁶ შესახებ, რომლის დახმარებითაც მუშათა კავშირებმა მოახერხეს 8000 მანეთის შეგროვება.

აღსანიშნავია, რომ რაიონული გამგეობები ინფრასტრუქტურული განვითარების თვალსაზრისით ხელს უწყობდნენ მუშათა მოძრაობის ისეთი ერთეულების გაძლიერებას, როგორებიცაა პროფესიული კავშირები, მუშათა თვითორგანიზებული ერთობები და ა.შ., სთავაზობდნენ მათ სპეციალურ სივრცეებს, ბიბლიოთეკებს. ყოველივე ეს თავისთავად ხელს უწყობდა ამ კავშირებს, რომ ისინი კიდევ უფრო გაძლიერებულიყვნენ ინსტიტუციურად.

„ბოლოს ეს სიძნელეც დაძლეულ იქნა რამოდენიმე ამხანაგების ენერგიული მეცადინეობით და ქალაქის გამგეობის დახმარებით, რომელმაც დაუთმო ბიბლიო-

6 „ერთობა“, №209, 1918

თეკისათვის განზრახული ბინა. ნაშოვნია ისეთი ბინა, სადაც არამც თუ კლუბი, არამედ მთელი ქუთაისის მუშათა ორგანიზაციები, როგორც არის მაგ. პროფესიონალური კავშირები და სხ. მოთავსდება, მუშათა კლუბს აქვს მშვენიერი დარბაზი, სადაც თუ მეტი არა, ორი ათასი ადამიანი მაინც დაეტივა. ეს ბინა მშვენიერ ალაგას არის, იქ, სადაც წინათ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი იყო. ამ რიგათ, სადაც ეს კლუბი იქნება, მის გარშემო შემოკრებილი არის მთელი მუშათა ორგანიზაციები, ამ გვართ თითქმის უმთავრესი სიძნელე ბინის უქონლობისა, დაძლეული იქნა“.⁷

I.III. კოოპერაციული კავშირები

„როჩდელის (ქალაქი ინგლისში) 28 ფეიქარი პიონერები კოოპერაციისა იმ დროს, როდესაც მათ პირველ კოოპერატიულ სავაჭროს გახსნის დროს ბავშვებიც კი დასცინოდნენ, სრულიადაც არ ფიქრობდნენ, რომ დიად ისტორიულ მოვლენას უყრიან საძირკველს, მაგრამ მათი დანყებული საქმე სამაგალითოდ შეიქმნა მთელი ქვეყნებისათვის. ჩვენი კოოპერატიული მოძრაობაც სრულიად არ შედრკება არსებულ მდგომარეობით, ვინაიდან კოოპერაცია, რომელსაც მოულოდნელად ჩაეყარა საძირკველი ჩვენში და რომელსაც ჩვენი ქვეყნის და ხალხის ბუნება საუკეთესო ასპარეზს უშლის, თავის პრაქტიკულ და შეუმჩნეველ მუშაობით ყველასათვის ნათელ ყოფს თავის მიზნებს და დანიშნულებას“.⁸

მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, 1918-1921 წლების საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ისეთ ფართო ხალხურ მოძრაობას, როგორიცაა კოოპერაციული მოძრაობა. იგი მიზნად ისახავდა ხალხის ეკონომიკურ გაძლიერებას, მეურნეობის

7 ერთობა“, №209, 1918

8 კოოპერაციული მოძრაობა საქართველოში, „სახალხო საქმე“, №784, 1919

აღორძინება-აყვავებასა და სამართლიან რედისტრიბუციას. კოოპერაციული მოძრაობები ხალხის წიაღში წარმოიშვა და ძირითადად თვითმოქმედების ნიადაგზე ვითარდებოდა.⁹

იმ პერიოდის საერთაშორისო გამოცდილებით კოოპერატივების მრავალი ტიპი არსებობდა: ეს იყო საკრედიტო, სამომხმარებლო, მწარმოებელი, შემსყიდველ-გამსესხებელი და სხვ. საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო საკრედიტო და სამომხმარებლო კოოპერატივები. საკრედიტო კოოპერატივების ჩამოყალიბების ისტორია სათავეს იღებს XX საუკუნის დასაწყისიდან. 1914 წლისთვის უკვე 286 საკრედიტო კოოპერატივი არსებობდა. 1914 წლიდან მათი რიცხვი მკვეთრად შემცირებულა და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში დაახლოებით 30 საკრედიტო კოოპერატივი დარჩენილა, რომლებსაც საქმეების წარმოება შეეძლოთ.¹⁰ ამ მხრივ გამორჩეული იყო კახეთის საკრედიტო კოოპერატივი, რომელმაც, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, თავის გადარჩენაც შეძლო და მოკავშირე კოოპერატივებისაც. 1919 წლისთვის კახეთის კავშირმა შეიერთა სხვა სამომხმარებლო კოოპერატივები და პროფილი შეიცვალა. საკრედიტო კოოპერატივები კი, როგორც „სახალხო საქმის“ წყარო¹¹ გვამცნობს, უმთავრესად მთავრობის ინიციატივით იქმნებოდა და მუდამ ჩინოვნიკების ხელში იყო.

დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ ხანებში კოოპერაციული ორგანიზაციების ინიციატივები საკმაოდ რევოლუციური და ეფექტიანი იყო. თუმცა, იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ ხელმძღვანელი ცენტრი, უძნელდებოდათ საქმიანობის კოორდინირება, რასაც დროთა განმავლობაში მათი აქტივობების კლება მოჰყვა.

9 თვითმოქმედებაში იგულისხმება თვითდაფინანსება საწევრო გადასახადების შეკრების გზით და ასევე შიდაორგანიზაციული სტრუქტურის დამოუკიდებელი მშენებლობა.

10 „სახალხო საქმე“, №784, 1919

11 „სახალხო საქმე“, №784, 1919

„თუმცა ეკონომიურად დაბეჩავებულ ჩვენ მშრომელ ხალხში საკრედიტო კოოპერაციას საუკეთესო ნიადაგი ჰქონდა, მაგრამ ზემოდან მოვლენილ დაწესებულებას ხალხი ისე უტკერდა, როგორც მთავრობის დაწესებულებას და არა თავის თვითმოქმედების ნაყოფს. ...და აი ამიტომ საკრედიტო კოოპერაცია, მიუხედავად იმისა, რომ მას საუკეთესო ნიადაგი ჰქონდა ჩვენში, ვერ გადაიქცა ნამდვილ ხალხურ მოძრაობად“.¹²

1914 წლიდან საფუძველი ჩაეყარა კოოპერაციის მეორე დარგს – სამომხმარებლო კოოპერაციას. იმ პერიოდში მშრომელი ხალხი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა, რასაც თან დაემატა სურსათის შემცირებაც. გარდა ამისა, კერძო ვაჭრებმა საქონლის გადამალვას მიჰყვეს ხელი, რამაც მათ მიმართ ხალხის გაღიზიანება გამოიწვია. მსგავსი უსამართლო განაწილები-სას განჩნდა საჭიროება, ჩამოყალიბებულიყო თვითმოქმედებაზე დამყარებული ისეთი სამეურნეო აპარატი, როგორიც იყო სამომხმარებლო კოოპერატივი. 1916 წელს შეიქმნა ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირი, რომელმაც გარს შემოიკრიბა საქართველოში არსებული ყველა კოოპერატივი. 1918 წლისთვის სამომხმარებლო კოოპერატივების რაოდენობამ 891-ს მიაღწია.

ცხრილი 1.

კოოპერატივების რაოდენობა საქართველოში 1916-1918 წლებში

წელი	აღმოსავლეთი საქართველო	დასავლეთი საქართველო	სულ
1916	83	90	173
1917	217	298	515
1918	334	557	891

წყარო: კოოპერატიულ მოძრაობათა გარემო, „სახალხო საქმე“, №784, 1919

¹² „სახალხო საქმე“, №784, 1919

ცხრილი 2.

კოოპერატივებში წევრთა რაოდენობა 1916-1918 წლებში

წელი	აღმოსავლეთი საქართველო	დასავლეთი საქართველო	სულ
1916	31 995	34 650	66 605
1917	142 367	118 245	260 612
1918	220 730	244 115	464 845

წყარო: კოოპერატიულ მოძრაობათა გარშემო,
„სახალხო საქმე“, №784, 1919

კოოპერატივების მომრავლებასთან ერთად მათ გასაძლიერებლად აუცილებლობას წარმოადგენდა შექმნილიყო იდეური ხელმძღვანელი ცენტრი – სარაიონო და ცენტრალური კავშირების სახით. 1917 წლიდან 1919 წლამდე მთელ საქართველოში სულ 20 სარაიონო სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირი ჩამოყალიბდა. კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს კოოპერატივის წევრებისთვის ინფრასტრუქტურული და მწარმოებლური მექანიზმების შექმნას; საწარმოო დაწესებულებებთან ერთად ცენტრალურმა კავშირმა გამართა მექანიკური სახელოსნოები, სადაც მზადდებოდა სასოფლო-სამეურნეო იარაღები; ბევრმა კოოპერატივმა მოაწყო ასევე ელექტრონის სადგურებიც, საფეიქროებიც, ნისქვილებიც და სხვ.

თუმცა კოოპერაციული მოძრაობა მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობის განსამტკიცებლად არ შექმნილა. კოოპერაციები შეუდგენენ ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასაც. 1919 წელს კოოპერაციამ ფართომასშტაბიანი კულტურული საქმიანობა გააჩაღა და ყველა დარგში შეიტანა თავისი წვლილი. ამ პერიოდში გამოიცა არაერთი სპეციალური ლიტერატურა და მხატვრული ნაწარმოები. გარდა ამისა, 1919 წელსვე კავშირმა ჩამოაყალიბა კაპელა, დააარსა საოპერო და დრამატული სტუდია, რასაც საფუძველი უნდა ჩაეყარა კულტურული ცხოვრებისთვის.

I.IV. ქალთა საკითხი გაერთიანებებში

პერიოდულ გამოცემებში მოძიებული სტატიების გაანალიზებისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1918-1921 წლებში არსებული ქალთა კოლექტიური გაერთიანებები. თუმცა, ამ გაერთიანებების ხასიათის გააზრებამდე, ვფიქრობთ, საჭიროა რამდენიმე სიტყვით მიმოვიხილოთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქალთა მოძრაობის დინამიკა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში არსებულმა ქალთა მოძრაობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა როგორც სტრუქტურული, ისე იდეოლოგიური თვალსაზრისით. თავდაპირველად, ქალთა გააქტიურებისთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა „ყვითელი ფემინიზმის შიში“ (იგულისხმება ბურჟუაზიული ფემინიზმი). ამიტომაც, საქართველოში საზოგადოებრივი ნდობისა და სოლიდარობის მოსაპოვებლად მნიშვნელოვანი იყო ქალთა მოძრაობას, ევროპული ბურჟუაზიული ქალთა მოძრაობისგან განსხვავებით, თავისი მიმდინარეობისთვის სოციალისტური შინაარსი მიენიჭებინა. სამი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული კოლექტიური გაერთიანებების საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს წინააღმდეგობა ქალთა გაერთიანებებმა მეტ-ნაკლებად დაძლიეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალთა მოძრაობების იმდროინდელ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა მუშა მამაკაცისა და მუშა ქალის როლების ეკონომიკურ და საზოგადოებრივ დონეებზე გათანაბრება.

ქალთა გაერთიანება საინტერესოა როგორც ზოგადად მუშათა გაერთიანებებში აქტიური მონაწილეობით, ისე ცალკე ადმინისტრაციული სტრუქტურების შექმნის ფორმით, ისეთი ტიპის კოლექტიური იდენტობების ჩამოყალიბებით, რომლებშიც მხოლოდ ქალები არიან ჩართული.

ამ მხრივ გამორჩეულ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ „ქუთაისის მუშა ქალთა ორგანიზაცია“, რომელმაც მიზნად დაისახა „დემოკრატიული საქმეების მოწესრიგება“.

„ქალაქი დაყვეს რამოდენიმე უბნებათ და იქ მოაწყვეს ამ ორგანიზაციის განყოფილებები, ესე იგი საუბნო კომიტეტებში თავს იყრიდა იმ უბნის მუშა ქალები და აკეთებდენ დემოკრატიულ საქმეებს. პირველ ხანებში მან შესძლო დემოკრატიული ქალების ერთ სხეულში შეკავშირება. კულტურული მუშაობა ამ ორგანიზაციამ ისე ვერ მოაწყო, როგორც ეს საჭირო იყო. მაგრამ სამაგიეროთ ყოველივე არჩევნებზე, როგორც იყო საქალაქო და დამფუძნებელი კრების არჩევნები, თავდადებულათ მუშაობდენ. ახდენდენ კრებებს, უხსნიდენ არჩევნების ტექნიკურ და იდეურ მხარეებს.“¹³

ქალთა ამ სათემო გაერთიანებების ინიციატივებისა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან აქტიური კავშირის შედეგად განათლების პოლიტიკაში მიმდინარეობდა ისეთი მნიშვნელოვანი ძვრები, რომლებიც დიდ როლს თამაშობდა მუშა ქალების იდეურ და პროფესიულ განვითარებაში (მაგალითად, სხვადასხვა ხელსაქმეში განვრთნა და ა.შ.).

ამასთანავე, სწორედ მუშა ქალის როლის გასაძლიერებლად ქალთა ორგანიზაციებს ჰქონდათ ინოვაციური წინადადებებიც. მაგალითად, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთ-ერთ შეხვედრაზე მათ ნოე ჟორდანიას წარუდგინეს ინიციატივა, შეექმნათ სპეციალური საზოგადოება, რომლის მთავარი დანიშნულება იქნებოდა ქალის საშინაო ცხოვრების სფეროდან ბავშვის აღმზრდელობითი საქმიანობის გადასვლა საზოგადოების ხელში. ამ ინიციატივით ნინო ნაკაშიძე და მისი თანამოაზრეები მიზნად ისახავდნენ მუშა ქალის გათავისუფლებას საშინაო საქმეებისგან, რათა მას უფრო მეტი დრო და ყურადღება დაეთმო პროფესიული განვითარებისთვის. თბილისის ქალთა ორგანიზაციის ამ ინიციატივას ნოე ჟორდანიას და ცენტრალური სა-

13 „ერთობა“, №1152, 1918

ხელისუფლებო რგოლის სხვა წარმომადგენლები დადებითად შეხვდნენ.¹⁴

ადგილობრივ დონეზე ჩამოყალიბებული მუშა ქალთა კავშირები, საქველმოქმედო წრეები სხვადასხვა სოციალურ სერვისს სთავაზობდნენ საზოგადოებას. შეიარაღებული კონფლიქტების დროს ისინი აქტიურდებოდნენ სამედიცინო პერსონალის დაწინაურებით, ძირითადად კი დაკავებული იყვნენ ქალებში პროფესიული კადრების ჩამოყალიბებით. ვხვდებით ცნობას ქალთა თავშესაფრების შექმნის შესახებ, რომლებიც კონკრეტულ სფეროებში დასაქმებულ ქალებს ეხმარებოდნენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში და თავშესაფრების არარსებობისგან გამონვეული პრებლემების დაძლევაში.

II. საპროტესტო გამოსვლები, მონაწილეთა მოთხოვნები და მათი მოგვარების გზები

კოლექტიური გაერთიანებების ხასიათის გასაანალიზებლად პრინციპულად მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, თუ რა მოთხოვნები ჰქონდათ გამოსვლებისას. აქვე განვმარტავთ, რომ ჩვენ ვერ აღვწერთ პროტესტის ყველა ფორმას, რომლებიც ამ სამი წლის განმავლობაში შეიძლებოდა არსებულიყო, თუმცა ვეცდებით, პროტესტის ძირითადი ფორმების მოკლე ანალიზი შემოგთავაზოთ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს პროტესტის რიტორიკა, რომელიც ხშირად არაერთგვაროვნებით ხასიათდებოდა; მასში შეინიშნება როგორც აკადემიური დასაბუთება კოლექტიური მოთხოვნებისა, ისე რადიკალური შინაარსით დატვირთული გამოსვლებიც, რომელთა შესახებ თამამად იწერებოდა იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში.

1918-1921 წლებში მიტინგები, გაფიცვები და კოლექტიური

¹⁴ „ერთობა“, №1150, 1918

წინააღმდეგობები უმეტესწილად იყო სპონტანტური, მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს. მძიმე სოციალური პირობებით გამონვეული გალიზიანებისა და აგრესიის ფონი ხშირად იმის საბაზი ხდებოდა, რომ კონსტრუქციულად დაგეგმილი მოლაპარაკებები წინააღმდეგობის გაუთვალისწინებელ ფორმაში გადაზრდილიყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტყიბულის მუშათა გაფიცვა, რომლის ძირითადი მიზეზი მეტისმეტად დაბალი და ღირსების შემლახველი ანაზღაურება იყო. ტყიბულელი მალაროელები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა მოწოდებით ცდილობდნენ ხელისუფლება დაერწმუნებინათ, თუ რა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. როცა პასუხს ვერ იღებდნენ, იძულებული ხდებოდნენ, გამოეყენებინათ უკიდურესი ზომები. მაგალითად, ხელისუფლებას გარკვეულ ვადას აძლევდნენ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და თუ ამ მოთხოვნებს ყურად არ იღებდნენ, გაფიცვის მოწყობას აანონსებდნენ. საბოლოოდ, მათ მაინც უწევდათ გაფიცვის ორგანიზება, რომლის მიმდინარეობისას ხელისუფლების დამოკიდებულება გაფიცულთა მიმართ იყო საკმაოდ ხისტი და შეიძლება ითქვას, რადიკალურიც კი:

„ტყიბულის მალაროების დროებით დახურვა: რადგანაც მთავრობის წინადადება მუშებმა არ მიიღეს, ამიტომ მთავრობის განკარგულებით დროებით ტყიბულის მალაროებში მუშაობა შეჩერებულ იქმნა. მთავრობას განზრახვა აქვს შეაყენოს მუშების ახალი შტატი“.¹⁵

გაფიცვა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, რადგან მათ გვიან მიიღეს დაპირებები ცენტრალური ხელისუფლებისგან. შედეგად, გაფიცვა შეაჩერეს და მუშაობა გააგრძელეს.

15 „სოციალ-დემოკრატი“, №435, 1918

„გაფიცვის მოხსნა: ქალაქის მუშებმა, რომლებმაც 21 ოქტომბერს გაფიცვა გამოაცხადეს, უკვე მოხსნეს და დაიწყეს მუშაობა. ქალაქის გამგეობა დაპირდა მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას“.¹⁶

აღსანიშნავია, რომ გაფიცვების დიდი ნაწილი ჯამაგირის დროულად მიუღებლობის ან არასაკმარისი ანაზღაურების გამო ეწყობოდა. მაგალითად, გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ ერთ-ერთ ნომერში ვხვდებით ასეთ ცნობას:

„ტყიბულის ქვა-ნახშირის მუშებს შორის. ჯამაგირის თავის დროზე მიუღებლობის გამო ტყიბულის ქვა-ნახშირის მუშებს შორის დიდმა უკმაყოფილებამ იჩინა თავი. ამ საკითხის მოსაგვარებლათ გუშინ ქუთაისიდან ტყიბულში წავიდა საგანგებო კომისია“.¹⁷

კიდევ ერთი მასშტაბური გაფიცვა, რომლის შესახებაც ცნობებს გვანდის ამავე წლების პერიოდული პრესა, სახალხო მასწავლებლების უმწეო მდგომარეობასა და მათ გაფიცვას ეხებოდა. სახალხო მასწავლებლები, რომლებიც დიდ სამსახურს უწევდნენ რევოლუციის განმტკიცებას ხალხის შეგნების ამაღლებით, სწორედ რევოლუციის შემდეგ მოელოდნენ თავიანთი პირობების გაუმჯობესებას, თუმცა, დაპირებებისა და ქალაქებში ჯამაგირების მომატების გარდა, პრაქტიკულად, მათი მდგომარეობა არ შეცვლილა. „სახალხო საქმეში“ ვაწყდებით შემდეგ ცნობას:

„როგორც იტყობინებთან, გაფიცული არიან აბაშის, სენაკის, ფოთის, ბანძის და ძველი-სენაკის რაიონების სახალხო მასწავლებლები. როგორც დეპუტიდან სჩანს, შიმშილით

16 „სოციალ-დემოკრატი“, №426, 1918

17 „სოციალ დემოკრატი“, №339, 1918

დატანჯულ სახალხო მასწავლებლებს უკიდურესი ზომის-
თვის მიუმართავთ. ...განა წარმოსადგენია ადამიანმა ასე-
თი ზღაპრული სიძვირის დროს 38 მანათით იცხოვროს?
წარმოდგენელია, მაგრამ მასწავლებლებმა ესეც აიტანეს.
სანამ ამის ფიზიკური შესაძლებლობა იყო. მათ ალბათ კარ-
გად ესმოდათ, თუ რას ნიშნავდა გაფიცვის გამოცხადება
ეხლანდელ პირობებში, მაგრამ, როგორც ეტყობა, შიმშილს
თავისი უქნია. მათ გაფიცვა გამოუცხადებიათ. საჭიროა
დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებულ იქნას სახალხო მასწავ-
ლებელთა სამართლიანი მოთხოვნებიანი“.¹⁸

საპროტესტო გამოსვლების გაანალიზებისას გამოიკვეთა ძი-
რითადი მიზეზები, რომლებიც იწვევდა წინააღმდეგობებს:

1. 8-საათიანი სამუშაო დღის აღდგენა, უქმე დღეებზე 6-საა-
თიანი სამუშაო დღის დანესება;
2. ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება და მხოლოდ იმ შემ-
თხვევაში დაშვება, როცა მისი შეუსრულებლობა იწვევს
ზიანს საერთო სამრეწველო საქმისთვის;
3. კვირა დღეს ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება უნდა
მოხდეს 1,5-ჯერ მეტი ოდენობით;
4. 14 წელზე ნაკლები ასაკის ახალგაზრდების მუშაობის აკ-
რძალვა;
5. „საანგარიშო წიგნაკის“ შემოღება – აღირიცხება სამუშაოს
შესრულების წესი და შესრულებული სამუშაოს ოდენობა;
6. ხელფასის დარიგება მხოლოდ სამუშაო დღეს, რათა მისი
დაურიგებლობა არ იყოს გამართლებული ტექნიკური გაუ-
მართაობით;
7. სავალდებულოა მუშა-მოსამსახურეების მიმართ ზრდილო-
ბიანი მოპყრობა;

18 „სოციალისტ-რევოლუციონერი“, №64, 1918

8. მუშების ჰიგიენური საცხოვრებლებით უზრუნველყოფა;
9. სამუშაო საათების განაწილება სეზონების მიხედვით: ზაფხულში მუშაობა იწყება დილის ექვს საათზე და ზამთარში შვიდ საათზე, ხოლო თავდება ორსავე შემთხვევაში საღამოს ოთხს საათზე;
10. ანაზღაურება მუშათა ავადმყოფობის დროს, ერთთვიანი „ოტპუსკის“ უფლება.
11. მუშების და მოსამსახურეების მიღება და გაშვება მათივე საქმეა.¹⁹

შრომითი დავების მოგვარების პრაქტიკა

პროტესტის ფორმების გაანალიზებასთან ერთად თანაბრად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საპროტესტო გამოსვლების შეწყვეტის მიზეზების დადგენა, რაც ძირითადად უნდა ვეძებოთ მოქალაქეთა გასაჭირისადმი ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულებაში. ცენტრის პოლიტიკა მუშათა საპროტესტო გამოსვლების მიმართ არაერთგვაროვანია. თავდაპირველად ისინი ცდილობდნენ პროტესტზე ეპასუხათ ხისტი მეთოდებით, უარი ეთქვათ პრობლემების მოგვარებაზე, რის არგუმენტადაც მოჰყავდათ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება, ბიუჯეტის არასტაბილურობა, და ა.შ. მაგრამ ინსტიტუციური მოდელი, რომელიც 1918-1921 წლებში არსებობდა შრომით საქმიანობაში წარმოშობილი პრობლემების გადასაჭრელად, ხშირად საკმაოდ ეფექტიანადაც მუშაობდა სამოქალაქო აქტივიზმის დინამიკასთან მიმართებით. ამ მხრივ გამოირჩეოდა ორი ინსტიტუცია. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო შრომის კომისარიატი, რომლის მთავარ მოვალეობას წარმოადგენდა ზოგადად მუშათა პირობების კვლევა, მათ მოთხოვნებზე პასუხის გაცემა და შრომითი დისკრიმინაციის აღმოფხვრა. მაგალითად, „სოციალ-დემოკრატი“ არის ასეთი ცნობა:

¹⁹ „შრომა“, №7, 1918

„შრომის პირობის დარღვევისთვის ქუთაისის გუბერნიის შრომის კომისარიატმა 8 საათიანი სამუშაოს დღის დარღვევისათვის სამი დღით სახელოსნო დაუხურა დომიტრი ბერუაშვილს, ზაქრო ლომიძეს და საპარიკმახერო „გეგნის“ პატრონს. ამავე მიზნით ექვსი დღის ციხე მიუსაჯა მიხაილ ტორაძეს“.²⁰

ასევე, რევოლუციის მემკვიდრეობის ერთ-ერთ ყველაზე დადებით მოვლენად განიხილავდნენ მომრიგებელი კამერის ინსტიტუტის არსებობას. ამ ორგანიზაციის მთავარი დანიშნულება იყო კაპიტალსა და შრომას შორის წარმოქმნილი უთანხმოების დარეგულირება მშვიდობიანი გზით.²¹

„ქუთაისის მუშათა საბჭომ შექმნა მომრიგებელი კამერა. ...საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისის მუშები ყოველთვის დიდ ანგარიშს უწევდნენ მომენტს და თავიანთი მოთხოვნილებები ჯერ ყოველთვის კამერაში შემოქონდათ და უცდიდნენ კამერის სიტყვას. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად საქმის გარჩევა გვიანდებოდა, მუშები მაინც მოთმინებას იჩენდნენ და გაფიცვისთვის არ მიუმართავთ“.²²

სტატიების მიხედვით იკვეთება გარკვეული ტენდენციები: შრომითი დავები, რომლებშიც მომრიგებელი კამერა ერთვებოდა, უმეტეს შემთხვევაში დადებითად წყდებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ რამდენჯერმე აგორებული საპროტესტო ტალღა მანამდე ჩააცხრეს, ვიდრე ის გადაიზრდებოდა რადიკალურ მოქმედებებში, გაფიცვებში, შიმშილობაში და ა.შ.

არცთუ იშვიათად ე.წ. ხაზეინები არ ემორჩილებოდნენ მომრიგებელ კამერებს, მუშები კი ხშირად მიმართავდნენ ამ ინსტი-

20 „სოციალ-დემოკრატი“, №347, 1918

21 „ერთობა“, №121, 1918

22 „ერთობა“, №121, 1918

ტუციას, რაც გამონვეული იყო შემდეგი გარემოებით: მუშები, რომლებიც სხვადასხვა შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლნი ხდებოდნენ, ენდობოდნენ მომრიგებელ კამერას, რაც ამ ინსტიტუტის სიძლიერეზე მიანიშნებს.

წინააღმდეგობის მოძრაობის თემატიკის გაანალიზებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია 1918-1921 წლების პრესა. მედია ამ პერიოდში წარმოჩნდება არა მხოლოდ როგორც საკომუნიკაციო საშუალება, არამედ მნიშვნელოვანი პლატფორმა წინააღმდეგობების, ხალხის მოთხოვნებისა თუ გასაჭირის გამოსახატად. ზოგადად, 1918-1921 წლების პერიოდული გამოცემები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც იდეოლოგიური, ისე სტრუქტურული და შინაარსობრივი თვალსაზრისით. გაზეთების რუბრიკები, სტატიების სათაურები და მათი შინაარსი გამოხატავდა სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას, სოციალ-დემოკრატიული სისტემის ინტერესებს. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება სპეციალური მუშათა რუბრიკების არსებობა ცენტრალურ პარტიულ ორგანოებში (გაზეთები: „ერთობა“, „სოციალ-დემოკრატი“, „სახალხო საქმე“); ასევე ცალკეული პერიოდული გამოცემები, რომელთა პუბლიკაციებიც უშუალოდ მუშათა ცხოვრებაზე იყო ორიენტირებული: „მუშა და გლეხი“ (ქუთაისი, 1921), „მუშათა ბიულეტენი“ (ხაშური, 1919), „მუშათა ბრძოლა“ (თბილისი, 1918), „მუშის სიმართლე“ (ბათუმი, 1918), „მუშის ხმა“ (ფოთი, 1921).

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვისაუბროთ რამდენიმე მიგნებაზე. ერთი მხრივ, გამოვიტანოთ დასკვნა, რომ იმდროინდელი საპროტესტო გამოსვლები ძირითადად სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებს უკავშირდებოდა და შესაბამისად, მათში მონაწილეობა აიხსნება მოქალაქეთა მატერიალური ინტენციებით. მეორე მხრივ, აცნობიერებდნენ რა

რესპუბლიკის მშენებლობის პროცესში ეკონომიკური პრობლემების მცირე დროში მოგვარების სიძნელეს, კოლექტიური გაერთიანებები აქცენტს აკეთებდნენ მომავალზე და ცდილობდნენ, მიმდინარე ეკონომიკური გამონწვევებისთვის ეპასუხათ კულტურულ-საგანმანათლებლო აქტებით. მათი აზრით, საქართველოში არსებული მშრომელი ძალის იდეური მომზადება ხელს შეუწყობდა მომავალში ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას. გამომდინარე აქედან, კოლექტიური გაერთიანებების უმრავლესობას ეკისრებოდა ხელისუფლების მაკონტროლებელი ძალის ფუნქცია, იგი მოტივაციას სძენდა მთავრობის საქმიანობას და იმავდროულად, მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის. მათ მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს ორგანიზებულობა არა მხოლოდ პოლიტიკურ ცენტრში, არამედ რეგიონებშიც, რასაც თავისუფლად შეიძლება ვუნოდოთ მოქმედების პერიფერიალიზაცია, რადგან მშრომელები სხვადასხვა გაერთიანების დაარსებითა და მათში განწევრიანებით ცდილობდნენ ამ პროცესში ჩართვას.

სწორედ ამ პროცესში გააქტიურდნენ ქალები, რაც ხაზს უსვამს იმ მნიშვნელოვანი ფასეულობების არტიკულირებას, რითაც ცნობილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი საქართველოს ისტორიაში.

მიუხედავად ამისა, არამდგრადი და ხშირად საკუთარ მიზნებთან წინააღმდეგობრივია სოციალური სახელმწიფოს მესვეურთა კომუნიკაციის ფორმები მშრომელთა გამოსვლებთან დაკავშირებით, რაშიც იგულისხმება სახელმწიფოს მხრიდან მშრომელთა პრობლემების მიმართ ზოგჯერ გულგრილი, ზოგჯერ კი – დამყოლი პოლიტიკა.

და ბოლოს, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმდროინდელი მედია, როგორც მშრომელთა გასაჭირის გამოხატვის მნიშვნელოვანი პლატფორმა.

კულტურა და ხელოვნება საქართველოს პირველ რესპუბლიკაში

*„...დიდია თეატრის როლი კაცობრიობის
გათვინობიერების ისტორიაში.
და ყოველი მოქალაქე მის მნიშვნელობას
შეგნებულად უნდა აფასებდეს“.²³*

კულტურა, როგორც კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრებაში. კულტურა ფართო ცნებაა და იგი მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროებს, რომლებიც აყალიბებს ხალხს, ერს, მის სულიერ და მატერიალურ ფასეულობებს. სახელმწიფოს განვითარების ეტაპები უშუალოდ აისახება ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაზე. საქართველოს ისტორიაში ერთი გარდამტეხი ეპოქა იყო 1918-1921 წლები, როცა ქართველმა ხალხმა დაკარგული დამოუკიდებლობა აღიდგინა პირველი რესპუბლიკის სახით.

23 „რევოლუციური ნობათი“, №46, 1918

ჩვენი სტატიის მიზანია მიმოვიხილოთ ახალშექმნილი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრება იმ დროს გამომავალი გაზეტების მეშვეობით და გარკვეული დასკვნებიც შევთავაზოთ მკითხველს.

ცნობილია, თუ რა რთული მდგომარეობა იყო მაშინ: აქეთ ბათუმის ამბები, იქით სოხუმის, ჯავის აჯანყებები, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, თავისუფლებისთვის ბრძოლა ყველა ფრონტზე, ახალი მთავრობა, შიდაეთნიკური და რელიგიური გამონეგვები... ამის კვალდაკვალ ვხედავთ ქვეყნის კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებას: თეატრებისა და სამკითხველოების დაარსებას, თეატრალური წარმოდგენებისა თუ კონცერტების გამართვას, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და აღორძინებისთვის გადადგმულ ნაბიჯებს... ყოველივე ამის შესწავლა და გაცნობა, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მკითხველისთვის.

თავისი მნიშვნელობით 1918 წლის ერთ-ერთი გამორჩეული მოვლენა იყო ქუთაისში, ქვიტირის ქუჩაზე თეატრის გახსნა. გაზეთებში ვკითხულობთ არა მხოლოდ ამ თეატრის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე, არამედ ზოგადად ვიგებთ, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ იმ დროს კულტურის მიმართ, რა გავლენას ახდენდა იგი მასების თვითშეგნების ამაღლებაზე, ამ შემთხვევაში როგორ ესმოდათ თეატრის არსი და დანიშნულება:

„აგერ ერთი თვე იქნება რაც ქვიტირის ქუჩაზე გაიხსნა სახალხო თეატრი. ამ ხნის განმავლობაში ამ თეატრში გაიმართა უკვე წარმოდგენა. ეს მოვლენა პირველი შეხედვით არც ისე მნიშვნელოვანია, რომ მან ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყროს, მაგრამ ნამდვილად კი ეს ასე არ არის. ყველასთვის ცხადია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრს ხალხისათვის. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი თუ როგორ უწყობს თეატრი ხელს მასის შეგნებას, მის გათვითცნობიერებას, მის ესთეტიკურ

განვითარებას, მორალურ აღზრდას და სხვა. თეატრი ერთი იმ იარაღთაგანია, რომელიც უკაფავს გზას მშრომელი ხალხის შრომის განთავისუფლებას. და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სწორედ მშრომელი ხალხისთვის თეატრში ღვივის ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელმაც მშრომელი ხალხი სულიერად უნდა გაზარდოს და ამით გაუადვილოს მას ბრძოლა თავის საბოლოო გამარჯვებისათვის. ამიტომ ცხადია, რომ ყოველი შეგნებული მოქალაქის და რევოლუციონერის ვალია შეუწყოს ხელი თეატრის ხელოვნების აღორძინებას.

დიდია თეატრის როლი კაცობრიობის გათვიცნობიერების ისტორიაში. და ყოველი მოქალაქე მის მნიშვნელობას შეგნებულად უნდა აფასებდეს...“²⁴

იმავე გაზეთში, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, იბეჭდება წერილი, რომელშიც ვკითხულობთ, თუ რა სასიკეთო ზეგავლენა მოახდინა თეატრის დაარსებამ იმ კონკრეტული ქუჩის მცხოვრებლებზე და არა მარტო მათზე:

„ქ. ქუთაისი. ქვიტირის ქუჩა. ეს ქუჩა რევოლუციამდე ძლიერ ჩამორჩენილი იყო. ეხლა კი არ არის. დაარსებულია ორი უფასო ნიგნთ-საცავ-სამკითხველო, ერთი ზემო ქუჩაზე, მეორეც დაბლა. კოოპერატივი „ძმობა“, აგრეთვე გაიხსნა თეატრი, სადაც ყოველ კვირაობით იმართება წარმოდგენა. შემოსავალი ხმარდება ორივე სამკითხველოს“.²⁵

მკითხველი და მაცურებელი, თეატრი და ნიგნი, კულტურა და განათლება ერთმანეთისგან განუყოფელი ცნებებია, ერთგვარი ინი და იანია – სადაც ერთია, იქვე მეორეა. სწორედ

24 „რევოლუციური ნობათი“, №46, 1918

25 „რევოლუციური ნობათი“, №73, 1918

ამის გამო იყო, რომ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში სამკითხველოები და თეატრები, წესისამებრ, ერთ სივრცეში თანაარსებობდნენ. სამკითხველოები ძირითადად უფასო იყო, იქ შესვლა და სამკითხველოებით სარგებლობა ნებისმიერს შეეძლო, თეატრებში კი სხვა წესები არსებობდა – ბილეთები იყიდებოდა და წარმოდგენიდან მიღებული შემოსავალი სამკითხველო დარბაზებს ხმარდებოდა. ასე მაგალითად:

*„ნატანები. „ამ უბნის ს. დ. მ. პარტიის პრეზიდენტი
შეუდგა სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებელ საშუა-
ლების გამონახვას. 25 ნოემბერს დადგეს წარმოდგენა“.²⁶*

ამ წარმოდგენიდან მიღებული თანხაც სამკითხველო ფონდს გადაეცა.

რესპუბლიკის არსებობის წლებში მსგავსი პრაქტიკა იყო დანერგილი მთელ საქართველოში, მის სხვადასხვა კუთხეში. სწორედ ამგვარი სახსრებით ფუნქციონირებდა ადგილობრივი სამკითხველო, მაგალითად, ქვემო ნოლაში, გურიში:

*„ორი კვირის წინად სოფელ ქვემო-ნოლაში გაიმარ-
თა დიდი საღამო ადგილობრივ სამკითხველოს სასარ-
გებლოთ. წარმოდგენილი იქნა „უმარილის ბრალია“ და
„ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი“. პიესა კარგად იქნა დად-
გმული და დამსწრე საზოგადოებაზეც კარგი შთაბეჭდი-
ლება დასტოვა. დარჩა წმინდა შემოსავალი 22,000 მანე-
თი. აღნიშნული თანხა გადაეცა დანიშნულებისამებრ.*

*მადლობას უძღვნით ყველა იმათ, ვინც არ დაზოგა
თავისი ძალ-ღონე ასეთი საქმისთვის“.²⁷*

აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ სამკითხველო

26 „ერთობა“, №3, 1919

27 „ერთობა“, №245, 1920

დარბაზების და შესაბამისად თეატრების (ეს ორი რამ, როგორც უკვე ითქვა, უმეტესწილად ერთად იყო) არსებობაში წვლილი შეჰქონდათ არა მხოლოდ ერთ ან მეორე დანესებულებაში მომუშავე პერსონალს, ან კონკრეტული მაზრის ბიუჯეტს, არამედ მოსახლეობასაც. ეს ორი რამ იმდენად სახალხოდ და ამავედროულად სასიცოცხლოდ აღიქმებოდა, როგორც ქვეყნის კულტურული ცხოვრების მთავარი საზომი, რომ ჩართული იყვნენ მოხალისეებიც, მოსწავლე-ახალგაზრდობაც და ა.შ:

„-ს. ენერში არსებობს წიგნთ-საცავ-სამკითხველო ჩვენთვის უკვდავ აკაკის სახელობაზე. ამ სამკითხველოს სასარგებლო აქაურ მოსწავლე-ახალგაზრდობისა და ორიოდ სცენის მოყვარეთა მიერ თემი წვრილ საერობო გამგეობის წევრის, დ. შარაშიძის რეჟისორობით და სამკითხველოს გამგეობის მეთაურობით, წარმოდგენილ იქნა ცნობილადის ორ მოქმედებიანი კომედია „მოტყუებულნი“ და ერთ მოქმედებიანი კომედია თანამედროვე კომისართა ცხოვრება-მოქმედებიდან „უკანასკნელი ქეიფი“. წარმოდგენამ ფრიად სასიამოვნოდ ჩაიარა.

იმედია შემდეგშიაც არ დაიზარებენ და კიდევ უფრო მეტის ხალისით და შეგნებით შეხვდებიან ამგვარ სამუშაოს. დიდი მადლობის ღირსნი არიან ამისათვის სცენაზე მოქმედი ახალგაზრდობა, ხოლო მათთან ის პირნიც, რომელნიც იყვნენ არჩეულნი საზოგადოების მიერ... წარმოდგენა-სალამოს მონყობაში.

წარმოდგენა-ბუფეტმა სამკითხველოს სასარგებლოდ დასტოვა 14,000 მ. ყოველივე ხარჯის ზევით. სამკითხველოს გამგეობა მადლობას უძღვნის ყველას, ვინც ამ წარმოდგენას ხელი შეუწყო“.²⁸

28 „სახალხო საქმე“, №891, 1920

განსაკუთრებით ყურადსაღებია რაბათის სამკითხველოს არსებობა. რით არის ეს უკანასკნელი გამორჩეული სხვა სამკითხველოებისგან? პასუხის გასაცემად უნდა მიმოვიხილოთ სამცხე-ჯავახეთის იმდროინდელი ეკონომიკური მდგომარეობა, სირთულეები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა ყოველდღიურად აწყდებოდა:

„ახალციხის ძველი ნაწილის „რაბათის“ ქართული სამკითხველო, დღიდან მისი დაარსებისა (1895 წ. მარია-მოზის თვისა), ჭაპანწყევტით ეწევა მძიმე უღელს.

აქაური მცხოვრებნი, ისედაც დაჩაგრულნი, უკიდურეს სიღარიბეში ჩაცვივდნენ ოსმალებისა და სერვერბეგის ბანდების შემოსევის დროს. ახლო მომავალშიც არ არის იმედი, რომ წელში გაიმართონ...“²⁹

წერილის ამ მონაკვეთიდან ვიგებთ, რომ გარდა უკიდურესი გაჭირვებისა და უამრავი პრობლემისა, აშკარა იყო მოსახლეობაში გამეფებული სრული უიმედობა. ხალხი ვერ ხედავდა უკეთესი მომავლის ნაპერწკალსაც კი. და ყოველივე ამის მიუხედავად, ვხვდებით თითო-ოროლა ენთუზიასტს, რომლებიც საკუთარი ძალებით ცდილობენ კულტურულ-საგანმანათლებლო კერების შექმნას:

„რა საკვირველია, ამისთანა ატმოსფეროში სამკითხველო ვერ იქნება სათანადო დონეზე დაყენებული, და რომ არ ყოფილიყო წინეებზე როზალია ალელიშვილისა, და ეხლა ანწერა ემიშვილის მაცადინეობა, სამკითხველო კიდევ დაიკეთებოდა. ამათი თაოსნობით იდგმება ხოლმე წარმოდგენები, რაც შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს.

29 „ნაციონალისტი“, №6, 1920

აღსანიშნავია, რომ გარდა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა, ჩამოსულებიც სიამოვნებით ლებულობენ მონანილეობას, მაგალითათ: მიმდინარე წლის 27 ივლისს, მაიორ სტეფანე იაკობის ძე კურაშვილის ინიციატივით მერვე ათასწლეულის სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ყაზბეგის „ყაჩალი არსენა“, რომლიდგანაც წმინდა შემოსავალი 4727 მან. მადლობის ღირსნი არიან საქართველოს მეომარნი, რომელნიც თავ თავის დროზე ბრძოლის ასპარეზსაც ამშვენებდნენ და სათეატრო სცენასაც.³⁰

და რატომ, მაინც რისთვის ცდილობდნენ ჯერ როზალია და შემდეგ ანნერა სამკითხველოს, როგორც კულტურული კერის გადარჩენას, თუ არ იყო ცოტაოდენი იმედიც კი მომავლისა?! ქალბატონები თავდაუზოგავად შრომობდნენ სამკითხველოს გადასარჩენად, რომ ამით იმედი ჩაესახათ შეჭირვებული მოსახლეობისთვის, ასე მიაჩნდათ სწორად და არა იმიტომ, რომ მომავალში ამას რაიმე დაფასება მოჰყვებოდა ან თუნდაც მათ საქმიანობაზე ვინმე რამეს დანერდა.

საქართველოში იმართებოდა ისეთი ღონისძიებებიც, რომლებიც ეძღვნებოდა, მაგალითად, მსახიობის დღეს:

„იანვრის ორს შმავესკის თეატრში გაიმართა ქართველ მსახიობის დღე. წარმოდგენილ იქნა ბარველის რეჟისორობით და მარო მდივნის, ძნელაძის და შ. ლამბაშიძის მონანილეობით ერთ მოქმედებიანი „ლეგენდა კოშკზე“ და „დარისპანის გასაჭირი“.³¹

თუ გავითვალისწინებთ ახალშექმნილ რესპუბლიკაში არსებულ მდგომარეობას და საერთაშორისო სიტუაციასაც, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, საქართველოში არსებულ თეატრებს ურთიერთობა ჰქონდათ საზღვარგარეთის თეატრებთანაც:

30 „ნაციონალისტი“, №6, 1920

31. „ბათუმის ცხოვრება“, №2, 1921

„ინგლისელებმა თბილისიდან მიიწვიეს ქართული დრამა-ტიული დასი „ჰამლეტის“ წარმოსადგენათ და ამ მიზნით გამოგზავნეს სპეციალური მატარებელი“.³²

საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებას ცდილობდნენ არა მხოლოდ თეატრები, არამედ კულტურისა თუ ხელოვნების სხვა დარგებშიც. მაგალითად, მნიშვნელოვანი იყო იმდროინდელი ლიტერატურული მოვლენები, ზოგადად მწერლებისადმი დამოკიდებულება:

„ფრანგი მწერალი აჭარაში. „9 სექტემბერს ქვედა აჭარაში გაემგზავრა საფრანგეთის მწერალი ქალი ლეიტ. ნერეთელის თანხლებით, ადგილობრივ მდგომარეობის გასაცნობად“.³³

საქართველოში ხშირად ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები, საჯარო ლექციები, რომლებშიც მონაწილეობდა როგორც მოსწავლე-ახალგაზრდობა, ისე იმდროინდელი ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები:

„ფოთის ქალთა საზოგადოება 14 მარტს მართავს დიდ სალიტერატურო საღამოს. მონაწილეობას მიიღებენ წულაძე, ნ. ჩხივაძე, გრიშაშვილი და სხვები“.³⁴

ერთი საინტერესო ცნობაა გამოქვეყნებული გაზეთ „საქართველოში“, რომელიც ქართველი მწერლის საფლავის მოუფლელობას ეხება. მოსახლეობა განიცდის ამ უყურადღებობას და სთხოვს ყველა უფლებამოსილ პირს, რომ იზრუნონ ამაზე:

32 „შრომა“, №14, 1919

33 „ერთობა“, №243, 1920

34 „ერთობა“, №62, 1919

„უკვე 23-24 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც გადაიცვალა ცნობილი ბელეტრისტი ალექსანდრე მ. ყაზბეგი, რომლის საფლავზედ აღმართულია ძეგლი კონსტანტინე ივანეს ძე მუხრანსკის მიერ. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ძეგლს არავითარი წარწერა არა აქვს და არც ვინმე ზრუნავს ამის შესახებ, რათა ყველა ქართველისთვის ცხადი იყოს, თუ ვინ განისვენებს ამ უზარმაზარი გამოქანდაკებული კლდის ქვეშ.“

ვსთხოვთ ყველა ამ საქმეში დაინტერესებულ და სანდროს პირადად მცოდნელ პირთა გამოსთქვან თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ რა წარწერა შეეფერება ამ საპატიო ბელეტრისტის ძეგლს.

უცხოეთიდან საგანგებოდ თუ შემთხვევით ჩამოსული მგზავრები ინტერესით ათვალიერებენ ყველა ძეგლებს და ბევრი მათგანი ისე წასულა საქართველოდან, რომ უბრალო მომაკვდავის წარმოდგენაც კი არ მიგვიცია ამ დიდებული მწერლის შესახებ“.³⁵

იმდროინდელ საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მუსიკის, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი დარგის, როგორც ქვეყნის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებლის განვითარებას. ჩვენი ქვეყნის თითოეული კუთხე მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებითა და განსაკუთრებული პოლიფონიით გამოირჩეოდა ყოველთვის და გამონაკლისი არც 1918-1921 წლები ყოფილა. პოპულარული იყო როგორც ფოლკლორი, ისე კლასიკური მუსიკა:

„ქ. სოხუმი. „1919 წ. აპრილის 28, შეიკრიბა მუსიკის მოყვარულთა ჯგუფი სოხუმელ ქართველთა საზოგადოე-

35 „საქართველო“, №134, 1920

ბისა, მოისმინა რა მოხსენება კრების თავჯდომარის თავ-
დგირიძის და თფილისის ქართულ სამუსიკო საზოგადოე-
ბის რწმუნებულის ზ. უ. ჩხიკვაიძისა ქართ. სამ. საზ.-ბის
ფილიალურ განყოფილების დასაარსებლად ქ. სოხუმში,
ერთხმად დაადგინა: დაუყოვნებლივ დაარსებულ იქნას
სოხუმში განყოფილება ქართ. სამუსიკო საზოგადოებისა.
ამავე კრებაზე ამოირჩიეს გამგეობის წევრები შემდეგის
პირებისგან: თავჯდომარე ასტამურ ინალიპა, ამის ამხა-
ნაგად ნიკო თავდგირიძე, წევრებით ვლადი ემუხვარი,
ძუკუ ლოლუა, ივანე რამიშვილი და ბაგრატ იოსელიანი“.³⁶

ბევრი მუსიკოსი თავისი ხელოვნებით ირჩენდა თავს, შესა-
ბამისად, იქმნებოდა მუსიკალური გაერთიანებები, ყალიბდე-
ბოდა ორკესტრები, მართავდნენ წარმოდგენებს.

„სიმფონიური სალამო ცენტრალურ აუდიტორიაში.

რესტორან-კლუბების დახურვის შემდეგ უსაქმოთ
დარჩა 60-ზე მეტი მუსიკოსი. ულუკმა-პუროთ დარჩენი-
ლი მუსიკოსები შეკავშირდნენ და განზრახვა აქვთ მუ-
შათა რაიონებში სიმფონიური სალამოები მართონ და
ამით საარსებო წყარო გაიჩინონ. ეს აზრი ფრიად სიმპა-
ტიურია და ყველა ხელოვნების მოყვარულმა ხელი უნდა
შეუწყოს მათ განზრახვას. დემოკატიის ფართო წრეე-
ბი დღევანდლამდე მოკლებული იყვნენ დამტკბარიყ-
ვნენ ცნობილ მუსიკოსთა შემოქმედებით. სახელმწიფო
თეატრი მართალია ყოველ შაბათობით სდგამს ოპერებს
მუშებისთვის, მაგრამ ეს მაინც საკმარისი არ არის. განა-
პირა რაიონების მცხოვრებლები ყოველთვის ვერ იშოვ-
ნიან დროს ცენტრში გამართულ ოპერებს მოუსმინონ და
როდესაც ასეთი სალამოები მის რაიონშივე გაიმართება,

ეს გაუადვილებს მათ დასწრებას. 21 ნოემბერს მუშათა ცენტრალურ აუდიტორიაში გაიმართა პირველი ასეთი სიმფონიური საღამო პ. ილჩენკოს დირიჟორობით“.³⁷

რეგიონებში იშვიათად ნახავდით მუსიკალურ სკოლებს, რის გამოც მუსიკის შესწავლის მსურველები დედაქალაქისკენ მიეშურებოდნენ. სამწუხაროდ, კულტურული კერების უმეტესობა მაშინ ძირითადად თავმოყრილი იყო დედაქალაქში. საგაზეთო პუბლიკაციებში აშკარად ჩანს, რომ რეგიონებში მცხოვრებნი ძალიან ნუხდნენ ამის გამო და ცენტრალურ თუ ადგილობრივ მთავრობას დახმარების თხოვნით მიმართავდნენ:

„ქ. თელავი გულია კახეთისა. თუმცა დიდი ხანია რაც აქაური საზოგადოება ცდილობს კულტურული შუქი მოჰფინოს, თვით ბუნებაც ხელს უწყობს ამ სიმდიდრეს, ვით ალაზნის ველი გადაშლილია პანია კახეთზედ ნაზი, ალერსიან ჰარმონიით და მუსიკის კულტით, მაგრამ ყველა მიეშურება ცენტრს და ვერ მოენყო ორგანიზაციულად თელავში სამუსიკო სკოლა, რომლის საჭიროებას ყველა ჩვენგანი გრძნობს.

რა ნავიკითხეთ ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამოქვეყნებული ანეტალ, მოგმართავთ შემდეგი თხოვნით: დაგვიარსოთ სამუსიკო სკოლა და გამოავზავნოთ თქვენი რწმუნებული, რომელიც საზოგადოებას დეტალურად გააცნობს და შევიმუშავებთ ორგანიზაციულ მხარეს.

24 მარტს, ქართ. სამუსიკო საზოგადოებამ განიხილა რა თელავის მომართვა, დაადგინა: გაიხსნას სამუსიკო სკოლა ქ. თელავში იმ პირობებით, როგორც ქ. ქუთაისში. ამ სააღდგომოთ არსდება ქ. სოხუმში და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს...“³⁸

37 „ერთობა“, №268, 1920

38 „ერთობა“, №68, 1919

რეგიონებში ძირითადად იმართებოდა თვითორგანიზებული მუსიკალური საღამოები, რომლებშიც ადგილობრივი მომღერლები იღებდნენ მონაწილეობას, ასე მაგალითად:

„ბორჯომი. „კვირას, 30 მარტს ადგილობრივ კლუბში ცნობილ მომღერალ ქალების, დების თარხნიშვილების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი. კონცერტი დაიწყო თავის დროზე. ხალხი მრავლად დაესწრო. ფრიად სასიამოვნო ხმები გაგვაგონეს დებმა თარხნიშვილებმა. შესრულებულ იქნა მრავალი ძველი ქართული სიმღერა, ჰიმნები. წარმოთქმულ იქნა სხვადასხვა ლექსები. სასურველი იქნება ამგვარი ესტეტიური საღამო კონცერტი ხშირად იმართებოდეს ბორჯომში“.³⁹

გურიის რეგიონში დიდი მუშაობა იყო გაჩაღებული, რომ ახალგაზრდებს ძველი თაობის შემსრულებლებისგან გურული სიმღერები და მხოლოდ ამ მხარეში შემორჩენილი ცეკვები შეესწავლათ. ამ საქმის სპეციალისტებს, გურული სიმღერების მასწავლებლებს, ინვევდნენ სკოლაში, რათა ბავშვებისთვის მემკვიდრეობით გადაეცათ ეს ხალხური საგანძური:

„ჩვენ გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ დიდ ეროვნულ საქმის კეთებას, რომელსაც ეწევა ლანჩხუთის ქალაქის გამგეობა და განსაკუთრებით ქალაქის მოურავი პატივცემული შარაშენიძე. მისი თაოსნობით მოწვეულ იქნა ქალაქის სკოლებში გურული სიმღერების მასწავლებლათ ცნობილი მცოდნე გურული სიმღერებისა პატ. სამუელ ჩავლეიშვილი. როგორც ვიცით, გურული სიმღერები ნოტებზე არ არის გადაღებული. რამდენათაც ეს მოსახერხებელი, – ეს კომპოზიტორე-

39 „ერთობა“, №77, 1919

ბის საქმეა. რომ ჩამომავლობას დარჩეს ეს სიმღერები, ამისათვის საჭიროა მისი გავრცელება ძველი მომღერლების წყალობით. ამას ამტკიცებდა ქალაქის მოურავი. უნდა ვალიაროთ, რომ პირადათ მე, როგორც ახლო მდგომი ქალაქის საქმეებთან, წინააღმდეგი ვიყავი ამის იმ მოსაზრებით, რომ ახალგაზრდა ქალაქს, რომლის ფინანსიური მდგომარეობა სუსტია, არ შეუძლია ამ საქმის გაძლოლა-თქო. მაგრამ ქალაქის მოურავმა თავისი გაიტანა და მართლაც სამუელ ჩავლეიშვილის ათი თვის მუშაობას დიდი ნაყოფი გამოუღია. შემთხვევა გვექონდა მოგვესმინა ის 7 სექტემბერს ქალაქის მოედანზე. სხვათა შორის სიმღერას დაესწრო ჩვენი ერის ბელადი ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას. მშვენივრათ მღერიან პატარა ყმაწვილები. აგრეთვე შეუწავლებიათ მონაფეთათვის ძველი გურული ცეკვა: ფერხული და ხორუმი, რომელსაც ეხლა გურიაში არ ცეკვავენ. ეს ცეკვა დარჩენილა მხოლოდ აჭარაში. ჩავლეიშვილის გუნდი ახლო ხანში აპირებს საქართველოს შემოვლას. ის ესტუმრება აგრეთვე ჩვენს დედაქალაქსაც. ვფიქრობ, ამ საქმეს დახმარებას გაუწევს საქართველოს მთავრობა. მათ ჰსურთ ვაგონი უფასოთ ან ყოველ შემთხვევაში შეღავათიან ფასებში დაუთმონ. ვუსურვებ ამ საქმის დაძვებთ და ხელმძღვანელთ ნაყოფიერ მუშაობას“.⁴⁰

იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასევე დიდ როლს ასრულებდნენ სახალხო სახლები, რომლებიც ხელმისაწვდომი სივრცე იყო საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლისთვის. თითოეული რეგიონი თუ სოფელი ცდილობდა თვითმმართველობის ძალებით თუ საკუთარი მონადინებით აეშენებინათ მსგავსი დაწესებულებები. სახალხო სახლები შენ-

40 „ერთობა“, №229, 1920

დებოდა და ფუძნდებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში:

„სოფ. ველისციხე. ამ ბოლო დროს დიდი გამოფხიზლება ეტყობა ჩვენს სოფელს. რამოდენიმე ხანია აქ არსებობს სცენის მოყვარეთა ჯგუფი, მაგრამ რაღაც სიცოცხლის ელფერი არ ეტყობოდა, სამაგიეროთ წელს გაორკეცებული ენერგიით მოჰკიდეს საქმეს ხელი და სისტემატიურად მართავენ წარმოდგენებს; საზოგადოებაც ძლიერ ეტანება წარმოდგენებს. შემოსავალი ხშირად სამას თუმანს აღემატება ხოლმე, ეს ფული გადადის სახალხო სახლის ასაშენებელ ფონდში. თუ ასეთი ენერგიით იმუშავეს ჩვენმა სცენის მოყვარებმა როგორც ეხლა, არ გაივლის დიდი ხანი და ჩვენი სოფელიც ეღირსება ისეთ კულტურულ დაწესებულებას, როგორიც არის სახალხო სახლი“.⁴¹

„დაბა აბაშა. ივლისის 21-ს გაიმართა დიდი სეირნობა, რომელსაც დაესწრო მრავალი ხალხი. შემოსავლის 50 პროც. გადადებულ იქნა სახალხო სახლის ასაშენებელ ფონდისთვის, 50 პროც. კი რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტის სასარგებლოთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ გასართობებს, წარმოდგენებს და ლექციებს აქაური ხალხი კარგათ ეკიდება. სასურველია აქ დაარსდეს სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც სისტემატიურათ გამართავს წარმოდგენებს და ამით ხელს შეუწყობს მცხოვრებლების კულტურულ და გონებრივ განვითარებას... პარტიულმა ორგანიზაციამ, რაც შეიძლება ხშირათ უნდა მოაწყოს ლექციები – სხვადასხვა თანამედროვე კითხვებზე. აქამდე სამკითხველო არ აღუდგენიათ. საჭირო კია მისი განახლება“.⁴²

41 „ახალი საქართველო“, №6, 1919

42 „ერთობა“, №159, 1918

და ბოლოს, დავასრულოთ იმით, რითაც დავიწყეთ – სახელმწიფოს წინსვლა-განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მისი ეკონომიკურად მოძლიერება, სოციალური პრობლემების მოგვარება და საერთოდ, ცხოვრების დონის ამაღლება. იმავდროულად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის კულტურული ცხოვრება, მატერიალური თუ სულიერი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და შემდგომი თაობებისთვის გადაცემა. ნებისმიერ დროში და ნებისმიერ ქვეყანაში საზოგადოებას სჭირდება ღირსეული პირობები იმისთვის, რომ იშრომოს და მიიღოს შესაბამისი სარგო, და ამავე დროს, სასიცოცხლოა, ჰქონდეს „პური ჩვენი არსობისა“, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, არის არა ფიზიკური, არამედ სულიერი საზრდო.

იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობას საუკეთესოდ გადმოგვცემს ერთი საგაზეთო კორესპონდენცია, რომელშიც აღწერილია ბათუმის ამბები, ასევე ხალხის და საზოგადოების დამოკიდებულება კულტურის მიმართ. დიახ, 1918 წელს, როდესაც ბათუმიდან მოდიოდა ბოლო ცნობები, რომ მოვლენებს თურქეთი აკონტროლებდა, ამ მხარეში დოკუმენტებს აწარმოებდნენ მხოლოდ თურქულ ენაზე და რომ ზოგადად, უამრავი პრობლემა ჰქონდა როგორც აჭარას, ისე დანარჩენ საქართველოს: „თეატრები და კინომატოგრაფები ფუნქციონირებას განაგრძობენ“.⁴³

43 *Кавказ*, «*Кавказ*», №99, 1918

სახალხო და მოძრავე უნივერსიტეტები 1918-1921 წლებში

განათლებას (ცოდნას) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველ ეპოქაში და ადამიანის, ინდივიდის განვითარების უმთავრესი საფუძველია დღესაც. ამ მოსაზრებას იზიარებს თითქმის ყველა, თუმცა განათლების ხელმისაწვდომობა კვლავაც რჩება ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად. ქართულ რეალობაში, შეიძლება ითქვას, პერიფერიები მაინც მოკლებულია კულტურულ და საგანმანათლებლო აქტიურ ცხოვრებას. განათლების მიღება, განსაკუთრებით რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდისთვის, ბევრ სიძნელეს უკავშირდება, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი მიუღწეველიც კია. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ცენტრში.

1918-1921 წლების რეგიონული პოლიტიკის შესწავლისას, ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია იმ პერიოდში არსებულმა სახალხო უნივერსიტეტმა, რომელიც პირველ რესპუბლიკაში წარმოადგენდა დემოკრატიულ მექანიზმს ცოდნის შესაძენად, მის გასავრცელებლად.

სახალხო უნივერსიტეტში გამართული ლექციები, თავისი მნიშვნელობისა თუ პოტენციალის გამო, ნამდვილად იმსახურებს

ცალკე სიღრმისეულ კვლევას. შევეცდებით, ამ მოკლე სტატიაში გაგაცნოთ ჩვენი პირველადი დაკვირვებები, მიგნებები, პრესაში დაბეჭდილი სტატიებიდან საინტერესო მონაკვეთები და იმედს ვიტოვებთ, რომ მკითხველს გაუღვივებთ ამ საკითხისადმი ინტერესსა და მისი უფრო სიღრმისეულად კვლევის სურვილს.

1918-1921 წლებში, მაშინ, როცა საქართველოს რესპუბლიკა ვითარდებოდა და წელში გამართვას ცდილობდა, ფორმალურად თუ არაფორმალურად, მთელი საზოგადოება, მუნიციპალიტეტები თუ ქალაქების წარმომადგენელი ცდილობდნენ შეექმნათ დემოკრატიული და გახსნილი სივრცეები, რომელიც ხელმისაწვდომი გახდებოდა ყველა დაინტერესებული პირისთვის. რაც მთავარია, ამგვარ ადგილას მოხვედრილი ნებისმიერი მოქალაქე მეტად მნიშვნელოვან, ფასეულ ინფორმაციასა თუ ცოდნას მიიღებდა და ეს ურთიერთობა ნაყოფიერ შედეგებს მოიტანდა ზოგადად. სახალხო უნივერსიტეტებში იმართებოდა საინტერესო ლექციები ისეთ თემებზე, როგორიცაა: ძველი და ახალი ქართული ლიტერატურა, მსოფლიო და საქართველოს ისტორია, ბუნებისმეტყველება, პოლიტიკური ეკონომიკა, ქალთა ჰიგიენა, ფიზიოლოგია, გეოგრაფია და ა.შ.

აი როგორ აღწერს 1919 წელს „სახალხო საქმეში“ დაბეჭდილ ერთ წერილში უცნობი „მოკეთე“ სახალხო უნივერსიტეტის მნიშვნელობას:

„სახალხო უნივერსიტეტის მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების იმ ელემენტებისთვის, რომელთაც სიღარიბისა თუ სხვა მიზეზების გამო თავის დროს ვერ მიუღიათ განათლება“.⁴⁴

გაზეთ „ერთობაში“ ვკითხულობთ, რომ სახალხო უნივერსიტეტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მუშა ხალხისთვის და,

⁴⁴ „სახალხო საქმე“, №902, 1920

ზოგადად, ყველასთვის. ეს იყო განვითარებისა და აღზრდის ადგილი, სადაც მოისმენდით აქტუალურ კითხვებზე პასუხს. აქ ნათელი ეფინებოდა ყოველივე სიმართლეს.⁴⁵

სახალხო უნივერსიტეტების მიზანი იყო საგანმანათლებლო თუ კულტურულ პროცესში ჩართულიყვნენ ისეთი მოქალაქეები, რომლებსაც არ გააჩნდათ პრივილეგიები და არც განათლების მიღების შესაძლებლობა. ეს იყო სივრცე დემოკრატიული დისკუსიებისთვის, მსჯელობისთვის, აზრების გაცვლა-გამოცვლისთვის.

„მოქალაქენო!

დემოკრატიის უსაშინლესი მტერი – მისი შეუგნებლობა და გონებრივი სიბნელეა! პოლიტიკურის, ეკონომიკურის, ეროვნულის და ყოველგვარი მონობის წყარო და საფუძველი ხალხის განუვითარებლობაა. ეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული რევოლუციის მიერ დანგრეულ მონარქიის წესის მესვეურთ და ფართო მასაში სინათლის შეტანას წინ ეღობებოდნენ ყოველგვარი საშუალებებით. ცოდნის სხივებით გაბრწყინებული ხალხი ვერ ეგუება მონობას, დამცირებას და გაყვლეფას.

თავისუფალ ქვეყანას დემოკრატიის გონებრივი განათლება შეჰფერის. რევოლუციამ დემოკრატიის, მისი ბედის და მომავლის შექმნა მასვე გადასცა. ხალხმა რომ სწორისა და მოკლე ნაბიჯებით ცხოვრების კანონების გათვალისწინებით გასწიოს წინ უკეთესი მომავლისკენ, რომ მან შეცდომები და სასიკვდილო ნახტომები არ გააკეთოს, ის მეცნიერებას, კულტურასა და ცოდნას უნდა დაენაფოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავს ვერ გაართმევს სამოქალაქო ომებს, შეუგნებელ მოქმედებისაგან გამომდინარე შეცდომებს და რამოდენიმე წლოვით დამარხავს ბრწყინვალე მომავლის მოახლოებას.

45 „ერთობა“, №230, 1919

კმარა სიბნელე! კმარა სიბეცე! ძალა შეგნებაშია და შეგნება ძალაა. ეს შეიგნო ჩვენმა დემოკრატამ და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სასურსათო და სხვა დროებით მოვლენილი გაჭირვებით გარემოცული და მტრებით გარსშემორტყმული ჩვენი დემოკრატია, ისწრაფვის ცოდნას დაენაფოს, მეცნიერებას ეზიაროს, მან შექმნა ყველა ეროვნებათათვის უწმინდესი ტაძარი, სახალხო უნივერსიტეტი. იგი ყოველდღე მეტ მოთხოვნილებას აყენებს ცოდნის შესაძენად და სახალხო უნივერსიტეტი სწორედ მის ღვიძლ შვილად გადაიქცა“.⁴⁶

როგორც ჩანს, სახალხო უნივერსიტეტი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული თბილისში, მისი ფილიალები არსებობდა პრაქტიკულად დედაქალაქის ყველა უბანში და საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენდა ლექციებისა და დისკუსიების მიმართ.

1918 წელს, გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“ გამოქვეყნებულ წერილში ვკითხულობთ:

„ავლაბრის რაიონის დემოკრატისა. თფილისში, თითქმის ყველა რაიონებში არსებობს სახალხო უნივერსიტეტები და მუშათა კლუბები. ჩვენს რაიონში უკვე დავარსეთ სახალხო უნივერსიტეტი, სადაც უკვე დაიწყო სისტემატიურად ლექციების კითხვა, მუშები სწავლობენ ძველსა და ახალ ისტორიას, პოლიტიკურ ეკონომიასა და სხვა. დავარსეთ მუშათა კლუბი, სადაც ხელოვნება უნდა დავუახლოვოთ ფართო დემოკრატისა და აღვზარდოთ ის კულტურულად. ამ მიზნის ცხოვრებაში გასათარებლათ მუშათა კლუბის წევრებმა აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანო – მუშათა კლუბის გამგეობა, რომელიც უკვე შეუდგა მოვალეობების შესრულებას. გამგეობამ მოინვია რეჟი-

46 „ერთობა“, №245, 1919 წ.

სორები ქართულ და სომხურ წარმოდგენების გასამართავად, შეადგინა რეპერტუარი. გამგეობა ყოველ ღონეს ხმარობს ხელოვნების ტაძარი მისანვდომი გახდეს ფართო დემოკრატიისთვის. უკვე დაიწყო მუშათა კლუბმა თავისი მოქმედება და გამგეობა მოუწოდებს ავლაბრის დემოკრატიას შემოიკრიბოს მუშათა კლუბის გარშემო და ნუ მოაკლებენ მას თავის თანაგრძნობას. ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა და ავლაბრის დემოკრატია ხელი ხელ ჩაკიდებულნი დადიოდენ იმ გზით, რომელზედაც შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა. ამ იმედით აღფრთოვანებული ვინყებთ ამ ახალ საქმეს.

ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა⁴⁷.

თუმცა, როგორც ირკვევა, თბილისის სახალხო უნივერსიტეტებიც კი წლების განმავლობაში განიცდიდნენ მატერიალური სახსრების სიმწირეს, რის გამოც შეზღუდული იყო ლექციების რაოდენობა. მაგალითად, პრესაში ვხვდებით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ორი წლის განმავლობაში სახალხო უნივერსიტეტს პრაქტიკულად არავინ აქცევდა ყურადღებას, ბოლოს კი, როგორც იქნა, განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა დახმარება მილიონ-ნახევრით, ხოლო ქალაქმა – 300 ათასით, რისი საშუალებითაც მოენყო აუდიტორიები, მოიწვიეს საუკეთესო ლექტორები და ა.შ.

თბილისისგან განსხვავებული მდგომარეობა იყო რეგიონებში, სადაც სახალხო უნივერსიტეტს ისე არ ჰქონდა ფეხი გადგმული, როგორც თბილისში. მთელი ძალის კონცენტრირება ხდებოდა ცენტრში, შესაბამისად, პერიფერიაში ცოდნის გავრცელებაზე იშვიათად თუ ვინმე ზრუნავდა. ამ ნუხილთან დაკავშირებით არაერთ კრიტიკულ წერილს ვხვდებით:

47 „ერთობა“, №246, 1919

„თითქმის ერთი თვის განმავლობაში მე მომიხდა თფილისის გარეთ ყოფნა და პროვინციაში ქალაქთა და ერობათა თვითმმართველობებთან მოლაპარაკების გამართვა მოძრავი სახალხო უნივერსიტეტის მოწყობის შესახებ რესპუბლიკის ყველა ქალაქებში.

ფოთი, სენაკი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, თელავი – აი ის ქალაქები, რომლებსაც ვესტუმრე და რომლებიც შეადგენენ, ან უფრო სწორად რომ ვსთქვათ, უნდა შეადგენდენ კულტურულ ცენტრებს სამეგრელოს (ზუგდიდი, სენაკი), გურიისა (ოზურგეთი) და კახეთისას (თელავი).

მე მინდა მოგახსენოთ იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც გამოვიტანე პროვინციის ცხოვრების დაკვირვებიდან. არ არის საკმარისი ინტელიგენტური ძალების არ ყოლა პროვინციალურ ქალაქებში, რაც, რასაკვირველია, მეტათ აფერხებს პროვინციის საზოგადოებრივ ცხოვრების აღორძინებას და კულტურულ წინ მსვლელობას. ამას მშვენივრად გრძნობენ თვით ადგილობრივი მოღვაწენი და თითქმის ყველგან შემომჩვიოდენ ერთ და იგივეს, თფილისი გვართმევს ძალებსო... და მართლაც თფილისი ყლაპავს პროვინციის საუკეთესო ძალებს.

„თფილისომანიით“ – მომიტევეთ ეს უხეში სიტყვა – აიხსნება სხვათა შორის შექმნა ისეთი დანესებულების, როგორიც არის ერობათა ცენტრი, რომლის დაარსება, ჩემის აზრით, არ არის გამოწვეული არავითარ საჭიროებით. საყურადღებოა, რომ ერობები, რომლებიც უნდა იყვნენ ასე თუ ისე დაინტერესებულნი დეცენტრალიზაციით, რომლებიც უნდა გრძნობდენ ცენტრალიზმის მავნებლობას და ნათლათ ხედავდენ საჭიროებას და სარგებლობას არა ძალების კონცენტრაციისა თფილისში, არამედ მათი მიზნის შესაფერ განაწილებას პროვინციაში, არამც თუ ამის (ცენტრალიზაციის) წინააღმდეგ ილაშქრებენ, პირიქით, მათი წარმომადგენელნი „ცენტრალიზაციის“ იდეოლოგებათ

გამოდინ და ცენტრების საჭიროების იდეას ქადაგებენ. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენში ბევრ მოღვაწეს არ აქვს კიდეც ნათლათ შეგნებული ის მოვალეობა, რომელიც მას აწევს და ვერ ბედავს იმ მავნებლობას, რომელიც მოაქვს პროვინციის მომზადებული ძალებისგან დაცარიელებას...“⁴⁸

როგორც ვხედავთ, კრიტიკული წერილი ეხება დეცენტრალიზაციის პრობლემებს, ცენტრში კულტურული, საგანმანათლებლო ცხოვრების კონცენტრირებას, პერიფერიისთვის რესურსის წართმევას. სტატიის უცნობ ავტორს პერიფერიის გამოცოცხლების აუცილებელ პირობად ერობების კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად ქცევა მიაჩნია, სწორედ სახალხო უნივერსიტეტების საშუალებით.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებში გაცილებით ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა სახალხო უნივერსიტეტის ფორმირება, არაერთ სიახლეს მაინც ვაწყდებით. მაგალითად, ერთი ასეთი ცნობაა ოზურგეთის შესახებ, სადაც გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი გვარდიელ-ჯარისკაცთა უნივერსიტეტის შენობაში. იქ ადგილობრივი მოწინავე ძალები სისტემატურად კითხულობდნენ ლექციებს ძველი და ახალი ქართული ლიტერატურიდან, მსოფლიო და საქართველოს ისტორიიდან, ბუნებისმეტყველებიდან, პოლიტიკური ეკონომიკიდან და სხვა. მსმენელი საკმაოდ ბევრი იყო.⁴⁹

ასევე საინტერესო ცნობაა ლანიის (ზემო იმერეთი) სახალხო უნივერსიტეტის შესახებ:

„საერთოდ ბევრს ლაპარაკობენ მდაბიო ხალხის გამოფხიზლებაზე, მის ზნეობრივად და გონებრივად განვითარებაზე, მაგრამ ამ მხრით ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი გაკეთებულა ქალაქებშიც კი, ხოლო რაც შეეხება სოფელს, იქ ხომ ამ შემთხვევაში წარმოუდგენელი ჩამორ-

48 „ერთობა“, №85, 1919

49 „ერთობა“, №263, 1920

ჩენილობაა. ხალხის გასანვითარებლათ ერთ საუკეთესო საშვალეზად უნდა ჩაითვალოს სახალხო უნივერსიტეტი. ქალაქებში კარგათ არის იგი დაყენებული, სოფლათ კი ამ მხრით ჯერ არაფელი გაკეთებულა. მაგალითი ამ მხრით (ლანირი სამტრედიაშია) ლანირ-ჭაგნის თემმა მისცა სხვას.

ამ თემში ლანირის უმაღლესი და პირველ-დანყებოთი სასწავლებლების მასწავლებელთა ინიციატორობით გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი. შედგენილია საკმაოდ ფართე პროგრამა, რაც ხალხის კულტურულად განვითარებას დიდად წინ წასწევს. განზრახულია ლექციების კითხვა მეცნიერების ყველა დარგიდან (ისტორიიდან, გეოგრაფიიდან, ფიზიკიდან, ბუნების მეტყველებიდან, ლიტერატურიდან და აგრონომიიდან).

პირველი ლექცია შესდგა წარსული წლის 21 დეკემბერს. მას ძლიერ ბევრი მსმენელი დაესწრო. ლანირის უმაღლეს დანყებითი სასწავლებლის გამგემ დომენტი ჩხაიძემ ნაიკითხა ლექცია საქართველოს უძველეს ისტორიიდან, ქრისტიანობამდე. ლექცია მეტად შინაარსიანი გამოდგა, რის გამო ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა. ლექციის შემდეგ იმავე უმაღლეს დანყებით სასწავლებლის გამგემ ირაკლი წინიკაშვილმა გააკეთა ვრცელი მოხსენება მომენტზე. შემდეგ წაკითხულ იქნა სახუმარო სცენები. ლექციის წინ მასწავლებელთა გუნდმა, გიორგი წინვიძის ლოტბორობით, მოხთენილად შეასრულა ეროვნული ჰიმნი და აგრეთვე რამოდენიმე ეროვნული სიმღერა, რასაც დამსწრე საზოგადოება ტაშის ცემით და ვაშას ძახილით შეხვდა.

ასეთი შინაარსით იქნება მონყობილი ლექციების კითხვა თვეში ორჯელ. იმედია სხვა თემებში მსახური მონინავე ელემენტებიც წაბაძავენ ლანირის ინტელიგენციის მაგალითს. მასწ. ირ. წინიკაშვილი⁵⁰

50 „სოციალ-დემოკრატი“, №2, 1920

გარდა სახალხო უნივერსიტეტებისა, არსებობდა **მოძრავი უნივერსიტეტები**, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში ეწოდნენ საქმიანობას:

„ქალაქთა კავშირის თანხმობით, კავშირის განათლების განყოფილების გამგის სერ. რობაქიძის თაოსნობით და თბილისის უნივერსიტეტის ქართველ ლექტორთა მონაწილეობით და მათი ძალების შემწეობით საფუძველი ჩაეყარა ერთ ფრიად მნიშვნელოვანსა და ჩვენი დემოკრატიისთვის გადაუდებელ კულტურულ საქმეს: მოძრავი უნივერსიტეტის დაარსებას.

ლექტორთა წრემ თავის შემადგენლობიდან გამოყო საორგანიზაციო კომისია, რომელიც შეუდგა ენერგიულ მუშაობას. კომისიაში შედიან: ქალაქთა კავშირის განათლების განყოფილების ხელმძღვანელი სერ. რობაქიძე, პარლამენტის ყოფილი წევრი და სახალხო განათლების სამინისტროს თვალსაჩინო თანამშრომელი გ. ნათაძე, ბაქოს ქართველთა ეროვნული საბჭოს თავჯდომარე ვლ. ქავთარაძე, ქალაქის ხმოსანი ი. ირემაშვილი, თფილისის სახალხო უნივერსიტეტის ლექტორი ქიმი ტურიაშვილი, ნაძალადევის განყოფილების მუშათა სექციის წარმომადგენელი კ. ქუთათელაძე და თბილისის უნივერსიტეტის ქართველ ლექტორთა თავჯდომარე პარლამენტის ქვესტორი სერ. ჟორჟოლიანი.

უნივერსიტეტის განყოფილებათა გახსნა განზრახულია რესპუბლიკის 21 სხვადასხვა ქალაქ-სოფლებში, ჯერჯერობით კი – დაუყოვნებლივ მოძრავი უნივერსიტეტი თავის მოქმედებას აწარმოებს 12 ჩვენს ქალაქებში“⁵¹

51 „შრომა“, №37, 1919

დემოკრატიულ რესპუბლიკაში სახალხო უნივერსიტეტების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ განათლება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი იყო არა მარტო სახელისუფლებო, არამედ საზოგადოებრივ და არაფორმალურ დონეზეც.

მოქალაქეების განათლება, ცოდნის გადაცემა, განურჩევლად სოციალური სტატუსისა, დემოკრატიისთვის აუცილებელ პირობად მიაჩნდათ.

გარდა ამისა, სახალხო უნივერსიტეტები იყო საშუალება, რომელიც უზრუნველყოფდა მოქალაქეების დემოკრატიულ პროცესებში ჩართვას, უპირველეს ყოვლისა კი იმ მოქალაქეებისა, რომლებსაც სათანადო ფინანსები არ გააჩნდათ განათლების მისაღებად. ეს იყო სივრცე, რომელიც ყველასგან მივინყებულ პერიფერიას აძლევდა შესაძლებლობას, ყოფილიყო აქტიური, თითოეული მოქალაქე ჩართულიყო ადგილობრივ თუ გლობალურ პრობლემათა შესახებ დისკუსიაში, მოესმინა ლექციები სხვადასხვა სფეროდან და ა.შ.

დემოკრატიული სივრცეების ნაკლებობა საზოგადოებას პოლარიზებულს, გაუცხოებულს ხდის და არ აძლევს განვითარების საშუალებას. შესაბამისად, სახალხო უნივერსიტეტს აქვს არა მხოლოდ საგანათლებლო ხასიათი, არამედ ეს არის ერთგვარი სოციალიზაციის კერა, რომლის კარი ყველა დაინტერესებული პირისთვის უნდა იყოს ღია.

„კმარა სიბნელე! კმარა სიბეცე! ძალა შეგნებაშია და შეგნება ძალა!“

საგანმანათლებლო ინიციატივები და პრაქტიკა

საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში განათლება მოიაზრებოდა როგორც მოსახლეობის თვითშეგნებისა და თვითმოქმედების, ისე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მთავარი მექანიზმი. საგანმანათლებლო ინიციატივებით, სახალხო განათლების გავრცელების ფორმებითა და პრაქტიკით აღნიშნული პერიოდი საკმაოდ მრავალფეროვანია. საგანმანათლებლო ინიციატივების გაჩენა და მათი პერიფერიალიზაცია ხელს უწყობდა რეგიონებში განათლების მიღმა დარჩენილი მოქალაქეების თვითშეგნების ზრდას და მათ სამომავლო განვითარებას. ამაზე თანაბრად ზრუნავდნენ როგორც პოლიტიკური პარტიები, ისე არაფორმალური და თვითორგანიზებული გაერთიანებები. ვინაიდან 1918-1921 წლებზე შემორჩენილი ცნობები ფრაგმენტული და არასტრუქტურული ხასიათისაა, შესაბამისად, აღნიშნული პერიოდის სრული სურათის აღდგენა ნამდვილად წარმოუდგენელია და ეს არც დაგვისახავს მიზნად. თუმცა ამ სტატიაში აღწერილი რამდენიმე შემთხვევის მაგალითზე შესაძლებელია დავინახოთ, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს თვითმოქმედების ნიადაგზე ჩამოყალიბებულ საგანმანათლებლო პრაქტიკას რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის და რაც მთავარია, რა როლი შეიძლება ჰქონდეს ლოკალურ ინიციატივას ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროცესში.

I. საღამოს სკოლა ქუთაისში

როდისა და ყალიბდება ქუთაისი დასავლეთ საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად, ამის დაზუსტებით თქმა ძნელია, თუმცა XIX-XX საუკუნეების პრესასა და სხვადასხვა პერიოდულ, პარტიულ თუ დამოუკიდებელ გამოცემაში ნათლად არის წარმოდგენილი ქუთაისის ოლქის ყოველდღიური ცხოვრება. ამ წყაროებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ყალიბდებოდა ქუთაისი დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. ქალაქში, როგორც თვითმმართველობა, ისე მცხოვრებლები დამოუკიდებლად, თვითორგანიზებულად გეგმავდნენ და ახორციელებდნენ სხვადასხვა ინიციატივას, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა არაფორმალური და ხელმისაწვდომი განათლების შესაძლებლობას, სხვადასხვა ფორმალური, პარტიული თუ არაოფიციალური ჯგუფის წრეების ფუნქციონირებას (ახალგაზრდა მარქსისტთა წრე, ქუთაისის მუშა ქალთა ორგანიზაცია, ქვიტირის ქუჩის თეატრი⁵² და ა.შ). ხშირად, რეგიონის მოსახლეობა თავად ერთვებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში და მატერიალურ-ფინანსური რესურსების მობილიზების პროცესში.

წყაროების მიხედვით, ერთ-ერთი საინტერესო ინიციატივა, რომელიც საქმედ იქცა ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის წახალისებით, ქუთაისის საღამოს სკოლა⁵³ იყო. სკოლის დაარსების მთავარ მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდა მუშებისთვის ალტერნატიული სივრცის შექმნა განათლების მისაღებად. ახალგაზრდების დიდ ნაწილს, უსახსრობის გამო, განათლების მიღების შესაძლებლობა არ გააჩნდა. საღამოს სკოლის მსმენელთა უმრავლესობას სწორედ დაბალანაზღაურ-

52 გაზეთ „სოციალ-დემოკრატსა“ და „ხალხის მეგობარში“ ქვიტირის ქუჩის თეატრის შესახებ 10-მდე ცნობა მოვიძიეთ.

53 ² 1918-1921 წწ. პერიოდულ გამოცემებში („სოციალ-დემოკრატი“, „ხალხის მეგობარი“ და სხვ.) კონკრეტულად საღამოს სკოლის შესახებ რამდენიმე ცნობა და სტატია მოვიძიეთ.

რებად სამუშაო ადგილებზე დასაქმებული ახალგაზრდები შეადგენდნენ, რომლებიც მაშინდელ პრესაში „შეგირდებად“ მოიხსენიებდნენ. დაარსების დღიდან სკოლამ დიდი პოპულარობა მოიპოვა მუშებში და მსმენელთა რიცხვიც მზარდი იყო. სალამოს სკოლა განთავსებული იყო გენერლის ქუჩაზე, ქალაქის ქალთა უფასო სასწავლებელში⁵⁴. სკოლის ფუნქციონირებაში აქტიურად იყო ჩართული ქალაქის თვითმმართველობა, რომელმაც ამ საქმისთვის სამი მასწავლებელი გამოყო (ცნობილია მათი ვინაობაც: ლიზა მეძმარიაშვილი, ლუდმილა მოდებაძე და „სარუმოვის ასული“⁵⁵).

საინტერესოა თავად სკოლის მსმენელთა შესახებ არსებული ინფორმაცია, რომელიც სკოლის მნიშვნელობასა და საჭიროებას კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს; „სალამოს სკოლის“ მონაწილეთა 30 პროცენტი საერთოდ არ ფლობდა ქართული ენის წერა-კითხვის უნარებს, 40 პროცენტს შეადგენდნენ მუშები, რომლებიც მხოლოდ ქართულად კითხვას ახერხებდნენ, ხოლო დანარჩენი 30 პროცენტი სრულად ფლობდა ქართულ და რუსულ ენებს. საგაზეთო პუბლიკაციებში განმარტებულია, რომ წერა-კითხვის უცოდინარ შეგირდებს ძირიდადად მიეკუთვნებოდნენ სახელოსნოებში დასაქმებული ხარაზები, მჭედლები და ა.შ. სწორედ ეს ფაქტი სძენდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სკოლის ფუნქციონირებას.

საარქივო-საგაზეთო მასალებში ხშირად ვხვდებით ფაქტებს სახელოსნოებში ახალგაზრდობის წარმომადგენელთა მუშაობის შესახებ, რაც მათ განათლების მიღების შესაძლებლობას უზღუდავდა. სალამოს სკოლა კი დაარსების დღიდან სწორედ მუშებისთვის იყო შექმნილი და სპეციალურ გრაფიკსა და მათ საჭიროებებზე მორგებულ შესაძლებლობებს ქმნიდა. სწორედ ამის ფონზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქუთაისის სალამოს სკოლა, რომლის შესახებაც ერთ-ერთ წყაროში ვკითხულობთ:

54 „სოციალ-დემოკრატი“, №427, 1918

55 „სოციალ-დემოკრატი“, №332, 1920

„...და რამდენათაც ამთავითვე ხელს შეუწყობთ მის (შეგირდების) გონებრივით წინსვლას, იმდენათ მომავალში მუშათა კლასი ძლიერი იქნება. და თუ მუშათა კლასი ძლიერია, მაშინ ძლიერია როგორც ყოველი ორგანიზაცია, ისე თვით ერიც. დღეიდან იწყება ახალგაზრდა მუშებისათვის ბედნიერი ხანა. დღეიდან ოდნავ მაინც შეივსებენ ჯერ კიდევ ნორჩი მუშები იმ დანაკლისს, რაც სკოლაში ვერ მიიღეს, თვით მუშაობასთან, ფიზიკურ მოძრაობასთან ერთად გაიფურჩქნება მათი ახალგაზრდა გონება“.⁵⁶

ხშირად იწერებოდა სკოლის ფუნქციონირების შემაფერხებელი ფაქტორების შესახებ. ფინანსების გარდა, არაერთი ცნობა⁵⁷ გვხვდება შრომის პირობების შესახებ. მაგალითად, დამსაქმებლების მხრიდან ხშირად ირღვეოდა დადგენილება, რომელიც ექვსსაათიან სამუშაო დღეს აწესებდა, ეს კი ხელს უშლიდა ახალგაზრდა მუშებს, სრულყოფილად ჩართულიყვნენ სასწავლო პროცესში.

„დღეს ძლივს აღწევენ თავს შეგირდები თავიანთ ხაზინებს, ზოგი სულ ვერ მოდის, და კიდევ ვინ იცის რაებს არ ეუბნებიან, თითქოს სკოლაში არაფერს ასწავლიდენ, ატყუებენ და სხვა. ასე შხამავენ ახალგაზრდა მუშების ნორჩ-გულს. ვინც კი თავს აღწევს, უნდა ნახოთ როგორ ეწერგიულათ მიეჩქარება, გარბის იქ, სადაც მათთვის სკოლა დაუარსებიათ. და როცა მათში ასეთ ეწერგიას ამჩნევ, მით უმეტეს საჭიროა მათი ხელის შეწყობა, როგორც ნორმალური დასვენების საკითხის მოგვარებით, ისე მატერიალურათ“.⁵⁸

56 „სოციალ-დემოკრატი“, №332, 1920

57 „სოციალ-დემოკრატი“, №444, 1918

58 „სოციალ-დემოკრატი“, №332, 1918

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლა ძირითადად ღარიბი მუშებისთვის იყო განკუთვნილი და, მიუხედავად იმისა, რომ მას ქალაქის თვითმმართველობა ეხმარებოდა, საგაზეთო განცხადებებში სკოლის მხარდამჭერი არაერთი მონოდება გვხვდება:

„მართალია ქალაქის თვითმმართველობამ მიიღო თავის თავზე სკოლის შენახვა, მაგრამ იმ ხარჯებს გარდა, რაც ქალაქმა უნდა უზრუნველყოს, მრავალი წერილმანია საჭირო, რომელიც მოსწავლისათვის აუცილებელია და სწორედ ამიტომ დახმარებაა საჭირო“.⁵⁹

საინტერესოა ის ურთიერთთანამშრომლობა, რაც თემსა და ცვლილებებისთვის მომუშავე ჯგუფებს შორის არსებობდა. ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენდა თითქმის ყოველკვირეული საქველმოქმედო საღამოების მოწყობა, რომელთა ფარგლებში მობილიზებული რესურსები სწორედ სკოლებს, თეატრებს, სამკითხველოებს, გაფიცვებს, სხვა თვითორგანიზებულ და ცვლილებებისთვის გამიზნულ ინიციატივებს ხმარდებოდა.

II. ქუთაისის გუბა ქალთა ორგანიზაციის „პრომის შკოლა“

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში არაერთი თვითორგანიზებული ქალთა გაერთიანება იქმნება, ეს პროცესი XX საუკუნის დასაწყისშიც გაგრძელდა და არაფორმალურიდან ოფიციალური სახე მიიღო. 1907 წელს იქმნება „ტფილისის ქალთა წრის კომისია“, 1908 წელს მსგავსი კომისიები შეიქმნა გორში, ოზურგეთში, ბათუმში, სოხუმში და სხვ. ამ პერიოდში საქმიანობს „კავკასიის ქალთა საზოგადოება“, „სომეხ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“, „მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“, „მუსლიმან ქალთა საქველმოქმედო საზოგა-

59 „სოციალ-დემოკრატი“, №337, 1918

დოება“, „ახალციხის ქალთა წრე“ და ა.შ. ეს პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდშიც და მან ახალი ფორმები და მასშტაბები მიიღო. ქალთა გაერთიანებების საქმიანობა მრავალმხრივი და ხშირ შემთხვევაში განსხვავებული იყო, რაც ცალკე კვლევის საგანსა და სამომავლო მუშაობას საჭიროებს. ჩვენს კონტექსტში კი განსაკუთრებით საინტერესოა მსგავსი გაერთიანებების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე ყურადღების გამახვილება.

ხელმისაწვდომი და არაფორმალური განათლების სივრცეების შექმნაში ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოცდილებაა ქუთაისის მუშა ქალთა ორგანიზაციის საქმიანობა. იგი წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან დაკავშირებულ ორგანიზაციას, რომელიც მუშა ქალებს აერთიანებდა და მისი აქტივობების უმეტესობა სწორედ მშრომელი ქალებისთვის იყო განკუთვნილი. ორგანიზაციის საქმიანობა არაფორმალურად ჯერ კიდევ 1916 წლიდან იწყება. შექმნის დღიდან, მუშა ქალთა ორგანიზაციის მთავარი მიზანი მშრომელ ქალთა შეკავშირება და მათში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა იყო. ამის პარალელურად, ორგანიზაცია მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა გაფიცვასა თუ პოლიტიკურ აქტივობებში⁶⁰. ორგანიზაცია ენერგიულ მუშაობას ეწეოდა საქალაქო და დამფუძნებელი კრების არჩევნების პერიოდში. ორგანიზაციის სტრუქტურის კონტურები იკვეთება 1918-1921 წლების პერიოდიკაში. პირველ ეტაპზე გაერთიანების მიერ ქალაქი დაიყო რამდენიმე უბნად და გაიხსნა საუბნო კომიტეტები,⁶¹ რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ სხვადასხვა უბანში მცხოვრებ ქალთა მობილიზებასა და ორგანიზაციის საქმიანობაში ჩართვაზე. ასეთი გადანყვეტილებები მუშა ქალთა ორგანიზაციის გაფართოებულ შეხვედრებზე მიიღებოდა.⁶²

60 „სოციალ-დემოკრატი“, №64, 1919

61 „ერთობა“, №144, 1918

62 „სოციალ-დემოკრატი“, №437, 1918

ქუთაისის მუშა ქალთა ორგანიზაციის საქმიანობის ერთ კონკრეტულ, საილუსტრაციო მაგალითად გამოდგება ორგანიზაციის მიერ 1918 წელს დაარსებული „შრომის სკოლა“, რომელიც, ქუთაისის „სალამოს სკოლის“ მსგავსად, ღარიბებისთვის იყო განკუთვნილი. იგი კონკრეტულ კონტინგენტს ხელმისაწვდომ, მათს საჭიროებებზე მორგებულ განათლებასა და შესაძლებლობებს სთავაზობდა. სკოლა ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე მდებარეობდა. სკოლაში შეიძლება პროფესიული განათლების დაუფლება, სხვადასხვა მიმართულებით. მასში ფუნქციონირებდა აგრეთვე „უმაღლესი განათლების კურსი“⁶³ და იგი გახსნილი იყო ყველასთვის „განურჩევლად მდგომარეობისა, მიმართულებისა, ეროვნებისა, სადაც შეუძლია ისწავლოს ყოველ ღარიბ ქალს, რა ხნისაც არ უნდა იყოს ის“.

სკოლის დაარსების პარალელურად, მუშა ქალთა ორგანიზაცია აქტიურად მუშაობდა სკოლის აუდიტორიის გასაზრდელად. წყაროებიდან ჩანს, რომ ორგანიზაცია ქუთაისის ყველა უბანში მართავდა შეხვედრებს⁶⁴ იქ მცხოვრებ ქალებთან და მათ შრომის სკოლის საქმიანობას აცნობდა. 1920 წლის მასალებიდან ირკვევა, რომ სკოლის მუშა ქალ მსმენელთა მუდმივი რაოდენობა 123-ს შეადგენდა, ხოლო 1919 წელს ჯამში სკოლაში 500-მდე ქალი იყო ჩანერილი⁶⁵. სკოლაში სასწავლო პროცესი ჯგუფებად მიმდინარეობდა. გარდა პროფესიული და წინასწარგანსაზღვრული კურსისა, კვირაში ორჯერ კითხულობდნენ მოხსენებებს სხვადასხვა საკითხზე; 1919 წელს იკითხებოდა ლექციები კულტურის ისტორიიდან. ამ პერიოდში მუშა ქალთა ორგანიზაციამ სკოლის ხელმძღვანელად მარო ჩხეიძე დანიშნა. განსაკუთრებით საინტერესო და სიღრმისეულ სადისკუსიო თემებს ეხებოდა სკოლა 1920 წლიდან. მოხსენებები იკითხებოდა ქართული ლიტერატურის, პოლიტიკური ეკონომიისა

63 „სოციალ-დემოკრატი“, №429, 1918

64 „სოციალ-დემოკრატი“, №431, 1918

65 „ხალხის მეგობარი“, №363, 1919

და „ქალთა საკითხების“ შესახებ⁶⁶. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მუშა ქალთა ორგანიზაციის გამომცემლობა, რომელმაც „ხელი შეუწყო დემოკრატიის გათვიცნობიერების საქმეს“.⁶⁷ სკოლა ძირითადად ქველმოქმედებისა და შემოწირულობების ხარჯზე არსებობდა, გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ 1920 წლის ნომრებიდან ჩანს, რომ იგი სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და დასახმარებლად ქუთაისის თვითმმართველობას მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის მუშა ქალთა ორგანიზაცია საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან იყო დაკავშირებული, მის შესახებ ინფორმაციულ და მხარდამჭერ ცნობებს სხვა პარტიულ გაზეთებშიც ვხვდებით.⁶⁸

ამ ინიციატივებს ყოველთვის ჰქონდა საზოგადოებრივი მხარდაჭერა, რამდენადაც ინიციატივები სწორედ თემისა და ადგილობრივ მცხოვრებთა მეშვეობით და მათი უშუალო ჩართულობით ხორციელდებოდა. მსგავსი საგანმანათლებლო ინიციატივებისა და განათლების კერების შესახებ ინფორმაცია მრავლადაა საქართველოს იმდროინდელ ბეჭდურ მედიასაშუალებებში, საარქივო დოკუმენტებში. მათი სიღრმისეული კვლევა, რამდენიმე ფრაგმენტული და საინტერესო კვლევის მიუხედავად, არ განხორციელებულა. საქართველოს დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, გასაოცარიც კია მოქალაქეთა და ხშირ შემთხვევაში ოფიციალურ სტრუქტურათა ორგანიზება და პასუხისმგებლობა. ეს ის ბუნებრივი მოცემულობაა, რომელიც საქართველოში არსებობდა 1918-1921 წლებში.

66 „სოციალ-დემოკრატი, №3, 1920

67 „ერთობა, №144, 1918

68 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანოს ყოველდღიურ გაზეთ „ხალხის მეგობარში“ მუშა ქალთა ორგანიზაციის მიერ დაარსებული სკოლის შესახებ ათამდე ცნობა მოვიძიეთ.

გოლმსიტყვაობა

1918-1921 წლები პოლიტიკური და სამოქალაქო პროცესების მხრივ საკმაოდ მდიდარი იყო და სწორედ ამიტომ, დროში შეზღუდულ კვლევაში და ერთ სტატიაში ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის აღწერა და ანალიზი შეუძლებელია. თუმცა, ჩვენი აზრით, ის მასალა, რომელიც ამ გამოცემაშია შესული, ხელს შეუწყობს სხვა მნიშვნელოვან კვლევით ინიციატივებსა და პროექტებს.

კვლევის პროცესში არსებობდა ჩვენთვის ყველაზე მწვავე შეზღუდვები:

- (1) რადგანაც ამ საკითხებზე არ არსებობდა კონკრეტული კვლევა, ამიტომაც ჩვენ არ გვქონდა კონკრეტული ფოკუსი, რის გარშემოც თავიდანვე უნდა დაგვეგეგმა ჩვენი საველე სამუშაოები. ამ მიზეზის გამო, ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა შეიძლება ჩვენი ყურადღების მიღმა დარჩა.
- (2) გარდა ამისა, ჩვენი დიდი სურვილი იყო აგრეთვე, მოგვეძიებინა ინფორმაცია 1918-1921 წლების საქართველოში ქალთა გაერთიანებების შესახებ, თუმცა კვლევის ფორმატის, დროის სიმცირისა და მასალების ფრაგმენტულობის გამო ამჯერად ამ კონკრეტული საკითხის სიღრმისეული კვლევა ვერ მოხერხდა.
- (3) ძალიან გვინდოდა, რომ წიგნს მოეცვა ისეთი საკითხი, როგორიც არის ეთნიკური უმცირესობები და მათი ინტეგრაციის ფორმები ქართველ საზოგადოებაში. ამასთან ერთად, ჩვენი დიდი სურვილი იყო, წიგნი გამოცემულიყო არა მარტო ქართულად, არამედ რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც, რაც ეთნიკურად არაქართველ მოსახლეობას მისცემდა საშუალებას, გასცნობოდა 1918-1921 წლების საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს.

© სამოქალაქო აქტივიზმის კვლევის ცენტრი

2018

www.carc.ge